

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

# დამხმარე სახელმძღვანელო

UNECE-ს გარემოს სტრატეგიული  
შეფასების პროტოკოლის  
განხორციელების მხარდასაჭერად



UNITED NATIONS

UNECE – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის  
ეკონომიკური კომისია

დამხმარე  
სახელმძღვანელო  
UNECE–ს გარემოს სტრატეგიული შეფასების  
პროტოკოლის განხორციელების მხარდასაჭერად

გაერთიანებული ერები  
ნიუ იორკი და ჟენევა, 2012

აბრევიატურები და აკრონიმები .....	10
სახელმძღვანელოს .....	13
შესავალი .....	13
0.1 პრეამბულა.....	13
0.2 მიზანი, სამიზნე აუდიტორია და სტატუსი .....	14
0.3 სტრუქტურა.....	15
0.4 სახელმძღვანელოს გადამუშავება და ადაპტაცია.....	18
ნაწილი ა1: პროტოკოლის განხორციელება.....	19
თავი 1.....	21
გარემოს სტრატეგიული შეფასების მოკლე შესავალი.....	21
ა1.1 თავის შესავალი.....	22
ა1.2 რას წარმოადგენს SEA? .....	23
ა1.2.1 რა არის SEA-ს მიზანი?.....	23
ა1.2.2 რაშიმდგომარეობს SEA-ს დამატებითი ღირებულება გზმ-სთან შედარებით? .....	23
ა1.3 SEA-ს სარგებელი და ხარჯები.....	25
ა1.3.1 SEA-ს სარგებელი .....	25
ა1.4 SEA-ს განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები .....	27
ა1.5 რამდენიმე ზოგადი მოსაზრება.....	28
ა1.5.1 SEA როგორც მდგრადობის ინსტრუმენტი.....	28
1.5.2 ლოგიკური კავშირი SEA-სა და მასთან დაკავშირებულ შეფასების ინსტრუმენტებს შორის .....	29
ა1.5.3 SEA გადაწყვეტილების მიღების უფრო სტრატეგიულ დონეზე.....	29
SEA-ს ინტეგრირება და გეგმვისა და პროგრამის შემუშავების პროცესში.....	31
ა2.1 თავის შესავალი.....	32
ა2.2 დაგეგმვა და პროგრამის შემუშავება, SEA და მათ შორის კავშირი.....	33
ა2.2.1 ჩვეულებრივი მოვალეობები და გეგმვისა და პროგრამის შედგენისას.....	33
ა2.2.2 გეგმვისა და პროგრამების SEA-ს ელემენტები.....	34
ა2.2.3 ლოგიკური კავშირი გეგმვისა და პროგრამის შედგენასა და პროტოკოლის მოთხოვნებს შორის.....	38
ა2.3 SEA-ს გეგმვისა და პროგრამის შედგენაში ინტეგრირების პრაქტიკული მიდგომები .	46
ა2.3.1 SEA -სა და გეგმვის/პროგრამის შედგენას შორის არსებული ეფექტური კავშირების გამოვლენა .....	46
ა2.3.2 SEA-ს გეგმასა თუ პროგრამაში ინტეგრირების პრაქტიკული მიზეზები.....	47

ა2.3.3	გასათვალისწინებელი საკითხები.....	47
ა2.4	გეგმისა და პროგრამის შემუშავებისას პროტოკოლის განხორციელების ვარიანტები	49
ა2.4.1	პრობლემატური განხორციელება: როცა SEA ხორციელდება „ex post“, ანუ გეგმისა და პროგრამის შემუშავების პროცესიდან დამოუკიდებლად.....	49
ა2.4.2	გეგმის/პროგრამის შემუშავებაში ნაწილობრივ ინტეგრირებული SEA .....	51
ა2.4.3	გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში სრულად ინტეგრირებული SEA .....	54
თავი ა3	როგორ ვადგენთ მოითხოვს თუ არა გეგმები და პროგრამები SEA-ს პროტოკოლის მიხედვით.....	57
ა3.1	თავის შესავალი.....	58
ა3.2	სამართლებრივი ვალდებულებები .....	58
ა3.2.2	მუხლი 5 დადანართი III .....	60
ა3.3	ტესტების დეტალური აღწერა.....	61
ა3.4	შესაძლო პრაქტიკული ზომები.....	74
თავი ა4	გეგმებისა და პროგრამების SEA.....	75
ა4.1	თავის შესავალი.....	76
ა4.2	მასშტაბის დადგენა და ეკოლოგიური ანგარიში .....	77
ა4.2.1	სამართლებრივი ვალდებულებები.....	77
ა4.2.2	ალტერნატივები.....	77
ა4.2.3	სხვაპრაქტიკული მოსაზრებები .....	80
თავი ა5.....		113
SEA-ს ძირითადი ინსტრუმენტების მიმოხილვა .....		113
ა5.4	ძირითადი საზოგადოებრივი ჩართულობის ინსტრუმენტების მიმოხილვა.....	124
თავი ა6.....		126
პოლიტიკა და კანონმდებლობა .....		126
ა6.1	თავის შესავალი.....	127
ა6.2	შესაძლო მიდგომები.....	129
ნაწილი ბ.: ტრენერის სახელმძღვანელო.....		133
თავი ბ1 .....		134
ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ჩარჩო.....		134
პროტოკოლის მიზნებისთვის .....		134
ბ1.1 თავის შესავალი.....		135
ბ1.2 პროტოკოლის მიზნებისთვის ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების შესავალი .....		136
ბ1.2.1 SEA ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ჩარჩო .....		136

ბ1.3 ქმედითუნარიანობის შეფასება .....	142
ბ1.3.1 ქმედითუნარიანობის შეფასება – მიზანი და ინსტრუმენტები .....	142
ბ1.3.2 ძირითადი კითხვები SEA უნარების შეფასებისთვის .....	142
ბ1.4 რჩევები SEA ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტატეგიის შემუშავებისთვის	143
ბ1.5 დასკვნითი შენიშვნები .....	144
თავი ბ2 .....	145
პროტოკოლის შესახებ ტრენინგ კურსში გამოსაყენებელი პრაქტიკული სავარჯიშოს სტრუქტურის ნიმუში .....	145
ბ2.1 თავის შესავალი.....	146
ბ2.1.1 პრაქტიკული სავარჯიშოს მიზანი.....	146
ბ2.1.2 შესაძლო შედეგები .....	146
ბ2.1.3 დავალებები პრაქტიკული სავარჯიშოს დროს .....	146
ბ2.1.4 სავარჯიშოს კომპლექსურობა .....	147
ბ2.1.5 ინფორმაცია, რომელიც უნდა შევავროვოთ სავარჯიშოს დაწყებამდე.....	148
ბ2.2 პრაქტიკულ მაგალითზე სამუშაო დავალებები.....	149
დანართები.....	156
დანართი ა1.1.....	157
ჯანმრთელობა.....	157
1 დანართის შესავალი.....	158
2 რატომ არის ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი.....	158
3 შესაძლო პრაქტიკული ღონისძიებები .....	158
ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის დადგენა .....	159
კონსულტაციები გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან .....	165
3.3 ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება .....	166
გარემოსდაცვითი ანგარიშის მასშტაბის დადგენა და მომზადება .....	174
დანართი ა1.2.....	177
SEA –ს განვითარების იურიდიული და პოლიტიკური ორიენტირები.....	177
დანართი ა1.3 .....	181
SEA –ს შესრულების კრიტერიუმების ზემოქმედების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია .....	181
დანართი ა5.1.....	184
შერჩეული ანალიტიკური ინსტრუმენტების აღწერა .....	184
დანართი ა5.2.....	198

შერჩეული საზოგადოებრივი ჩართულობის ინსტრუმენტების აღწერა.....	198
დანართი ბ1.1.....	208
ქმედითუნარიანობის დეტალური შეფასების მაგალითი პროტოკოლის განხორციელებისთვის აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის შერჩეულ ქვეყნებში.....	208
დანართი ბ1.2.....	212
აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის შერჩეულ ქვეყნებში პროტოკოლის განსახორციელებლად ეროვნული ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგიებში გამოსაყენებელი მარტივი ტექნიკური დავალების ნიმუში.....	212

## შენიშვნა

წინამდებარე მასალის მიზანია მხოლოდ ინფორმაციის მოწოდება და არ წარმოადგენს ოფიციალურ იურიდიულ ან სხვა პროფესიული ხასიათის კონსულტაციას. მისი ავტორები არ იღებენ პასუხისმგებლობას წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის კვალობაზე განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელო შემოთავაზებულია არსებული სახით და არ გულისხმობს რაიმე სახის გარანტიებს, იქნება ეს აშკარა თუ შეფარული; ან შეზღუდვების გარეშე, ვარგისიანობის გარანტიას, კონკრეტული მიზნებისთვის მისადაგებას და სამართლებრივ ვალდებულებებთან შესაბამისობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ წარმოადგენს დოკუმენტში ასახული ინფორმაციის სიზუსტისა თუ სრულყოფილების გარანტს.

საავტორო უფლებები ეკუთვნის © გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარემოს დაცვის რეგიონულ ცენტრს, მეორე გამოცემა, 2012. პირველი რედაქცია დაიბეჭდა 2006 წელს, ხოლო მეორე –2012 წელს. საავტორო უფლება დაცულია. არ შეიძლება წინამდებარე სახელმძღვანელოში მოყვანილი მასალების სრულად ან ნაწილობრივ, რაიმე ფორმით ან საშუალებით რეპროდუქცია, ან გადაცემა, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური სახით, ასევე, ფოტოკოპირებული ასლის, აუდიო/ვიდეო ჩანაწერის ან მონაცემთა შენახვის სხვა სისტემის გამოყენებით – თუ არ მოხდება მოცემული სახელმძღვანელოს წყაროდ აღიარება და საავტორო უფლებების მფლობელთა დასახელება.

წინამდებარე სახელმძღვანელოს შედგენისას ავტორებმა მრავალ ისეთ წყაროს მოუყარეს თავი, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის პროტოკოლისა და გარემოს სტრატეგიული შეფასების მხარეთათვის; თუმცა სხვა დაინტერესებულ პირებსაც შეუძლია სახელმძღვანელოდან მათი გამოყენება შესაბამისი წყაროს მითითებით.

მოცემულ სახელმძღვანელოში ასახული შედეგები, ინტერპრეტაციები და დასკვნები ეკუთვნის გაეროს სამდივნოს სხვადასხვა თანამშრომელს, კონსულტანტსა თუ მრჩეველს, რომლებიც მონაწილეობდნენ სახელმძღვანელოს შედგენაში, და არ ასახავს გაეროსა და მისი წევრი სახელმწიფოების ხედვას.

ავტორები: წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადებაში მონაწილეობდნენ: ნიკ ბონვოისინი (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია), ჯირი დუსიკი და ოსტრა ჯურკვეისიუტე (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარემოს დაცვის რეგიონული ცენტრი), და ბარი სადლერი. საკონსულტაციო დახმარება გასწია მცირე სარედაქციო ჯგუფმა, რომელიც პროტოკოლის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე შეირჩა და მის შემადგენლობაში იყვნენ: ურსულა პლაცხერ–შნაიდერი (ავსტრია), მერი ვან დრიუმელი (ნიდერლანდები), როჯერ გებელსი (თავიდან დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის, შემდგომში ევრო კომისიის სახელით), როჯერ სმიტსონი (გაერთიანებული სამეფო), დევიდ ასპიმვოლი

(თავიდან ევრო კომისიის წარმომადგენელი) და ჰენრიეტა მარტონაკოვა (გაეროს განვითარების პროგრამა). დამატებით საკონსულტაციო მომსახურება გასწიეს: მარტინა ფრობენმა (გერმანია), ტანია ბურდეტმა (გაერთიანებული სამეფო), მარკო მარტუზი და მეთ სოებერგმა (სტრატუკლაიდის უნივერსიტეტი), თომას ფიშერმა (ლივერპულის უნივერსიტეტი), ელზა ჯოაომ (სტრატუკლაიდის უნივერსიტეტი), ალან ბონდმა (ადმ. ინგლისის უნივერსიტეტი), ბენ ქევმა, პოლ ტომლისონმა, მარტინ სმუტნიმ, მარტინ ბირლიმ, ტრისტან აუსტინმა (საფრანგეთი – *CentreInternational de Droit Comparé de l'Environnement*.) და სხვ.

ECE/MP.გზმ/17
---------------

UNITED NATIONS PUBLICATION
ISSN 1020-4563

## დიაგრამები

დიაგრამა ა2.1: ჩვეული დავალებები გეგმისა და პროგრამის შედგენისას .....	24
დიაგრამა ა2.2: გეგმისა და პროგრამის ელემენტები SEA-ში .....	27
დიაგრამა ა2.3: ლოგიკური კავშირი გეგმისა და პროგრამის შედგენის დავალებებსა და SEA ელემენტებს შორის.....	28
დიაგრამა ა2.4: ფაქტობრივი SEA რომელიც განცალკევებულია გეგმისა თუ პროგრამის შემუშავებისგან: საერთო მიდგომა .....	37
დიაგრამა ა2.5: გეგმის ან პროგრამის შემუშავებაში ნაწილობრივ ინტეგრირებული SEA: საერთო მიდგომა .....	38
დიაგრამა ა2.6: გეგმის ან პროგრამის შემუშავებაში სრულად ინტეგრირებული SEA: საერთო მიდგომა .....	41
დიაგრამა ა3.1: დირექტივები იმის გასარკვევად, არის თუ არა კონკრეტული გეგმა და პროგრამა SEA (გსშ)-ს პროტოკოლის საგანი	49
დიაგრამა ა4.1: გეგმისა და პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელი ვარიანტები 63 ჯანმრთელობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები .....	144

## ცხრილები

ცხრილი 1.1: ლოგიკური კავშირი SEA-ში რეგულარულ დავალებებს შორის, სოციალურ-ეკონომიკური და მდგრადობის შეფასება .....	19
ცხრილი 2.1: SEA ელემენტები .....	26
ცხრილი 2.2: ლოგიკური კავშირი SEA -ს, გეგმის შემუშავებასა და ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებსა თუ საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობას შორის .....	29
ცხრილი 3.1: III დანართის გზამკვლევი (მნიშვნელოვანების კრიტერიუმი) .....	57



ცხრილი 4.1: ეკოლოგიური ამოცანების ზოგიერთი შესაძლო წყარო და მაგალითი .....	69
ცხრილი 4.2: ანგარიშის შინაარსი პროტოკოლის IV დანართის მიხედვით .....	69
ცხრილი 4.3: კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ ეკოლოგიური ანგარიშის შინაარსის განსაზღვრისას (პუნქტი. 7.2).....	73
ცხრილი 4.4: სამიუბელი სია ხარისხის უზრუნველსაყოფად .....	78
ცხრილი 5.1: ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტების მიმოხილვა .....	104
ცხრილი 5.2: საზოგადოების ჩართულობის ძირითადი ინსტრუმენტების მიმოხილვა .....	106
ცხრილი 6.1: კანადური დირექტივების სახელმძღვანელო პრინციპები .....	112
ცხრილი 1.1: პროტოკოლის ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ჩარჩო .....	119
ცხრილი 2.1: გეგმის ან პროგრამის შემუშავების პროცესის შესაძლო მიმოხილვის ჩარჩო.....	32
ფიზიკური ეკოლოგიური რისკ ფაქტორების და მასთან დაკავშირებული დაავადებებისა და რისკების მაგალითი (WHO, 2006; ადაპტირებულია ECE რეგიონისთვის) .....	149
ჯანდაცვა SEA-ში: გეგმებისა და პროგრამების შესაძლო გავლენა ჯანმრთელობაზე .....	151
ჯანმრთელობის პრობლემების ეკოლოგიურ ანგარიშში განხილვის შესაძლო მიდგომები .....	155

## ჩარჩოები

ჩარჩო 4.1: ალტერნატივები SEA-ში.....	64
ჩარჩო 4.2: პრობლემები, საფრთხეები ან საკითხები; ამოცანები; სამიზნეები; ინდიკატორები ან გზამკვლევი კითხვები.....	68
ჩარჩო 4.3: იარუსებად დალაგება .....	68
ჩარჩო 4.4: ხარისხი — შესაძლო პრაქტიკული მოსაზრებები .....	77
ჩარჩო 4.5: ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია – შესაძლო პრაქტიკული ღონისძიებები .....	88
ჩარჩო 6.1: რჩევები ინტეგრაციასა და გამჭირვალობასთან დაკავშირებით .....	111
ჩარჩო 6.2: ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჩართულობა .....	113
ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება ჩეხეთის 2007–2013 წლების სამოქმედო პროგრამის „წარმოება და ინოვაცია“ SEA-ს ფარგლებში .....	145
სოციო-ეკონომიკური სტატუსის საზომი, რაც ჯანმრთელობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია .....	146
SEA და HIA: მსგავსებები და განსხვავებები .....	154

## აბრევიატურები და აკრონიმები

Aarhus Convention	ორჰუსის კონვენცია – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია ინფორმაციაზე წვდომის, გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოებრივი ჩართულობისა და ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლიანობის მიღწევის შესახებ. მიღებულია ორჰუსში (დანია), 1998 წელს.
CBA	დანახარჯებისა და სარგებელის ანალიზი
EC	ევროკომისია
ECE	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისია (ხანდახან გამოიყენება არაფორმალური აბრევიატურა UNECE)
გზმ	გარემოზე ზეგავლენის შეფასება
გზმდირექტივა	ევროკავშირის 1985 წლის 27 ივნისის დირექტივა 85/337/EEC განსაზღვრული საჯარო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, შესწორებულია ევროსაბჭოს 1997 წლის 3 მარტის 97/11/EC დირექტივით.
Espoo კონვენცია	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზეგავლენის შეფასების შესახებ, მიღებულია ესპოში (ფინეთი), 1991 წელს
EU	ევროპის კავშირი
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები
HIA	ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება
LCA	სასიცოცხლო ციკლის შეფასება
MCA	მრავალ კრიტერიუმთან ანალიზი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OECD ორგანიზაცია	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
REC ეკოლოგიური ცენტრი	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული
SEA	გარემოს სტრატეგიული შეფასება
SEA დირექტივა	ევროკავშირის 2001/42/EC დირექტივა განსაზღვრული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ
SEA პროტოკოლი პროტოკოლი	Espoo კონვენციის გარემოს სტრატეგიული შეფასების
SWOT	ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა

UNEP	გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა
WHO	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
WTA	მიღებისთვის მზადყოფნა
WTP	გადახდისთვის მზადყოფნა



# სახელმძღვანელოს

## შესავალი

### 0.1 პრეამბულა

1. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (ECE) პროტოკოლი გარემოს სტრატეგიული შეფასების შესახებ, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული ერებისორგანიზაციის ევროპისეკონომიკური კომისიის ტრანსსასაზღვროკონტექსტში გარემოზე ზეგავლენის შეფასების შესახებკონვენციის (Espoo კონვენცია) დამატებას, მიღებულ იქნა კიევში, 2003 წლის მაისში. პროტოკოლი ძალაში შევიდა 2010 წლის ივლისში, ხოლო 2011 წლის შუა პერიოდისთვის მას შეუერთდა 22 სახელმწიფო და ევროკავშირი. პროტოკოლის შესახებ უკანასკნელი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ECE ვებ გვერდს: [http://www.unece.org/env/eia/sea\\_protocol.html](http://www.unece.org/env/eia/sea_protocol.html). პროტოკოლი არ არის შეზღუდული ECE რეგიონის ქვეყნებისთვის; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მიუერთდეს პროტოკოლს.<sup>1</sup>
2. წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო გარემოს სტრატეგიული შეფასების პროტოკოლის განხორციელებაში მხარდაჭერისთვის (შემდგომში „სახელმძღვანელო“) შეიქმნა 2004 წელს პროტოკოლის ხელმომწერთა შეხვედრის გადაწყვეტილებით.
3. სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ოფიციალურ იურიდიულ ან სხვა სახის პროფესიულ რჩევას, არამედ წარმოადგენს გზამკვლევს მათთვის, ვინც უკვე ახორციელებს პროტოკოლს, ან განიზრახა მისი განხორციელება.

---

<sup>1</sup>პირობების განმარტებები იხილეთ ვებ გვერდზე:

[http://treaties.un.org/pages/Publications.aspx?pathpub=Publication/TH/Page1\\_en.xml](http://treaties.un.org/pages/Publications.aspx?pathpub=Publication/TH/Page1_en.xml).

## 0.2 მიზანი, სამიზნე აუდიტორია და სტატუსი

4. სახელმძღვანელო:
  - X წინა პლანზე წევს გარემოს სტრატეგიული შეფასების შესახებ პროტოკოლის მთავარ მოთხოვნებს (SEA პროტოკოლი).
  - X ხაზს უსვამს პროტოკოლის პრაქტიკული განხორციელების ძირითად მომენტებს.
  - X წარმოადგენს მასალას პროტოკოლის განხორციელებაში დასახმარებელი ტრენინგებისა და პოტენციალის განვითარების პროგრამებისთვის.
5. სახელმძღვანელოს მომხმარებლები იქნებიან:
  - X ყველა, ვისაც სურს მეტი შეიტყოს პროტოკოლისა და მისი განხორციელების თეორიის შესახებ, მათ შორის, სამთავრობო და სხვა ოფიციალური პირები, რომლებიც პროტოკოლის განხორციელებაზე მუშაობენ, გარემოს სტრატეგიული შეფასების (SEA) პრაქტიკოსები და დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც SEA პროცესში მონაწილეობის სურვილი აქვთ.
  - X ყველა, ვისაც სურს, რომ პროტოკოლის მოთხოვნებისა და SEA-ს განხორციელების შესახებ კონსულტაცია გაუწიოს ან ტრენინგი ჩაუტაროს სხვებს.
6. აღნიშნული ორმაგი აუდიტორია განსაზღვრულია სახელმძღვანელოს სტრუქტურაში. (იხ. ქვემოთ).
7. ECE რეგიონი მოიცავს ევრო კავშირის წევრ სახელმწიფოებს. ევროკავშირის 2001/42/EC დირექტივა განსაზღვრული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, რომელიც მოიხსენიება როგორც SEA დირექტივა უნდა განხორციელებულიყო 2004 წლის ივლისში. პროტოკოლის სავალდებულო დებულებები SEA დირექტივის ეკვივალენტურია, შესაბამისად მოცემული სახელმძღვანელოს ავტორებმა განიზრახეს წარმოეჩინათ განსხვავებები ამ ორ დოკუმენტს შორის. 2003 წელს ევროკომისიამ გამოსცა პუბლიკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დახმარებას SEA დირექტივის განხორციელებაში, ეს დოკუმენტია: *განსაზღვრული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ევროკავშირის 2001/42/EC დირექტივის განხორციელება*. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ელემენტები, სადაც SEA-ს პრაქტიკული დანერგვაა განხილული, შესაძლოა ხელსაყრელი იყოს მათთვის, ვინც SEA დირექტივას ახორციელებს.
8. მიუხედავად ამისა, წინამდებარე სახელმძღვანელო არ წარმოადგენს SEA პროტოკოლისა თუ SEA დირექტივის ოფიციალურ ინტერპრეტატორ გზამკვლევს.
9. წინამდებარე სახელმძღვანელოში ასევე მითითებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის სკონვენცია ინფორმაციაზე წვდომის, გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოებრივი ჩართულობისა და ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლიანობის მიღწევის შესახებ.
10. სახელმძღვანელო შეიქმნა ინგლისურ და რუსულ ენებზე. რამდენადაც ფრანგული წარმოადგენს ECE-ის ერთ-ერთ ოფიციალურ ენას, სახელმძღვანელო გადაითარგმნება ფრანგულად, რაც დამატებითი რესურსის ხელმისაწვდომობას ნიშნავს. სავარაუდოდ, სახელმძღვანელო ხელმისაწვდომი გახდება სხვა ენებზეც, ან ამავე ფორმით, ან ადაპტირებული სახით, რათა მიესადაგოს კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებს. (იხ. **პარაგრაფი 0.4** ქვემოთ).

### 0.3 სტრუქტურა

11. სახელმძღვანელო გაყოფილია ორ ნაწილად, რაც ორგვარი სამიზნე აუდიტორიის ხასიათს ასახავს:
  - X ნაწილი ა. – მათთვის, ვინც ახორციელებს პროტოკოლს.
  - X ნაწილი ბ. – ტრენერებისა და სხვა პირებისთვის, ვინც პროტოკოლის განხორციელებასთან დაკავშირებით პოტენციალის გაზრდაზე მუშაობს.
12. აღნიშნული ორი ნაწილიდან თითოეული შედგება ურთიერთკავშირში მყოფი, ავტონომიური თავებისაგან, სადაც მითითებულია თვითეული თავისთვის შესაბამისი ელექტრონული პრეზენტაციის ბმულები კონვენციის ვებ-გვერდიდან. ხსენებული ორ-ნაწილიანი სტრუქტურა განხილულია ქვემოთ.

ნაწილი ა: პროტოკოლის განხორციელება

- X თავია1 გვაცნობს SEA მიზნებს და კონცეფციებს, მის როლსა და SEA-ს ევოლუციას. დოკუმენტის ოთხ თავში მოცემული მასალა გვთავაზობს დახმარებას გეგმებსა და პროგრამებში პროტოკოლის დანერგვისას:
- X თავია2. ადგენს გეგმებისა და პროგრამების შემუშავების პროცესსა და SEA-ს შორის კავშირს.
- X თავია3 აღწერს როგორ უნდა დავადგინოთ, თუ რამდენად მოითხოვს პროტოკოლი SEA –ს ჩატარებას.
- X თავი ა4 აღწერს SEA-ს პროტოკოლის მიხედვით შედგენილ გეგმებსა და პროგრამებს
- X თავია5. წარმოგვიდგენს ძირითად ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ SEA –ს პრაქტიკული განხორციელებისას.

რაც შეეხება პოლიტიკასა და კანონმდებლობას, ეს მიმართულება შემდეგ თავშია განხილული:

- X თავია6. განმარტავს, თუ როგორ შეიძლება პროტოკოლის მისადაგება პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან.

ნაწილი ბ.: ტრენერის გზამკვლევი

- X თავიბ1 აღწერს პროტოკოლის მიზნებისთვის პოტენციალის ჩამოყალიბების ფართო კონცეფციას.
- X თავიბ2 გვთავაზობს დავალებების დასტას, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია SEA ტრენინგებსა და პოტენციალის განვითარების პროგრამებში კაზუსებთან დაკავშირებული პრაქტიკული სამუშაოს შედგენისას.

13. დანართებში მოცემულია ზემოთხსენებული თავებისთვის დამატებითი მასალები

14. SEA პროტოკოლის გარდა წინამდებარე სახელმძღვანელო ეყრდნობა შემდეგ წყაროებსაც:

#### საერთაშორისო ინსტრუმენტები და მითითებები

- X ECE კონვენცია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზეგავლენის შეფასების შესახებ (Espoo კონვენცია).
- X ECE კონვენცია ინფორმაციაზე წვდომის, გადაწყვეტილების მიღებაში

საზოგადოებრივი ჩართულობის და გარემოსდაცვით საკითხებში სამართლიანობის ხელმისაწვდომობის შესახებ. (ორჰუსისკონვენცია).

- X EU დირექტივა 2001/42/EC განსაზღვრული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ. (SEA დირექტივა).
- X *განსაზღვრული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ 2001/42/EC დირექტივის განხორციელება (EC გზამკვლევი).*



- X *ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება, როგორც გარემოს სტრატეგიული შეფასების შემადგენელი ნაწილი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO).*<sup>2</sup>

#### SEA პრაქტიკული მაგალითები

- X ეს რესურსი კიდევ უფრო გაფართოვდება, მას შემდეგ რაც მონაწილე ქვეყნები წარმოადგენენ საკუთარ მაგალითებს.
15. ზემოთხსენებული რესურსები, რეკომენდებული საკითხავი ლიტერატურა და სხვა წყაროები, რომლებიც სახელმძღვანელოს თითოეული თავისთვისაა შესაფერისი, შეგიძლიათ მოიძიოთ სახელმძღვანელოს ვებ გვერდზე: ([http://www.unece.org/env/eia/sea\\_manual/welcome.html](http://www.unece.org/env/eia/sea_manual/welcome.html)).

---

<sup>2</sup>C. H. Breeze და K. Lock, eds., *ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება, როგორც გარემოს სტრატეგიული შეფასების შემადგენელი ნაწილი: ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების მეთოდებისა და კონცეფციების მიმოხილვა და პრაქტიკული რჩევები SEA-ს პროტოკოლში ჯანდაცვის ადეკვატურად მოცვის თვალსაზრისით.*(WHO, 2001). ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:[http://www.who.int/hia/network/en/HIA\\_as\\_part\\_of\\_SEA.pdf](http://www.who.int/hia/network/en/HIA_as_part_of_SEA.pdf).

## 0.4 სახელმძღვანელოს გადამუშავება და ადაპტაცია

16. წინამდებარე სახელმძღვანელოს გადამუშავება და შემდგომი განვითარება მოხდება მისი ხელმძღვანელების გადაწყვეტილების შესაბამისად, ხოლო მოგვიანებით, პროტოკოლის მონაწილე მხარეების გადაწყვეტილებით.
17. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით ვებ გვერდებზე და ასევე CD-ROM-ებზე. ამრიგად მოსახერხებელი ხდება ახლად აღმოჩენილი ხელმისაწვდომი რესურსების ბმულების დამატება. მოსალოდნელია, რომ ხსენებული ახალი რესურსები უნდა შეიცავდეს წარმატებული გამოცდილებების შესახებ მითითებებს, მეთოდოლოგიას, მიმოხილვას, პრაქტიკულ მაგალითებსა და კაზუსებს.
18. გარდა ამისა, ჩვენ მივესალმებით სახელმძღვანელოს სხვადასხვა განსხვავებული კონტექსტის შესაბამისად ადაპტაციას. მაგალითად, 2005 წელს წინამდებარე სახელმძღვანელოს ადრეული ვარიანტის ეროვნული ვერსიები შეიქმნა საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვას რესპუბლიკაში.
19. მათ, ვისაც წინამდებარე სახელმძღვანელოს საკუთარი კონკრეტული მიზნებისთვის ადაპტაციის სურვილი აქვს, ვურჩევთ ყურადღება მიაქციოს შემდეგ საკითხებს:
  - X სახელმძღვანელოს ადაპტირებამდე, საჭიროა, მოცემულ კონტექსტში მოხდეს გეგმების, პროგრამების, პოლიტიკისა და მოქმედი კანონმდებლობისათვის არსებული გარემოს სტრატეგიული შეფასების სისტემების სრულყოფილი ანალიზი, და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს სახელმძღვანელოს შესაბამისად ადაპტირება.
  - X ადაპტირება უფრო მეტია, ვიდრე, სახელმძღვანელოს თარგმნა; მასში შევა დამატებითი თავები და სექციები და ადგილობრივი კონტექსტისთვის მნიშვნელოვანი საკითხები; ასევე, მოსალოდნელია იმ თავებისა და ნაწილების ამოღება, რომლებიც ნაკლებმნიშვნელოვნად იქნება მიჩნეული.
  - X კონკრეტული რეგიონისა თუ ქვეყნის მაგალითების გამოყენებით შეიძლება, რომ სახელმძღვანელო უფრო გასაგები და სამიზნე აუდიტორიისათვის უფრო სასარგებლო გახადოთ.
  - X ორივე, პროტოკოლიც და SEA დირექტივაც სამართლებრივი ინსტრუმენტებია იმ ქვეყნებში სადაც უკვე ძალაშია შესული, ამდენად, საჭიროა ყურადღება, რომ არ მოხდეს მათში ასახული დებულებების არასწორად გაგება.
20. ადაპტირებულ მასალაში უნდა მოხდეს სახელმძღვანელოს, როგორც მთავარი წყაროს მითითება და საავტორო უფლებების მქონე პირების აღიარება.

## ნაწილი ა1: პროტოკოლის განხორციელება



თავია1

# გარემოს სტრატეგიული შეფასების მოკლე შესავალი

## ა1.1 თავის შესავალი

პროტოკოლში სრულადაა განხილული გარემო ჯანდაცვის ჩათვლით.“ გამეორების თავიდან აცილების მიზნით, სახელმძღვანელო ეხება მხოლოდ გარემოს, თუმცა, მკითხველმა ყოველთვის უნდა იგულისხმოს ჯანდაცვაც. ჯანდაცვის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. დანართი ა1.1.

1. ამ თავში მოცემულია გარემოს სტრატეგიული შეფასების (SEA) მოკლე შესავალი; დაწყებული პასუხით კითხვაზე „რა არის SEA?“ (პარაგრაფი ა1.2), რის მიღწევას ემსახურება და რა განასხვავებს მას გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან (გზშ), რომელიც ფართოდ გამოიყენება პროექტების გარემოსდაცვითი შეფასებისას.
2. შემდეგ, ყურადღება ეთმობა SEA –ს სარგებელსა და ხარჯებს (პარაგრაფი ა1.3) და SEA-სთვის განკუთვნილ ზოგიერთ სახელმძღვანელო პრინციპს. (პარაგრაფი ა1.4).
3. დასასრულს, მიმოხილულია რამდენიმე ზოგადი მოსაზრება (პარაგრაფი ა.5), მათ შორის:
  - X SEA, როგორც მდგრადობის ინსტრუმენტი.
  - X კავშირი SEA-სა და სხვა შეფასებით ინსტრუმენტებს შორის.
  - X SEA გადაწყვეტილების მიღების უფრო მაღალ სტრატეგიულ საფეხურებზე.

## ა1.2 რას წარმოადგენს SEA?

4. კანონში, პოლიტიკასა თუ დარგობრივ ლიტერატურაში SEA–ს მრავალ განმარტებას შეხვდებით. როგორც საზოგადოდ არის მიღებული, SEA გახლავთ სისტემური და წინმსწრები პროცესი, რომელსაც მიმართავენ შეთავაზებული გეგმების, პროგრამებისა და სხვა სტრატეგიული ღონისძიებების გარემოზე ზეგავლენის გასაანალიზებლად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიღებული შედეგების ინტეგრირების მიზნით.

5. წინამდებარე სახელმძღვანელოში ტერმინი “SEA” კონკრეტულ მნიშვნელობას ატარებს და შეესაბამება SEA პროტოკოლში აღნიშნულ განმარტებას, რაც გულისხმობს:

*გარემოსდაცვით შეფასებას, ჯანდაცვის ჩათვლით, რომლის შედეგებიც მოიცავს ეკოლოგიური ანგარიშის კომპტენციისა და მისი მომზადების წესის განსაზღვრას, საზოგადოების ჩართულობასა და კონსულტაციებს, ასევე, გეგმის ან პროგრამის შემუშავებაში ეკოლოგიური ანგარიშისა და საზოგადოების ჩართულობისა და კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებას. (პუნქტი 2, პარაგრაფი 6).*

### ა1.2.1 რა არის SEA–ს მიზანი?

6. SEA–ს მიზანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმირებული გარემოსდაცვითი მოსაზრებების შემუშავება და მათი ინტეგრირება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც ეკოლოგიურად გამართულ და მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, SEA პროცესი ეხმარება გეგმებსა და პროგრამებზე პასუხისმგებელ ოფიციალურ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რათა მათ გაითვალისწინონ:

X ძირითადი გარემოსდაცვითი ტენდენციები, პოტენციური და შემაფერხებელი ფაქტორები, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს, ან თავად განიცადოს ზემოქმედება გეგმისათუ პროგრამის მხრიდან.

X გარემოსდაცვითი ამოცანები და ინდიკატორები, რომლებიც გეგმისა და პროგრამის რელევანტურია.

X შეთავაზებული წინადადებებისა და გეგმებისა და პროგრამების განხორციელების მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზეგავლენა.

X არასასურველი გავლენების თავიდან აცილების, შემცირებისა თუ შემსუბუქების და პოზიტიური შედეგების გაფართოვების ზომები.

X ხედვები და ინფორმაცია შესაბამისი ოფიციალური პირებისგან, საზოგადოებისგან და – შესაფერის შემთხვევებში – იმ ქვეყნებიდან, რომლებიც პოტენციური საფრთხის ქვეშ არიან.

### ა1.2.2 რა მიმდგომარეობს SEA–ს დამატებითი ღირებულება გზმ–სთან შედარებით?

7. SEA, როგორც გზმ–ს პრინციპების, პროცესებისა და პროცედურების გაგრძელება, საკმაოდ გაფართოვდა, და ეს სწორედ SEA პროტოკოლთან დაკავშირებით მოხდა. (იხ. დანართი ა1.2 დარგის განვითარებაში არსებული ძირითადი იურიდიული და პოლიტიკური მომენტები). თუმცა ის ასევე

გვთავაზობს მთელ რიგ უპირატესობებს პროექტების გზშ–თან შედარებით. ეს გამომდინარეობს გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისას SEA–ს უმაღლეს დონეზე გამოყენებით, რითაც გზშპროექტებისა და გარემოზე შესაძლო გავლენის მქონე მრავალი სხვა ღონისძიების მიმართ ყალიბდება გარკვეული ჩარჩო. ამ ეტაპზე SEA აადვილებს გარემოს დაცვის საკითხების გათვალისწინებას ფუნდამენტურ პრობლემებთან მიმართებაში (რატომ, სად და რა ფორმით ვითარდება) და ნაკლებად აქცენტირებს მხოლოდ ერთი ცალკეული პროექტის ჩამოყალიბებაზე. SEA –ს მეშვეობით ეკოლოგიური სარგებელის მიღების პოტენციური გაცილებით მაღალია, ვიდრე გზშ–ს შემთხვევაში.

8. ამ თვალსაზრისით, გეგმებისა და პროგრამების კონკრეტული დამატებითი ღირებულების მქონე SEA მოიცავს:

- პროექტის ეტაპთან შედარებით ალტერნატივებისა და არჩევანის ფართო სპექტრის გათვალისწინების შესაძლებლობას.
- შესაძლებლობას გავლენა მოახდინო სექტორში თუ რეგიონში მიმდინარე განვითარების პროცესების სახეობასა და ადგილმდებარეობაზე, ნაცვლად მხოლოდ კონკრეტული პროექტის დიზაინსა თუ ადგილმდებარეობაზე.
- პროექტის დონესთან შედარებით, ზრდის კუმულატიური და ფართომასშტაბიანი ზემოქმედების დროსა და სივრცეში მიმართვის შესაძლებლობას.
- გეგმისა და პროგრამის ამოცანებისა და არჩევანის შესაბამის სტრატეგიებთან, პოლიტიკასა და პასუხისმგებლობებთან თანმიმდევრული შეჯერებით მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.
- პროექტის გზშ–ს გაძლიერებას SEA ანგარიშის მიხედვით პროცესების იარუსებად დალაგებით (იხ. ჩარჩო ა4.3), რითიც თავიდან იქნება აცილებული კითხვები (მოხდება თუ არა, სად და რა სახის განვითარებას ექნება ადგილი), რომლებსაც პასუხი უკვე გაეცა გარემოსდაცვით ნაწილში.



## ა1.3 SEA-ს სარგებელი და ხარჯები<sup>3</sup>

### ა1.3.1 SEA-ს სარგებელი

9. SEA-ს განხორციელების მყისიერი სარგებელი ინფორმაციაა, რომელიც გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს, ხოლო მისი შემდგომი, თანამდევნი სარგებელი მიიღწევა გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებაში. გარდა ამისა, არსებობს სხვა, მეორადი სარგებელიც, რომელიც თანამონაწილეობრივი მიდგომისა და გამჭვირვალე პროცედურების განუყოფელი ნაწილია, რაც SEA პროტოკოლის დაცვით ხორციელდება. სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, SEA-მ უნდა უზრუნველყოს:

- X გარემოს მაღალ დონეზე დაცვა.
- X გეგმისა და პროგრამის შემუშავების ხარისხის გაუმჯობესება.
- X მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ზრდა.
- X ახალი შესაძლებლობებისა და განვითარების გზების აღმოჩენა.
- X ძვირადღირებული შეცდომების თავიდან აცილება.
- X მართვის გაძლიერება.
- X ტრანსპარენტული თანამშრომლობის ხელშეწყობა.

#### *SEA უზრუნველყოფს გარემოს მაღალ დონეზე დაცვას*

10. გარემოს მაღალ დონეზე დაცვის შესახებ დებულება SEA-ს პროტოკოლის გაწერილი ამოცანაა (მუხლი 1); სწორედ ეს მუხლია SEA –ს განხორციელების მთავარი მიზეზი. გარემოს მაღალ დონეზე დაცვა შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას ინტერპრეტირებული, მაგრამ, SEA-მ, მინიმუმ, უნდა თავიდან აიცილოს მძიმე და გამოუსწორებელი შედეგების დადგომა, დაიცავს დაცული ტერიტორიები და ობიექტები, და შეინარჩუნოს კრიტიკული ჰაბიტატები თუ სხვა ტერიტორიები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კუთხით.

#### *SEA აუმჯობესებს გეგმისა და პროგრამის შედეგების ხარისხს*

11. გეგმისა და პროგრამის შემუშავების პარალელურად, თუ ამ პროცესის განუყოფელ ნაწილად განხორციელებისას, SEA-ს ორივე შემთხვევაში აქვს გეგმისა თუ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების და უკეთესი შედეგების მიღების პოტენციალი. ამას SEA რამდენიმე გზით აღწევს, მაგრამ, უფრო კონკრეტულად, ეს ხდება ფოკუსირებული, მკაცრი, ალტერნატივების მიმართული პროცესის ხელშეწყობით, და განვითარების უფრო მდგრადი ფორმების მისაღწევად, პოტენციური შედეგებისა და შესაძლებლობების სრული სპექტრის გათვალისწინებით.

#### *SEA ზრდის მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას*

12. გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპსა თუ დონეზე გარემოსდაცვითი პრობლემების თანმიმდევრული გააზრებით SEA ეხმარება გადაწყვეტილების მიღების პროცესის კალაპოტში მიმართვას. მოსალოდნელია დროის ეფექტურობის (და აქედან გამომდინარე ხარჯ ეფექტურობის) გაზრდა გეგმისა თუ პროგრამის დონეზე გადაწყვეტილებების უფრო თანმიმდევრული მიღებით, რის შედეგადაც შემცირდება პრეტენზიები და დისკუსიები საოპერაციო თუ გზმ დონეებზე. საბოლოო ჯამში, SEA ეხმარება პროექტის დონეზე გადაწყვეტილებების მიღებას, რამდენადაც ასეთი გადაწყვეტილებები მიღება წინასწარ ოპტიმიზირებული გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობის გაზრდა შეუძლია დაგეგმვის იერარქიის სხვადასხვა ეტაპზე მოპოვებული ინფორმაციის გაზიარებასაც.

<sup>3</sup>REC-ი და გაეროს განვითარების პროგრამა UNDP (2003), <http://archive.rec.org/REC/Programs/EnvironmentalAssessment/pdf/BenefitsofSEAeng.pdf>; და <http://www.oecd-ilibrary.org/content/book/9789264026582-en>.

*SEA ხელს უწყობს განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების აღმოჩენას*

13. SEA ხელს უწყობს გეგმებისა და პროგრამების ფორმულირებისას გარემოსდაცვითი შეზღუდვების უკეთ გააზრებას. ის აადვილებს ალტერნატივების მხედველობაში მიღებას და სტიმულს აძლევს ისეთი კვლევების ჩატარებას, რომლითაც შესაძლებელი გახდება ეკოსისტემის არსებული შესაძლებლობების ფარგლებში განვითარების ახალი გზების მოძიება. ამდენად, SEA აკავშირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს ჭეშმარიტად მდგრადი განვითარების პროცესთან.

*SEA ხელს უწყობს ძვირადღირებულ შეცდომების პრევენციას*

14. SEA ადრეულ ეტაპზე იძლევა გამაფრთხილებელ სიგნალს, როცა საქმე ეკოლოგიურად არამდგრადი განვითარების არჩევანს ეხება. შესაბამისად, SEA-ს სწორი განხორციელება ამცირებს თავიდანაცილებადი ან გამოსწორებადი შეცდომებისგან მიღებული ზიანის ძვირადღირებული აღდგენისა და გამოსწორების რისკს, როგორცაა, მაგ. შენობების რელოკაცია ან ხელახალი დიზაინი. SEA ასევე ეხმარება გეგმასა თუ პროგრამაში ადამიანური და ფინანსური რესურსების დაზოგვას ადრეულ ეტაპზევე არამდგრადი ვერსიების უგულვებლყოფით.

*SEA აძლიერებს მართვას*

15. SEA ზრდის სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების სრულ გამჭვირვალობას და გეგმისა თუ პროგრამის შემუშავების პროცესის ადრეულ ეტაპზევე ითვალისწინებს მთავარი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს. სწორად წარმართული და პასუხისმგებლიანი SEA ზრდის გეგმებისა და პროგრამების დამაჯერებლობას. მისი საშუალებით შეიძლება განხორციელებაში საზოგადოებრივი ჩართულობის მობილიზება – გეგმა და/ან პროგრამა მეტად ეფექტურია, როცა საზოგადოების ღირებულებები, შეხედულებები, მოსაზრებები და ცოდნა გადაწყვეტილების მიღების ნაწილი ხდება.

*SEA ხელს უწყობს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას*

16. SEA რეგიონული თანამშრომლობის საუკეთესო სივრცეს გვთავაზობს ისეთი რთული საკითხების მოსაგვარებლად, როგორცაა, მაგ. საზიარო დაცული ტერიტორიები, მდინარის კალაპოტები, სატრანსპორტო კავშირები და ტრანსსასაზღვრო დაბინძურების საკითხები.

**ა1.3.2 SEA-ს ხარჯები**

17. ევროკომისიის კვლევა გზმ-ს სარგებელისა და დანახარჯის შესახებ<sup>4</sup> გვიჩვენებს, რომ რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე მიწათსარგებლობის დაგეგმვისას SEA -ს გამოყენება, როგორც წესი ფასებს 5–10%-ით ზრდის. იგივე კვლევა ასევე გვთავაზობს წარმატებული SEA-ს მაგალითებს, რომლის დროსაც დაგეგმვის ხარჯები 5%-ზე ნაკლებით გაიზარდა, თუმცა ხარჯების რაოდენობა დამოკიდებულია შემუშავებული ალტერნატივების რაოდენობასა და დეტალურობაზე და მათ შეფასებებზე. უკანასკნელი კვლევა, რომელიც ეხება გაერთიანებულ სამეფოში SEA დირექტივის განხორციელების პირველ წელიწადს<sup>5</sup>, რომლის დროსაც SEA-ს განმახორციელებელი 201 ოფიციალური პირი გამოიკითხა, ასკვნის, რომ SEA-ს უმრავლესობა სრულყოფილად განხორციელებისათვის მოითხოვს 70–80 კაც/დღეს (დაახლ. ნახევარი კვლევისთვის და ნახევარიც – გარემოს დაცვის შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად). ამავდროულად, ხსენებულ კვლევაში გამოკითხული რესპოდენტების უმეტესობა უყოყმანოდ ეთანხმება ფორმულირებას: „SEA დროისა და რესურსების ეფექტური ხარჯვის საშუალება იყო“.
18. SEA სისტემის ოპერირებასთან დაკავშირებულმა ძირითადმა ხარჯებმა თავი SEA-ს განხორციელების საწყის ეტაპზე იჩინა, როცა შესაფერისი მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოცდა და ძირითადი ინფორმაციის შერწყმა ხდებოდა. შემდგომში, SEA ნაკლებად ხარჯიანი ხდება, რადგან, ამ ეტაპზე, შესრულებული სამუშაოდან მიღებულ გამოცდილებასა და ინფორმაციას ეყრდნობა და მხოლოდ

<sup>4</sup> ევროკომისია (1996), *ხარჯების და სარგებლის კვლევა გზმ/SEA*. ნაშრომი აღარ მოიპოვება პუბლიკაციის სახით, მაგრამ მისი რეზიუმე შეგიძლიათ იხილოთ <http://ec.europa.eu/environment/eia/eia-studies-and-reports/eia-costs-benefit-en.htm>.

<sup>5</sup> R. Therivel and F. Walsh (2005), “სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა დიდ ბრიტანეთში: ერთი წლის შემდეგ”, წარდგენილია გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების მიმოხილვისთვის.

19. სტანდარტულ ანალიტიკურ დამუშავებასა და პროცესის მართვას საჭროებს. (მართლაც, ხსენებული კვლევის რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ მათი ვარაუდით, მომავალში SEA-ს გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდება). აღნიშნული ხარჯები მინიმალურია, თავად გეგმებისა თუ პროგრამების სრულ ხარჯებთან შედარებით.

## 1.4 SEA-ს განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები

19. წინამდებარე სახელმძღვანელოში ძირითადად განვიხილავთ SEA პროტოკოლის განხორციელებას, და მცირედი დოზით შევხებით SEA დირექტივას. მიუხედავად ამისა, მოცემულია SEA-ს განხორციელების მთელი რიგი, უფრო ზოგადი და ღირებული პრინციპები. აქ იგულისხმება ეროვნულ სახელმძღვანელო მასალებში და დარგობრივ ლიტერატურაში მოცემული სხვადასხვა ფორმულირებები. გარდა ამისა, მითითებულია SEA პროცესის ხარისხიანი წარმართვის კრიტერიუმები, რომელთა შესახებაც საუბარია ზეგავლენის კვლევის საერთაშორისო ასოციაციის მასალებში. (იხ. [დანართი ა1.3](#)).
20. ზოგიერთი განსხვავების მიუხედავად, არსებობს SEA-ს ძირითად პრინციპებთან და აქტივობებთან დაკავშირებული შეთანხმების ზომა, რომლის გატარებაც აუცილებელია მისი წარმატებული განხორციელებისთვის. აქ იგულისხმება შემდეგი:
- X SEA უნდა განხორციელდეს გეგმასა თუ პროგრამაზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირის მიერ. საუკეთესო შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი გეგმაში ან პროგრამაში ინტეგრირება და გეგმისა და პროგრამის შემუშავების პროცესის ლოგიკისთვის მორგება.
  - X SEA უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, როცა ყველა არჩევანი და ალტერნატივა ჯერ კიდევ ღიაა მსჯელობისთვის.
  - X SEA-ს აქცენტი უნდა გამახვილდეს საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია დაგეგმვისა თუ პროგრამის შემუშავების შესაფერის ეტაპებზე. ამ გზით მოხდება პროცესის დროულად, ხარჯეფექტურად და დამაჯერებლად წარმართვა.
  - X SEA-მ უნდა შეაფასოს ალტერნატივების გონივრული სპექტრი, იმის გათვალისწინებით, რომ მათი მასშტაბი გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა დონეზე სხვადასხვაგვარი იქნება. შესაძლებლობის შემთხვევაში, მან უნდა გამოავლინოს ყველაზე პრაქტიკული გარემოსდაცვითი არჩევანი.
  - X SEA-მ შესაფერისი შესაძლებლობები უნდა შექმნას ძირითადი დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ჩასართავად, რაც დაიწყება პროცესის ადრეული ეტაპიდანვე და გაგრძელდება ყველა პროცედურის გავლით. საუკეთესო შემთხვევაში, ეს იქნებოდა, სამიზნე ჯგუფებისათვის მოსახერხებელი, „გამოსაყენებლად ადვილი“ საკონსულტაციო მეთოდიკა.
  - X SEA უნდა განხორციელდეს ანალიზის შესაფერისი და ხარჯეფექტური მეთოდებითა და ტექნიკით. ამოცანების შესრულება უნდა შეძლოს ხელმისაწვდომი ინფორმაციის, დროისა და რესურსების ფარგლებში, და უნდა შეაგროვოს ინფორმაცია მხოლოდ იმ რაოდენობითა და დეტალურობით, რაც საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად იქნება აუცილებელი.
21. მოცემული სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება უნდა მოხდეს ერთობლივად, რათა უზრუნველყოფილი იქნას დასახული ამოცანების შესრულება და SEA -ს სარგებელის მიღება, როგორც ეს აღწერილია ზემოთ. ამ სახით განხორციელების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება პროცესის მაღალი ხარისხი, რაც თავისმხრივ SEA-ს პროტოკოლის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და დაეხმარება მისი მოთხოვნების შესრულებაში. რასაკვირველია, SEA -ს პროცესის შემუშავებისა და განხორციელების მართვაში წამყვანი ადგილი სამართლებრივ დებულებებს ენიჭება

## ა1.5 რამდენიმე ზოგადი მოსაზრება

22. დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს SEA-ს როლისა და მასშტაბის ისეთი ინტერპრეტაციები, რომლებიც სცდება SEA პროტოკოლის საზღვრებს, ამდენად, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მათი საყოველთაო გაზიარება. აქ მოკლედ მოვიყვანოთ ხსენებულ მოსაზრებებს, რადგან, დარგში მათ შესახებ ჯერ კიდევ მიმდინარეობს დებატები და მოსალოდნელია გარკვეული პროცესების ჩამოყალიბება, ან გარკვეულ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში უკვე მოხდა მათი შეთავაზება.

### ა1.5.1 SEA როგორც მდგრადობის ინსტრუმენტი

23. მთავარი სადავო საკითხია მკაფიოდ უნდა ეხებოდეს თუ არა SEA გეგმებისა და პროგრამების (ან სხვა სტრატეგიული ღონისძიებების) მდგრადობას, თუ მუშაობა უნდა გააგრძელოს მხოლოდ მათ გარემოსდაცვით შედეგებზე. წინარე მოსაზრების მიხედვით, არსებობს მთელი რიგი კრიტიკული შეკითხვები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ასეთი მიდგომა. მიმდინარე მიზნებისათვის ამ საკითხს განიხილავს ორი უდიდესი ფილოსოფიური სკოლა (და მათ შორის არსებობს მრავალი მოარული მოსაზრებაც):<sup>6</sup>

(1) SEA მხოლოდ და/ან უპირველესად უნდა ეხებოდეს გარემოს დაცვის ეფექტებს და კონცენტრირდებოდეს იმის განხორციელებაზე, რაზეც, სამართლებრივი მოთხოვნებისა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, უკვე მოხდა შეთანხმება. ამგვარად პროცესი საუკეთესო წვლილს შეიტანს მდგრად განვითარებაში. ასეთ მიდგომას შეგვიძლია „მეინსტრუმი“ ან ფართოდ გავრცელებული პოზიცია ვუწოდოთ, რადგან, სავარაუდოდ მრავალი SEA გამოიყენება ადმინისტრატორისა და პრაქტიკოსის მიერ. არსებობს ვარიანტი, რომლის დროსაც, გარემოს დაცვის კონტექსტში ყურადღება ექცევა გარკვეულ სოციალურ ასპექტებს. ზოგიერთი სოციალური ასპექტი უკვე განიხილება, როგორც გარემოს დაცვის ნაწილი, მაგ. ჯანდაცვა და მატერიალური ქონება (საცხოვრებელი).

(2) გარემოს დაცვითი ეფექტების გარდა, SEA-ს მთელი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული მდგრადობის მაჩვენებლებზე, თუმცა, ამავე დროს უნდა აღიარებდეს ასეთი მიდგომის თანამდევ შეზღუდვებსაც. ამ კონტექსტში, უკვე განხილვის ქვეშაა არგუმენტები, რომლებიც SEA-ს ორი ძირითადი მიმართულებით რეორიენტირებას გულისხმობს, ეს მიმართულებებია:

X შემოთავაზებულ გეგმებში, პროგრამებში და სხვა სტრატეგიულ ღონისძიებებში გარემოს დაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფა, მაგ. ერთის მხრივ, გამაფრთხილებელი პრინციპების ფარგლებში ზემოქმედების მნიშვნელობის შეფასება, და მეორეს მხრივ, უსაფრთხო მინიმუმის, ან ზედა ზღვრის განსაზღვრის კრიტერიუმები, ზარალის (დაზიანების) კომპენსაციის ან რემონტის გარანტიის ჩათვლით. ამ მიდგომას, რომელიც ჩამოყალიბებულია გარემოს დაცვის შეფასების ეფექტურობის შესახებ საერთაშორისო კვლევაში, დღესაც უმცირესობა უჭერს მხარს, თუმცა ხსენებული ასპექტები მაინც გამოიყენება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

X წარმოდგენილი გეგმების, პროგრამებისა და სხვა სტრატეგიული ღონისძიებების მდგრადობის, ან ეკოლოგიური, ეკონომიური თუ სოციალური შედეგების შეფასება, მაგალითად, ამაჟამად ის გამოიყენება, როგორც გაერთიანებულ სამეფოში რეგიონული და ადგილობრივი მიწათმოწყობის დაგეგმვის ნაწილი; და ასევე, პოლიტიკისა და სარეგულაციო ინიციატივების ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით ევროკომისიის შიდა პროცესები. გაერთიანებული სამეფოს მიდგომა დაგეგმვის ძირითადი რეფორმის სახით იქნა ინიცირებული, სადაც ასევე ხორციელდება SEA-ს დირექტივის დებულებები. ამასვე შეიძლება ტესტის სახით, მივაყოლოთ თუ როგორ იძლევა პრაქტიკულ ეფექტს SEA –სა და მდგრადობის შეფასებას შორის კავშირი.

<sup>6</sup> დიდი ბრიტანეთი, რეგიონული სივრცობრივი სტრატეგიების მდგრადობის შეფასება და ადგილობრივი განვითარების დოკუმენტები (ლონდონი, პრემიერ მინისტრის მოადგილის ოფისი, 2005). იხ. <http://www.communities.gov.uk/documents/planningandbuilding/pdf/practicalguidesea.pdf>.

## 1.5.2 ლოგიკური კავშირი SEA-სა და მასთან დაკავშირებულ შეფასების ინსტრუმენტებს შორის

24. მიუხედავად დღეისათვის არსებული წინ გადადგმული ნაბიჯებისა, გეგმებისა და პროგრამების მდგრადობის შეფასება მთელ რიგ ინსტიტუციურ თუ მეთოდოლოგიურ გამოწვევებს შეიცავს, რომლებიც საკმაოდ სცდება წინამდებარე სახელმძღვანელოს მიერ განსახილველ არეალს. მიუხედავად ამისა, SEA-სპროტოკოლის ჩარჩო გვთავაზობს რამდენიმე პოტენციურ მაკავშირებელს სოციო-ეკონომიკურ შეფასებასთან, რადგან ეს შეფასებებიც მსგავს ანალიტიკურ ლოგიკას მიჰყვება, მიუხედავად არსებითად განსხვავებული აქცენტებისა. SEA-სპროტოკოლი თანმიმდევრულია ინტეგრირებული შეფასებისა და მდგრადი განვითარების დაგეგმვის საბაზისო პრინციპების მიმართ, როგორც ეს განხილულია გაეროს გარემოს დაცვის პროგრამაში (UNEP)<sup>7</sup> ჩამოყალიბებულ ჩარჩო-პირობებში. მთელი რიგი საპილოტე პროექტები მიეძღვნა ამ ჩარჩო-პირობების გამოცდას, რომელთა შედეგების მიხედვითაც, ეს არის შესაძლებლობების ერთგვარი „ფანჯარა“, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთთან დავაკავშიროთ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. ეს თემა ფართოდაა განხილული ქვემოთ, ა.1.1 ცხრილში, სადაც ილუსტრირებულია, თუ როგორ შეიძლება SEA-ს დაკავშირება სოციო-ეკონომიკურ ან მდგრადობის შეფასებასთან. მოცემულ კონტექსტში, ასეთი მიდგომის შემადგენელ ნაწილად განხორციელებული SEA-სპროცესი, რასაკვირველია, სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს SEA-ს პროტოკოლის ფუნდამენტურ პრინციპებთან და მოთხოვნებთან.

## ა1.5.3 SEA გადაწყვეტილების მიღების უფრო სტრატეგიულ დონეზე

25. საკითხი, თუ როდის, ან როგორ უნდა განხორციელდეს SEA გადაწყვეტილების მიღების უფრო სტრატეგიულ დონეზე, ჯერ კიდევ დებატების საგანია. ძლიერი არგუმენტებია ლიტერატურაში გამოთქმული იმის თაობაზე, რომ SEA უნდა განხორციელდეს ყველა ტიპის სტრატეგიული საპროექტო წინადადების მიმართ, დაწყებული პოლიტიკის ფორმულირების უმაღლესი დონიდან, სადაც რეალურად ხდება გეგმებისა და პროგრამების კონტექსტებისა თუ ჩარჩო-პირობების დადგენა. მიუხედავად ამისა, ამ პოზიციის მიმართ კონსენსუსი ჯერ არ არსებობს. SEA -ს მრავალი პრაქტიკოსი აღნიშნავს, რომ არსებობს პრაქტიკული და ინსტიტუციური ბარიერები, ზოგადად თუ კონკრეტულ ქვეყნებში, რომლებიც მოქმედების ამ მიმართულებით მსვლელობას უშლის ხელს. აქ ასევე იგულისხმება ის მთარული მოსაზრებები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს SEA პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით, როცა დაგეგმვისა და პროგრამის შემუშავებისაგან განსხვავებით, აქ გამეორებადი და მოქნილი ხასიათის პროცესთან გვაქვს საქმე.

26. SEA პროტოკოლი მხარეებს მოუწოდებს, მაგრამ არ ავალდებულებს, რომ გარემოს დაცვა შესაფერის დონემდე იყოს ინტეგრირებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, და რომ ხსენებულ პროცესებში გათვალისწინებული იყოს მისი პრინციპები და ელემენტები (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. [თავი ან](#)). ECE სახელმწიფოების გარკვეულ რაოდენობას და ასევე EC-ს, უკვე გააჩნიათ SEA სისტემები, ან თითქმის „ეკვივალენტური შეფასების“ პროცესები, რომლებიც პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების დონეს ეხება. ამ ეტაპზე ნაკლები გამოცდილებაა დაგროვილი, ვიდრე გეგმებისა და პროგრამების SEA შეფასებაში, თუმცა მხედველობაში მაინც უნდა მივიღოთ. შერჩეულ ქვეყნებში SEA-სპოლიტიკის დონეზე დანერგვაა აღწერილი ჩეხეთის გარემოს დაცვის მინისტრის სახელით შედგენილ გამოცემაში, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს დამატებას წარმოადგენს.<sup>8</sup> გამოცემა ასევე შეიცავს მოკლე მიმოხილვას იმისთაობაზე, თუ როგორ შეიძლება SEA-სპროტოკოლის მთავარი ელემენტები პოლიტიკასა და კანონმდებლობაში, და ასევე, სხვა შესაფერის მიდგომებში განხორციელება. აღნიშნული მასალა, და კონკრეტულად შვიდი ECE წევრის სახელმწიფოს ეროვნული გამოცდილების მიმოხილვა, შესაძლოა საინტერესო იყოს მათთვის, ვინც SEA-სპროტოკოლის მოთხოვნების ფართო კონტექსტით გამოყენებას აპირებს.

<sup>7</sup>UNEP (2004) *ინტეგრირებული შეფასება და დაგეგმვა მდგრადი განვითარებისათვის: საპილოტე პროექტების გაიდლაინები*, UNEP, ჟენევა, შეგიძლიათ მოიძიოთ <http://www.unep.ch/etb/events/Events2005/midTermReview/IAPGuidePilPro.pdf>.

<sup>8</sup>ბ. სადლერი, რედ., *სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება პოლიტიკის დონეზე -ბოლოდროინდელი პროგრესი, ახლანდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები* (პრატა, ჩეხეთის გარემოსდაცვის სამინისტრო, 2005). შეგიძლიათ მოიძიოთ <http://www.unep.org/env/eia/documents/PolicySEA/SEA of Policies volume.pdf>.

ცხრილია1.1: SEA-ს ჩვეულებრივ დავალებებს, სოციო–ეკონომიკურ შეფასებებსა და მდგრადობის შეფასებას შორის არსებული ლოგიკური კავშირები<sup>9</sup>

SEA	სოციალური და ეკონომიკური შეფასება	მდგრადობის შეფასება
გარემოსდაცვითი საფუძველი	ეკონომიკური და სოციალური საფუძველი	მიმდინარე განვითარების ტენდენციებისა და გეგმების მდგრადობის შეფასება
შესაფერისი გარემოსდაცვითი ამოცანების გამოვლენა და შეფასება, თუ როგორ მოხდა მათი გათვალისწინება გეგმისა თუ პროგრამის შედგენაში	შესაფერისი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გამოვლენა და შეფასება, თუ როგორ მოხდა მათი გათვალისწინება გეგმისა თუ პროგრამის შედგენაში	შესაფერისი მდგრადობის ამოცანებისა და პრინციპების გამოვლენა და შეფასება, თუ როგორ მოხდა მათი გათვალისწინება გეგმისა თუ პროგრამის შედგენაში
შემოთავაზებული ვარიანტებისა და მათი ოპტიმიზაციისთვის გაღებული წვლილის გარემოსდაცვითი შედეგების შეფასება	შემოთავაზებული ვარიანტებისა და მათი ოპტიმიზაციისთვის გაღებული წვლილის ეკონომიკური და სოციალური შედეგების შეფასება	შემოთავაზებული ვარიანტების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების შეფასება შესაბამისი მდგრადობის ამოცანებთან (მისწრაფებებთან) და შეზღუდვებთან (ქვედა ზღვარი) მიმართებაში, ორმხრივად სარგებლიანი ან ოპტიმიზატორი ვარიანტების შეთავაზებით.
გეგმის ან პროგრამის განხორციელების დროს არსებითად უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და მათი კონტროლის სქემა	გეგმის ან პროგრამის განხორციელების დროს არსებითად უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და მათი კონტროლის სქემა	გეგმის ან პროგრამის განხორციელების დროს არსებითად უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და მათი კონტროლის სქემა

<sup>9</sup>ამ კავშირების ვრცელი განხილვისათვის იხილეთ OECD-სკუბლიკაცია, სტრატეგიული ეკოლოგიური შეფასების გამოყენება, იხ ზემოთ შენიშვნა 3.

*თავი ა2*

**SEA-სინტეგრირება დაგეგმვისა და  
პროგრამის შემუშავების პროცესში**

## ა2.1 თავის შესავალი

პროტოკოლი ყველგან მოიხსენიებს „გარემოს, ჯანდაცვის ჩათვლით“. გამეორების თავიდან ასაცილებლად, სახელმძღვანელოში მოიხსენიება მხოლოდ გარემოს დაცვა, მაგრამ ის ყოველთვის უნდა იყოს აღქმული ჯანდაცვასთან ერთად. ჯანდაცვის თემაზე მეტი ინფორმაციისათვის იხ. დანართი ა 1.1.

1. ამ თავში განხილულია, თუ როგორ შეიძლება გეგმისა თუ პროგრამის SEA–ს ინტეგრირება, ან სხვაგვარად დაკავშირება დაგეგმვის ან პროგრამის შემუშავების პროცესთან.
2. აქვეა განხილული კონკრეტული გეგმებისა თუ პროგრამების შემუშავების კონტექსტში პროტოკოლის განხორციელების მთავარი საკითხები, რაც სამი ნაწილისგან შედგება:
  - X ნაწილი ა2.2 ზოგადად გვაცნობს გეგმისა თუ პროგრამის შემუშავების ტიპიურ პროცესს. შემდეგ, ყურადღებას ამახვილებს პროტოკოლში SEA–ს მთავარ ელემენტებზე, და პრაქტიკულად ადასტურებს თუ რატომ განაპირობებს დაგეგმვისა და პროგრამის შემუშავების პროცესში SEA–ს ინტეგრაცია პროტოკოლის ეფექტურ განხორციელებას. (ინტეგრირების სასარგებლო მხარეები აღწერილია ან თავში „პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესახებ“). სექცია მთავრდება დაგეგმვისა და პროგრამის შემუშავების პროცესსა და SEA –ს შორის არსებული ლოგიკური კავშირების განხილვით. ეს კავშირები განიხილება, როგორც ორი პროცესის კოორდინირების და, უპირველესად, დაგეგმვისა და დაპროგრამებაში SEA –ს ინტეგრირების შესაძლებლობა.
  - X ნაწილი ა2.3 განიხილავს, თუ როგორ შეიძლება, დაგეგმვისა თუ პროგრამის შემუშავების პროცესში, ამ კავშირების პრაქტიკული და არა თეორიული იდენტიფიცირება. აქ ასევე საუბარია იმ პრაქტიკულ მიზეზებზე, რომელთა გამოც სასურველის SEA–ს ინტეგრირება დაგეგმვისა და პროგრამის შემუშავების პროცესში.
  - X და ბოლოს, ნაწილი ა2.4 აღწერს ინტეგრირების სამ არჩევანს: ინტეგრირების გარეშე, ნაწილობრივ ინტეგრირება, და სრული ინტეგრირება.




## ა2.2 დაგეგმვა და პროგრამის შემუშავება, SEA და მათ შორის კავშირი

3. ამ ნაწილში პირველ რიგში განიხილება დაგეგმვისა და პროგრამის შედგენის ჩვეულებრივი მოვალეობები, შემდეგ, შევხებით გეგმებისა და პროგრამების SEA-ს ძირითად ელემენტებს. მოცემული ნაწილი დასრულდება ერთი მხრივ დაგეგმვისა და პროგრამის შედგენის დავალებებს, და მეორეს მხრივ, მათსა და SEA ელემენტებს შორის ლოგიკური კავშირის შემოწმებით. **ნაწილი ა2.3** და **ნაწილი ა2.4** უფრო ღრმად იკვლევს ამ კავშირებს, SEA -ს დაგეგმვისა და პროგრამირების პროცესში გამოყენების კუთხით.

### ა2.2.1 ჩვეულებრივი მოვალეობები დაგეგმვისა და პროგრამის შედგენისას

4. გეგმისა და პროგრამის შედგენა, ჩვეულებრივ, განმეორებადი პროცესია, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ დავალებებს (იხ. დიაგრამა ა.2.1):
  - X გეგმისა თუ პროგრამის მასშტაბი, როგორც წესი, მისი ინიცირების სტადიაზე განსაზღვრული, როცა ვლინდება შესაბამისი გეგმის, ან პროგრამის მოსალოდნელი ხასიათი, ზოგადი ამოცანები და მოსაგვარებელი პრობლემები.
  - X კონტექსტისა და საფუძველის ანალიზი, როგორც წესი მოიცავს განვითარების მიმდინარე ტენდენციებს, რომლებიც აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში, შემაფერხებელ ფაქტორებსა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებს, ასევე, სხვა კონკრეტულ საკითხებს, რომლებსაც უნდა შეეხოს გეგმა ან პროგრამა.
  - X გეგმისა თუ პროგრამის ალტერნატივების ჩამოყალიბება და შედარება ხშირად ხორციელდება ამ დოკუმენტების არჩევითი ამოცანების, პრიორიტეტების, და მათ განსახორციელებლად შერჩეული აქტივობების გათვალისწინებით (ე.ი. კრიტერიუმებით, რომლებიც ავლენს შესაფერის ქმედებას, თანმდევი შეფასებისთვის ტექნიკურ დავალებას და ა.შ.).
  - X დოკუმენტაცია, რომელშიც შეიძლება აისახოს როლებისა და პასუხისმგებლობათა განსაზღვრა გეგმისა თუ პროგრამის განხორციელებისა და მასზე მონიტორინგის დაწესებისას.
  - X კონსულტაციები შესაბამის ოფიციალურ პირებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან.
  - X ამ საფეხურების გავლის შემდეგ გეგმის, ან პროგრამის პროექტი უკვე მზადაა გადაწყვეტილების მისაღებად.
5. ეს დავალებები მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათისაა და შეიძლება კონკრეტულ შემთხვევებში არ ქონდეს გამოკვეთილი ეტაპების სახე. რასაკვირველია, შესაძლოა, რამდენიმე მათგანი გაერთიანდეს, ან პირიქით, დაიყოს მოცემული გეგმის ან პროგრამის შემუშავების ლოგიკიდან და მისი ოფიციალური პროცედურული ეტაპებიდან გამომდინარე. გეგმის, ან პროგრამის შედგენის პროცესში კონკრეტული ლოგიკის, დავალებების და ფორმალური ეტაპების გამოვლენა შესაძლებელია თავად დაგეგმვისა თუ პროგრამირების პროცესის გაანალიზებით, როგორც აღწერილია ქვემოთ, **ა2.3.1 ქვეთავში**.

დიაგრამა ა2.1: ჩვეულებრივი დავალებები დაგეგმვისა და პროგრამის შედგენის დროს



### ა2.2.2 გეგმებისა და პროგრამების SEA-ს ელემენტები

6. პროტოკოლის მე-6 დან მე-12 პუნქტების ჩათვლით ჩამოყალიბებულია გეგმებისა და პროგრამებისთვის განკუთვნილი SEA –ს განხორციელების პროცესი:
  - X გარემოსდაცვითი ანგარიშის შინაარსის განსაზღვრა (პუნქტი 6).
  - X გარემოსდაცვითი ანგარიში (პუნქტი 7).
  - X საზოგადოებრივი ჩართულობა (პუნქტი 8).
  - X გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სფეროში ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები (პუნქტი 9).
  - X ტრანსპარენტული კონსულტაციები (პუნქტი 10).
  - X გეგმის ან პროგრამის მიღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება (პუნქტი 11).
  - X შედეგების მონიტორინგი (პუნქტი 12).
7. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული განმარტებები ზოგჯერ პროცესუალურია, პრაქტიკული თვალსაზრისით, ის გახდება გეგმისა და პროგრამის შედგენის პროცესის განუყოფელი ელემენტი (ამაზე, მოგვიანებით ვისაუბრებთ ამავე თავში), და არა ცალკეული, ან პარალელური პროცესი.

8. ასეთი ინტეგრირება აუცილებელია, თუ გვინდა, რომ SEA იყოს პროაქტიული ინსტრუმენტი, რომელიც გეგმისა და პროგრამის ჩამოყალიბებაზე მოახდენს გავლენას, როგორც ამას პროტოკოლი მოითხოვს:
- X პროტოკოლის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „გარემოს სტრატეგიულ შეფასებას მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს გეგმების, პროგრამების, და შესაფერის შემთხვევებში – პოლიტიკისა და კანონმდებლობის მომზადებასა და მიღებაში“.

პუნქტი 1 ვგამცნობს, რომ პროტოკოლის ამოცანაა „გარემოს მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფა, ჯანდაცვის ჩათვლით . . . რაც შესაძლებელია გეგმებისა და პროგრამების მომზადებისას გარემოსა და ჯანდაცვის პრობლემების სრულყოფილი გათვალისწინებით“.

- X პუნქტი 2.6<sup>10</sup> განმარტავს SEA-ს როგორც პროცესს, რომელიც სცდება მხოლოდ გარემოსდაცვითი ეფექტების შეფასებას და მოიცავს „გეგმასა და პროგრამაში გარემოსდაცვითი ანგარიშის, საზოგადოების ჩართულობისა და კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებას“.
  - X პუნქტი 11 თითოეული მხარისგან მოითხოვს, რომ მას შემდეგ რაც დამტკიცდება გეგმა თუ პროგრამა, სათანადო ყურადღება დაეთმოს გარემოსდაცვითი ანგარიშის დასკვნებს. თუმცა, ფრაზა „გარემოსდაცვითი ანგარიშის დასკვნები“ განმარტებული არ არის. სავარაუდოდ გარემოსდაცვითანგარიშში მთელი რიგი დასკვნები შევა, მაგალითად: პროგრამისა თუ გეგმის ეკოლოგიური ამოცანების შესახებ; უარყოფითი ზეგავლენების პრევენციის, შემცირებისა თუ აღმოფხვრის შესახებ; გეგმასა და პროგრამაში ალტერნატივების შერჩევის მიზნებზე; და ასევე მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებზე. ერთი შეხედვით, მნელია გააცნობიერო, თუ როგორ ჰპოვებს ასახვას დაგეგმვისა თუ პროგრამის შედეგის დასასრულს, ერთ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში დასკვნების ასეთი მრავალფეროვნება. შესაბამისად, უმჯობესია, რომ გარემოსდაცვითი ანგარიშის მრავალფეროვანი დასკვნები გავითვალისწინოთ უშუალოდ გეგმის, ან პროგრამის შედეგის პროცესში, სადაც და რამდენადაც ხელმისაწვდომი იქნება, და ამის გარდა, სათანადოდ მივიღოთ მხედველობაში, როცა საქმე გეგმის ან პროგრამის დამტკიცებაზე მიდგება. SEA დირექტივის დებულებები ამ მხრივ უფრო ნათლადაა ჩამოყალიბებული, რამდენადაც მისი მე-8 მუხლი ადგენს, რომ გარემოსდაცვითი ანგარიშიც და კონსულტაციების შედეგებიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული „გეგმის ან პროგრამის მომზადების პროცესში, და მის დამტკიცებამდე, ან შესაბამის იურიდიულ უწყებაში დასამტკიცებლად წარდგენამდე.“
9. SEA ელემენტები შეჯამებულია ქვემოთ, ა.2.1 ცხრილში და ილუსტრირებულია ა2.2 დიაგრამაში. აღნიშნული ელემენტები უფრო დეტალურადაა აღწერილი ა4 თავში, რომელიც გეგმებისა და პროგრამების SEA-ს განიხილავს. ამ თავში განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება ხსენებული ელემენტების გეგმისა და პროგრამის შედეგის პროცესში ინტეგრირება.


**ცხრილია2.1: SEA ელემენტები**

ელემენტი	აღწერა
მასშტაბის განსაზღვრა	პირველი ელემენტით უნდა განვსაზღვროთ გარემოსდაცვითი ანგარიშის მასშტაბი, მას შემდეგ რაც გაირკვევა, ექვემდებარება თუ არა გეგმა ან პროგრამა SEA-ს. ანგარიშის მასშტაბის განსაზღვრა ასევე მოიცავს თავად ანგარიშის შესადგენად აუცილებელი ანალიზის მასშტაბის განსაზღვრას. მასშტაბის განსაზღვრა შესაძლებლობას გვაძლევს ანგარიშის აქცენტი მნიშვნელოვანი პრობლემებისკენ მივმართოთ, რითაც მაქსიმალურად გავზრდით ანგარიშის სარგებლიანობას საზოგადოებისთვის, ოფიციალური პირებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის. ის თავიდან ვერ აგვაცილებს ცვლილებებს ანგარიშის მასშტაბის განსაზღვრაში, თუ ასეთი საჭიროება აშკარა გახდება გვიანდელ ეტაპზე. მასშტაბის განსაზღვრისას კონსულტაციები უნდა გაიმართოს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სფეროს ოფიციალურ პირებთან და შეიძლება საზოგადოებასაც მიეცეს მონაწილეობის შესაძლებლობა.
გარემოსდაცვითი ანგარიში	მეორე ელემენტი თავად გარემოსდაცვითი ანგარიშის შედეგნაა (მასშტაბის განსაზღვრასთან ერთად). ანგარიში საზოგადოებას და კონსულტაციების მონაწილე ოფიციალურ პირებს ინფორმაციას მიაწვდის გეგმისა თუ პროგრამის გარემოსდაცვითი ზეგავლენის შესახებ.
საზოგადოების ჩართულობა	მესამე ელემენტია საზოგადოების ჩართულობა. ეს პროცესი შეძლება დაიწყოს მასშტაბის განსაზღვრისას, ან უფრო ადრე, გეგმისა თუ პროგრამისთვის პროტოკოლის მიხედვით SEA -ს საჭიროების განსაზღვრისას ( იხ. თავია3). გარემოსდაცვითი ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის, ხოლო საზოგადოებას უნდა მიეცეს გეგმის ან პროგრამის პროექტის და ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

<sup>10</sup> ამ სახელმძღვანელოში, ტერმინი მუხლი X.Y (ან მუხლ.. X.Y) ნიშნავს: მუხლი X, პარაგრაფი Y

კონსულტაცია	მეთოთე ელემენტია გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სფეროს ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია, სადაც ხსენებულ პირებს საშუალება ექნებათ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება გეგმის ან პროგრამის პროექტისა და ანგარიშის შესახებ. კონსულტაციები და საზოგადოების თანამონაწილეობა შეიძლება ერთდროულად წარიმართოს. (საზოგადოების წარმომადგენლები და ოფიციალური პირებიერთად გაივლიან კონსულტაციებს, როგორც აღწერილია SEA დირექტივის მე-6 პუნქტში)
ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები	თუ აღმოჩნდება, რომ გეგმას, ან პროგრამას მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ზეგავლენა აქვს (პროტოკოლოს მეორე მხარის მიმართ), ან, თუ პოტენციური დაზარალებული მხარე მოითხოვს ამას, მაშინ დაზარალებული მხარე(ები) უნდა იყოს ინფორმირებული და მოწვეული კონსულტაციებზე. ხსენებული ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები, რომლებიც შეიძლება გაიმართოს საზოგადოების ჩართულობასთან და ოფიციალურ პირებთან კონსულტაციასთან ერთდროულად, უნდა ემსახურებოდეს განხილვის ქვეშ მყოფი, დაზარალებული მხარის საზოგადოებისა და გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სფეროს ოფიციალური პირების მიერ გეგმის, ან პროგრამის და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ მოსაზრებების გამოხატვას და გაზიარებას.
გადაწყვეტილების მიღება	მეექვსე ელემენტია გეგმის ან პროგრამის მოწონებისა და დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი ანგარიში და განხილვის ქვეშ მყოფი საზოგადოებისა და ოფიციალური პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, როგორც ადგილობრივად, ისე ნებისმიერი დაზარალებული მხარიდან. გადაწყვეტილების მიმღებმა, გონივრული ალტერნატივების ჭრილში, უნდა შექმნას შემაჯამებელი განცხადება, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული ხსენებული ინფორმაცია და რატომ მოხდა გეგმისა თუ პროგრამის დამტკიცება. დამტკიცებული გეგმა ან პროგრამა, მიღებული გადაწყვეტილება და მისი დასაბუთება საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.
მონიტორინგი	ბოლო ელემენტია მონიტორინგი. SEA არ მთავრდება გეგმის, ან პროგრამის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. სხვა ღონისძიებებთან ერთად, უნდა მოხდეს მისი განხორციელების მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი შედეგების მონიტორინგი, უნდა გამოვლინდეს გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოხდეს გამოსწორებისთვის შესაფერისი ზომების მიღება. მონიტორინგის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ოფიციალური პირებისთვის და საზოგადოებისთვის.


დიაგრამა ა2.2: ელემენტები გეგმებისა და პროგრამების SEA-ში



### ა2.2.3 ლოგიკური კავშირი გეგმისა და პროგრამის შედგენასა და პროტოკოლის მოთხოვნებს შორის

10. ქვემოთ მოყვანილია გამარტივებული და გაუმჯობესებული სქემა (დიაგრამა ა2.3), რომელიც პოტენციურ ლოგიკურ კავშირებს გვიჩვენებს SEA-სა და დაგეგმვისა თუ პროგრამის შედგენის პროცესში ხშირად შესრულებულ დავალებებს შორის. თუმცა, ეს სქემა მხოლოდ საილუსტრაციოა, რადგან ბევრ გეგმასა და პროგრამაში ვერ შეხვდებით დავალებების ასეთ მწყობრ განლაგებას – შეიძლება ზოგიერთი გამოტოვებული იყოს, ან, პირიქით, დამატებით შეიცავდეს ისეთ დავალებას, რომელიც მოცემულ დიაგრამაში არ არის ასახული. გარდა ამისა, სქემაში სრულყოფილად არ შედის კონსულტაციები და საზოგადოებრივი ჩართულობა, რამდენადაც ეს ღონისძიებები შეიძლება ინტეგრირებული იყოს დაგეგმვისა და პროგრამის ფორმულირების პროცესში, ან წარმართოს, როგორც განსაკუთრებული პროცედურები SEA-ს ფარგლებში.
11. მიუხედავად იმისა, რომ გეგმისა და პროგრამის შედგენა და თავად SEA განსხვავდებიან თავისი მიზნებიდან გამომდინარე — ე.ი. გეგმის, ან პროგრამის შედგენის მიზანია გეგმის, ან პროგრამის შექმნა, ხოლო SEA-ს მიზანია გეგმისა და პროგრამის ანალიზი და რეკომენდაციების გაცემა – ორივე პროცესი ხშირად ერთნაირ ანალიტიკურ მიდგომას მოითხოვს. საერთო ჯამში, როგორც გეგმის, ან პროგრამის შემუშავება, ისე SEA-ს განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგს:
- X გეგმის, ან პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელი მთავარი პრობლემების განსაზღვრას;
  - X გეგმის, ან პროგრამის კონტექსტის ანალიზს და, ამასთან ერთად სამომავლოდ მოსალოდნელი ტენდენციების ანალიზს იმ შემთხვევისთვის, თუ არ განხორციელდა გეგმა, ან პროგრამა.
  - X ოპტიმალური ალტერნატივების შეთავაზებას.
  - X მონიტორინგის და მენეჯმენტის ოპტიმალური სისტემების შეთავაზებას.
  - X შესაბამისი ოფიციალური პირების, საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირება გეგმის, ან პროგრამის და მათი შესაძლო შედეგების შესახებ.

დიაგრამა ა2.3: ლოგიკური კავშირი გეგმის, ან პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო დავალებებსა და SEA ელემენტებს შორის



შენიშვნა: საზოგადოების ჩართულობა, ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები და ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები არ არის სრულად შესული მოცემულ გამარტივებულ დიაგრამაში.

12. ქვემოთ მოყვანილი ცხრილია 2.2 გვიჩვენებს მთავარ ლოგიკურ კავშირებს, რომელიც შეიძლება არსებობდეს გეგმის ან პროგრამის შემუშავებასა და SEA-ს განხორციელებას შორის.
13. გეგმის ან პროგრამის შემუშავება და შეფასების სისტემები სხვადასხვაგვარად განვითარდა აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. მოცემულ ქვე-რეგიონში, ერთის მხრივ, პროტოკოლის თანახმად განხორციელებული SEA-ს და მეორეს მხრივ, გეგმის ან პროგრამის შემუშავებასა და შეფასების სისტემებს შორის არსებული კავშირების ანალიზია მოცემული გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული გარემოს დაცვის ცენტრის (REC) და ECE<sup>11</sup> პუბლიკაციაში. (დასავლეთ ევროპაში გეგმის ან პროგრამის შემუშავების სისტემები ძალიან მრავალფეროვანია)

ცხრილი 2.2: ლოგიკური კავშირები გეგმის, ან პროგრამის შემუშავებას, SEA-ს, ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციებს შორის

საფეხური	დაგეგმვისა და პროგრამის შედგენის ჩვეულებრივი დავალებები	ლოგიკურად შესაბამისი SEA დავალებები	ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია, საზოგადოების წვდომა ინფორმაციაზე და საზოგადოების მონაწილეობა SEA-ში
		SEA განხორციელების აუცილებლობა შეიძლება დადგინდეს ან სამართლებრივი ვალდებულებით (მაგ., გეგმებისა და პროგრამების ნუსხა, რომლებსაც ყოველთვის ჭირდება SEA), ან ინდივიდუალური დაკვირვებით, სჭირდება თუ არა გეგმას ან პროგრამას SEA პროტოკოლის მიხედვით (იხ. თავი 3).	გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესაბამის ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია და საზოგადოების ინფორმირება

<sup>11</sup>ჯ. დუმიკი, ა. ჩერპი, ა. იურკევიჩიუტე, ჰ. მარტონაკოვა და ნ. ბონჯუასენი, *SEA-ს პროტოკოლი: ყოფილი საბჭოთა კავშირის შერჩეულ ქვეყნებში პოტენციალის საწყისი განვითარება* (REC, 2006). იხ. [http://www.unece.org/env/gzშ/documents/SEA\\_CBNA/UNDP-REC-UNECE\\_SEAbulletin\\_no.2\\_en.pdf](http://www.unece.org/env/gzშ/documents/SEA_CBNA/UNDP-REC-UNECE_SEAbulletin_no.2_en.pdf).



<p>მასშტაბის განსაზღვრა</p>	<p>გეგმის /პროგრამის მასშტაბი (რაც ხშირად ფორმალური ინიცირების დროსაა განსაზღვრული) შეიძლება დადგინდეს კანონით, და ა.შ. კონკრეტული რჩევებითა თუ კონსულტაციებით, რათა დადგინდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X გეგმის/პროგრამის ზოგადი ამოცანები</li> <li>X კავშირები მოცემულ გეგმას/პროგრამასა და სხვა გეგმებსა და პროგრამებს შორის</li> </ul>	<p>SEA მასშტაბი შეიძლება დადგინდეს შემდეგი საკითხების გამოვლენით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X გეგმის ან პროგრამის სავარაუდო შინაარსი და მთავარი ამოცანები და მისი კავშირი სხვა გეგმებთან პროგრამებთან (და შესაძლოა პოლიტიკურ კურსთანაც)<sup>12</sup></li> <li>X გეგმისა და პროგრამებისთვის რელევანტური გარემოსდაცვითი პრობლემები<sup>13</sup></li> <li>X საერთაშორისო, ეროვნულ და სხვა დონეებზე დადგენილი გარემოს დაცვის ამოცანები, რომლების რელევანტურია გეგმის/პროგრამისთვის<sup>14</sup></li> <li>X სამუშაო ალტერნატივები და მათი შერჩევის მიზეზები<sup>15</sup> X გარემოზე ზემოქმედების საწყისი სია, რისი შეფასებაც უნდა მოხდეს.<sup>16</sup></li> </ul>	<p>გამოავლინეთ კონსულტაციებში მონაწილე ოფიციალური პირები და საზოგადოების წარმომადგენლები. კონსულტაციები გაიარეთ გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესაბამის ოფიციალურ პირებთან</p> <p><i>ნებაყოფლობითი ელემენტი</i>-საზოგადოებასთან კონსულტაცია.</p>
-----------------------------	---	---	---

<sup>12</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარაგ. 1

<sup>13</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარაგ. 4

<sup>14</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარაგ. 5

<sup>15</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარაგ. 8

<sup>16</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარაგ. 6

საფუძვლი	დაგეგმვისა და პროგრამის შედეგის ჩვეულებრივი	ლოგიკურად შესაბამისი SEA დავალებები	ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია, საზოგადოების წვდომა ინფორმაციაზე და საზოგადოების მონაწილეობა SEA-ში
კონტექსტისა და საფუძვლების ანალიზი	შესაფერისი გეგმების/პროგრამების და საბაზისო ინფორმაციის გადამოწმება (შესაბამისი განვითარების ტენდენციების მახასიათებლები) ხელის შემშლელი ფაქტორებისა და შესაძლებლობების გამოვლენა სამომავლოდ	<p>საბაზისო ანალიზის აქცენტი გადატანილი უნდა იყოს მასშტაბის განსაზღვრისა და ანალიზის პროცესში:</p> <p>X სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ მოსახვედრი ტერიტორიების ეკოლოგიური მახასიათებლები<sup>17</sup></p> <p>X ეკოლოგიის მიმდინარე მდგომარეობა და მისი შესაძლო ევოლუცია, თუკი გეგმა/პროგრამა არ განხორციელდება<sup>18</sup></p> <p><i>ნებაყოფლობითია:</i> შეფასების მასშტაბის ჩამოყალიბება, რომელსაც უნდა მიჰყვეთ</p>	არჩევითი-ოფიციალური პირებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციები კონტექსტის, შესაბამისი პრობლემებისა და კომენტარების შესახებ
ალტერნატივების ჩამოყალიბება და შედარება	ალტერნატივების ჩამოყალიბება და შედარება გულისხმობს:  X გეგმის/პროგრამის კონკრეტული ამოცანების შესრულებას	აღწერეთ, როგორ იქნა გათვალისწინებული გარემოს დაცვის ამოცანები და ეკოლოგიური მოსაზრებები ალტერნატიული არჩევანის გაკეთების დროს შეაფასეთ (სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, იხ. თავი 5) მოსალოდნელი ეკოლოგიური შედეგები, მათ შორის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო შედეგები. <sup>19</sup> SEA-ს შეუძლია არჩევანის ჩამოყალიბებასა და შედარებაში წვლილის	არჩევითი-ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებასთან კონსულტირება ალტერნატივებისა და კომენტარების შესახებ.

<sup>17</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარაგ. 3

<sup>18</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარაგ. 2

<sup>19</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარაგ. 6 და 10

x ამ ამოცანების შესასრულებლად განხორციელებულ ქმედებებს

შეტანა გეგმის/პროგრამის ალტერნატიული არჩევანის შეფასებით მათი მოსალოდნელი, მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტების საფუძველზე. ასეთ შეფასებას შეუძლია ოპტიმალური არჩევანის გამოვლენა და ასევე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტის პრევენცია, შემცირება ან შემსუბუქება.<sup>20</sup>მას ასევე შეუძლია ჩამოყალიბებული ალტერნატივებიდან სასურველი ალტერნატივების ამორჩევა.

<sup>20</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართიIV, პარაგ.. 7

საფეხური	დაგეგმვისა და პროგრამის შედგენის ჩვეულებრივი	ლოგიკურად შესაბამისი SEA დავალებები	ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია, საზოგადოების წვდომა ინფორმაციაზე და საზოგადოების მონაწილეობა SEA-ში
დოკუმენტაცია	<p>გეგმის/პროგრამის პროექტის მომზადება, რაც მოიცავს შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X მონიტორინგის და განხორციელების შემოთავაზებული მეთოდი</li> <li>X გეგმის/პროგრამის პროექტის მოკლე აღწერა</li> <li>X გეგმის/პროგრამის პროექტის დოკუმენტაცია</li> </ul>	<p>გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადება და გამოცემა გეგმის/პროგრამის პროექტთან ერთად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X ჩანაწერი, თუ როგორ მოხდა ალტერნატივების ჩამოყალიბება</li> <li>X ჩანაწერი, თუ როგორ განხორციელდა შეფასება, გადალახული სირთულეების ჩათვლით</li> <li>X გეგმის განხორციელების პროცესში გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგის ზომების აღწერა<sup>21</sup></li> </ul> <p>ინფორმაციის შეგუამება არა-ტექნიკურ რეზიუმეში<sup>22</sup></p>	
შესაბამის ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციები	კონსულტაცია	საზოგადოებრივი ჩართულობა, შესაბამის ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია, ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები.	<p>გეგმის/პროგრამის პროექტისა და ეკოლოგიური ანგარიშის ოფიციალური პირებისა და საზოგადოებისთვის მიწოდება</p> <p>ოფიციალურ პირებთან და დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციები გეგმის/პროგრამის პროექტის და ეკოლოგიური ანგარიშის თაობაზე დაზარალებული მხარეების</p>

<sup>21</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარ. 9

<sup>22</sup>SEA-სპროტოკოლი, დანართი IV, პარ.11

			შესაბამისი წესით ინფორმირება. კომენტარების მიღება, რომლებიც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში
--	--	--	---

საფეხური	დაგეგმვისა და პროგრამის შედგენის ჩვეულებრივი	ლოგიკურად შესაბამისი SEA დავალებები	ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია, საზოგადოების წვდომა ინფორმაციაზე და საზოგადოების მონაწილეობა SEA-ში
გადაწყვეტილების მიღება	გარემოსდაცვითი ანგარიშის, და ოფიციალური პირებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისგან მიღებული კომენტარების მხედველობაში მიღება გეგმის/პროგრამის შესახებ ოფიციალური გადაწყვეტილების მიღების დროს		შესაბამისი ოფიციალური პირების (გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სფეროს ჩათვლით) და საზოგადოების ინფორმირება
მონიტორინგი	გეგმის/პროგრამის განხორციელების მონიტორინგი	გარემოს დაცვის მონიტორინგი	მონიტორინგის შედეგების გასაჯაროება და ოფიციალური პირებისთვის მიწოდება

## ა2.3 SEA-ს გეგმისა და პროგრამის შედგენაში ინტეგრირების პრაქტიკული მიდგომები

14. სექცია 2.2 განიხილავს თეორიულ სიტუაციებს. აქვე გადავალთ გეგმის და პროგრამის შედგენის პრაქტიკულ პროცესზე და განვიხილავთ ამ პროცესში SEA-ს ინტეგრირების რამდენიმე პრაქტიკულ მიზეზს.

### ა2.3.1 SEA -სა და გეგმის/პროგრამის შედგენას შორის არსებული ეფექტური კავშირების გამოვლენა გეგმისა და პროგრამის შედგენის პროცესის მიმოხილვა

15. როგორც უკვე აღვნიშნეთ სექცია 2.2-ში, თითოეული გეგმის ან პროგრამის შედგენის პროცესი განსხვავებულია – ზოგიერთ შემთხვევაში მუშაობა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პროცედურებზე დაყრდნობით მიმდინარეობს (მაგ. სივრცული დაგეგმვა, მდინარის კალაპოტის მენეჯმენტი, სანაპირო ზონის მენეჯმენტი), დანარჩენ შემთხვევებში კი (მაგ. ნარჩენების მართვა, ენერგეტიკული დაგეგმვა) შეიძლება მუშაობა წარმართოს ნაკლებად სტრუქტურირებული მიდგომების საფუძველზე.
16. გეგმისა და პროგრამის შემუშავების პროცესში SEA -ს ჩართვის ოპტიმალური მომენტის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მითუმეტეს, აუცილებელია დეტალური ცოდნა იმ კონკრეტული გეგმისა და პროგრამის შედგენის სისტემის შესახებ, რომლის ფარგლებშიც უნდა ამუშავდეს SEA. ამ ცოდნის მიღება შესაძლებელია გეგმისა და პროგრამის შედგენის პროცესის მიმოხილვით, რომელიც, შეიძლება, ორ ეტაპად განხორციელდეს:
  - X პროცედურების მიმოხილვით (მაგ., კონკრეტული გეგმის, ან პროგრამის შედგენის დისციპლინისთვის არსებული პროცედურული და მეთოდოლოგიური მოთხოვნები) შესაძლებელია გაჩნდეს სასარგებლო იდეა კონკრეტული გეგმის/პროგრამის შემუშავების რეჟიმის შესახებ. ეს სასარგებლო იქნება მაგ. კონკრეტული გეგმის ან პროგრამის შედგენის პროცესისთვის SEA-ს კონკრეტული გაიდლაინების შესაქმნელად.
  - X კონკრეტული გეგმის ან პროგრამის შემუშავების პროცესის მიმოხილვით (მაგ. სატყეო გეგმა) შესაძლებელია გაჩნდეს სასარგებლო იდეა მთელი რიგისხვა გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში კონკრეტული SEA მიდგომის შესახებ.

### მიმოხილვის შემოთავაზებული აქცენტები

17. იმისათვის რომ გავარკვიოთ კონკრეტული გეგმისა თუ პროგრამის შემუშავების პროცესში SEA-ს ჩართვის მომენტი, საჭიროა შემდეგის გათვალისწინება, ესენია:
  - X გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის ფორმალური და არაფორმალური ლოგიკა და შესასრულებელი დავალებების თანმიმდევრობა.
  - X გარემოს დაცვის ანალიზი, რომელიც როგორც წესი სრულდება ხოლმე კონკრეტული გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში.
  - X გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სფეროს ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში.
  - X ინფორმაციაზე წვდომა და სხვა დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას გეგმის/პროგრამის შემუშავების პერიოდში.
18. ასეთი მიმოხილვის საშუალებით შეიძლება გაჩნდეს სასარგებლო იდეა, თუ როგორ მოხდება SEA-ს პროცესების ეფექტური მორგება გეგმის/პროგრამის შემუშავების მიმდინარე დავალებებთან გამეორების გარეშე.

### ა2.3.2 SEA-ს გეგმასა თუ პროგრამაში ინტეგრირების პრაქტიკული მიზეზები

19. SEA-ს ინტეგრირება გეგმისა და პროგრამის შემუშავებაში პრაქტიკულ მიზეზებს ემყარება, რომლებიც სცდება SEA-ს გეგმისა თუ პროგრამის შემუშავებაში ადრეული და ეფექტური გამოყენების სამართლებრივ ვალდებულებას როგორც ეს აღწერილია ა4თავში.
20. გადაწყვეტილების მიღების კომპლექსურობა ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც აადვილებს გეგმებისა და პროგრამების შემუშავებას. ზოგადად, SEA-ს პროცესები შეიძლება იმდენად ეფექტურად ჩავთვალოთ, რამდენადაც:
  - X ის უზრუნველყოფს გარემოს დაცვის პრობლემების ეფექტურ გააზრებას გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისას. SEA –ს უნარი გააადვილოს გარემოს დაცვის პრობლემების გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში ინტეგრირება დიდწილადაა დამოკიდებული ვადებზე და პროცესში SEA-ს მონაწილეობის ფორმაზე. SEA-ს გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის შესაბამის ეტაპზეადრეული და ოპერატიული ჩართვა ბუნებრივად უფრო ეფექტურია, ვიდრე უკვე განხორციელებულ ეტაპზე<sup>23</sup>ან პროცესისგან დამოუკიდებლად.
  - X წინააღმდეგობაში მყოფი ხედვებისა და ინტერესების იდენტიფიკაციაში დახმარება და ამ გზით მიღებული გადაწყვეტილების დამაჯერებლობის გაზრდა. ამგვარად ხელი ეწყობა რაციონალურ დებატებს, პრობლემის მოგვარებას და დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას.
  - X თუ საჭირო არ არის, ნუ გააჭიანურებთ გეგმების/პროგრამების მომზადებას. პროტოკოლის მოთხოვნების განხორციელება გარკვეულ მოთხოვნებს აყენებს დროსთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა მინიმუმამდე შემცირდეს გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში SEA –ს სწორი ორგანიზებით.
  - X არ წარმოადგენს გაუმართლებლად ხარჯიან პროცესს. პროტოკოლის მიერ განსზღვრული გარემოსდაცვითი ანგარიშების მომზადება და ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციები დამატებით ხარჯებს მოითხოვს. დამატებითი ხარჯები შეიძლება შეიზღუდოს, თუ SEA-ს განხორციელება მოხდება გეგმის/პროგრამის შემუშავებასთან ერთად და გამოყენებული იქნება იგივე მონაცემები, ანალიზი და კონსულტაციები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში.
21. ზემოთ აღწერილი მიმოხილვა გვიჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია SEA –ს სათანადო კოორდინირება გეგმის და პროგრამის შემუშავების პროცესთან. მისი მიზანია უზრუნველყოს SEA –ს მიერ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში ადრეული და ეფექტური ჩართვა და უზრუნველყოს, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები სრულად იყოს გათვალისწინებული გეგმის/პროგრამის შედგენის პროცესში (იხ. პროტოკოლის მუხლი.1(ა)).
22. რეალურად, SEA-ს პრაქტიკოსები შეიძლება მრავალი გამოწვევის წინ აღმოჩნდნენ ეფექტური კოორდინაციისა და SEA-ს გეგმებსა და პროგრამებშისაბოლოო ინტეგრაციის გზაზე.

### ა2.3.3 გასათვალისწინებელი საკითხები

23. გეგმის/პროგრამის შემუშავების დავალებებსა და SEA დავალებებს შორის ლოგიკური კავშირების სწორი გამოყენება პროტოკოლის ერთ–ერთი ამოცანის შესრულებას შეუწყობს ხელს, კერძოდ: „გეგმის და პროგრამის შემუშავებისას გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის საკითხების სრულყოფილი გააზრების უზრუნველყოფა“. (მუხლი. 1 (a)).

<sup>23</sup>„Ex post“ ნიშნავს, რომ „განგარიშება ხდება. კონკრეტულ შედეგებზე დაყრდნობით, და არა წინასწარ გათვლებით და მოლოდინებით“; ეს არის “ex ante”–ს ანტონიმი, რომელიც ნიშნავს “გათვლა, განგარიშება პროგნოზებზე და მოსალოდნელ შედეგებზე დაყრდნობით“; წყარო: *Oxford English Dictionary* (United Kingdom, Oxford University Press, 2011).

24. გეგმის/პროგრამის შემუშავებასა და SEA-ს შორის არსებული აშკარა ლოგიკური კავშირის რეალიზება მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ პრაქტიკული კავშირი დამყარდება ქვემოთ მოყვანილ დონეებს შორის:
- X გეგმის/პროგრამის შემუშავება და გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადება.
  - X ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები.
  - X საზოგადოების ჩართულობა.
25. გეგმის/პროგრამის შემუშავებასა და გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადებას შორის კავშირმა შეიძლება შემდეგი პრაქტიკული შედეგი მოიტანოს:
- X მონაცემთა ერთობლივი გამოყენება.
  - X შესაფერისი ალტერნატივების ჩამოყალიბებაში ერთობლივი წვლილის შეტანა.
  - X გეგმის და პროგრამის შემუშავების და გარემოს დაცვის პრობლემების გათვალისწინება მოდელირების დროს ალტერნატივების შედარებისას (თუკი არსებობს ალტერნატივები), ა.შ.
26. ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებში არსებული კავშირების პრაქტიკული შედეგები შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:
- X ოფიციალურ პირებთან ერთობლივი საკონსულტაციო პროცესები.
  - X მიღებული კომენტარების ერთობლივი დამუშავება, ა.შ.
27. საზოგადოებრივ ჩართულობაში არსებული კავშირების პრაქტიკული შედეგები შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:
- X დოკუმენტაციაზე საზოგადოების წვდომის უზრუნველყოფის საერთო სისტემა.
  - X საზოგადოებასთან კონსულტაციების საერთო სისტემა.
  - X მიღებული კომენტარების შეფასების საერთო სისტემა და ა.შ.



## ა2.4 გეგმისა და პროგრამის შემუშავებისას პროტოკოლის განხორციელების ვარიანტები

28. ამ ნაწილში განხილულია რამდენიმე სიტუაცია, რომელიც შესაძლოა გეგმისა და პროგრამის შემუშავების პროცესში SEA-ს განხორციელების დროს წამოიჭრას. იგულისხმება, რომ რეალობაში, შეიძლება ისეთი ვარიანტები შეგვხდეს, რომლებშიც ექსტრემალური სიტუაციების სხვადასხვა ელემენტებია კომბინირებული. ქვემოთ მოცემულია საილუსტრაციო მიმოხილვა – მისი მიზანია ხაზი გაესვას თითოეული ვარიანტის ძლიერ და სუსტ მხარეებს და მათ მნიშვნელობას პროტოკოლის მოთხოვნების შესრულებაში.


### ა2.4.1 პრობლემატური განხორციელება: როცა SEA ხორციელდება „ex post“, ანუ გეგმისა და პროგრამის შემუშავების პროცესიდან დამოუკიდებლად

29. ხანდახან SEA ხორციელდება „ex post“ რეჟიმში, გეგმისა და პროგრამის შემუშავებისგან განცალკევებით. ასეთი რამ მოსალოდნელია, თუ SEA-ს განხორციელება იწყება გეგმის ან პროგრამის პროექტის ფორმულირების შემდეგ (იხ. დიაგრამა ა2.4). ასეთი სიტუაცია შეიძლება სხვადასხვა ფაქტორით იყოს გამოწვეული, ესენია:

- X იმის ინდივიდუალური გარკვევა, საჭიროა თუ არა SEA-ს განხორციელება მოცემული გეგმისა თუ პროგრამისთვის, მოითხოვს წარმოდგენილი გეგმისა თუ პროგრამის წვრილმან დეტალებამდე აღწერას. წარმოდგენილი გეგმისა თუ პროგრამის ხასიათის ძალიან დეტალურმა აღწერამ, რომელიც აუცილებელია მისი გარემოზე შესაძლო ზეგავლენის დასადგენად, შეიძლება პასუხისმგებელ პირს უბიძგოს, რომ გეგმის/პროგრამის წინასწარი (ან დასრულებული) პროექტი წარადგინოს SEA-ს საჭიროების ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის ინდივიდუალურად გასარკვევად. პრაქტიკაში, გეგმის ან პროგრამის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტების გამოვლენა შესაძლებელი უნდა იყოს მისი ინიცირების ფაზაზე, როცა ვლინდება გეგმის/პროგრამის ხასიათი და მთავარი ამოცანები.
- X გეგმის/პროგრამის შემქმნელებს, ან პასუხისმგებელ პირებს არ სურთ SEA-ს ადრეულ ეტაპზე განხორციელება, რადგან არ იცნობენ SEA-ს ადრეული განხორციელების მთელ რიგ სასარგებლო შედეგებს. პრაქტიკულად, შეიძლება ამას პოლიტიკური მიზეზი ჰქონდეს, ან უბრალოდ არ ფლობდნენ ინფორმაციას SEA-ს ფასეულობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ასეთი შემთხვევები ძალიან ცოტაა და მათი პრევენცია შესაძლებელია SEA-ს სარგებლიანობის შესახებ გათვითცნობიერების დონის ამაღლებით, რაც გამორიცხავს შესაძლო კონფლიქტებს, და ხელს შეუწყობს დროისა და თანხების დაზოგვას.
- X SEA-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს არ სურთ, ან არ არიან მზად დაუსრულებელი გეგმების/პროგრამების შესაფასებლად. ასეთი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას იმ ქვეყნებში ან ინსტიტუტებში, სადაც შეზღუდულია SEA -ს პრაქტიკული გამოყენება. იყო შემთხვევები, როცა SEA-ს საერთაშორისო განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი აჭიანურებდა SEA-ს დაწყებას იმ არგუმენტით, რომ შეუძლებელია შეაფასო არარსებული ან გაურკვეველი საპროექტო წინადადებების შედეგები. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ხისტი მიდგომით პროექტის დონის გზმ-ს მიმართ, პრობლემათა სკალაზე მათი აუცილებელი კორექტირების გარეშე, რაც, როგორც წესი, ყოველთვის აისახება გეგმასა თუ პროგრამაში და ამ დოკუმენტების შემუშავების პროცესზე.

30. ამგვარი SEA შეიძლება აღვიქვათ, როგორც ხარისხის საბოლოო შემოწმება, რომლის მიზანია გადაწყვეტილების მიმღებ პირებისთვის გეგმის/პროგრამის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

დიაგრამა ა2.4: „ex post“ განხორციელებული SEA გეგმის/პროგრამის შემუშავებისგან დამოუკიდებლად: სრულყოფილი მიდგომა



მნიშვნა: მოცემულ გამარტივებულ დიაგრამაში არ არის ნაჩვენები საზოგადოებრივი

ჩართულობა, ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები და ტრანსპარანსაზღვრო

კონსულტაციები


31. თუმცა, გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესისგან განცალკევებულ SEA-ს რამდენიმე სუსტი მხარე აქვს:

- X განცალკევებული და „ex post“ SEA არ ახდენს გავლენას გეგმის/პროგრამის შემუშავებაზე. ასეთ დროს SEA შეაფასებს გეგმის/პროგრამის მხოლოდ საბოლოო პროდუქტს და არ ახდენს გავლენას გეგმასა და პროგრამაში გაკეთებულ მნიშვნელოვან არჩევანზე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პასუხისმგებელი პირი დაამტკიცებს SEA-ს რომელიმე რეკომენდაციას, რადგან გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესი უკვე შორსაა წასული. ამ სახით განხორციელებული SEA სავარაუდოდ მხოლოდ მცირე სარგებელს თუ მოიტანს გარემოს დაცვის კუთხით.
- X SEA, რომელიც გეგმის/პროგრამის პროექტის დასრულების შემდეგ იწყება შეიძლება დუბლირებული შრომა იყოს ალტერნატივების ჩამოყალიბების ანალიზისა და კომპოზიციის თვალსაზრისით.
- X SEA-ს ფარგლებში ჩატარებული კონსულტაციების გამოცალკევება გეგმის/პროგრამის შემუშავებისას ჩატარებული კონსულტაციებისგან შეიძლება პროცესების დუბლირების მიზეზი გახდეს და დააბნიოს მონაწილე ოფიციალური პირები და საზოგადოების წარმომადგენლები.
- X ამგვარი SEA-ს დროს ყოველთვის ყოვნდება გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესი. იმის გარკვევა საჭიროა თუ არა SEA-ს განხორციელება, შეფასების მასშტაბის დადგენა, ეკოლოგიური ანგარიშის მომზადება, ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარება ასევე საკმაოდ დროს მოითხოვს, რამაც შეიძლება გაახანგრძლივოს გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესი.
- X ბოლოს – ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მიდგომა შეიძლება კონფლიქტში მოვიდეს პროტოკოლის მთელ რიგ დებულებებთან (იხ. პრეამბულა, SEA-ს განმარტება და ამოცანები) და არსებობს რისკი, რომ SEA არ განხორციელდება პროტოკოლისა და SEA დირექტივის შესაბამისად.

#### ა2.4.2 გეგმის/პროგრამის შემუშავებაში ნაწილობრივ ინტეგრირებული SEA

- 32. გეგმის/პროგრამის შედგენაში ნაწილობრივ ინტეგრირებული SEA (იხ. დიაგრამაა2.5) ეფუძნება ვარაუდს, რომ კონკრეტული გეგმის/პროგრამის ინიცირება საკმარის საფუძველს ქმნის იმისგანსარკვევად საჭიროა თუ არა SEA-ს განხორციელება მასშტაბის დასადგენად.
- 33. გეგმის/პროგრამის ინიცირება როგორც წესი ადასტურებს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან სარეგულაციო მოთხოვნებს, რომლებიც გეგმის/პროგრამის შემუშავებას ეხება და ასევე, ხაზს უსვამს მის ხასიათსა და დასახულ ამოცანებს. ამ ინფორმაციით უნდა შეიქმნას შესაფერისი საფუძველი იმისთვის, რომ გავარკვიოთ, საჭიროა თუ არა SEA-ს განხორციელება მოცემული გეგმის/პროგრამისთვის, და SEA-ს ფარგლებში გასაანალიზებელი საკითხებისთვის. იმის გარკვევა, საჭიროა თუ არა გეგმის/პროგრამის შემუშავების ინიცირების პერიოდში SEA-ს განხორციელება და ადრეულ ეტაპზე მასშტაბის განსაზღვრა, SEA-ს განხორციელებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ პროცესში.

დიაგრამა ა2.5: გეგმის/პროგრამის შედგენაში ნაწილობრივ ინტეგრირებული SEA:სრულყოფილი მიდგომა



34. გეგმის/პროგრამის შემუშავებაში SEA-ს ნაწილობრივ ინტეგრირება გეგმის/პროგრამის ჩამოყალიბების პარალელურად მიმდინარეობს. SEA-ს და გეგმის/პროგრამის შემუშავებელი გუნდები ცალ-ცალკე მუშაობენ, თუმცა, გეგმაში/პროგრამაში SEA-ს მაქსიმალური გათვალისწინების მიზნით, ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს.
35. ამ მიდგომაში გამოიყენება გეგმის/პროგრამის შემუშავებასა და SEA-ს შორის არსებული ლოგიკური კავშირი, რაც SEA-ს გუნდს საშუალებას აძლევს:
- X ყურადღება გაამახვილოს იმავე პრობლემებზე და დროის იმავე მონაკვეთში, რაზეც გეგმის/პროგრამის გუნდი მუშაობს.
  - X ჩამოაყალიბოს, გააანალიზოს და შეადაროს ალტერნატიული ხედვები და ვარიანტები.
  - X გეგმის/პროგრამის შემუშავების ყოველ საფეხურზე SEA-ს სათანადოდ გათვალისწინებისთვის შექმნას ხელსაყრელი პირობები.
36. გეგმის/პროგრამის და გარემოსდაცვითი ანგარიშის პირველადი ვერსია შეიძლება ხელმისაწვდომი გავხადოთ ოფიციალური პირებისა და (დაინტერესებული) საზოგადოებისთვის შემოწმების გარკვეული სისტემის საშუალებით, მათი კომენტარების მისაღებად, სადაც კომბინირებული იქნება მოთხოვნები კონსულტაციის შესახებ გეგმის/პროგრამის შემუშავებისა და SEA-ს ფარგლებში.
37. SEA გუნდს ასევე შეუძლია გარემოსდაცვითი ანგარიშის საფინანსო ეტაპზე განმარტოს, თუ რა დოზით აისახა SEA-ს დასკვნები გეგმის/პროგრამის პროექტში და მიუთითოს ნებისმიერი მოუგვარებელი პრობლემის შესახებ, რითიც ოფიციალურ პირებს დაეხმარება 11.2 მუხლში ჩამოყალიბებული ვალდებულების შესრულებაში: მხარეებს მოეთხოვება საზოგადოებას, გარემოს დაცვის ოფიციალურ პირებსა და კონსულტაციებში ჩართულ ნებისმიერ მხარეს წარუდგინოს „შემაჯამებელი განაცხადი, თუ როგორ იქნა დოკუმენტში ასახული გარემოს დაცვის და ჯანდაცვის შესახებ მოსაზრებები, როგორ მოხდა 8–10 მუხლების შესაბამისად მიღებული შენიშვნების გათვალისწინება და მათი მიღების მიზეზები, გათვალისწინებული ალტერნატივების ჭრილში.“ ასეთი მიმოხილვა მოსახერხებელია ასევე ოფიციალური პირებისა და საზოგადოების მიერ გარემოსდაცვითი ანგარიშის და გეგმის/პროგრამის პროექტის განხილვისთვის.
38. გეგმაში/პროგრამაში SEA-ს ნაწილობრივ ინტეგრაციას რამდენიმე სარგებელი მოაქვს შედეგად, ესენია:
- X მნიშვნელოვნად იკლებს გადავადებები და გაჭიანურებები, რადგან SEA გეგმის/პროგრამის შემუშავების პარალელურად მიმდინარეობს.
  - X იზოგება SEA-ს ჩასატარებლად საჭირო რესურსები, რადგან SEA-ს გუნდს საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს მონაცემების შეგროვებაში და ანალიზში, რასაც, ჩვეულებრივ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში აქვს ადგილი. (იხ.ნაწილი 1.3 SEA-ს ხარჯებსა და სარგებელთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციისთვის).
  - X SEA-ს გუნდსა და გეგმის/პროგრამის შემუშავების ჯგუფს შორის ხშირი კონსულტაციები ხელს უწყობს სხვადასხვა შეხედულებების ადრეულ ეტაპზე გათვალისწინებას მინიმუმამდე ამცირებს დაგვიანებით წარმოქმნილ კონფლიქტებსა და უსიამოვნო სიურპრიზებს. დებატები ეხმარება არა მხოლოდ გეგმის/პროგრამის შემსრულებელ გუნდს (რომელიც SEA-ს შენიშვნებს ითვალისწინებს), არამედ თავად SEA გუნდაც (რომელიც მყისიერ გამოხმაურებას იღებს შეთავაზებულ შენიშვნებზე).
  - X შესაფერის შემთხვევებში, გეგმის /პროგრამისა და SEA გუნდებს შორის კონსულტაციები შეიძლება გავრცელდეს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესაბამის ოფიციალურ პირებსა და (დაინტერესებული) საზოგადოების წარმომადგენლებზეც. კარგად ორგანიზების შემთხვევაში, ასეთი კონსულტაციები ხელს უწყობს გეგმის/პროგრამის ყოველ შესაბამის ეტაპზე ძირითადი პრობლემების პერიოდულ გადახედვასა და შემოწმებას. ასეთი კონსულტაციები შესაძლოა უფრო ეფექტური გახდეს შესაბამისი ოფიციალური პირებისგან და საზოგადოებისგან ინფორმაციის მოსაკრებად, ვიდრე მასშტაბის დადგენის პირველად ეტაპზე ჩატარებული კონსულტაციები ან გეგმის/პროგრამის და გარემოსდაცვითი ანგარიშის პირველადი ვერსიის შემაჯამებელი მიმოხილვები.
  - X და ბოლოს – და ყველაზე მნიშვნელოვანი – ასეთი სახით განხორციელება საშუალებას იძლევა დავიცვათ პროტოკოლის რამდენიმე დებულება (იხ. პრეამბულა, SEA-ს განმარტება და ამოცანები) და SEA განვახორციელოთ პროტოკოლისა და SEA დირექტივის მიხედვით.

39. ამავე დროს, აუცილებელია ჩავინიშნოთ SEA –ს ამ სახით განხორციელებაში აღმოჩენილი სუსტი მხარეებიც. ასეთი მიდგომა ზოგადად გაზრდის SEA გუნდზე მოთხოვნას, რადგან გარემოსდაცვით ანგარიშზე მომუშავე ექსპერტები სრულად უნდა მიჰყვნენ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესს, რაც რეალურად, ვერ იქნება სწორხაზოვანი პროცესი და ვერ წარმართება თავდაპირველად დასახული განრიგის მიხედვით, არამედ, შეიძლება საკმაოდ გრძელი და შრომატევადი პროცესი აღმოჩნდეს. თუ SEA-სგუნდი აპირებს თავისი წვლილი შეიტანოს გეგმის/პროგრამის შემუშავების ყველა გადამწყვეტ ეტაპზე, მაშინ მზად უნდა იყოს საკუთარი სამუშაო გეგმის ადაპტირებისათვის გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესთან შესაბამისობაში. (ამან შეიძლება სირთულეები შექმნას, თუ SEA სამუშაოს ასრულებს რომელიმე გარეშე ქვე-კონტრაქტორი).


#### ა2.4.3 გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში სრულად ინტეგრირებული SEA

40. გეგმის/პროგრამის შემუშავებაში სრულად ინტეგრირებული SEA (დიაგრამა ა.2.6) ნიშნავს, რომ SEA-სექსპერტები და გეგმის/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე ექსპერტები მუშაობენ ერთად, ერთ გუნდად და ამზადებენ გეგმას/პროგრამას. გეგმის/პროგრამის მომზადებისა და SEA –ს განხორციელების ასეთი მიდგომა როგორც წესი ერთობლივ სამუშაო ჯგუფებში და დაგეგმვისა თუ დაპროგრამების მრგვალ მაგიდებზე მიმდინარეობს, სადაც შესაძლებელია შესაბამისი ოფიციალური პირებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა. ასეთი ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს მხარეებს შორის ინფორმაციის თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას. გეგმაზე/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე ექსპერტები, SEA-ს ექსპერტები, შესაბამისი უწყებების ოფიციალური პირები და საზოგადოების წარმომადგენლები ერთდროულად იღებენ ერთსა და იმავე ინფორმაციას, ერთმანეთს უზიარებენ ცოდნასა და მოსაზრებებს, აყალიბებენ და აანალიზებენ ძირითად ვარიანტებს და ერთობლივად ქმნიან გეგმის/პროგრამის პროექტის მონახაზს. ამგვარად, გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადება და შესაბამის ოფიციალურ პირებთან და დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციები, მოცემულის გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის განუყოფელი ნაწილი ხდება.

41. შუალედური დოკუმენტები, რომლებშიც აისახება კონსულტაციების შედეგები, შეიძლება ხელმისაწვდომი გახადოთ ფართო აუდიტორიისთვის განსახილველად. თუმცა, ფართო საზოგადოებას არ შეუძლია უშუალო მონაწილეობის მიღება გეგმის/პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში, ლოგისტიკური და მართვის პრობლემებიდან გამომდინარე.

42. მუშაობის ასეთი სტილი ხელს უწყობს უწყვეტი კონსულტაციების ჩატარებას და გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში შექმნილი შუალედური დოკუმენტების მიმოხილვას. ეკოლოგიურ ანგარიშში მოცემული ინორმაცია შეიძლება მთლიანად იქნას ინტეგრირებული კონკრეტულ გეგმასა თუ პროგრამაში და SEA –ში დაშეიცავდეს ისეთ დამხმარე მასალას, რომელიც სხვა გზით ვერ მოხვდებოდა ვერც გეგმაში და ვერც პროგრამაში.

დიაგრამა A2.6: გეგმის/პროგრამის შემუშავებაში სრულად ინტეგრირებული: სრულყოფილი მიდგომა



43. გეგმის/პროგრამის შემუშავებაში SEA–ს სრული ინტეგრირება, როგორც წესი, იმავე სარგებელს გვაძლევს, რასაც ნაწილობრივი ინტეგრირების დროს ვიღებთ. მუშაობის ასეთი სტილი ამცირებს შეფერხებებს, რადგან SEA–ს ფარგლებში ჩატარებული ანალიზი გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის განუყოფელი ნაწილი ხდება. ამავე დროს, შესაძლებელია SEA–ს ხარჯების შემცირებაც, რადგან გეგმის/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე ექსპერტები და SEA ექსპერტები ერთობლივად აგროვებენ მონაცემებს და ერთობლივი წვლილი შეაქვთ გეგმის/პროგრამის მომზადებაში. ერთობლივი მუშაობა საშუალებას აძლევს მყისიერად გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები და შემოთხვევები და თავიდან აიცილონ უსიამოვნო სიურპრიზები. და ბოლოს, ამ მეთოდით საუკეთესო პირობები იქმნება პროტოკოლისა და SEA დირექტივის მიხედვით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.
44. ამგვარი მიდგომისკიდევ ერთი სარგებელი ის გახლავთ, რომ გეგმის/პროგრამის შემუშავებაზე ყველა მხარის ერთობლივი მუშაობა ოპტიმალურ გარემოს ქმნის თანამშრომლობისთვის, სხვადასხვა შეხედულებებისა და ღირებულებების მქონე დაინტერესებულ მხარეებს ეხმარება ურთიერთ ნდობის ჩამოყალიბებაში. ეს შეიძლება ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს, რომელიც გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის თანამონაწილეობრივ ხასიათს აძლიერებს.
45. გეგმაში/პროგრამაში SEA–ს სრულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული წუხილები შეიძლება გამოწვეული იყოს შიშით, რომ ერთიან გუნდში მუშაობისას SEA ექსპერტები ჩაიძირებიან“ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში, ან მოხდება მათი მარგინალიზაცია (ექნებათ ძალიან მცირე გავლენა მოვლენებზე), ან წავლენ ისეთ კომპრომისებზე, რაც საჯაროდ არ გამჟღავნდება. ამ წუხილების ლოგიკური საფუძველი შემდეგში მგდომარეობს:
  - X ნებისმიერი კოლექტიური სამუშაოს შედეგი, როგორც წესი მთლიანად არის დამოკიდებული თავად გუნდის შემადგენლობაზე. ასეთი მიდგომა მხოლოდ მაშინ იმუშავებს, თუ SEA-სექსპერტებს და გეგმის/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე ექსპერტებს თანამშრომლობის სურვილი ექნებათ.
  - X თუ SEA ექსპერტები გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სფეროს ოფიციალურ პირებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ჩამოაყალიბებენ გეგმის/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე მთლიანი გუნდის ან სამუშაო ჯგუფის მცირე ნაწილს, შეიძლება არსებობდეს რისკი, რომ შიდა განხილვების დროს მათი მოსაზრებები არ იქნება სათანადოდ გათვალისწინებული. ასეთი მიდგომა მხოლოდ იმ შემთხვევაში იმუშავებს, თუ ჯგუფური სამუშაო კარგად არის კოორდინირებული და გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესზე დომინირებას არ ახდენს ექსპერტთა არც ერთი კონკრეტული ჯგუფის ინტერესი.

X ბოლო წუხილი შეეხება ფაქტს, რომ ასეთი ტიპის ჯგუფური მუშაობა შეიძლება შიდა, გაუმჭვირვალე მორიგებისა და კომპრომისების საგანი გახდეს, რაც უცნობი დარჩება გარეშე დაინტერესებული მხარეებისა და თანამაზრეებისათვის. SEA ექსპერტებს შეიძლება მოუწიოთ მთელი გუნდის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნების დაცვა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი, რომ SEA ექსპერტებს მოეთხოვება მხოლოდ ეკოლოგიური ანგარიშის მომზადება, სადაც აისახება SEA პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემები (შედეგები, შეთავაზებული ალტერნატივები, მისთ.). ეს ანგარიში შეიძლება შეიქმნას როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი ან გეგმის/პროგრამის მკაფიოდ გამოხატული ნაწილი. ინტეგრირებული ჯგუფების შიგნით მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ამ დოკუმენტში უნდა აისახოს ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა და კომპრომისი, რაც იქნა განხილული SEA –ს ფარგლებში.

46. მიუხედავად იმისა, რომ გეგმის/პროგრამის მომზადების კარგად ორგანიზებული და გამჭვირვალე პროცესებს ასეთი წუხილები არ ეხება, გეგმის/პროგრამის შემუშავების ნაკლებად განვითარებულ პროცესებში მაინც არსებობს მათი აღმოჩენის ალბათობა.

#### ა2.4.4 დასკვნა გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში SEA–ს ინტეგრირების შესახებ

47. არ არსებობს გეგმის/პროგრამის მომზადების დროს SEA–ს განხორციელების ერთადერთი და საუკეთესო გზა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესიდან მოწყვეტილი და “ex post” განხორციელებული SEA, ყველაზე ნაკლებად ეფექტურია და ვერ უზრუნველყოფს პროტოკოლით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისთვის საფუძვლის მომზადებას.

48. გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში ნაწილობრივ ან სრულიად ინტეგრირებული SEA უფრო შესაფერის გარემოს ქმნის პროტოკოლის ვალდებულებების შესასრულებლად. მიდგომის არჩევა დამოკიდებულია კონკრეტული გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის პირობებზე. ზოგჯერ ნაწილობრივი ინტეგრირება უფრო ეფექტურია, ვიდრე სრული, ზოგ შემთხვევაში კი – პირიქით.



## *თავი აპ*

თავი აპ როგორ ვადგენთ მოითხოვს თუ არა  
გეგმები და პროგრამები SEA-ს პროტოკოლის  
მიხედვით

### ა3.1 თავის შესავალი

პროტოკოლი ყველგან მოიხსენიებს „გარემოს, ჯანდაცვის ჩათვლით“. გამეორების ასაცილებლად, სახელმძღვანელოში მოიხსენიება მხოლოდ გარემოს დაცვა, მათ შორის ყოველთვის უნდა იყოს აღქმული ჯანდაცვასთან ერთად. ჯანდაცვის თემატიკის ინფორმაციისათვის იხ. დანართი ა 1

1. წინამდებარე თავი განვიმარტავს, თუ როგორ გავარკვიოთ, მოითხოვს თუ არა მოცემული გეგმა ან პროგრამა პროტოკოლის მიხედვით SEA–ს. თავი ა4 უფრო განავრცობს თემას და განიხილავს, როგორ შეიძლება SEA–ს განხორციელება.
2. წინამდებარე თავი იწყება სამართლებრივი მოთხოვნების მიმოხილვით (ნაწილი ა3.2). შემდეგ მოცემულია იმ ტესტების დეტალური ახსნა, რომელთა საშუალებითაც ვადგენთ, გვჭირდება თუ არა SEA–ს განხორციელება (ნაწილი ა3.3). დასასრულს, მოცემულია შესაძლო პრაქტიკული ღონიძობები (ნაწილი ა3.4).

### ა3.2 სამართლებრივი ვალდებულებები

#### მთავარი დებულებები

3. იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა პროტოკოლის მიხედვით SEA–ს განხორციელება, აუცილებელია დავადგინოთ მისადაგება თუ არა მოცემული გეგმა/პროგრამა პროტოკოლში განმარტებულ გეგმასა და პროგრამას (მუხლი .2.5), და პროტოკოლის განხორციელების სფეროს (მუხლი.4). ზოგიერთი გეგმისა თუ პროგრამის შემთხვევაში (იხ.ქვემოთ) აუცილებელია გაირკვეს გარემოზე მოსალოდნელი ეფექტი (მუხლი.5 სკრინინგი). მე–4 და მე–5 მუხლების კომბინაცია SEA–ს დირექტივის მე–3 მუხლის (სფერო)ეკვივალენტურია.
4. ქვემოთ ჩამოთვლილია პროტოკოლის მთავარი დებულებები, რომლებიც ეხება პროტოკოლის მიხედვით მოცემულ გეგმასა თუ პროგრამაში SEA –ს განხორციელების საჭიროებას:
  - X მუხლი 2.5, „გეგმებისა და პროგრამების“ განმარტება.
  - X მუხლი 4გეგმებთან და პროგრამებთან დაკავშირებით განხორციელების სფეროები.
  - X დანართი I, მუხლ.4 პარ.2–ში მითითებული პროექტების სია.
  - X დანართი II, მუხლ.4 პარ.2–ში მითითებული სხვა პროექტები.
  - X მუხლი 5, სკრინინგი.
  - X დანართი III, მუხლ.5 პარ.1–ში მითითებული მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტების მოსალოდნელობის გამოვლენის კრიტერიუმები .

#### ა3.2.1 მუხლები 2.5 და 4, დადანართები I და II

5. იმისათვის, რომ გეგმა ან პროგრამა გახდეს SEA –ს საგანი, პროტოკოლის მიხედვით პირველი მოთხოვნაა, რომ გეგმა./პროგრამა უნდა პასუხობდეს გეგმებისა და პროგრამების განმარტების ორივე ქვეპარაგრაფის პირობებს (მუხლი. 2.5). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი „უნდა მომზადდეს და/ან დამტკიცდეს ოფიციალური პირის მიერ; ან მომზადდეს ოფიციალური პირის მიერ ფორმალური პროცედურების დაცვით, პარლამენტის ან მთავრობის მიერ დასამტკიცებლად“ და „როგორც ამას მოითხოვს სამართლებრივი, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული დებულებები“. დამატებითი მოთხოვნები ჩამოყალიბებულია მე–4 მუხლში, სადაც განმარტებულია, თუ მუხლი.5–ის პირობების შესაბამისი რომელი გეგმებისა და პროგრამებისთვისაა აუცილებელი SEA–ს განხორციელება. მუხლი 4 შეიცავს გასათვალისწინებელი კრიტერიუმების კომპლექსს: ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება ნიშნავს, რომ უნდა განხორციელდეს SEA. (SEA–ს დირექტივაში შესაბამისი დებულებები მოცემულია მუხლებში 1–4 და 8–9).

6. ბევრი ე.წ. გეგმა და პროგრამა არ მოითხოვს SEA-ს განხორციელებას, ხოლო ზოგი ე.წ. პოლიტიკა, სტრატეგია, პროექტი, კონცეფცია, კანონი, რეგულაცია და ა.შ. – ექვემდებარება მას. ეს განყოფილება დაგეხმარებათ განსაზღვროთ, არის თუ არა განსახილველი დოკუმენტი პროტოკოლის განმარტების მიხედვით გეგმა ან პროგრამა, და საჭიროებს თუ არა SEA-ს განხორციელებას.
7. იმის გარკვევისას, საჭიროა თუ არა SEA-ს განხორციელება პროტოკოლის მიხედვით, უნდა გვახსოვდეს შემდეგი:
  - X ტერმინი “გეგმა ან პროგრამა” არ ანიჭებს შესაფერის კვალიფიკაციას.
  - X ყველა გეგმას და პროგრამას არ ჭირდება SEA, არამედ, მხოლოდ იმ გეგმებსა და პროგრამებს, რომლებიც მთელ რიგ პირობებს აკმაყოფილებს.
  - X ზოგიერთი პოლიტიკა, სტრატეგია და კონცეფცია, რომელსაც გეგმის ან პროგრამის თვისებები აქვს პროტოკოლის განმარტების მიხედვით, მოითხოვს SEA-ს განხორციელებას. ასევე შესაძლებელია, რომ პროტოკოლის განხორციელების არეალში მოხვდეს ზოგიერთი კანონი და რეგულაცია, თუ, რასაკვირველია, აკმაყოფილებენ პირობებს.
8. ისმება მთელი რიგი კითხვები კანდიდატი გეგმის/პროგრამის შესახებ, ან გეგმის/პროგრამის მოდიფიკაციის შესახებ (იხ.პარ. 23), რათა გაირკვეს საჭიროა თუ არა SEA-ს განხორციელება პროტოკოლის მიხედვით. ესენია:
  - X შეიძლება საჭირო გახდეს დეტალური ტესტირება იმის გასარკვევად, თუ რას წარმოადგენს გეგმა/პროგრამა, რომელსაც SEA-ს განხორციელება მოეთხოვება.
9. თუ პირველ კითხვაზე პასუხი უარყოფითია, ხოლო მეორე კითხვაზე – დადებითი, მაშინ კიდევ ორი შეკითხვა დაისმება:
  - X გეგმა/პროგრამა მზადდება სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ენერჯის სისტემის, მრეწველობის (სამთო მომპოვებლის ჩათვლით), ტრანსპორტის, რეგიონული განვითარების, ნარჩენების მართვის, წყლის მართვის, ტელეკომუნიკაციების, ტურიზმის, ქალაქის და სოფლის დაგეგმარებისა და მიწათსარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით? თუ პასუხი უარყოფითია, SEA-ს საჭიროებაც ავტომატურად გამოირიცხება, თუმცა, იხ. ქვემოთ პარაგრაფი 11.
  - X გეგმა/პროგრამა მზადდება სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ენერჯის სისტემის, მრეწველობის (სამთო მომპოვებლის ჩათვლით), ტრანსპორტის, რეგიონული განვითარების, ნარჩენების მართვის, წყლის მართვის, ტელეკომუნიკაციების, ტურიზმის, ქალაქის და სოფლის დაგეგმარებისა და მიწათსარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით? თუ პასუხი უარყოფითია, SEA-ს საჭიროებაც ავტომატურად გამოირიცხება, თუმცა, იხ. ქვემოთ პარაგრაფი 11.
10. თუ ზემოთ მოყვანილი რომელიმე კითხვის პასუხი დადებითია, მაშინ პროტოკოლის მიხედვით საჭიროა SEA -ს განხორციელება. თუმცა, თუ გეგმა/პროგრამა ადგილობრივ დონეზე მხოლოდ მცირე არეალში ხორციელდება ან წარმოადგენს არსებული გეგმის/პროგრამის უმნიშვნელო მოდიფიკაციას (მუხლ.4.4.) მაშინ SEA განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ გეგმას/პროგრამას ექნება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტი (იხ. მუხლი.5 სკრინინგი).
11. იმ გეგმების/პროგრამების გარდა, რომლებსაც SEA მოეთხოვება ზემოთ განმარტებული მიზეზებით, პროტოკოლის მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, გეგმა/პროგრამა დაექვემდებარება SEA-ს თუ იგი განსაზღვრავს მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოებს და თუ მოსალოდნელია, რომ მას ექნება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტი (მუხლი. 5).

### ა3.2.2 მუხლი 5 დადანართი III

12. მნიშვნელოვანი ეფექტის გამოვლენის შესახებ დებულება მოცემულია მე-5 მუხლში და შეიძლება მოხდეს შემდგენიარად:

- X გეგმის/პროგრამის თითოეული პუნქტის რიგ რიგობით განხილვით.
- X გეგმის/პროგრამის ტიპის დაზუსტებით.
- X ორივე მეთოდის კომბინაციით.

(SEA-სდირექტივის უფრო ფართო დებულებები იხილეთ მუხლში.3 პარ. 5–7).

13. III დანართში მოცემული კრიტერიუმები (SEA დირექტივის II დანართის მსგავსად) გათვალისწინებული უნდა იყოს გამოვლენის პროცესში.

14. მნიშვნელოვანი ეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში კონსულტაციები უნდა ჩატარდეს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესაბამის ოფიციალურ პირებთან (მუხლ. 5.2), და საზოგადოების წარმომადგენლებს უნდა მიეცეს მონაწილეობის საშუალება (მუხლ. 5.3). თუმცა, გეგმებისა და პროგრამების დიდი ნაწილი არ გახდება მნიშვნელოვანი ეფექტების საგანი, რადგან უკვე გარკვეული იქნება ექვემდებარებიან თუ არა ისინი SEA –ს.

15. მე-5.4 მუხლის მიხედვით, ოფიციალურმა პირებმა საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადონ მნიშვნელოვანი ეფექტების აღმოჩენის ნებისმიერი შემთხვევა (ე.ი. მუხლი.5-ის განხორციელება), მიუხედავად იმისა, როდის მოხდა მისი გამოვლენა, თითოეული პუნქტის განხილვისას თუ გეგმებისა და პროგრამების სახეობების სიების მომზადებისას(იხ. ქვემოთ). ინფორმაცია, რომელიც უნდა გასაჯაროვდეს, შეიცავს:

- X შემოწმების (ტესტირების) შედეგებს, ე.ი. არის თუ არა გეგმა/პროგრამა ან მათი ტიპი SEA-ს განხორციელების საგანი.
- X მიზეზებს, თუ რატომ არ არის საჭირო SEA-ს განხორციელება, თუ დასკვნა უარყოფითია.

16. SEA-ს საჭიროების დადგენის პროცესი უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ დავიხმართ გეგმებისა და პროგრამების სახეობების სიას, რომლებიც ყოველთვის (ან ზოგადად) ექვემდებარება SEA-ს. სიის შედგენის შესახებ საუბარია ქვემოთ, ა3.4 ნაწილში.

### ა3.3 ტესტების დეტალური აღწერა

17. ამ ნაწილში ჩამოთვლილია მეთოდები, რომლითაც ირკვევა ექვემდებარება თუ არა კანდიდატი გეგმა, ან პროგრამა SEA –ს, მოცემულია 9 ტესტი, რომლებიც პროტოკოლის განხორციელების სფეროს ეხება (მუხლი.2.5 და მუხლი. 4). მეათე ტესტი (მნიშვნელოვანი ეფექტების აღმოჩენა, მუხლი. 5) საჭიროა იმის დასადგენად, ექნება თუ არა გეგმას/პროგრამას მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტი.
18. დიაგრამა ა3.1 გვიჩვენებს, როგორ გამოვიყენოთ შესაბამისი დებულებები იმისათვის, რომ შევქმნათ მეთოდი, რომლითაც დავადგენთ ექვემდებარება თუ არა კონკრეტული გეგმა/პროგრამა SEA –ს. დიაგრამაში მოცემული თითოეული ტესტი დეტალურადაა ამ სექციაში აღწერილი.

გეგმის/პროგრამის განმარტება (მუხლი. 2.5)	
	<i>ტესტი 1</i> არის თუ არა გეგმა/პროგრამა (ან მისი მოდიფიკაცია) მოთხოვნილი სამართლებრივი, რეგულაციური ან ადმინისტრაციული დებულებებით? (მუხლი. 2.5 (ა))
	<i>ტესტი 2</i> არის გეგმა/პროგრამა ოფიციალური პირის მიერ მომზადების და/ან დამტკიცების საგანი, თუ მომზადებულია ოფიციალური პირის მიერ, ოფიციალური პროცედურების დაცვით, პარლამენტში ან მთავრობის მიერ დასამტკიცებლად? (მუხლი. 2.5 (ბ))
განხორციელებისგან გათავისუფლება (მუხლი. 4.5)	
	<i>ტესტი 3</i> გეგმის/პროგრამის ერთადერთი მიზანია ეროვნული თავდაცვა ან სამოქალაქო უსაფრთხოება, თუ ეს ფინანსური ან საბიუჯეტო გეგმა / პროგრამაა? (მუხლი. 4.5)
სავალდებულო განხორციელება (მუხლი. 4.2)	
<i>ტესტი 4</i>	გეგმა/პროგრამა მზადდება სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ენერჯო სისტემის, მრეწველობის (სამთო მომპოვებელის ჩათვლით), ტრანსპორტის, რეგიონული განვითარების, ნარჩენების მართვის, წყლის მართვის, ტელეკომუნიკაციების, ტურიზმის, ქალაქ და სოფელ დაგეგმარებისა და მიწათსარგებლობის საკითხთან დაკავშირებით? (მუხლი. 4.2)
<i>ტესტი 5</i>	განსაზღვრავს თუ არა გეგმა/პროგრამა მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოებს, პროტოკოლის I დანართში ჩამოთვლილი პროექტებისთვის? (მუხლი.4.2)
<i>ტესტი 6</i>	განსაზღვრავს თუ არა გეგმა/პროგრამა მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოებს, პროტოკოლის II დანართში ჩამოთვლილი სხვა პროექტებისთვის?, (მუხლი.4.2)
<i>ტესტი 7</i>	ექვემდებარება თუ არა II დანართში ჩამოთვლილი პროექტები გზმ-ს ეროვნული კანონმდებლობით? (მუხლი. 4.2)


არა სავალდებულო განხორციელება (მუხლი. 4.3 და 4.4)	
	<i>ტესტი 8</i> განსაზღვრავს თუ არა გეგმა/პროგრამა მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოებს პროექტებისთვის, მიუხედავად იმისა, ხვდება თუ არა ეს პროექტები I ან II დანართში? (მუხლი. 4.3)

მცირე არეალის გამოყენება თუ იგი წარმოადგენს არსებული გეგმის/პროგრამის უმნიშვნელო მოდიფიკაციას? (მუხლი. 4.4)

მნიშვნელოვანი ეფექტების გამოვლინება (მუხლი. 5.1)

ტესტი 10 მოსალოდნელია, რომ გეგმას/პროგრამას მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდეს გარემოზე (III დანართში ასახული კრიტერიუმების გათვალისწინებით)? (მუხლი.5.1)

დიაგრამაპ.1: სახელმძღვანელო, როგორ უნდა გავარკვიოთ ექვემდებარება თუ არა კონკრეტული გეგმა / პროგრამა პროტოკოლის მიხედვით SEA –ს





## ტესტი 1

არის თუ არა გეგმა/პროგრამა (ან მისი მოდიფიკაცია) მოთხოვნილი სამართლებრივი, რეგულაციური ან ადმინისტრაციული დებულებებით? (მუხლი. 2.5 (ა))

19. თუ კანდიდატი გეგმა/პროგრამა პირველ ტესტს არ ექვემდებარება, მაშინ არ არის საჭირო SEA-ს განხორციელება პროტოკოლის თანახმად. თუ პირველი ტესტი გაიარეთ, გადადით მეორეზე.
20. პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, როგორ უნდა მოხდეს გეგმის/პროგრამის იდენტიფიცირება. ნათელია, რომ სახელწოდება არ არის შესაფერისი ინდიკატორი: გეგმის/პროგრამის სახელწოდება შეიძლება არ იყოს აღნიშნული პროტოკოლის განმარტებებში, შესაბამისად, პროტოკოლი ვერ განხორციელდება მასზე.
21. ასევე, გეგმები და პროგრამები ყოველთვის არ არის დასათაურებული; პოლიტიკა, პროექტი, გაიდლაინი და სტრატეგია – ეს რამდენიმე იმ სახელწოდებებს შორის, რომლებიც გეგმებსა და პროგრამებს ენიჭება. საჭიროა, რომ თავიდანვე გადავწყვიტოთ თუ რომელს განეკუთვნება გეგმა, ან პროგრამა. აქვე გთავაზობთ EC გზამკვლევის რამდენიმე მინიშნებას:
  - X ამოიცანით პროტოკოლის ფართო მასშტაბი და მიზანი.
  - X გაითვალისწინეთ მასშტაბი, რომლის ფარგლებშიც აქტივობას მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტი ექნება.<sup>24</sup>
  - X გაითვალისწინეთ ნებისმიერი ფორმალური განაცხადი, რომელშიც ნათლადაა ჩამოყალიბებული მომავალი მოქმედების გეგმა.
  - X გეგმების მაგალითები მოიცავს:
    - დოკუმენტს, სადაც ჩამოყალიბებულია სქემის ან პოლიტიკის განხორციელების მეთოდი.
    - მიწათსარგებლობის გეგმები და განვითარების კრიტერიუმი
    - ნარჩენების მართვის გეგმა
    - წყლის რესურსების გეგმა
    - ტრანსპორტის გეგმა.
  - X პროგრამა შეიძლება შედგებოდეს მოცემულ არეალში პროექტების ნაკრებისგან, მაგ. სხვადასხვა სამშენებლო პროექტებისგან შემდგარი ურბანული ზონის რეგენერაციის სქემა.
22. არ არის აუცილებელი ერთმანეთისგან განვასხვავოთ გეგმა და პროგრამა, რადგან პროტოკოლი მათ თანაბრად განიხილავს.
23. პროტოკოლი ასევე ახორციელებს მოდიფიკაციებს გეგმებსა და პროგრამებში. ასეთი მოდიფიკაციის კარგი მაგალითია, როცა ხდება მიწათმოქმედების არსებული გეგმის რეგულარული გადახალისება (შეიძლება ყოველ ხუთ წელიწადში); გადასინჯული გეგმის მომზადება, ჩვეულებრივ, დაექვემდებარება SEA-ს. შესაძლებელია, რომ უმნიშვნელო მიზეზის გამო პროგრამის ან გეგმის მოდიფიკაცია (მაგ. ცვლილება ერთეულ პროექტში, რაც არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს გეგმის/პროგრამის მიერ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით) შეიძლება გათავისუფლდეს SEA –გან, მაგრამ, როგორც წესი, გათავისუფლება უნდა მოხდეს გულდასმით განხილვის შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარია შემოწმდეს, ექნება თუ არა მოდიფიკაციას რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა გარემოზე.
24. გეგმის/პროგრამის მოდიფიკაციამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი

<sup>24</sup>პარ. 3.4 EC მეგზური.



ეფექტი, რაც ჯერ არ ყოფილა შეფასებული. ასეთი ეფექტი შეიძლება წარმოშვას მოდიფიკაციის ბუნებამ, ან გარემოს მდგომარეობის შეცვლამ.

25. მხარეებს შესაძლოა სურდეთ ისეთი სიტუაციის გათვალისწინება, როცა მათი ცოდნა (აქტივობების, გარემოს მდგომარეობის ან ეფექტების შესახებ) გაღრმავდა გეგმის/პროგრამის ორიგინალური ვერსიის ჩამოყალიბების შემდეგ, ან როცა ორიგინალური გეგმა/პროგრამა არ ექვემდებარებოდა SEA-ს იმის გამო, რომ მისი დამტკიცების თარიღი წინ უსწრებდა SEA კანონის ძალაში შესვლას.
26. მოცემულ სახელმძღვანელოში ხსენებული გეგმები და პროგრამები ასევე გულისხმობს არსებულ გეგმებსა და პროგრამებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.
27. გეგმა/პროგრამა (ან მისი მოდიფიკაცია) უნდა იყოს სამართლებრივი, რეგულაციური ან ადმინისტრაციული დებულების მოთხოვნა. შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი გეგმა/პროგრამა, რომელიც არ ექვემდებარება SEA-ს და ამ დებულებების მიხედვით არ წარმოადგენს სავალდებულო ღონისძიებას. „ადმინისტრაციული დებულებები წარმოადგენს ფორმალურ მოთხოვნას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც, ჩვეულებრივ არ ხორციელდება, იმავე პროცედურების დაცვით, რომლებიც საჭირო იქნებოდა ახალი კანონებისთვის, რომლებიც არ არის აუცილებელი რომ სრულად იყოს ძალაში შესული“. (EC გზამკვლევი, პარ. 3.16). ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული დებულებები თავად არ წარმოადგენს სამართლებრივ ვალდებულებას, გეგმებსა და პროგრამებს ადმინისტრაციული დებულებების თანახმად მოეთხოვება პროტოკოლში ჩამოყალიბებულ განმარტებასთან შესაბამისობა. გაერთიანებული სამეფოს SEA დირექტივის<sup>25</sup> პრაქტიკულ გზამკვლევაში აღნიშნულია:  
„ ადმინისტრაციული დებულების“ მახასიათებლები სავარაუდოდ იგივე იქნება, რაც საჯაროდაა ცნობილი, მაგრამ მომზადდება უფრო ფორმალური სახით და მოიცავს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან. ადმინისტრაციულ დებულებებს უნდა ჰქონდეს ოფიციალური სახე, რათა „დებულების“ უფლებამოსილება შეიძინოს და უნდა დაიწეროს ისეთი ენით, რომ მათში ნათლად ჩანდეს გეგმის პროგრამის მომზადების შესახებ დაყენებული მოთხოვნა და არ ჰკავდეს მხოლოდ წამახალისებელ ზომას.

<i>ტესტი 2</i>	ექვემდებარება თუ არა გეგმა/პროგრამა ოფიციალური პირის მიერ მომზადებას და/ან დამტკიცებას, თუ იგი მომზადდა ოფიციალური პირის მიერ, ოფიციალური პროცედურების დაცვით, პარლამენტისთუ მთავრობის მიერ დასამტკიცებლად? (მუხლი. 2.5 (ბ))
----------------	--

28. თუ კანდიდატი გეგმა/პროგრამა მეორე ტესტს არ ექვემდებარება, მაშინ არ არის საჭირო SEA-ს განხორციელება პროტოკოლის თანახმად. თუ მეორე ტესტი გაიარეთ, გადადით მესამეზე
29. გეგმა/პროგრამა უნდა იყოს ოფიციალური პირის მიერ მოზადების და/ან დამტკიცების საგანი. გათვალისწინებულია EC გზამკვლევის რამდენიმე მინიშნებას (პარ. 3.11–3.13):
  - X ოფიციალური პირის მიერ გეგმის/პროგრამის მომზადება, ან დამტკიცება მოცემული ტესტის დაკმაყოფილებას ნიშნავს.
  - X გეგმა/პროგრამა შეიძლება მომზადდეს ერთი ოფიციალური პირის მიერ, მაგრამ დამტკიცდეს სხვა ოფიციალური პირის მიერ. ამ შემთხვევაშიც ტესტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება.
  - X ოფიციალური პირი შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად:  
ნებისმიერი იურიდიული ფორმის მქონე უწყება, მიუხედავად მისი უფლებამოსილების იურისდიქციისა (ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი), რომელიც სახელწიფოს მიერ მიღებული ზომების შესაბამისად, პასუხისმგებელია სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ საზოგადოებრივი მომსახურების განხორციელებაზე, და ამ მიზნით მინიჭებული აქვს დამატებით ძალაუფლება, გარდა იმ უფლებამოსილებისა, რომელიც ჩვეულებრივ, პიროვნებებს შორის ურთიერთობის წესებს არეგულირებს. (EC გზამკვლევი, პარ. 3.12).<sup>26</sup>

<sup>25</sup> სტრატეგიული ეკოლოგიური შეფასების დირექტივის პრაქტიკული გზამკვლევი (დიდი ბრიტანეთი, პრემიერ მინისტრის მოადგილის ოფისი, 2005), პარ. 2.6. იხ <http://www.communities.gov.uk/publications/planningandbuilding/practicalguidesesa>

<sup>26</sup> იხ. აგრეთვე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ფოს ტერი დ ს ხ ე ე ბ ი კომპანია ბ რ ი თ ი შ გ ა ზ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ*, საქმე C-188/89. ბმულზე: [http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga\\_doc?smartapi!celexplus!prod!CELEXnumdoc&lg=en&numdoc=61989J01 88](http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?smartapi!celexplus!prod!CELEXnumdoc&lg=en&numdoc=61989J01 88)

- X ოფიციალური პირი შეიძლება იყოს, მაგალითად, პრივატიზებული კომუნალური საწარმო, რომელიც ამზადებს ისეთ გეგმებს, რომლებიც „არა პრივატიზებულ რეჯიმში მომზადდებოდა სახელმწიფო ორგანოს მიერ“, თუმცა აქ არ იგულისხმება ასეთი საწარმოს მიერ საკუთარი კომერციული მიზნებისთვის შემუშავებული გეგმები, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო სახელმწიფო ორგანოს როლთან.
- 30. „ოფიციალური პირის მიერ მისამზადებელი და/ან დასამტკიცებელი“ გეგმის/პროგრამის ალტერნატიულად, გეგმა/პროგრამა შეიძლება „მომზადდეს ოფიციალური პირის მიერ, პარლამენტის ან მთავრობის მიერ ოფიციალური პროცედურების დაცვით დასამტკიცებლად“ (SEA პროტოკოლი, მუხლი. 2.5 (ბ)), როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება რამდენიმე ქვეყანაში. პროტოკოლში პარლამენტი და მთავრობა მოცემულია ზოგადად, რადგან ასეთი ფუნქციის მატარებელი ორგანო შეიძლება რამდენიმე იყოს სახელმწიფოში მართვის სხვადასხვა დონეზე (მაგ. ეროვნული, რეგიონული, რაიონული, ადგილობრივი). (იხ. EC გზამკვლევი, პარ. 3.14.)

<i>ტესტი 3</i>	გეგმის/პროგრამის ერთადერთი მიზანია ეროვნული თავდაცვა ან სამოქალაქო უსაფრთხოება, თუ ეს ფინანსური ან საბიუჯეტო გეგმა / პროგრამაა? (მუხლი. 4.5)
----------------	--

- 31. თუ კანდიდატი გეგმა/პროგრამა მესამე ტესტს ექვემდებარება, მაშინ არ არის საჭირო SEA-ს განხორციელება პროტოკოლის თანახმად. თუ მესამე ტესტს არ ექვემდებარება, მაშინ გადადით მეოთხეზე.
- 32. გთავაზობთ EC გზამკვლევის რამდენიმე მინიშნებასამ ტესტისთვის (იხ.პარ. 3.62–3.63):

- X გათავისუფლება ეხება იმ გეგმებსა და პროგრამებს, რომელთა ერთადერთი მიზანია ეროვნული თავდაცვის ან სამოქალაქო უსაფრთხოების მომსახურება. გათავისუფლება არ ეხება იმ გეგმებსა და პროგრამებს, რომლებშიც ასეთივე მიზნის მხოლოდ რამდენიმე ელემენტი შედის.
- X სამოქალაქო უსაფრთხოებაში შედის ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფები. გეგმა/პროგრამა უნდა მომზადდეს უკვე მომხდარი, კონკრეტული საგანგებო მდგომარეობის პასუხად, და არა როგორც პრევენციული ზომა. (მაგ. ტყის ხანძრის პრევენციის დაგეგმვა).
- X საბიუჯეტო გეგმები შეიძლება შეიცავდეს ბიუჯეტებს სხვადასხვა სამთავრობო და ოფიციალური წყაროებიდან. ფინანსური გეგმები შეიძლება შეიცავდეს პროექტის დაფინანსებას, ან ფინანსების განაწილებას.

<i>ტესტი 4</i>	გეგმა/პროგრამა მზადდება სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ენერჯო სისტემის, მრეწველობის (სამთო მომპოვებელის ჩათვლით), ტრანსპორტის, რეგიონული განვითარების, ნარჩენების მართვის, წყლის მართვის, ტელეკომუნიკაციების, ტურიზმის, ქალაქის და სოფლის დაგეგმარებისა და მიწათსარგებლობის საკითხთან დაკავშირებით? (მუხლი. 4.2)
----------------	--

- 33. კანდიდატი პროგრამა/გეგმა, რომელმაც ამ ტესტს მიაღწია, შეესაბამება პროტოკოლის 2.5 მუხლში აღწერილ განმარტებას გეგმისა და პროგრამის შესახებ. მე-4, მე-5 და მე-6 ტესტი ერთად ახორციელებს პროტოკოლის 4.2 მუხლს. თუ მე-4 ტესტს ვერ გაივლით, მაშინ გადადით პირდაპირ მე-8 ტესტზე, რომელიც არ ნიშნავს, რომ გეგმა/პროგრამა არ ექვემდებარება SEA-ს: მუხლი 4.3 ადგენს, რომ ის მიუხედავად ამისა შეიძლება იყოს SEA-ს საგანი. თუ მე-4 ტესტი დადებითად გაიარეთ, მაშინ გადადით მე-5-ზე.
- 34. ამავე ტესტში დასმულია კითხვა, ეხება თუ არა გეგმა/პროგრამა ჩამოთვლილი სექტორებიდან რომელიმეს. ტერმინები „ქალაქისა და სოფლის დაგეგმარება“ და „მიწათ-სარგებლობის დაგეგმარება“ სხვადასხვა ქვეყნებში დამკვიდრებული ტერმინებია და ხანდახან ურთიერთ ჩანაცვლებით იხმარება. (იხ. EC გზამკვლევი, პარ. 3.31.)

განსაზღვრავს თუ არა გეგმა/პროგრამა მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოებს, პროტოკოლის I დანართში ჩამოთვლილი პროექტებისთვის? (მუხლი.4.2)

ტესტი 5

35. ამ ეტაპზე კითხვა ისმის, ადგენს თუ არა კანდიდატი გეგმა/პროგრამა I დანართში ჩამოთვლილი პროექტებისათვის რაიმე სტრუქტურას. თუ ამ ტესტის პასუხი უარყოფითია, გადადით მე-6 ტესტზე, და გაარკვეით, არის თუ არა პროექტი II დანართის ჩამონათვალში; თუ ამ ტესტზე პასუხი დადებითია, მაშინ გადადით პირდაპირ მე-9-ზე.
36. გეგმაში/პროგრამაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს პროექტებთან მომავალი შეთანხმებული განვითარების ჩარჩო-სტრუქტურა. გათვალისწინეთ EC გზამკვლევის რამდენიმე მინიმუმებსამ მიმართულებით (პარ. 3.23–3.28):
- X “პროექტებთან მომავალი შეთანხმებული განვითარების ჩარჩო-სტრუქტურის“ მნიშვნელობა გადაწყვეტია დირექტივის ინტერპრეტაციის დროს, თუმცა ტექსტში არ არის რაიმე სახის განმარტება მოცემული. ეს წინადადება ნიშნავს, რომ გეგმა/პროგრამა შეიცავს კრიტერიუმებს ან პირობებს, რომლებიც შესაბამის ოფიციალურ პირს მიანიშნებს, რომ საუბარია შეთანხმებულ განვითარებაზე. ასეთ კრიტერიუმებში შეიძლება მოცემული იყოს შეზღუდვები ისეთი აქტივობის ან განვითარების სახეობასთან დაკავშირებით, რომლებსაც მოცემულ არეალში სპეციალური ნებართვა ჭირდება; ან შესაძლოა, შეიცავდეს პირობებს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია ნებართვის მისაღებად; ან, ისე იყოს შემუშავებული, რომ ითვალისწინებდეს მოცემული არეალის გარკვეული მახასიათებლების დაცვას (მაგ, მიწათსარგებლობის ისეთი ფორმები, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს)” (პარ.3.23).
  - X იგივე ტერმინია გამოყენებული III დანართშიც (პარ. 2), და იქვეა ჩამოთვლილი გზები, თუ როგორ შეიძლება ჩარჩო-სტრუქტურის ჩამოყალიბება: ადგილმდებარეობის, ბუნების, ზომისა და სამოქმედო პირობების, ან რესურსების გამოყოფით. EC გზამკვლევი გვიჩვენებს, რომ დირექტივაში მოცემული სია არის „მანიშნებელი, მაგრამ არ არის ამომწურავი“. „რესურსები“ შეიძლება იყოს ბუნებრივი, ადამიანური ან ფინანსური, ამდენად არ უნდა დაგვავიწყდეს ფინანსური და საბიუჯეტო გეგმების/პროგრამების გამორიცხვა (პარ. 4.5). EC გზამკვლევი ასევე გვიჩვენებს, „ფინანსური რესურსების ზოგადი ასიგნება არ იქნება ჩარჩო-სტრუქტურის ჩამოყალიბების შესატყვისი“ (პარ. 3.25). ამის ნაცვლად, რესურსების ასიგნება უნდა განაპირობებდეს ნებართვის გაცემას, მაგ. მოქმედებათა გეგმის განსაზღვრით ან გადაწყვეტილების შეზღუდვით, რათა ჩათვალოს ჩარჩო-სტრუქტურის განმსაზღვრელად.
  - X როგორც EC გზამკვლევაში აღნიშნული, „ზოგადად, მიწათ-სარგებლობის გეგმები მოიცავს კრიტერიუმებს, რომლებიც ადგენს თუ რა სახის განვითარებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი კონკრეტულ ტერიტორიაზე და წარმოადგენს ისეთი გეგმის ტიპურ მაგალითს, რომელიც ადგენს მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოებს“ (პარ. 3.26). ასეთ გეგმაში საჭიროაერთი, ან მეტი ამომწურავი ან არა-ტრივიალური პირობის არსებობა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომავალი განვითარების ნებართვებთან.
  - X გეგმებში/პროგრამებში პირობები ამ სახით იქნება ჩამოყალიბებული თუ პირდაპირ, დამტკიცების შემდეგ თანხმობაში მოდის პროექტებთან. მაგალითად, ურბანული რეგენერაციის პროგრამა შეიძლება შედგებოდეს მთელი რიგი სამშენებლო პროექტებისგან, რომლებიც პროგრამის პირობებს აკმაყოფილებენ.
  - X სექტორულ გეგმაში და პროგრამაში შეიძლება განმარტებული იყოს მომავალი განვითარების (დეველოპერული) პროექტებისთვის ადგილის მიერი, ან ტექნოლოგიური პირობები, მაგალითად, განმარტება იმის თაობაზე, თუ სად შეიძლება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) განვითარება, ან ტრანსპორტის რა ფორმა უნდა იყოს გამოყენებული.
37. პროტოკოლის I დანართში მოცემული სია ძალიან ჰგავს SEA დირექტივის პირველ დანართში მოცემულ სიას, თუმცა, არ არის იდენტური (დანართი I, EU დირექტივა 85/337/EEC, 27 ივნისი 1985 წელი, გარემოზე ზოგიერთი საჯარო და კერძო პროექტების გავლენის შეფასების შესახებ; შესწორებულია 1997 წლის 3 მარტის EC დირექტივით 97/11/EC (გზმდირექტივა)). (EU წევრ სახელმწიფოებსაც აქვთ ვალდებულება

განახორციელონ ჰაბიტატების შესახებ<sup>27</sup>დირექტივაში მოცემული ტესტი, როგორც ამოყენებულია EC გზამკვლევის 3.32 პარაგრაფში).

<i>ტესტი 6</i>	განსაზღვრავს თუ არა გეგმა/პროგრამა მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოებს, პროტოკოლის II დანართში ჩამოთვლილი სხვა პროექტებისთვის?, (მუხლი.4.2)
<i>ტესტი 7</i>	ექვემდებარება თუ არა II დანართში ჩამოთვლილი პროექტები გზმ-ს ეროვნული კანონმდებლობით?

38. ეს ორი ტესტი შეიძლება ერთად გავითვალისწინოთ. თუ ერთ-ერთ მათგანზე პასუხი უარყოფითია, მაშინ გადადით პირდაპირ მე-8 ტესტზე. თუ ორივეზე პასუხი დადებითია, მაშინ გააგრძელეთ მე-9 ტესტიდან.
39. მე-6 ტესტი მე-5-ს მსგავსია, და შესაბამისად, მსგავსია პროტოკოლის II დანართში მოცემული სიაც, მაგრამ არ არის SEA-ს დირექტივის შესაბამისი სიის იდენტური. მიუხედავად ამისა, მე-7 ტესტი გვაცნობს პროტოკოლსა და დირექტივას შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებს: პროტოკოლის II დანართში ჩამოთვლილი პროექტები, რომლებსაც ეროვნული კანონმდებლობით არ ესაჭიროება გზმ, არ შედის სიაში. ამის საპირისპიროდ, SEA დირექტივის შესაბამისი სიის ყველა პროექტი ითვლება, იმის მიუხედავად, საჭიროებს თუ არა ეროვნული კანონმდებლობით გზმ-ს.

<i>ტესტი 8</i>	განსაზღვრავს თუ არა გეგმა/პროგრამა მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოებს პროექტებთან, მიუხედავად იმისა, ხვდება თუ არა ეს პროექტები I ან II დანართში? (მუხლ. 4.3)
----------------	---

40. თუ კანდიდატი გეგმა/პროექტი ვერ გადალახავს მე-4, მე-6 ან მე-7 ტესტებს, ის მაინც დაექვემდებარება SEA-ს, თუ გადალახავს მე-8 და მე-10 ტესტებს. თუ მე-8 ტესტზე პასუხი უარყოფითია, მაშინ პროტოკოლის მიხედვით SEA არ განხორციელდება.
41. მუხლი 4.3 უფრო აფართოვებს პროტოკოლის მასშტაბს და მოიცავს ისეთ გეგმებსა და პროგრამებს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია პროექტების მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოები და გააჩნია მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტი. ამ დებულებაში შედის იმ სექტორის პროექტები, რომლებზეც არ არის საუბარი 4.2 მუხლში (ტესტი 4), და პროექტები, რომლებიც მითითებულია ხსენებულ მუხლში, მაგრამ არ შედის დანართების ჩამონათვალში (ტესტები 5, 6 და 7).

<i>ტესტი 9</i>	ვლინდება გეგმაში/პროგრამაში ადგილობრივ დონეზე მხოლოდ მცირე არეალის გამოყენება, ან იგი წარმოადგენს არსებული გეგმის/პროგრამის უმნიშვნელო მოდიფიკაციას? (მუხლ. 4.4)
----------------	--

42. თუ ამ ტესტის პასუხი უარყოფითია, მაშინ პროტოკოლის მიხედვით საჭიროა SEA-ს

<sup>27</sup> საბჭოს დირექტივა 92/43/EEC 1992 წლის 21 მაისი, ბუნებრივი ჰაბიტატების და ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ.

განხორციელება. მაშინაც კი, თუ ტესტის პასუხი დადებითია, გეგმა/პროგრამა მაინც არ თავისუფლდება ავტომატურად, რადგან საჭირო გახდება მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტების დადგენა (ტესტი 10).

43. გათვალისწინეთ EC გზამკვლევის რამდენიმე მინიშნებასამ მიმართულებით (იხ. პარ. 3.33–3.36):

- X სიტყვა „მცირე“-ს განმარტებას „ყურადღებით დაკვირვება ჭირდება“, რადგან შეიძლება განხვავებული მნიშვნელობები ჰქონდეს სხვადასხვა ქვეყნისა თუ ქვეყნის შიგნით ტერიტორიისთვის. მაგალითად, „მცირე“ შეიძლება სხვაგვარად იქნას ინტერპრეტირებული როცა ისტორიულ ქალაქზეა საუბარი, ვიდრე, როცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე. EC გზამკვლევაში მოცემულია „შენობის გეგმის“ მაგალითი, სადაც შეზღუდულ ტერიტორიაზე მშენებლობის სპეციფიკური პირობებია ჩამოთვლილი
- X “ადგილობრივი დონე”, ნაცვლად უბრალოდ „ადგილობრივისა“, შეიძლება გამოხატავდეს ადგილობრივი ოფიციალური ორგანოს დონე. „მცირე ტერიტორია ადგილობრივ დონეზე“ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს მთელი ადგილობრივი ოფიციალური ორგანოს ტერიტორიის გათვალისწინების პრევენციისთვის (ე.ი. როცა ტესტი 9 გავლილია).
- X “მცირედი მოდიფიკაცია” უნდა გავითვალისწინოთ მაშინ, თუ ასეთ ცვლილებებს სავარაუდოდ ექნება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტი და ადგილი არ ექნება მხოლოდ გეგმის ან პროგრამის დონეზე ცვლილებას.
- X მნიშვნელოვანი ეფექტები ყველაზე საყურადღებო კრიტერიუმია მე-8 და მე-9 ტესტებში.

<i>ტესტი 10</i>	მოსალოდნელია, რომ გეგმას/პროგრამას მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდეს გარემოზე (III დანართში ასახული კრიტერიუმების გათვალისწინებით)? (მუხლი.5)
-----------------	--

44. აქ საჭიროა მხოლოდ შევამოწმოთ გეგმის/პროგრამის სავარაუდო მნიშვნელოვანი ეფექტები, რაც პროტოკოლისეულ განმარტებას შეესაბამება (მუხლი. 2.5, ტესტები 1 და 2), და არ ყოფილა აქამდე ნათლად გამოვლენილი SEA-ს საჭიროება გეგმებისა და პროგრამების სახეობების სიის მიხედვით, და, აგრეთვე, ხომ არ ექვემდებარება ჩამოთვლილიდან ერთ-ერთ კრიტერიუმს:

- X განეკუთვნება ჩამონათვალიდან ერთ-ერთ სექტორს და შეტანილია I ან II დანართში(მოთხოვნა დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით) (მუხლი. 4.2, ტესტები 4–7), მაგრამ განსაზღვრავსადგილობრივ დონეზე მცირე ფართობის გამოყენებას, ან მის უმნიშვნელო მოდიფიკაციას (მუხლი. 4.4, ტესტი 9), ან
- X ჩამოყალიბებულია პროექტების მომავალი განვითარების ნებართვის ჩარჩოები, მიუხედავად იმისა, შეტანილია თუ არა ეს პროექტები I ან II დანართში (მუხლი. 4.3, ტესტი 8).

45. ამ ტესტის მთავარი თვისებებია (მუხლი. 5):

- X მნიშვნელოვანების განმსაზღვრელი დასადგენი კრიტერიუმების ანალიზი (SEA დირექტივის III დანართში, ისევე როგორც II დანართში).
- X ოფიციალურ პირებთან სავალდებულო კონსულტაციები.
- X საზოგადოების ჩართულობა არჩევითია.
- X შედეგების გასაჯაროება.

46. მაშინ როცა ადრეული ტესტების (1–9, განხორციელების სფერო) ჩატარება შეიძლება ოფიციალური პირის შიდა ძალებით, მე-10 ტესტი (მნიშვნელოვანი ეფექტების გამოვლენა) მოითხოვს სულ მცირე გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებს. მე-10 ტესტი სრულყოფილად უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას, თუმცა ეს დებულება არ არის სავალდებულო (და არ წარმოადგენს SEA დირექტივის მოთხოვნას). საზოგადოების ჩართულობის და ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების დეტალური განმარტებამოცემულია [4 თავში](#), დაქვეთავებშია [4.3](#) და [4.4](#).

47. პროტოკოლი მოითხოვს, რომ მნიშვნელოვანი ეფექტების ნებისმიერი გამოვლინება გახდეს საჯაროდ ცნობილი, წინა ტესტებისაგან განსხვავებით. ეს საკითხი განხილულია ზემოთ 15 პარაგრაფში და 55 პარაგრაფში, ქვემოთ.
48. ამ ტესტმა მხედველობაში უნდა მიიღოს გეგმის/პროგრამის და მისი ეფექტების მახასიათებლებისთვის შედგენილი კრიტერიუმები (“მნიშვნელოვანების კრიტერიუმები”), რომლებიც III დანართშია მოცემული:
- X მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანა.
  - X რა დონეზეა პროექტების ჩარჩო-სტრუქტურა ჩამოყალიბებული.
  - X გავლენა სხვა გეგმებსა და პროგრამებზე.
  - X შესაბამისი ეკოლოგიური პრობლემები.
  - X მოსალოდნელი ეფექტების ხასიათი, ტრანსსასაზღვროს ჩათვლით.
  - X რისკები.
  - X გავლენა ღირებულ და მოწყვლად ფართობებზე.
49. ყველა კრიტერიუმი შეიძლება ერთ ჯგუფად იქნას გათვალისწინებული და ექსპერტების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდეს, თუ რომელი კრიტერიუმი შეესაბამება მათ. თუ შეუძლებელია იმის დადგენა ექნება თუ არა გეგმას/პროგრამას მნიშვნელოვანი ეფექტი, რეკომენდებულია, რომ SEA განხორციელდეს, როგორც თავის დაზღვევის ზომა.
50. EC გზამკვლევი გვიჩვენებს, რომ SEA დირექტივის ეკვივალენტური დებულებისთვის, როცა მნიშვნელოვან კრიტერიუმებზე დაფუძნებული გეგმებისა თუ პროგრამებისთვის გამოიყენება ხარისხობრივი კრიტერიუმი ან ზღვარი, „უმჯობესია თავი ავარიდოთ {მნიშვნელოვანების საზომ კრიტერიუმს} . . . რომელიც ეფუძნება მხოლოდ პროექტის ზომას ან ფინანსურ ზღვარს, ან, გეგმის/პროგრამის მიერ მოცულ ფიზიკურ არეალს (პარ. 3.47).
51. EC გზამკვლევი ასევე გვამდევს მაგალითს თუ რატომ არ არის რეკომენდებული ასეთი მიდგომა:<sup>28</sup> „მცირე მასშტაბიან პროექტსაც შეიძლება ჰქონდეს გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, თუ ის ხორციელდება ისეთ ფართობზე სადაც ეკოლოგიური ფაქტორები . . . ძალიან მგრძობიარეა უმნიშვნელო ცვლილებების მიმართაც კი. სწორედ ასევე, პროექტს ექნება მნიშვნელოვანი ეფექტი, როცა მისი ბუნებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ იგი გამოიწვევს არსებით ან გამოუსწორებელ ცვლილებებს იმავე ეკოლოგიურ ფაქტორებში, მიუხედავად თავისი ზომისა.“ (პარ. 3.60).
52. III დანართში მოცემული მნიშვნელოვანების კრიტერიუმებია განხილული ა.3.1 ცხრილში ქვემოთ. მნიშვნელოვანების გასარკვევად შეიძლება გამოვიყენოთ სხვა კრიტერიუმებიც. მუხლ.2.7-ში ჩამოყალიბებული „ეკოლოგიური რეცეპტორები“ და IV დანართში მოცემული ინფორმაცია შეიძლება გამოგვადგეს ამ კუთხით; მაგალითად, მოსალოდნელი ეფექტები კუმულაციური იქნება ან პერმანენტული. გარდა ამისა, SEA დირექტივა შეიცავს დამატებით 2 კრიტერიუმს, რომლებიც არ არის აღნიშნული პროტოკოლში, მაგრამ მნიშვნელოვანების გამოსავლენად კარგ დახმარებას გაგიწევს, ესენია:
- X ეფექტების კუმულაციური ხასიათი.
  - X იმ ფართობის ღირებულება და მოწყვლადობა, რომელიც შეიძლება დაზარალდეს:
    - სპეციფიკური ბუნებრივი მახასიათებლები ან კულტურული მემკვიდრეობა
    - გადაჭარბებული ეკოლოგიური ხარისხის სტანდარტები ან ზღვრული მნიშვნელობები
    - მიწის ინტენსიური გამოყენება.
53. III დანართში მოცემული მნიშვნელოვანების კრიტერიუმების ჩამონათვალი მათი პრიორიტეტულობის მიხედვით არ არის მოცემული, რადგან შეიძლება მათი დაჯგუფება: ზოგადად

<sup>28</sup> ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი რელევანტურ საქმეზე გზმ-შესახებ (*კომისიის რეგულაციის წინააღმდეგ*, 1999 წლის 21 სექტემბერი, საქმე C-392/96). გადაწყვეტილება იხ. [http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga\\_doc?smartapi!celexplus!prod!CELEXnumdoc&lg=en&numdoc=61996J03 92](http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?smartapi!celexplus!prod!CELEXnumdoc&lg=en&numdoc=61996J03 92)

რომ ვთქვათ, პირველი და მეოთხე შეიძლება დავუკავშიროთ გეგმის/პროგრამის ხასიათს, ხოლო მე-5 და მე-8 მისგან გამოწვეულ ეფექტებს.

54. თუ კრიტერიუმის მისადაგებით აღმოჩნდება რომ გეგმას ან პროგრამას ექნება მნიშვნელოვანი ეფექტი, მაშინ აღარ არის მნიშვნელოვანების გამოვლენის საჭიროება – ეს კრიტერიუმი საკმარისი იქნება SEA-ს დასაწყებად. თუმცა, მრავალი გეგმისა თუ პროგრამისთვის რთული იქნება იმის უტყუარად დადგენა, ექნება თუ არა გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა. სიტყვა „სავარაუდო“ ითვალისწინებს ამ სიტუაციას, რადგან ის საჭიროა მხოლოდ ეფექტის გონივრული ალბათობის დასადგენად.

ცხრილია3.1: III დანართის გზამკვლევი (მნიშვნელოვანების კრიტერიუმი)

III დანართის პარაგრაფი	სახელმძღვანელო (EC გზამკვლევიდან)
1. გეგმის/პროგრამის შესაბამისობა გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ინტეგრირების მიმართ; კონკრეტული მოსაზრებები მდგრადი განვითარების ხელშეწყობად	რა დონემდე შეუძლია გეგმას ან პროგრამას გარემოს მიმართ ზიანის შემცირებაში წვლილის შეტანა? გეგმა ან პროგრამა, რომელსაც გარემოზე ზემოქმედების ფართო მასშტბი აქვს, SEA-ს უტყუარი კანდიდატია. SEA-ს შეუძლია გაზარდოს გეგმის/პროგრამის წვლილი მდგრად განვითარებაში. (პარ. 3.53–3.54)
2. დონე, რომელზეც გეგმა/პროგრამა ადგენს პროექტებისა და სხვა აქტივობებისთვის ჩარჩო-სტრუქტურას, ადგილის, ბუნების, ზომის, სამოქმედო პირობების, ან რესურსების ასიგნების მიხედვით.	გეგმა/პროგრამა რაც უფრო ამომწურავად აყალიბებს ჩარჩო-სტრუქტურას, უფრო მოსალოდნელია, რომ დაექვემდებარება SEA-ს. კანონით სავალდებულო გეგმებსა და პროგრამებში ჩარჩო-სტრუქტურა უფრო მკაცრადაა განსაზღვრული, ვიდრე სხვებში. გეგმებსა და პროგრამებში, რომელთა ერთადერთი მიზანი პროექტებისათვის ჩარჩო-სტრუქტურის ჩამოყალიბებაა, ასევე მკაცრად განსაზღვრული ჩარჩო-სტრუქტურა იქნება მოცემული. (პარ. 3.51)
3. რა დონეზე ახდენს გეგმა/პროგრამა გავლენას იერარქიის სხვა გეგმებსა თუ პროგრამებზე	თუ გეგმა ან პროგრამა ძლიერ გავლენას ახდენს სხვა გეგმასა თუ პროგრამაზე, ასეთი გეგმის/პროგრამის ნებისმიერი ეკოლოგიური ეფექტი შეიძლება უფრო ფართოდ (ან ღრმად) გავრცელდეს. იერარქიაში უფრო მაღალ, ზოგად საფეხურზე მყოფი გეგმები და პროგრამები გავლენას ახდენენ დაბალი, დეტალური საფეხურის გეგმებსა და პროგრამებზე. სავარაუდოდ ძლიერი გავლენა ექნება სავალდებულო გეგმებსა და პროგრამებს, რომლებიც აუცილებლად განხორციელდება სხვა გეგმებისა და პროგრამების საშუალებით. ამდენად, სხვადასხვა გეგმებსა და პროგრამებს შორის ურთიერთობა ყურადღებით უნდა იქნას განხილული თითოეულ შემთხვევაში (პარ. 3.52)
4. გეგმის/პროგრამის შესაბამისი ეკოლოგიური პრობლემები	აქ ჩაითვლება ისეთი შემთხვევები სადაც გეგმა/პროგრამა იწვევს, ან ამწვავებს გარემოსდაცვით პრობლემას, ფერხდება ან ზარალდება ამ პრობლემებით, ან ხელს უწყობს მათ მოგვარებას, შემცირებას ან თავიდან აცილებას. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი იქნება გეგმის/პროგრამის შესაბამისი ეკოლოგიური პრობლემების ხასიათისა და სერიოზულობის დადგენა. (პარ. 3.55)
5. გარემოსდაცვითი (ჯანდაცვის ჩათვლით) ეფექტების ხასიათი, როგორცაა მათი მოსალოდნელობა, ხანგრძლივობა, სიხშირე, განმეორებადობა, მაგნიტუდა და ფართობი (მაგ გეოგრაფიული არეალი ან სავარაუდოდ დაზარალებულ მოსახლეობის რაოდენობა)	არსებობს მრავალი გაურკვევლობა, და შესაბამისად, არასაკმარისი ან გამოტოვებული მონაცემები და მათ შესახებ არაადეკვატური ცოდნა გაართულებს იმის დადგენას მოსალოდნელია თუ არა მნიშვნელოვანი ეფექტები. ასეც რომ იყოს, დადგენილია, რომ ყოველთვის უნდა შეგვეძლოს მოსალოდნელი ეფექტების თუნდაც უხეშად გათვლა. (პარ. 3.57)
6. გარემოსდაცვითი რისკები, ჯანდაცვის რისკების ჩათვლით	მოსალოდნელი ეფექტების ხასიათი და თვისებები გავლენას მოახდენს თავისივე მნიშვნელოვანებაზე იმ კონტექსტში, რომელშიც მოქმედებს – მაგ. მოსალოდნელი ეფექტები დაბალი სიხშირითაა ნავარაუდები (შემთხვევითი მოვლენები), თუ ხანგრძლივითი ხასიათი ექნება? უფრო მეტიც, რაც უფრო კომპლექსურია ეფექტი (სინერჯისა და აკუმულაციის გამო), მით უფრო ფართოდ ვრცელდება და უფრო სერიოზულ შედეგებს იწვევს, და შესაბამისად, უფრო მეტად „მნიშვნელოვან ეფექტად“ უნდა ჩავთვალოთ. (პარ. 3.58)
7. ტრანსსასაზღვრო ეფექტი გარემოზე 8. რა დონემდე ექნება გეგმას/პროგრამას ზეგავლენა ღირებულ ან მოწყვლად ფართობებზე, მათ შორის	



ეროვნული თუ  
საერთაშორისოდ აღიარებული  
დაცული სტატუსის მქონე  
ტერიტორიებზე

თანაბრად მნიშვნელოვანია ტერიტორია, რომელსაც შეექმნება საშიშროება გეგმის/პროგრამის ან მათი თანამდევი ეფექტების გამო. ყურადღების გამახვილება საჭიროა არა მხოლოდ იმ ფართობებზე, რომლებსაც დაცული ტერიტორიების სტატუსი აქვს მინიჭებული. სავარაუდო რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორიის კონკრეტული ღირებულება და მოწყვლადობა უფრო მეტად განაპირობებს ასეთ ადგილებზე მოსალოდნელი ეფექტების მნიშვნელოვნად მიჩნევას. (პარ. 3.59)

### 3.4 შესაძლო პრაქტიკული ზომები

#### შედეგების გასაჯაროება

55. როცა მნიშვნელოვანი ეფექტების აღმოჩენის შესახებ შედეგებს ვასაჯაროებთ, კარგი იქნება აღვნიშნოთ, როგორ იმუშავა გეგმა/პროგრამამ მნიშვნელოვანების თითოეული კრიტერიუმის მიმართ.
56. პროტოკოლი ინფორმაციის გასაჯაროებას გვირჩევს „საზოგადოებრივი საცნობარო და სხვა შესატყვისი საშუალებებით, როგორცაა, მაგ. ელექტრონული მედია“. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოების ფართო სპექტრისათვის.

#### გეგმების/პროგრამების სახეობათა სია

57. მიუხედავად იმისა, რომ პროტოკოლი არ მოითხოვს ამას, ზოგიერთმა სახელმწიფომ შეიძლება მოამზადოს იმ გეგმებისა და პროგრამების სახეობათა სია, რომლებიც SEA –ს ექვემდებარება, სადაც აღინიშნება, მაგალითად, რომელი სახეობის გეგმების/პროგრამებისთვისაა SEA სავალდებულო. თუ გეგმა/პროგრამა მკაფიოდ განეკუთვნება გეგმების და პროგრამების სახეობების პოზიტიურ (ან სხვა) სიას, მაშინ აღარ გახდება საჭირო დეტალურად განხილვა იმისა, ექვემდებარება თუ არა იგი SEA–ს.
58. მაგალითად, პოზიტიური სია შეიძლება მომზადდეს ისეთი გეგმების/პროგრამების სახეობების გამოვლენით, რომლებიც ყოველთვის ექვემდებარება SEA–ს. გეგმებისა და პროგრამების ასეთი სახეობების მაგალითები შეიძლება შეიცავდეს რეგულარულად გადამოწმებული მიწათსარგებლობის ან დეველოპერული გეგმები (რომლებიც ზოგ ქვეყანაში მთავრობის სხვადასხვა დონეზე მზადდება), ნარჩენების მართვის გეგმები, და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გეგმები და პროგრამები.
59. პოზიტიური სიის გარდა, შეიძლება მომზადდეს დისკრეციული სია, სადაც გამოვლინდება იმ გეგმებისა და პროგრამების სახეობები, რომლებიც ყოველთვის უნდა დაექვემდებაროს სათითაო პუნქტის დეტალურ განხილვას (მუხლი. 4), მათ შორის, საჭიროებისამებრ, მნიშვნელოვანი ეფექტების გამოვლენის მიზნით (მუხლი. 5).
60. თუ შეიქმნება ან მოხდება გეგმების/პროგრამების სახეობების ნეგატიური სიის შედგენა და გამოყენება, ყურადღება უნდა მიექცეს იმის უზრუნველყოფას, რომ გეგმა/პროგრამა, რომელიც ზიანს მიაყენებს მგრძობიარე არეალს, ან სხვაგვარად მოახდენს მნიშვნელოვან ეფექტს მასზე, არ იყოს შეცდომით გათავისუფლებული SEA–გან.
61. როგორც წესი, მთავრობას ან სხვა ორგანოებს შეუძლიათ შეადგინონ გეგმების/პროგრამების სახეობების ერთზე მეტი სია პროტოკოლის მე-4 მუხლის გამოყენებით (განხორციელების სფეროები) იმის დასადგენად, ექვემდებარება თუ არა ეს დოკუმენტები SEA–ს. შედგენილი სიები შეიძლება დარიგდეს როგორც სახელმძღვანელო პრინციპები ან შევიდეს ეროვნულ რეგულაციებსა და კანონებში. გეგმების/პროგრამების სახეობების სიის შედგენის პირველ ეტაპზე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები. მათ შეუძლიათ კონსულტაციები გაიარონ საზოგადოებასთანაც, თუმცა პროტოკოლი ამას არ ავალდებულებს. ზოგ მხარეს შეუძლია მაინც მოითხოვოს ასეთი კონსულტაციების ჩატარება შემოთავაზებულ ეროვნულ სახელმძღვანელოსთან, კანონებთან ან რეგულაციებთან დაკავშირებით.

## *თავი 14*

**თავი 14 გეგმებისა და პროგრამების SEA**

## ა4.1 თავის შესავალი

პროტოკოლი ყველგან მოიხსენიებს „გარემოს, ჯანდაცვის ჩათვლით“. გამეორების თავიდან ასაცილებლად, სახელმძღვანელოში მოიხსენიება მხოლოდ გარემოს დაცვა, მაგრამ ის ყოველთვის უნდა იყოს აღქმული ჯანდაცვასთან ერთად. ჯანდაცვის თემაზე მეტი ინფორმაციისათვის იხ. დანართი ა 1.1.

1. წინამდებარე თავში გადმოცემულია SEA ელემენტების გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში ინტეგრირების განმარტება, რაზეც საუბარია მეორე თავის ა2.2 ნაწილში:
  - X მასშტაბის დადგენა და გარემოსდაცვითი ანგარიში (ნაწილი ა4.2).
  - X საზოგადოების ჩართულობა (ნაწილი ა4.3).
  - X კონსულტაციები ოფიციალურ პირებთან (ნაწილი ა4.4).
  - X ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები (ნაწილი ა4.5).
  - X გადაწყვეტილების მიღება (ნაწილი ა4.6).
  - X მონიტორინგი (ნაწილი ა4.7).
2. წარმოდგენილია სამართლებრივი ვალდებულებები და პრაქტიკული მოსაზრებები თითოეული ელემენტისთვის.

## ა4.2 მასშტაბის დადგენა და ეკოლოგიური ანგარიში

- ამ ქვეთავში განვიხილავთ პროტოკოლის მიხედვით SEA-ს განხორციელებისას მასშტაბის დადგენას (მუხლი.6) და გარემოსდაცვით ანგარიშს. აქ ერთდროულად განხილულია ორი დებულება, თუმცა სახელმწიფოებს შეუძლიათ მათი, როგორც SEA –ს ყველაზე გამორჩეული ელემენტების არჩევა.
- შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულებების შეჯამების გარდა წინამდებარე ნაწილში განვიხილავთ ალტერნატივებს და სხვა შესაძლო პრაქტიკულ მოსაზრებებს.

### ა4.2.1 სამართლებრივი ვალდებულებები


- მასშტაბის დადგენა (მუხლი.6) გეგმებისა და პროგრამების SEA პროცესის პირველი ელემენტია. (SEA-ს დირექტივის შესაბამისი დებულებები მოცემულია მუხლ. 5.4).
- მასშტაბის დადგენით ინფორმაციის შინაარსი იკვეთება ორი მიმართულებით: გასათვალისწინებელი თემებისა და თითოეული თემის მიმართ ინფორმაციის სიღრმისა და დეტალურობის კუთხით. მასშტაბის დადგენის მიზანია უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ანგარიშის სწორად ფოკუსირება, რეალური პრობლემების შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიწოდება და იმაზე საუბრით, რაც არ წარმოადგენს რეალურ პრობლემას, ანგარიშის ტექსტის გადატვირთვის თავიდან აცილება. „უმნიშვნელო ეფექტებთან ან შეუსაბამო პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმაციის გადაჭარბებული რაოდენობა ანგარიშს ძნელად აღსაქმელს გახდის და შეიძლება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაფარვა გამოიწვიოს“. (EC გზამკვლევი, პარ. 5.19).
- მასშტაბის დადგენის პროცესში აუცილებელია კონსულტაციები გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირებთან (მუხლ.6.2) და საზოგადოების წარმომადგენლებსაც შეიძლება მიეცეს მონაწილეობის მიღების საშუალება. (მუხლ. 6.3).
- გარემოსდაცვით ანგარიშში შესატანი ინფორმაცია უნდა იყოს რელევანტური (მუხლ. 6.1) და 7.2 მუხლში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისი (SEA დირექტივა არ შეიცავს ბოლო ორ კრიტერიუმს) (იხ. ქვემოთ).
- SEA-ს პროცესის მეორე ელემენტია SEA-ს დაქვემდებარებული გეგმის/პროგრამის შესახებ გარემოსდაცვით ანგარიშის მომზადება (მუხლ. 7). (შესაბამისი დებულება მოცემულია SEA დირექტივის მუხლებში: 2 (გ), 5.1, 5.2, 5.3 და 12.2.)
- ამ ელემენტში შედის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები, საზოგადოების ჩართულობა და შესაძლო ტრანსსასაზღვრო შეტყობინებები და კონსულტაციები, რაც განხილულია წინამდებარე თავის ბოლო პუნქტებში.
- გარემოსდაცვით ანგარიშში უნდა გამოვლინდეს და შეფასდეს გეგმის/პროგრამის განხორციელების კვალობაზე მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტები და მათი გონივრული ალტერნატივები (მუხლ. 7.2). შედეგად მიღებული ანგარიში გამოიყენება გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიერ (იხ. ქვეთავი ა4.6) და მასში ჩამოყალიბებულია მონიტორინგთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები (ქვეთავი ა4.7).
- ანგარიშის შინაარსი უნდა გამოხატავდეს მასშტაბის დადგენის შედეგებს (მუხლ.6), თუმცა მისი საფუძველი იქნება პროტოკოლის IV დანართში მოცემული სია (SEA დირექტივის შესაბამისი დებულება იხ. დანართში I) და ოთხი კრიტერიუმი (მუხლ. 7.2).
- და ბოლოს, გარემოსდაცვით ანგარიში უნდა მომზადდეს პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხით (მუხლ. 7.3).

### ა4.2.2 ალტერნატივები

- გარემოსდაცვით ანგარიშის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მასში თანაბრად უნდა განიხილებოდეს გეგმის/პროგრამის პირველადი ვარიანტიც და მისი გონივრული ალტერნატივებიც. ამ ქვეთავში განვიხილავთ ამგვარი ალტერნატივების შესახებ პრაქტიკულ მოსაზრებებს.

ალტერნატივების სხვა შესაძლო ვარიანტები განხილულია ქვემოთ 4.2.3 ქვეთავში.

15. გეგმების/პროგრამების მომზადება ყოველთვის გულისხმობს შემდეგი არჩევანის გათვალისწინებას (იხ. დიაგრამა ა 4.1):
- X კონკრეტული ამოცანები (რაც პროტოკოლში მითითებულია, როგორც „მთავარი ამოცანები“) და პრიორიტეტები, რომელსაც უნდა მიჰყვებოდეს გეგმა/პროგრამა. ეს ვარიანტები, როგორც წესი განვითარების მოთხოვნაზე პასუხის ოპტიმალურ ფორმულირებას ახდენს, და სრულ ინფორმაციას გვთავაზობს სასურველი განვითარების შესახებ, მაგ, როგორცაა განვითარების სცენარი.
  - X გეგმის/პროგრამის შეთანხმებული ამოცანებისა და პრიორიტეტების განსახორციელებლად ჩასატარებელი ღონისძიებები. ამ ვარიანტებში შეიძლება ამოცანების შესრულების სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებები იყოს მოცემული(ე.ი. ტექნოლოგიები, პროცესები ან განხორციელების ფორმები), ან შეთავაზებული ღონისძიებების ჩატარების სხვადასხვა ადგილი, სხვადასხვა ვადები ან სიხშირე.
  - X ალტერნატიული პირობები შემოთავაზებული ღონისძიებებისთვის. ამ ვარიანტებში განმარტებულია ზომები, რომლებიც უნდა გატარდეს, რათა უზრუნველყოფილი იქნას გეგმაში/პროგრამაში გათვალისწინებული პოზიტიური ეფექტების მაქსიმალური ზრდა, ხოლო მოსალოდნელი საზიანო ეფექტების მინიმუმამდე შემცირება (პრევენცია, შემსუბუქება, აღმოფხვრა). მათი განმარტება შეიძლება, მაგალითად, შემოთავაზებული ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესახებ კრიტერიუმში, ან წარმოდგენილი გეგმის/პროგრამის მიერ ინიცირებული მომავალი გეგმების, პროგრამების ან პროექტების შემდგომი ეკოლოგიური შეფასების ზოგადი ტექნიკური დავალების სახით.
16. ვერ გახდება აუცილებელი კონკრეტული გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული ყველა ალტერნატივის გენერაცია პროცესში. მაგალითად, გეგმაში/პროგრამაში შეიძლება შევიდეს მაღალი რანგის გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ამოცანები და პრიორიტეტები. შეიძლება დამატებით ჩამოყალიბდეს გეგმის/პროგრამის მომზადებამდე ჩატარებულ მონათესავე კვლევებთან დაკავშირებული ვარიანტები (მაგ. სცენარი, რომელიც შეიქმნა თანმიმდევრულ გეგმებს შორის პერიოდში და ფორმალურად გათვალისწინებულია დაგეგმვის მომდევნო ციკლისთვის). მიუხედავად იმისა, იჩენს თუ არა თავს ასეთი მდგომარეობა, SEA-მ უნდა შეაფასოს მთლიანად გეგმის/პროგრამის ეფექტები (ე.ი. ამოცანები, მათ მისაღწევად დასახული ღონისძიებები და განსახორციელებელი პირობები), რითაც ბოლომდე ჩაწვდება გეგმის/პროგრამის მიერ გარემოზე ზემოქმედების არსს.
17. მათი წარმოშობის მიუხედავად, ყველა ალტერნატივა შეიძლება ერთობლივად გავანალიზოთ და შევადაროთ მათი შემდეგი თვისებების მიხედვით, ესენია:
- X გეგმის/პროგრამის რელევანტური ამოცანების შესრულებაში შეტანილი წვლილი.
  - X კონკრეტული შედეგები.
18. SEA-ში შესაძლოა მოცემული იყოს სამოქმედო მითითებები გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის ძირითადი ელემენტებისთვის ალტერნატივების ჩამოყალიბების შესახებ, ესენია:
- X გეგმის/პროგრამის კონტექსტისა და ამოცანების განმარტება.
  - X მომავალი განვითარებისთვის ალტერნატიული სცენარების ჩამოყალიბება.
  - X გეგმის/პროგრამის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად ალტერნატიული გზების განსაზღვრა.
  - X ნეგატიური შედეგების პრევენციის, შემსუბუქებისა და აღმოფხვრისთვის ალტერნატიული ზომების შედარება.



19. პროტოკოლი თანაბრად განხილავს გეგმის/პროგრამის პირველად ვარიანტსა და მის ალტერნატივებს, და მოითხოვს გონივრული ალტერნატივების სრულ მოცვას. ამდენად, გირჩევთ ყველა ალტერნატივას თანაბრად მოეკიდოთ – არ არსებობს ერთი გეგმა ან პროგრამა, რომელსაც ბევრი ალტერნატივა აქვს, არამედ, ყველაფერი ერთად არის ალტერნატივების წყება. გეგმამ ან პროგრამამ შეიძლება განიცადოს ევოლუცია შემდგომ ეტაპებზე:
  - (1) ალტერნატივების პირველადი კომპლექტი (რომელიც მასშტაბის დადგენის დროს იჩენს თავს)
  - (2) შერჩევად რევიზია – წარმოიქმნება ხელსაყრელი ალტერნატივები
  - (3) დამტკიცება – შეირჩევა საბოლოო გეგმა ან პროგრამა.
20. ამდენად, რეკომენდებულია, რომ ალტერნატივების განხილვა მასშტაბის დადგენიდან დავიწყოთ.
21. EC გზამკვლევი მიგვითითებს, რომ SEA-სდირექტივა „მოგვიწოდებს [ალტერნატივების] უფრო სრულყოფილი და ყოველმხრივი შეფასებისკენ ვიდრე ეს გათვალისწინებულია გზმდირექტივაში” (პარ. 5.6). EC გზამკვლევის მიხედვით დამატებითი რჩევები მოცემულია ჩარჩო ა 4.1-ში ქვემოთ.

#### ჩარჩოა 4.1: ალტერნატივები SEA-ში

პროტოკოლი ალტერნატივებს ისევე განიხილავს, როგორც გეგმის/პროგრამის სამუშაო ვარიანტს. როგორც EC გზამკვლევი გვიჩვენებს „არსებითია, რომ გამოვლინდეს გეგმის/პროგრამის და ალტერნატივების მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტი, მოხდეს მისი აღწერა და შეფასება შედარებითი ფორმით“ (პარ. 5.12). EC გზამკვლევი გვთავაზობს რჩევას, „აუცილებელია, რომ გეგმის/პროგრამის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირი ან პარლამენტის წევრი, ისევე როგორც, კონსულტაციებში მონაწილე ოფიციალური პირები და საზოგადოების წარმომადგენლები, იცნობდნენ გონივრული ალტერნატივების სრულ სურათს და დასაბუთებას, თუ რატომ არ მოხდა ამ ალტერნატივების, როგორც საუკეთესო ვარიანტების არჩევა. ამდენად, [დანართში] მოცემული ინფორმაცია უნდა განვიხილოთ არჩეული ალტერნატივის მიმართ“.

ტერმინი “ალტერნატივა” არ არის განმარტებული პროტოკოლში (და არც დირექტივაში). შეიძლება განვიხილოთ ალტერნატივების სხვადასხვა კატეგორია:

- X თავდაპირველად ინიცირებულის ალტერნატიული გეგმა ან პროგრამა, რომელიც, სავარაუდოდ იმავე ამოცანებს პასუხობს.
- X ალტერნატიული ელემენტები გეგმაში/პროგრამაში, რომლებიც, ისევე და ისევე, სავარაუდოდ იმავე ამოცანებს პასუხობს.

ალტერნატივების სახეობებში შეიძლება მოვიპოვოთ ალტერნატიული მდებარეობა, მიწათსარგებლობა, ტექნოლოგიები, ვადები, განვითარების მარშრუტები და ამოცანების კომპლექტები.

იმის გადასაწყვეტად, თუ რა არის გონივრული, უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა სახის წინაღობები: გეოგრაფიული, ფინანსური ან, ამოცანებთან დაკავშირებული შეზღუდვები (მაგ. ალტერნატივა, რომელიც აშკარად შეუთავსებელია ამოცანებთან, ვერ განიხილება, როგორც გონივრული ალტერნატივა). ალტერნატივები რეალისტური უნდა იყოს: „გეგმის/პროგრამის ხელშეწყობის მიზნით იმ ალტერნატივის შეგნებული შერჩევა შესაფასებლად, რომელსაც უფრო მეტი მანვე შედეგი აქვს ვერ ჩაითვლება ამ პარაგრაფის მიზნების შესრულებად. ალტერნატივა რომ ნამდვილად შესაფერისი იყოს, ის უნდა ესადაგებოდეს მავანი ოფიციალური ორგანოს გეოგრაფიულ მდებარეობასა და კომპეტენციას“. (პარ. 5.14).

#### ა4.2.3 სხვაპრაქტიკული მოსაზრებები

##### *პასუხისმგებლობა მასშტაბის დადგენასა და ეკოლოგიური ანგარიშის მომზადებაზე*

22. პროტოკოლში არ არის განმარტებული თუ ვისი პასუხისმგებლობაა გეგმის/პროგრამის პირველადი ვარიანტის მომზადება; პასუხისმგებელი პირი შეიცვლება კონკრეტული გეგმის ან პროგრამის შინაარსისა და მისი შესაბამისი ადმინისტრაციული დონის მიხედვით. გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადებასა და მისი წინამორბედი სკრინინგისა და მასშტაბის დადგენის პროცესზე პასუხისმგებლობა „უმეტეს შემთხვევებში დაეკისრება ოფიციალურ, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც გეგმის/პროგრამის მომზადებაზე პასუხისმგებელი“ (EC გზამკვლევი, პარ.5.8), თუმცა ეს შეიძლება ეროვნული კანონმდებლობითაც იყოს განსაზღვრული.

##### *რჩევები გარემოსდაცვითი ანგარიშის მასშტაბის დადგენისა და მომზადების საფეხურების შესახებ*

23. როგორც EC გზამკვლევი ალნიშნული, გარემოსდაცვითი ანგარიში არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გარემოსდაცვითი მოსაზრებების გეგმების/პროგრამების მომზადებასა და დამტკიცებაში ინტეგრირებისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს გარემოზე მათი მოსალოდნელი ზეგავლენის იდენტიფიცირებას, განმარტებას, შეფასებას და პროცესში გათვალისწინებას. გარემოსდაცვითი ანგარიშს მომზადება და გარემოსდაცვითი მოსაზრებების გეგმებისა და პროგრამების მომზადების პროცესში ინტეგრირება აყალიბებს ალტერნატიულ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს უფრო მდგრადი გადაწყვეტილების მიღებას (პარ. 5.2). EC გზამკვლევი (დირექტივის მუხლ. 4.1) ამ გზით ავლენს განმეორებად პროცესს.

24. პროტოკოლი მკაფიოდ არ განსაზღვრავს განმეორებად პროცესს ან ანგარიშს სამუშაო ვერსიის საჭიროებას, თუმცა მკაფიოდაა რეკომენდებული, რომ ანგარიშს მომზადება განმეორებადი პროცესი იყოს,



საფეხურების დროს ან მათ შორის, რათა საშუალება გვქონდეს საჭიროების შემთხვევაში დავუბრუნდეთ ადრეულ დავალებებს:

- საფეხური 1 მასშტაბის განსაზღვრა
- საფეხური 2 საფუძვლების და კონტექსტის ანალიზი
- საფეხური 3 ალტერნატივების ჩამოყალიბება და შედარება
- საფეხური 4 გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადება კონსულტაციები.
- საფეხური 5



*განმეორება!*

25. რეკომენდებული საფეხურები უფრო დეტალურადაა ნაჩვენები ქვემოთ, სადაც მკაფიოდ ჩანს სავალდებულო მეთოდოლოგიური და პროცესუალური დავალებები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია SEA-ს გარკვეულ ეტაპზე, კარგი პრაქტიკის ხელშემწყობი სხვა არჩევით მოვალეობებთან ერთად, რათა შესრულდეს პროტოკოლით განსაზღვრული მოვალეობები. მეთოდოლოგიურმა დავალებებმა შედეგად უნდა მოგვიტანოს გარემოსდაცვითი ანგარიშში შესატანი ინფორმაციის მომზადება და მიწოდება, როგორც ეს განსაზღვრულია IV დანართში. მეთოდოლოგიური და პროცესუალური დავალებები სავალდებულოა სრულიად SEA-ს განმავლობაში, და არა მხოლოდ მოცემულ საფეხურზე. დავალებების თანმიმდევრობა მხოლოდ რეკომენდაციაა, და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განმეორებადი პროცესია, მაგალითად, მასშტაბის დადგენა გრძელდება მას შემდეგაც, რაც მომზადდება გარემოსდაცვითი ანგარიში.
26. ქვემოთ აღწერილი საფეხურები გვიჩვენებს როდის შეიძლება განხორციელდეს საჯარო ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციები. პროტოკოლი მოითხოვს, რომ როგორც დაინტერესებულ საზოგადოებას, ისე ოფიციალურ პირებს ჰქონდეთ საკუთარი მოსაზრების გამოხატვის საშუალება გარემოსდაცვითი ანგარიშთან დაკავშირებით (მუხლ. 8.1 და მუხლ. 9.3), ამდენად, ეს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ მას შემდეგ, რაც დასრულდება ანგარიშის მომზადება. თუმცა, პროტოკოლი ასევე მოითხოვს, რომ უზრუნველყოთ „საზოგადოების ჩართულობისთვის ადრეული, დროული და ეფექტური შესაძლებლობები, როცა ყველა არჩევანი ჯერ კიდევ ღიაა“ (მუხლ. 8.1, ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებთან დაკავშირებით მუხლ. 9.3) ისე, რომ ზოგიერთ პირობებში, სასარგებლო იქნება ანგარიშის მომზადების ადრეულ საფეხურზეც ნებაყოფლობით კონსულტაციებისთვის დამატებითი შესაძლებლობის მიცემა.

საფეხური 1: მასშტაბის განსაზღვრა

მეთოდოლოგიური დავალებები	პროცესუალური დავალებები	დამატებითი, არჩევითი დავალებები
<p>X აღწერეთ გეგმის/პროგრამის შინაარსი (დანართი IV, პარ. 1)</p> <p>X გამოავლინეთ გეგმის/პროგრამის მთავარი ამოცანები (დანართი IV, პარ. 1)</p> <p>X გამოავლინეთ სხვა რელევანტური გეგმები/პროგრამები და ახსენით რა ურთიერთ ქმედებაშია ისინი გეგმასთან/პროგრამასთან (დანართი IV, პარ. 1)</p> <p>X შეაგროვეთ გეგმასთან/პროგრამასთან დაკავშირებით გარემოსა და ჯანდაცვის შესახებ ინფორმაცია (დანართი IV, პარ. 4)</p> <p>X გამოავლინეთ გეგმის/პროგრამის შესატყვისი ეკოლოგიური და ჯანდაცვის ამოცანები (დანართი IV, პარ. 5)</p> <p>X განმარტეთ განხილული ალტერნატივების შერჩევის მიზეზები (დანართი IV, პარ. 8)</p>	<p>X გააანალიზეთ, როგორ უკავშირდება გარემოსდაცვითი ამოცანები გეგმის/პროგრამის მიერ შემოთავაზებულ ამოცანებს</p> <p>X გამოავლინეთ გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირები, ვისთანაც გაივლით კონსულტაციებს (პარ.9.1; იხ. ასევე ქვეთავი ა4.4)</p> <p>X გარემოსდაცვით ანგარიშში შესატანი ინფორმაციის თაობაზე კონსულტაცია გაიარეთ ოფიციალურ პირებთან (მუხლ. 6.2; ასევე იხ. ქვეთავი ა4.4)</p> <p>X გამოავლინეთ გარემოსდაცვით ანგარიშში შესატანი რელევანტური ინფორმაცია (მუხლ. 7.1)</p>	<p>X გამოავლინეთ შესაფერისი პოლიტიკა და ახსენით რა ურთიერთქმედებაშია გეგმასთან/პროგრამასთან</p> <p>X გამოავლინეთ შესაფასებელი სავარაუდო ეფექტები</p> <p>X გამოავლინეთ დაინტერესებული საზოგადოება, რომელიც ჩაერთვება, შესაბამისი არასამთავრობოების ჩათვლით (უნდა გაკეთდეს მე-5 საფეხურზე) (მუხლ. 8.3; იხ. ქვეთავი ა4.3)</p> <p>X უზრუნველყავით საზოგადოების ჩართულობა რელევანტური ინფორმაციის დადგენაში, რომელიც გარემოსდაცვით ანგარიშში შევა (მუხლ. 6.3)</p> <p>X დაზარალებულ მხარეებთან საჭიროების შემთხვევაში გაიარეთ არაფორმალური კონსულტაციები (იხ. ქვეთავი A4.5)</p>

27. მოცემული პირველი საფეხური განკუთვნილია მასშტაბის დასადგენად: ეკოლოგიურ ანგარიშში შესატანი რელევანტური ინფორმაციის გამოსავლენად. როგორც ზემოთაა აღნიშნული, მასშტაბის დადგენა შეიძლება გავითვალისწინოთ როგორც SEA-ს პროცესის დამოუკიდებელი ელემენტი, ან როგორც გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადების პირველი საფეხური. წინამდებარე ქვეთავი წარმოგვიდგენს მეორე მიდგომას. პრაქტიკულად, მასშტაბის დადგენა და ანგარიშის მომზადება სავარაუდოდ განმეორებადი პროცესებია.

28. მასშტაბის დადგენისას სხვა კითხვებთან ერთად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგსაც:

- X რომელი გეოგრაფიული არეალი უნდა მოიცავს?
- X რა ეკოლოგიური ასპექტები (ადამიანის ჯანმრთელობა, ფლორა, ფაუნა, ბიომრავალფეროვნება, ნიადაგი, მისთ.) უნდა შემოქმედდეს?
- X დროის რა პერიოდებს მოიცავს?
- X (მონაცემთა შეგროვების, ეფექტების შეფასების, საზოგადოებრივი ჩართულობის, ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების, მისთ.) რომელი მეთოდები უნდა გამოვიყენოთ და რა სიღრმით და რამდენად დეტალურად?
- X როგორია მონაცემთა მოთხოვნები?
- X რომელი ალტერნატივები უნდა გავითვალისწინოთ?

29. ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, მასშტაბის დადგენისას შეიძლება სხვა შეკითხვებზე დაგჭირდეს პასუხის გაცემა, ესენია (იხ. ცხრილში საფეხური 1):

- X რა არის გეგმის/პროგრამის მთავარი ამოცანა?

- X რომელი ეკოლოგიური ამოცანებია გეგმისთვის/პროგრამისთვის რელევანტური და როგორ უკავშირდება ისინი გეგმის/პროგრამის ამოცანებს?
  - X სხვა რომელი გეგმა/პროგრამაა რელევანტური და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი მოცემულ გეგმასთან/პროგრამასთან?
  - X რომელი ეკოლოგიური პრობლემაა გეგმის/პროგრამის შესატყვისი?
30. არც პროტოკოლი და არც SEA დირექტივა არ მოითხოვს აუცილებლად ამოცანების შემუშავებას, თუმცა ორივე მოითხოვს საერთაშორისო, ეროვნულ და სხვა დონეებზე ჩამოყალიბებული ამოცანების შესახებ რელევანტური ინფორმაციის ჩართვას გარემოსდაცვით ანგარიშში და მითითებას, თუ როგორ მოხდა მათი გათვალისწინება გეგმის/პროგრამის მომზადების დროს (დანართი IV, პარ. 5). უფრო მეტიც, იმის შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებს განსახილველი ზომები დასახული ამოცანების შესრულებას, SEA-ს ფარგლებში ალტერნატივების შედარების აღიარებული საშუალებაა. SEA-ს პროცესი გთავაზობს ამოცანების ორ ტიპს, რომელიც აღწერილია მოცემულთაგან და რომელთაგანაც ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია:
- X წარმოდგენილი გეგმის/პროგრამის ძირითადი ამოცანები.
  - X გეგმისთვის/პროგრამისთვის რელევანტური გარემოსდაცვითი ამოცანები.
31. ჩარჩო ა4.2 და ცხრილი ა4.1 გვიჩვენებს გარემოსდაცვითი ამოცანებისა და მასთან დაკავშირებული კონცეფციების შესახებ მოსაზრებებს. სასარგებლო იქნება ვნახოთ თუ როგორ ურთიერთქმედებენ ეს ამოცანები, და რამდენად თავსებადია ისინი გეგმის/პროგრამის ამოცანებთან.
32. როგორც SEA ინსტრუმენტების შესახებ ა5 თავშია განხილული შეიძლება მრავალი სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება ამოცანების დასადგენად და გეგმის/პროგრამის იდეის ჩამოსაყალიბებლად; მათ შორის ოფიციალური პირებისა და საზოგადოების ჩართვით გეგმის/პროგრამის დამუშავების ადრეულ ეტაპზე. ოფიციალურ პირებს შეუძლიათ მიმართულება მისცენ ინფორმაციის შეგროვებას სხვა რელევანტური გეგმის/პროგრამის; გარემოს არსებული მდგომარეობისა და მისი სავარაუდო ეკოლოგიის, არეალის დახასიათებისა და პრობლემების; და დაინტერესებული მხარეების (როგორც საჯარო, ისე საზოგადოებრივი სექტორიდან) შესახებ.
33. იმის გათვალისწინებით, სხვა რომელი გეგმა/პროგრამაა რელევანტური და როგორ შეიძლება მათი ურთიერთქმედება წარმოდგენილ გეგმასთან/პროგრამასთან, შეიძლება მოსახერხებელი იყოს გეგმებისა და პროგრამების იერარქიის შემოწმება (იხ. ჩარჩო ა4.3 ქვემოთ „იარუსებად დალაგების შესახებ“).
34. მასშტაბი დადგენაში შედის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები (იხ. ქვეთავი ა4.4) ანდა, სურვილისამებრ, საზოგადოებრივი ჩართულობა (ქვეთავი ა4.3). ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის პრაქტიკული რჩევებია მოცემული წინამდებარე სახელმძღვანელოს ა5 თავში.
35. თუ მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ეფექტების მიღება, უმჯობესია, რომ არაფორმალური ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები დაიწყოს მასშტაბის დადგენის ეტაპზე, რაც პროცესების სწორად წარმართვას შეუწყობს ხელს (იხ. ქვეთავი ა4.5.2). არსებობს რისკი, რომ თუ ასეთი სახის კონსულტაციები არ გაიმართება მასშტაბის დადგენის ეტაპზე, მოგვიანებით მათი გამართვისას შეიძლება დამატებით პრობლემებმა იჩინოს თავი, რაც ამ ელემენტის თავიდან გადამოწმებას მოითხოვს.
36. და ბოლოს, პირველ საფეხურზე უნდა გამოვლინდეს რელევანტური ინფორმაცია, რომელიც შევა ეკოლოგიურ ანგარიშში. როგორც ამ თემის დასაწყისში აღვნიშნეთ, პროტოკოლი ამ ინფორმაციის გამოვლენისას ხელმძღვანელობს ინფორმაციისა (დანართი IV) და კრიტერიუმების (მუხლ. 7.2) ჩამონათვალით, რაც წვემოთ ა. 4.2 და ა 4.3 ცხრილებშია მოცემული შესაბამისად:

ჩარჩო ა4.2: პრობლემები, საფრთხეები ან საკითხები; ამოცანები; სამიზნეები; ინდიკატორები ან გზამკვლევი კითხვები

გარემოსდაცვითი ამოცანების მიღება ბევრი სხვადასხვა წყაროდან შეიძლება, როგორცაა მდგრადი განვითარების სტრატეგია, პოლიტიკა და კანონმდებლობა, და სხვა გეგმები და პროგრამები. ისინი შეიძლება აშკარად ჩანდეს წარმოდგენილი გეგმის/პროგრამის კონტექსტში, როგორც ადგილობრივი ეკოლოგიური პრობლემები.

განვითარებას და გარემოსდაცვითამოცანებს შეიძლება თან ახლდეს მიზნები, რაც თავისმხრივ ტრანსფორმირდება რაოდენობრივ ინდიკატორში ან ხარისხობრივ კითხვებში (ე.ი. ღია, არა კრიტიკული შეკითხვები, რომლებიც კონკრეტული თემის მიმართ არის ფოკუსირებული და არ არის წამყვანი კითხვა). მაგალითად, ამოცანა შეიძლება იყოს სათბურში გაზის ემისიის შემცირება, მიზანი იქნება ელექტროენერჯის გენერაციის დროს ნახშირორქანის ნაკლები რაოდენობით გამოყოფა და შესაბამისად, ერთ ერთი ინდიკატორი იქნება საოჯახო მეურნეობაში ელექტროენერჯის გამოყენების მაჩვენებელი კვსთ/წელიწადში. SEA-ს დირექტივის გამოყენების შესახებ გაერთიანებული სამეფოს სახელმძღვანელო გვთავაზობს ეკოლოგიური ამოცანებისა და ინდიკატორების მაგალითებს. დირექტივის შესახებ ირლანდიის სახელმძღვანელო მაგალითებთან და ინდიკატორებთან ერთად შეიცავს ეკოლოგიური ამოცანების სხვა წყაროების სიასაც: ირლანდიურს – რომელიც ტიპიურია ბევრი სხვა ქვეყნისთვისაც, ევროკავშირისას და საერთაშორისო წყაროებს. მათში შეიძლება შევიდეს ა 4.1 ცხრილში მოცემული წყაროებიც. დამატებით მაგალითების ნახვა შეგიძლიათ პროტოკოლის ვებ გვერდზე.<sup>29</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ამოცანები ყველა გარემოსდაცვითი პრობლემისთვის იყოს გამოვლენილი. შეიძლება ინდიკატორები გამოყენებული იყოს ანგარიშის მომზადების დროსაც (მუხლ. 7) რაც ძირითადი ინფორმაციის შეგროვებისა და ამოცანების ალტერნატივების ეფექტების შეფასებისთვისაც გამოიყენება. გარდა ამისა, შესაძლებელია ინდიკატორების მონიტორინგი გეგმის ეფექტურობის შესაფასებლად და გაუთვალისწინებელი შედეგების გამოსავლენად (მუხლ. 12).

ამდენად ინდიკატორების შერჩევა უნდა მოხდეს ყურადღებით, რათა გაიზარდოს მათი მნიშვნელობა ამოცანების ალტერნატივების ეფექტების შეფასების დროს, და ამავდროულად შემცირდეს ხარჯები მთლიანად SEA-სპროცესში.

ჩარჩო ა4.3: იარუსებად დალაგება

SEA-ს დირექტივა, მაგრამ არა პროტოკოლი, აღიარებს, რომ გეგმებსა და პროგრამებს შეუძლია გადაწყვეტილებების იერარქიის ნაწილობრივ ფორმირება და შეიძლება, ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ პროცესებს შორის ინფორმაციის გაზიარებით გაჩნდეს დაზოგვის შესაძლებლობა – ამას ვუწოდებთ 'იარუსებად' დალაგებას. (იხ. პარ. 4.5– 4.7 EC გზამკვლევი). თუმცა, ინფორმაციის გაზიარების ვალიდურობა იერარქიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებს შორის მკაცრად უნდა შემოწმდეს, რადგან იერარქიაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში. III დანართში (პარ. 3) იერარქიასთან დაკავშირებული მითითების გარდა, პროტოკოლი არ ითვალისწინებს იარუსებად დალაგების შესაძლებლობას. არც ისაა უზრუნველყოფილი რომ ალტერნატიული გეგმებისა და პროგრამების ჩამოყალიბებაში სათანადოდ იყოს გათვალისწინებული იერარქიული გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოდგენილი გეგმის/პროგრამის პოზიცია. ზოგიერთ გეგმაში/პროგრამაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს სტრატეგიული დაგეგმვის ყველა ელემენტი, ხოლო დანარჩენში, მონათესავე გეგმების/პროგრამების გამო – უფრო ნაკლებად.

<sup>29</sup> ევროპის გარემოსდაცვის სააგენტო გვთავაზობს ვრცელ ინფორმაციას სხვადასხვა ინდიკატორზე. იხ. <http://www.eea.europa.eu/data-and-maps/indicators/>.

ცხრილი ა4.1: გარემოსდაცვითი ამოცანების ზოგიერთი შესაძლო წყარო და მაგალითი

	საერთაშორისო	ეროვნული	სხვა (არსებითი) დონე
კანონმდებლობა	<p>გაეროს გლობალური გარემოსდაცვითი შეთანხმებები, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>x კლიმატის ცვლილებებზე გაეროს კონვენციის კიოტოს პროტოკოლი</li> <li>x მონრეალის პროტოკოლი ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ</li> <li>x კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ</li> <li>x გაუდაზნოებასთან ბრძოლის კონვენცია</li> </ul> <p>ECE რეგიონული გარემოსდაცვითი შეთანხმებები</p> <p>ევროკავშირის გარემოსდაცვითი დირექტივები</p>	<p>ამოცანები მოცემულია შემდეგ დოკუმენტებში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>x კანონი ნარჩენების მართვის შესახებ</li> <li>x კანონი წყლის ხარისხის შესახებ</li> <li>x კანონი ჰაერის ხარისხის შესახებ</li> </ul>	<p>ამოცანები, რომლებიც დასახულია ნარჩენების, წყლისა და ჰაერის შესახებ ადგილობრივ ბრძანებულებებში</p>
პოლიტიკა	<p>მდგრადი განვითარების შესახებ მსოფლიო სამიტის განხორციელების გეგმა (იოჰანესბურგის გეგმა განხორციელების შესახებ) დღის წესრიგი 21</p> <p>ჯანმრთელობა ყველასთვის 2000 წ. ჯანმრთელობა ყველასთვის – ოცდამეერთე საუკუნის პოლიტიკა გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესახებ ლონდონის დეკლარაცია</p>	<p>მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია</p> <p>ეროვნული განვითარების გეგმა</p> <p>ეროვნული სივრცითი სტრატეგია</p> <p>კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგია</p> <p>ბიომრავალფეროვნების ეროვნული გეგმა</p> <p>ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია</p> <p>მინერალების შესახებ ეროვნული სტრატეგია</p> <p>ენერჯის შესახებ ეროვნული სტრატეგია</p>	<p>ნარჩენების მართვის რეგიონული გეგმა</p> <p>მინერალების მართვის რეგიონული გეგმა</p>

ცხრილი ა4.2: ანგარიშის შინაარსი პროტოკოლის IV დანართის მიხედვით

IV დანართის პარაგრაფები	გზამკვლევი (ადაპტირებული EC გზამკვლევი)
1. გეგმის/პროგრამის შინაარსი და ძირითადი ამოცანები და მისი კავშირი სხვა გეგმასთან /პროგრამასთან	სხვა შესაბამის გეგმებთან/პროგრამებთან დამოკიდებულება მოცემულ გეგმას/პროგრამას უფრო ფართო კონტექსტში მოიაზრებს. ასეთი გეგმები და პროგრამები შეიძლება გადაწყვეტილების მიღების იმავე იერარქიაში მოხდეს (მაგ, მიწათსარგებლობის გეგმები სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეზე), ან განეკუთვნებოდეს სხვადასხვა სექტორს, მაგრამ უარყოფით გავლენას ახდენდეს ერთა და იმავე, ან მომიჯნავე ტერიტორიაზე (პარ. 5.20)

IV დანართის პარაგრაფები	გზამკვლევი (ადაპტირებული EC გზამკვლევი)
<p>2. გარემოს მიმდინარე მდგომარეობის რელევანტური ასპექტები, ჯანდაცვის ჩათვლით და მისი სავარაუდო ეკოლოგია იმ შემთხვევაში, თუ გეგმა/პროგრამა არ განხორციელდება</p> <p>3. გარემოს (ჯანდაცვის ჩათვლით) მახასიათებლები იმ ტერიტორიებზე, სადაც მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ეფექტის მიღება.</p> <p>4. ეკოლოგიური და ჯანდაცვის პრობლემები, რომლების შეესაბამება წარმოდგენილ გეგმას/პროგრამას</p>	<p>ეს სამი მოთხოვნა (პარაგრაფები 2–4) შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს, თუმცა თანმიმდევრულია და ესადაგება გეგმაში/პროგრამაში მოცემული ეკოლოგიური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს, რომლებზეც სავარაუდოდ მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ეფექტის მოხდენა.</p> <p>მე-3 და მე-4 პარაგრაფები დამატებით ინფორმაციას გვაწვდის მე-2 პარაგრაფში განხილული ინფორმაციისთვის. მე-2 და მე-3 პარაგრაფები ეხება პრობლემებს, ღირებულებებს, და აქტივებს, ხოლო მე-4 პარაგრაფი მხოლოდ პრობლემებზეა ფოკუსირებული. შეიძლება მოსახერხებელი იყოს მე-3 და მე-4 პარაგრაფებში მოცემული ინფორმაციის კომბინირება. სიტყვა „რელევანტური“ (პარ.2 და 4) ნიშნავს გეგმის/პროგრამის სავარაუდო მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ეფექტის შესაბამისობას (პარ. 5.21).</p> <p>მეორე პარაგრაფში მოცემული რელევანტური ასპექტები შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ხასიათის. ინფორმაცია მაქსიმალურად უნდა იყოს განახლებული. რელევანტური ასპექტების მოსალოდნელი ეკოლოგიის აღწერას (გეგმის/პროგრამის გარეშე) შეფასების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს: ის შეესაბამება „ნულოვან ალტერნატივას“, რომელიც ხშირად გამოიყენება გზმ-ში. ეკოლოგიის აღწერაში დროის იგივე პერიოდი უნდა მოვიცვათ, რაც გათვალისწინებულია გეგმის/პროგრამის განსახორციელებლად. სხვა დამტკიცებული გეგმებისა და პროგრამების, ან მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტები, რომლებიც გავლენას მოახდენს განსახილველ არეალზე, შეძლებისდაგვარად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. (პარ. 5.22)</p> <p>მე-3 პარაგრაფში განხილულია შეფასებისთვის განსაკუთრებით საინტერესო ტერიტორიები, კერძოდ, ისეთი ტერიტორიები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გეგმის/პროგრამის შედეგად მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მოყვება. საჭიროა ასეთი ტერიტორიების მახასიათებლების აღწერა. კარგი იქნებოდა, მახასიათებლების აღწერის დროს ზემოთ მოყვანილი ეკოლოგიური პრობლემებიც გვეხსენებინა. ტერიტორიების მახასიათებლების მაგალითებში შედის: განსაკუთრებით მგრძობიარე, მყავანობის მიმართ მოწყვლადი, მაღალი ბოტანიკური ღირებულების ან მჭიდროდ დასახლებული. ასეთი ტერიტორიები შეიძლება აღმოჩნდეს გეგმის/პროგრამის მიერ გათვალისწინებული ფართობის გარეთ. თუ ტერიტორია ახლოსა სხვა მხარესთან, ან მოსალოდნელ ეფექტებს შორ მანძილზე მოქმედების უნარი აქვს, მაშინ მოსალოდნელია, რომ სხვა მხარის ტერიტორია და მის ფარგლებს გარეთაც მნიშვნელოვნად დაზარალდება, რა შემთხვევაშიც აუცილებელია ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების გამართვა. (პარ. 5.23)</p> <p>მე-4 პარაგრაფში მოთხოვნილია ინფორმაცია გეგმის/პროგრამის შესაბამისი რაიმე სახის არსებული პრობლემის შესახებ, იმისათვის, რომ შეფასდეს, რა გავლენას მოახდენს ეს პრობლემები გეგმაზე/პროგრამაზე, და მოახდენს თუ არა ეს უკანასკნელი არსებული პრობლემების გაუარესებას, შემცირებას ან რაიმე სხვაგვარ გავლენას. ეფექტების რელევანტურობა შეიძლება ასევე განისაზღვროს, როგორც უმნიშვნელო ეფექტი, რომელიც არსებულ პრობლემასთან კომბინაციაში წარმოქმნის მნიშვნელოვან ეფექტს. ამ შემთხვევაში შეიძლება გეგმის/პროგრამის ისეთი თემებიც კი გახდეს რელევანტური, რომლებსაც არანაირი ეკოლოგიური გავლენა არ გააჩნია. არ არის აუცილებელი, რომ პრობლემა მნიშვნელოვანი იყოს და კონკრეტულად ეხებოდეს განსახილველ ტერიტორიას. განსაკუთრებული ეკოლოგიური მნიშვნელობის მქონე შეიძლება იყოს ის ტერიტორია, რომელსაც ძალიან მაღალი ეკოლოგიური ღირებულება აქვს და ასევე, ტერიტორია, რომელიც აღნიშნულია ეროვნულ კანონმდებლობაში. (პარ. 5.24).</p>

IV დანართის პარაგრაფები	გზამკვლევი (ადაპტირებული EC გზამკვლევი)
<p>5. საერთაშორისო, ეროვნულ და სხვა დონეზე დამკვიდრებული გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის ამოცანები, რომლებიც გეგმის/პროგრამის რელევანტურია, და გზები, რომლის საშუალებითაც მოხდა ამ ამოცანებისა და სხვა გარემოსდაცვითი თუ ჯანდაცვის შესახებ მოსაზრებების გათვალისწინება მისი მომზადების დროს.</p>	<p>გასათვალისწინებელი გარემოს დაცვის ამოცანები უნდა ეხებოდეს, სულ მცირე, ეკოლოგიური ეფექტების ჩამონათვალში განმარტებულ რელევანტურ პრობლემებს, როგორცაა: „ნებისმიერი ზეგავლენა გარემოზე, მათ შორის, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფლორასა და ფაუნაზე, ბიომრავალფეროვნებაზე, ნიადაგზე, კლიმატზე, ჰაერსა თუ წყალზე, ლანდშაფტზე, ბუნებრივ ობიექტებზე, მატერიალურ ქონებაზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედებაზე“ (მუხლ. 2.7). ხშირად ხდება საერთაშორისო და რეგიონული (ECE) ამოცანების შეტანა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ჩამოყალიბებულ ამოცანებში, რაც შეიძლება საკმარისი იყოს. ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს გეგმის/პროგრამის მოსალოდნელ მნიშვნელოვან ეფექტებს ან წამოჭრილ პრობლემებს. ამ ინფორმაციის მოპოვებაში დაგეხმარებათ ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები. (პარ. 5.25).</p>
<p>6. მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტი გარემოზე, ჯანმრთელობის ჩათვლით*/ როგორც განმარტებულია მუხლ.2 პარ.7</p> <p>ამ ეფექტებში უნდა გაითვალისწინოთ მეორადი, კუმულაციური, შერწყმადი, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი, მუდმივი და დროებითი, პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები.</p>	<p>ეფექტების განმარტებით სიაში შეტანილი პრობლემები (იხ. ზემოთ) არ არის ამომწურავი და შესაბამისად, შეიძლება სხვა პრობლემაც რელევანტური აღმოჩნდეს. მასშტაბის შესაბამისად, და როგორც მინიმუმ, სხვა პრობლემების კონტექსტში უნდა გაითვალისწინოთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ამ ჭრილში, გარემოსთან კავშირში ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემები, როგორცაა, მაგ., ავტომაგისტრალის ხმაური, ჰაერის დაბინძურება, რაც შესწავლის უდავო ასპექტებს წარმოადგენს (პარ. 5.26).</p> <p>მნიშვნელოვანია სიაში ხსენებულ ფაქტორებს შორის დამოკიდებულების ახსნა, რამდენადაც, იმ ეფექტების გარდა რომელიც ცალკეული ფაქტორის შესახებ დამოუკიდებელი კვლევისას იჩენს თავს, ამ გზით შეიძლება სხვა, უფრო მწვავე ეფექტის აღმოჩენა. ამდენად, ჰაერსა და კლიმატურ ფაქტორებზე მნიშვნელოვანმა ზეგავლენამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს ფლორას, ფაუნას და ბიომრავალფეროვნებას. საჭიროა გვეჩვენოს ფაქტორებისა და მათი ურთიერთქმედების შესახებ ფართო და ყოვლისმომცველი ინფორმაცია. ასევე მნიშვნელოვანია პოზიტიური ეფექტების განმარტება, რაც გვიჩვენებს თუ რამდენად უწყობს ხელს გეგმა/პროგრამა გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას (პარ. 5.26).</p>
<p>7. გარემოზე (ჯანმრთელობის ჩათვლით) გეგმის/პროგრამის განხორციელების კვალობაზე წარმოქმნილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი საზიანო ეფექტის პრევენციის, შემცირების, ან აღმოფხვრის ზომები,</p>	<p>ამ გზით უზრუნველყოფთ, რომ ანგარიშში განიხილებოდეს თუ როგორ მოხდება პროგნოზირებული მწვავე ზეგავლენის შემსუბუქება. გათვალისწინებული ზომები არ არის დაწვრილებით აღწერილი, ამდენად აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ის ზომები და ღონისძიებები, რაც გაწერილია გეგმის/პროგრამის ფარგლებში, ან ჩამოყალიბებულია გარემოსდაცვით ანგარიშში. უნდა გვახსოვდეს, რომ თავად შემსუბუქების ზომებს შეიძლება ახლდეს საზიანო შედეგი გარემოზე, და ამიტომ დროულად უნდა მოხდეს მათი გამოვლენა. არსებობს გზმ-თან დაკავშირებული შემსუბუქების მეთოდები, რომლებიც შეიძლება მოსახერხებელი იყოს გეგმების/პროგრამების შეფასების დროს (პარ. 5.27).</p>



IV დანართის პარაგრაფები	გზამკვლევი (ადაპტირებული EC გზამკვლევი)
8. განხილული ალტერნატივების შერჩევის მიზეზების განმარტება და აღწერა, თუ როგორ ჩატარდა შეფასება, მათ შორის ინფორმაციის მოპოვებისას წარმოქმნილი სირთულეების აღნიშვნით, როგორცაა, მაგ., ტექნიკური დეფიციტი ან ცოდნის ნაკლებობა.	ალტერნატივების შერჩევის შესახებ ინფორმაცია არსებითია, რათა გავიგოთ, რატომ მოხდა ამა თუ იმ ალტერნატივის შეფასება და რა კავშირი აქვს მას გეგმის/პროგრამის პირველად ვერსიასთან. შეფასების დროს გამოყენებული მეთოდების აღწერა ხელსაყრელია ხარისხობრივი ინფორმაციის, შედეგების და მათი დამოკიდებულების დასასაბუთებლად. ამ ასპექტს მეტ ნათელს მოჰყენს პროცესში წარმოქმნილი სირთულეების აღნიშვნაც. შესაფერის შემთხვევებში, კარგი იქნება მიუთითოთ, თუ როგორ მოხდა სირთულეების გადალახვა (პარ. 5.28)
9. გეგმის/პროგრამის განხორციელებით ეკოლოგიაზე(ჯანმრთელობის ჩათვლით) ეფექტების მონიტორინგისთვის გათვალისწინებული ზომები.	პროტოკოლის მე-12 მუხლის თანახმად, უნდა მოხდეს გეგმის/პროგრამის განხორციელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ეფექტების მონიტორინგი, და რამდენადაც აღნიშნული ეფექტები განმარტებულია მე-6 პარაგრაფში, ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს როგორ განხორციელდება მონიტორინგი. აქვე უნდა მიუთითოთ მონიტორინგის არსებულ მეთოდზე, თუკი მის გამოყენებას აპირებთ მომავალშიც. ასევე, ხელსაყრელი იქნება განმარტოთ როგორ გახდება ხელმისაწვდომი მონიტორინგის შედეგები მე-12 მუხლის შესაბამისად. ამ ეტაპზე მონიტორინგის ზომებს ექნება წინასწარი პროექტის სახე, თუმცა ანგარიშში მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოთ, როგორი იქნება მათი საბოლოო სახე. (პარ. 5.29)
10. მსალოდნელი ტრანსსასაზღვრო მნიშვნელოვანი ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) ეფექტები	ეს არ წარმოადგენს SEA-სდირექტივის (და არც EC გზამკვლევის) დამოუკიდებელ ელემენტს, თუმცა იგულისხმება მასში. ხელსაყრელია ამ ინფორმაციის, როგორც ცალკე ნაწილის წარმოდგენა, მაშინაც კი, თუ ხდება მისი დუბლირება მე-6 პარაგრაფიდან. ეს გააიოლებს სხვა მხარეებისთვის მის თარგმნას და შესაბამისად, განხილვასაც.
11. მოწოდებული ინფორმაციის არა-ტექნიკური რეზიუმე.	არა-ტექნიკური რეზიუმეს საშუალებით ანგარიშის მთავარი თემები და შედეგები ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები ხდება როგორც საზოგადოებისთვის, ისე გადაწყვეტილების მიმღებთათვის. რეზიუმე შეიძლება იყოს ანგარიშის ნაწილი (როგორც წესი დასაწყისში), თუმცა შეიძლება მისი გავრცელება ცალკე დოკუმენტის სახით, რაც უფრო ფართო მასების ინფორმირებას უზრუნველყოფს. შედეგების მარტივად წარსადგენად უმჯობესია ცხრილის სახით შედგენილი სრული რეზიუმეს გაკეთება. (პარ. 5.30).

ცხრილი ა4.3: კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ ეკოლოგიური ანგარიშის შინაარსის განსაზღვრისას (პუნქტი. 7.2)

კრიტერიუმი	შენიშვნა
მიმდინარე ცოდნა და შეფასების მეთოდები	შეფასება შეიძლება შეიზღუდოს ჩვენი ცოდნის მიმდინარე დონის გამო ეკოლოგიის შესახებ და ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებებით გარემოში გამოწვეული შედეგების შესახებ.
გეგმის/პროგრამის ხასიათი (შინაარსი და გეგმის/პროგრამის დეტალები, და მისი დონე გადაწყვეტილების მიღების პროცესში)	დეტალების მცირე რაოდენობით უფრო სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად, შეუძლებელი და არასასურველია დეტალური ანალიზის ჩატარება. მაგალითად, „ეროვნული გეგმის“ ეკოლოგიურ ანგარიშს შეიძლება არ დასჭირდეს გეგმისმიერი ეფექტების (შედეგების) შეფასება, ვთქვათ, ქვეყანაში ყველა მდინარის მიმართ; მაგრამ, ეკოლოგიური ანგარიში, ქალაქის თანდართული გეგმით, აუცილებლად უნდა ეხებოდეს მის განხორციელებას ქალაქის ფარგლებში და მის სიახლოვეს არსებული მდინარეებისა თუ სხვა წყალსადენების კუთხით“ (EC გზამკვლევი, პარ. 5.16).
საზოგადოების ინტერესი	საზოგადოება შეიძლება მოელოდეს მისთვის მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით ადეკვატურ და გასაგებ შეფასებებს, რაც საზოგადოების პერსპექტივებსა და ინტერესებს გაითვალისწინებს.
გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღების საჭიროება	გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ უნდა შეამოწმოს შეფასება, და შეიძლება მოითხოვოს გარკვეული საკითხების კონკრეტული წესით გათვალისწინება.

37. პროტოკოლი არ მოითხოვს მასშტაბის დადგენის შესახებ ანგარიშის მომზადებას. თუმცა, შეიძლება მასშტაბის დადგენის შედეგების შესახებ ჩანაწერების წარმოება (თუნდაც მოკლე ანგარიშის სახით) ხელსაყრელი იყოს, რადგან ამ დროს უკეთ ჩანს რა უნდა გაკეთდეს ეკოლოგიური ანგარიშის მომზადებისას. ოფიციალურმა პირმა შეიძლება მოითხოვოს მასშტაბის დადგენის შესახებ ანგარიშის გასაჯაროება, როგორც კარგი მაგალითის, და, შესაბამისად მაინც დადგება ასეთი სახის ანგარიშს გასაჯაროების მოთხოვნა ორჰუსის კონვენციის თანახმად (ან ევროკავშირის შესაბამისი 2003/4/EC დირექტივის თანახმად).
38. მასშტაბის დადგენა ადმინისტრაციულად გამორჩეული უნდა იყოს გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადებისგან, არ არსებობს რაიმე ფორმალური მოთხოვნა მასშტაბის დადგენის ან მისი შედეგების შესახებ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ამსახველი ანგარიშის მომზადების თაობაზე. მიუხედავად ამისა, ყოველთვის საჭიროა ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების გამართვა ეკოლოგიური ანგარიშის მასშტაბის დადგენის თაობაზე. მასშტაბის დადგენის პროცესის ინტეგრირება ანგარიშის მომზადებაში და ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების გამართვა მხოლოდ ანგარიშის დასრულების შემდეგ არ იქნება მიზანშეწონილი.
39. SEA–ს განსაზღვრული ელემენტების განსახორციელებლად პასუხისმგებელ ოფიციალურ პირს შეუძლია მოიწვიოს გარეშე ორგანიზაცია (საჯარო ან კერძო), თუმცა არა გადაწყვეტილების მისაღებად. მასშტაბის დადგენის შესახებ ანგარიშში შეიძლება აისახოს ხსენებულ ორგანიზაციასთან დასადები ხელშეკრულების ტექნიკური დავალებების საფუძვლები. გარდა ამისა, მასშტაბის დადგენაც შეიძლება დაევალოს ხელშეკრულებით მოწვეულ ორგანიზაციას. საამისოდ ტექნიკური დავალებების ნიმუშები შეგიძლიათ იხილოთ ევროკავშირის განვითარების თანამშრომლობის პუბლიკაციაში *ეკოლოგიური ინტეგრაციის სახელმძღვანელო*.<sup>30</sup>
40. ხელშეკრულებით მოწვევა არ ნიშნავს SEA–ს განცალკევებას დაგეგმვის პროცესიდან, რადგან, როგორც დადგენილია SEA–ს კონტრაქტორი მჭიდროდ თანამშრომლობს გეგმის/პროგრამის მოსამზადებელ ჯგუფთან (იხ.თავი ა2).
41. პროექტის მართვასთან დაკავშირებით დამატებითი რჩევებისათვის იხ. UNEP *ეკოლოგიური შედეგების შეფასების შესახებ ტრენინგის სახელმძღვანელო*(მეორე გამოცემა), თემა 12 (გზმ პროექტის მართვა).<sup>31</sup>

<sup>30</sup> იხ. [http://ec.europa.eu/europeaid/infopoint/publications/europeaid/4a\\_en.htm](http://ec.europa.eu/europeaid/infopoint/publications/europeaid/4a_en.htm)

<sup>31</sup> UNEP, 2002 წ. ივნისი. იხ. [http://www.unep.ch/etu/publications/eia/Man\\_2edition\\_toc.htm](http://www.unep.ch/etu/publications/eia/Man_2edition_toc.htm)

საფეხური 2: შინაარსისა და საფუძვლების ანალიზი

მეთოდოლოგიური დავალებები	პროცესუალური დავალებები	დამატებით, ნებაყოფლობითი დავალებები
<p>X გარემოს მიმდინარე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ჯანდაცვის ჩათვლით, და მისი სავარაუდო ევოლუცია გეგმის/პროგრამის განუხორციელებლობის პირობებში (დანართი IV, პარ. 2)</p> <p>X გარემოს (ჯანდაცვის ჩათვლით) მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც სავარაუდოდ განხორციელდება მნიშვნელოვანი გავლენა (დანართი IV, პარ. 3)</p>	<p>(არ აღინიშნება)</p>	<p>X შესაფერის შემთხვევებში კონსულტაცია გაიარეთ ოფიციალურ პირებთან და უზრუნველყავით საზოგადოების ჩართულობა კონტექსტთან, ამოცანებთან და საფუძვლებთან დაკავშირებით.</p> <p>X საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს მიაწოდეთ არაოფიციალური შეტყობინება და გაიარეთ მასთან კონსულტაცია (იხ. ქვეთავი 4.5).</p> <p>X აღწერეთ შესაბამისი ოფიციალური პირისა და საზოგადოების გამოვლენის მეთოდი</p> <p>X მიუთითეთ შეგროვილი ინფორმაციის ხარისხი და რამდენად განახლებულია იგი.</p>

42. ანგარიშის მომზადების მეორე საფეხური ინფორმაციის შეგროვების სავარჯიშოა. ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებით ინფორმაციის შესახებ რჩევები მოცემულია ზემოთ ა 4.2 ცხრილში (დანართი IV). მოსახერხებელი იქნება ჩაინიშნოთ ის სირთულეები, რომელსაც ინფორმაციის შეგროვებისას წააწყდებით და მონაცემთა სიმწირე, რადგან მოგვიანებით ამ ყველაფრის ახსნა დაგჭირდებათ გარემოსდაცვით ანგარიშში.

43. პროტოკოლი არ გვავალდებულებს, რომ კონსულტაციები და საზოგადოების ჩართულობა განხორციელდეს ასეთ ადრეულ ეტაპზე. საზოგადოება და ოფიციალური პირი შეიძლება პასუხისმგებელ პირს დაეხმარონ მოცემულ მომენტამდე შეგროვილი ინფორმაციის შეფასებაში, მასშტაბის შემოწმებასა და ამოცანების განხილვაში, თუმცა საჭიროა თუ არა კონსულტაციები და საზოგადოების თანამონაწილეობა ანგარიშის მომზადების ყველა ეტაპზე, ამას კონკრეტული მოვლენები განაპირობებს. პროტოკოლის მიერ კონსულტაციები და საზოგადოების ჩართულობა განსაზღვრულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეკოლოგიური ანგარიში მომზადდება (ე.ი. მე-5 საფეხურზე), და შეიძლება არც იყოს საჭირო ან მომგებიანი ყველა საფეხურზე კონსულტაციების და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

საფეხური 3: წვლილი ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში

მეთოდოლოგიური დავალებები	პროცესუალური დავალებები	დმატებით, ნებაყოფლობითი დავალებები
<p>X აღწერეთ, როგორ მოხდა ეკოლოგიური (ჯანდაცვის ჩათვლით) ამოცანების და სხვა მსგავსი მოსაზრებების გათვალისწინება გეგმის/პროგრამის, და ალტერნატივების მომზადების პროცესში (დანართი IV, პარ. 5)</p> <p>X ალტერნატივები შეფასეთ მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) ეფექტების იდენტიფიკაციის, აღწერისა და შეფასების საშუალებით (მეთოდები იხ. თავი ა5 და დანართი IV, პარ.6 და 10)</p> <p>X აღწერეთ შეფასების მეთოდოლოგია (დანართი IV, პარ. 8)</p> <p>X წარმოადგინეთ მწვავე ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) ეფექტების პრევენციის, შემცირებისა და აღმოფხვრის ზომები (დანართი IV, პარ. 7)</p>	<p>(არ აღინიშნება)</p>	<p>X წარმოადგინეთ ეკოლოგიური სარგებელის გაზრდის ზომები</p> <p>X წვლილი შეიტანეთ ალტერნატივების ჩამოყალიბებაში, რაც მაქსიმალურად გაზრდის ეკოლოგიური ამოცანების შესრულებას და სხვა ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებას, გარემოზე მწვავე ზეგავლენის ჩათვლით.</p> <p>X ჩაწერეთ, როგორ მოხდა ალტერნატივების ჩამოყალიბება.</p> <p>X შესაფერის შემთხვევაში, ალტერნატივებთან დაკავშირებით გაიარეთ კონსულტაციები ოფიციალურ პირებთან და უზრუნველყავით საზოგადოების მონაწილეობა.</p> <p>X შესაფერის შემთხვევაში, კონსულტაცია გაიარეთ დაზარალებულ მხარესთან (იხ. ქვეთავი ა4.5).</p> <p>X ახსენით, რატომ აირჩიეთ მოცემული მეთოდოლოგია და რა შეზღუდვები ახლავს მათ.</p>

44. ანგარიშის მომზადების მესამე საფეხურზე ხდება გეგმების/პროგრამების ალტერნატივების ფორმირება, როცა კონტექსტი და საფუძვლები უკვე გამოვლენილი და შესაბამისად, შეჯერებულია დაინტერესებულ მხარეებთან. ანგარიშში უნდა გამოიკვეთოს, როგორ მოხდა ალტერნატივების ჩამოყალიბება, ასე, რომ მნიშვნელოვანია ამ პროცესის შესახებ ჩანაწერების წარმოება. შესაძლებელია ამ საფეხურზე პროცესმა განმეორებადი ხასიათი მიიღოს გარკვეულ დავალებებთან მიმართებაში, სანამ სათანადოდ არ მოხდება ალტერნატივების ჩამოყალიბება და შეფასება ისე, რომ სრულად იქნას წარმოდგენილი გარემოსდაცვით ანგარიშში.
45. ამ საფეხურზე ალტერნატიული გეგმების/პროგრამების (ან მათი ელემენტების) შეფასების ერთ-ერთი მიდგომა შეიძლება ამოცანების გადამოწმება და ალტერნატივების ამოცანებთან თავსებადობის მატრიცის შედგენა იყოს. ამგვარი მიდგომის შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ა5 თავში, რომელიც SEA ინსტრუმენტებს ეხება. თუ ალტერნატივები ჩამოყალიბებით, გავაშალაშინეთ და შევამცირეთ რაოდენობრივად, მაშინ შეფასება უფრო დეტალური გამოვა და საბოლოოდ მოიცავს ყველა გონივრული ალტერნატივის კვალობაზე მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტების იდენტიფიკაციას, აღწერას და შეფასებას.
46. უნდა ჩაიწეროს ყველა სირთულე რაც ეფექტების პროგნოზირებისა და შეფასების დროს წარმოიშვება.
47. ეფექტების პრევენციის, შემსუბუქებისა თუ აღმოფხვრის ზომები მხოლოდ და მხოლოდ შერჩეული გეგმისთვის/პროგრამისთვის უნდა იყოს შეთავაზებული, მაგრამ ყველა გონივრულ ალტერნატივასთან დაკავშირებით ამ ზომების გამოვლენა ინფორმაციას მოგვცემს დარჩენილი ეფექტების შესახებ (ე.ი. ეფექტებზე, რომლებისთვისაც გვაქვს მოქმედების ზომები), რაც გეგმის/პროგრამის უფრო ინფორმირებულ არჩევას განაპირობებს.
48. რეკომენდებულია ამ საფეხურზე კონსულტაციების და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში, რაც განსახილველი ალტერნატივების პოზიციებს გაამყარებს.

**საფეხური 4: ეკოლოგიური ანგარიშის მომზადება**

მეთოდოლოგიური დავალებები	პროცესუალური დავალებები	დამატებით, ნებაყოფლობითი დავალებები
<p>X წარმოადგინეთ მონიტორინგის გეგმა (დანართი IV, პარ. 9)</p> <p>X გამოავლინეთ და აღწერეთ ნებისმიერი სირთულე, შეზღუდვა, გაურკვევლობა და რისკი, რომელსაც ალტერნატივების შეფასების დროს ჰქონდა ადგილი, მათ შორის რომლებიც მონაცემთა დეფიციტით იყო გამოწვეული (დანართი IV, პარ. 8)</p> <p>X ინფორმაცია შეაჯამეთ არა-ტექნიკურ რეზიუმეში (დანართი IV, პარ. 11)</p>	<p>X მოამზადეთ გარემოსდაცვითი ანგარიში (მუხლ. 7.1)</p>	<p>მონიტორინგის საშუალებების შეთავაზებისას ყურადღება მიაქციეთ მონაცემთა დეფიციტს და მონაცემთა ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებელს.</p> <p>X გადაამოწმეთ შერჩეული ალტერნატივები და გარემოსდაცვითი ანგარიში საჭიროებისამებრ</p> <p>X ჩაიწერეთ რა გავლენა მოახდინა SEA –მ გეგმის/პროგრამის და მისი ალტერნატივის ჩამოყალიბებაზე</p> <p>X ჩაიწერეთ როგორი ურთიერთქმედებაა დაგეგმვისა და SEA გუნდებს შორის</p> <p>X წარმოადგინეთ შემდგომი კონტროლის ღონისძიებები სხვა გეგმების/პროგრამების ან პროექტების ჩათვლით</p>

49. ამ მომენტისთვის ყველაფერი მზად უნდა გქონდეთ გარემოსდაცვითი ანგარიშის ასაწყობად. არა-ტექნიკური რეზიუმე უკვე მზად უნდა იყოს, შეიძლება მისი ადრეული ვერსია უკვე დარიგებული გქონდეთ საზოგადოების მონაწილეობისა და კონსულტაციების პროცესების ხელშეწყობის მიზნით.

50. EC გზამკვლევი გვიჩვენებს, რომ გარემოსდაცვითი ანგარიში იყოს „თანმიმდევრული და გასაგები ტექსტი“ რომლის სტრუქტურაც დანართში მოცემული სათაურების მიხედვით აეწყობა. თუ გეგმაში/პროგრამაშია ინტეგრირებული, მაშინ „მკაფიოდ უნდა გამოირჩეოდეს, როგორც გეგმის/პროგრამის დამოუკიდებელი ნაწილი, უნდა იყოს ადვილად საპოვნელი და გასაგები საზოგადოებისა და ოფიციალური პირებისათვის“ (EC გზამკვლევი, პარ. 5.4). EC გზამკვლევი გვთავაზობს ასევე ანგარიშის ინტეგრირებას მდგრადობის შეფასებასთან ან ანალიზთან, რომელიც თავისმხრივ შეიძლება გეგმის/პროგრამის ნაწილი იყოს. (პარ. 5.5).

**ანგარიშის ხარისხი**

51. ამ ქვეთავის დანარჩენ ნაწილში ვისაუბრებთ გარემოსდაცვითი ანგარიშის ხარისხზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროტოკოლს (დირექტივა, მუხლ. 7.3 და 12.2). პრაქტიკული რჩევებისათვის იხ. ჩარჩო ა4.4 ქვემოთ.

52. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციონალურ წყობაზე. შეიძლება ხარისხზე პასუხისმგებელი იყოს იგივე ოფიციალური პირი, რომელმაც მოამზადა ეკოლოგიური ანგარიში. გაიდლაინების შემუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანოს შეიძლება დაეკისროს ხარისხის კონტროლის ფუნქცია, ან შეიძლება შედგეს დამოუკიდებელი კომისია, ან უკვე არსებულ აუდიტორულ კომისიას გაუფართოვდეს მანდატი.

53. ეკოლოგიური ანგარიშის ხარისხზე საუბრისას, შეიძლება გაგახსენდეთ შემდეგი:

- X სათანადო ხარისხი ნიშნავს, რომ დებულებები სწორადაა განხორციელებული როგორც შინაარსობრივად, ისე პროცედურულად და შეიცავს პროტოკოლის განსახორციელებლად საკმარის სრულყოფილ და სანდო ინფორმაციას.
- X ოფიციალურმა პირმა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს სათანადო ხარისხითაა შესრულებული ანგარიში თუ არა, განსაკუთრებით მე-7 მუხლისა და IV დანართის მოთხოვნებთან მისი შედარებისას.

- X თუ ანგარიში არ არის სათანადო ხარისხით შესრულებული, შეიძლება შესწორდეს, ან განივრცოს, ან განმეორდეს SEA-ს ნაწილი, იმისდა მიხედვით თუ როგორია ეროვნული SEA-ს სისტემა.
- X თუ ანგარიში არ არის სათანადო ხარისხით შესრულებული, ამან შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს SEA-ს შედეგად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ვალიდურობა.
- X პროტოკოლი აწესებს მინიმალურ სტანდარტს, მაგრამ უფრო წინ წასვლისთვის საკმაოდ ბევრი საშუალებაა, მაგ., დამოუკიდებელი შეფასებები, პროცედურულ და არსებით მოთხოვნებთან დაკავშირებული გაიდლაინები, დამოუკიდებელი ინსტიტუციის მიერ შემოწმება, პრეტენზიების მხედველობაში მიღება ან აპელაციები.
- X ხარისხის შენარჩუნების მრავალი მეთოდი არსებობს, მაგ, პროცესში გადასალახი საფეხურების საძიებელი სია. ქვემოთ მოყვანილი ა4.4 ცხრილი გვთავაზობს საძიებელ სიას გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე (არა მხოლოდ გარემოსდაცვით ანგარიშში, არამედ მთელ SEA პროცესში ხარისხის მაკონტროლებელი ინსტრუმენტი).

**ჩარჩოა 4.4: ხარისხი — შესაძლო პრაქტიკული მოსაზრებები**

გარემოსდაცვითი ანგარიში უნდა შეიცავდეს სრულყოფილ და სანდო ინფორმაციას, რომელიც პროტოკოლის მიზნების ადეკვატური იქნება. პროტოკოლი არ აწესებს შესაფერის ხარისხს, მაგრამ, რამდენადაც SEA-ს პროცესიც და ეკოლოგიური ანგარიშიც პროტოკოლის მიერაა განსაზღვრული, მისი დებულებების შესაფერისი განხორციელება როგორც შინაარსობრივად, ისე პროცედურულად, ჩაითვლება შესაფერისი ხარისხის მოთხოვნის დაკმაყოფილებად.

უმეტეს შემთხვევებში ოფიციალური პირმა გეგმის/პროგრამის დამტკიცებამდე უნდა გადაწყვიტოს, შესაფერისი ხარისხითაა თუ არა მომზადებული კონკრეტული გარემოსდაცვითი ანგარიში, და თუ არ არის, რა ღონისძიებებია საჭირო დეფექტების აღმოსაფხვრელად. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ანგარიშში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ან SEA-ს პროცესის ნაწილობრივ, ან სრულად განმეორება. იმის გარკვევისას, თუ რაზეა დამოკიდებული ანგარიშის ხარისხი, გეგმის/პროგრამის მომზადებაზე პასუხისმგებელმა პირმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს პროტოკოლის მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-7 მუხლში და IV დანართში. მან ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებისა და საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს. უნდა ახსოვდეს, რომ დეფექტური ანგარიში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ამ ანგარიშის მიხედვით მიღებული ნებისმიერი აქტებისა და გადაწყვეტილებების ვალიდურობას.

პროტოკოლის პროცედურული და არსებითი მოთხოვნები, თუკი სათანადოდ განხორციელდება, შეიძლება ჩაითვალოს ეკოლოგიური ანგარიშის ხარისხის უზრუნველყოფის მინიმალურ სტანდარტად. მხარეებმა შეიძლება თავად გადაწყვიტონ განხორციელებენ თუ არა დამატებით ზომებს, და თუ განხორციელებენ, როგორი იქნება ეს ზომები. გზშ-ს პრაქტიკაში გამოყენებული მრავალი ზომა შეიძლება მივუსადაგოთ პროტოკოლს, მაგალითად, დამოუკიდებელი შეფასება (როგორცაა შემოსამოწმებელი კომისია, ან სამთავრობო კომისია, რომელიც განსაზღვრავს ეკოლოგიური ანგარიშის ინფორმაციულ ხარისხს); გაიდლაინები, რომლებშიც გაწერილია დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირისთვის აუცილებელი პროცედურული და არსებითი მოთხოვნები; დამოუკიდებელი ინსტიტუცია (რომელიც გამოიყენება ეკოლოგიური ანგარიშის დეტალურობის დონის და მასშტაბის გასარკვევად); ან მარტივად, სამართლებრივ განცხადებებზე დაყრდნობა.

ისევე როგორც SEA-ს პროცედურის ყოველ ნაბოჯს გარემოსდაცვითი ანგარიშის სათანადო ხარისხით შესრულებამდე მივყავართ, შეიძლება სხვა მეთოდები გავითვალისწინოთ, რომლებიც მთლიანად პროცესის ხარისხის შენარჩუნებაში დაგვეხმარება, მაგალითად, საძიებელი სიების გამოყენება, სადაც ნათლად ჩანს პროცესის ყველა საფეხური გავიარეთ თუ არა და იყო თუ არა ეს მოთხოვნის შესაბამისად გაკეთებული.

#### ცხრილი 4.4: საძიებელი სია ხარისხის უზრუნველსაყოფლად<sup>32</sup>

<b>ამოცანები და კონტექსტი</b>
<ul style="list-style-type: none"><li>X გეგმის/პროგრამის მიზანი და ამოცანები მკაფიოა.</li><li>X ეკოლოგიური პრობლემები და შეზღუდვები, გარემოს დაცვის საერთაშორისო და EC ამოცანების ჩათვლით, გათვალისწინებულია განვითარების ამოცანებში და მიზნებში.</li><li>X SEA-ს ამოცანები, გამოყენების შემთხვევაში, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და შეესაბამება ინდიკატორებსა და მიზნებს.</li><li>X სხვა მსგავს გეგმებთან, პროგრამებთან და პოლიტიკასთან კავშირები დადგენილია და განმარტებულია.</li><li>X SEA-სამოცანებს, SEA-სა და გეგმის ამოცანებს შორის და ასევე, SEA-ს ამოცანებსა და სხვა გეგმის ამოცანებს შორის კონფლიქტი გამოვლენილი და აღწერილია.</li></ul>
<b>მასშტაბის დადგენა</b>
<ul style="list-style-type: none"><li>X გარემოსდაცვითი ანგარიშის შინაარსისა და მასშტაბის შესახებ გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესაბამის ოფიციალურ პირებთან გავლილია კონსულტაცია შესაფერისი წესით და შესაფერის დროს .</li><li>X ანგარიში აქცენტს აკეთებს მნიშვნელოვან პრობლემებზე.</li><li>X განხილულია წარმოქმნილი ტექნიკური, პროცედურული და სხვა სახის სირთულეები; გამოვლენილია ვარაუდები და გაურკვევლობები.</li><li>X სახეზეა პრობლემების დამატებით განხილვიდან ამოღების მიზეზები.</li></ul>
<b>ალტერნატივები</b>
<ul style="list-style-type: none"><li>X მთავარი პრობლემების შესაბამისად გათვალისწინებულია რეალისტური ალტერნატივები და დოკუმენტირებულია მათი არჩევის მიზეზები.</li><li>X ალტერნატივები შეიცავს „მინიმუმის გაკეთების“ და/ან ბიზნესის როგორც ყოველთვის“ სცენარებს, რომელიც უფრო მისადაგება.</li><li>X გამოვლენილი და შედარებულია თითოეული ალტერნატივის ეკოლოგიური ეფექტი (როგორც ნეგატიური, ისე სასარგებლო).</li><li>X გამოვლენილი და აღწერილია ალტერნატივებსა და სხვა შესაბამის გეგმებს, პროგრამებსა თუ პოლიტიკას შორის შეუთავსებლობები.</li><li>X მოცემულია ალტერნატივის არჩევის, ან უარყოფის მიზეზი</li></ul>
<b>ფუნდამენტური ინფორმაცია</b>
<ul style="list-style-type: none"><li>X განმარტებულია ეკოლოგიის მიმდინარე მდგომარეობის შესაბამისი ასპექტები და მათი ევოლუცია გეგმის/პროგრამის გარეშე.</li><li>X სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მოსაქცევი ტერიტორიების ეკოლოგიური მახასიათებლები ახსნილია, მათ შორის გეგმის ფიზიკური საზღვრების მიღმა ტერიტორიებისთვისაც, თუკი მოსალოდნელია ზეგავლენა გეგმის შედეგად.</li><li>X ახსნილია ინფორმაციის დეფიციტით ან მეთოდოლოგიით გამოწვეული სირთულეები.</li></ul>
<b>მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ეფექტების პროგნოზირება და ანალიზი</b>
<ul style="list-style-type: none"><li>X გამოვლენილი ეფექტები მოიცავს პროტოკოლში ჩამოთვლილ სახეობებს (ადამიანის ჯანმრთელობა, ფლორა, ფაუნა, ბიომრავალფეროვნება, ნიადაგი, კლიმატი, ჰაერი, წყალი, ლანდშაფტი, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები, მატერიალური აქტივები და კულტურული მემკვიდრეობა), შესაფერის შემთხვევებში აღნიშნულია სხვა სახის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტებიც.</li><li>X გათვალისწინებულია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ეფექტი და განხილულია მათი შესაბამისი მნიშვნელობა (მაგალითად, კომუნიკაციური და სინერგიული ეფექტები).</li><li>X შესაფერის შემთხვევებში გათვალისწინებულია ეფექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება.</li><li>X ეფექტების პროგნოზირება და შეფასება შესაბამისი მიღებული სტანდარტების, რეგულაციებისა და ზღვრების დაცვის საშუალებას იძლევა.</li><li>X აღწერილია ეფექტების შეფასების მეთოდოლოგია.</li></ul>

<sup>32</sup> ადაპტირებულია SEA-ს დირექტივის პრაქტიკული გზამკვლევის დანართი 9-დან (დიდიბრიტანეთი, 2005)

<b>შემსუბუქების ზომები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>X გათვლილია გეგმის/პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული მწვავე ეფექტების პრევენციის, შემსუბუქებისა და აღმოფხვრის ზომები.</li> <li>X იდენტიფიცირებულია პროექტების შეთანხმებისას გასათვალისწინებელი პრობლემები</li> </ul>
<b>X ეკოლოგიური ანგარიში</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>X აქვს მკაფიო და სხარტი ფორმატი და გადმოცემის ფორმა.</li> <li>X დაწერილია მარტივი, გასაგები ენით და ტექნიკური ტერმინების გამოყენების შემთხვევაში იძლევა შესაბამის განმარტებას.</li> <li>X საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულია რუკები და სხვა საილუსტრაციო მასალა.</li> <li>X ახსნილია გამოყენებული მეთოდოლოგია</li> <li>X აღწერილია ვისთან გაიმართა კონსულტაციები და რა მეთოდით.</li> <li>X დასახელებულია ინფორმაციის წყაროები, ექსპერტთა მოსაზრებების და შეხედულებების ჩათვლით.</li> <li>X შეიცავს არა-ტექნიკურ რეზიუმეს, სადაც მოცემულია SEA-ს სრული მიდგომა, გეგმის ამოცანა, გათვალისწინებული ძირითადი ვარიანტები და SEA-ს შედეგად გეგმაში შეტანილი ცვლილებები.</li> </ul>
<b>კონსულტაცია</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>X SEA კონსულტაციები მიმდინარეობს როგორც გეგმის მომზადების განუყოფელი პროცესი.</li> <li>X გარემოს დაცვაზე და ჯანდაცვაზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებთან და გეგმის/პროგრამის შედეგების გამო მოსალოდნელ ზეგავლენას დაქვემდებარებული, ან გეგმით/პროგრამით დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციები წარმართულია იმ სახით და იმ დროს, რამაც ადრეულ ეტაპზე გეგმის/ეკოლოგიური ანგარიშის სამუშაო ვერსიის შესახებ საკუთარი დამოკიდებულების ეფექტურად დაფიქსირების ეფექტური შესაძლებლობა</li> </ul>
<b>გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>X გარემოსდაცვითი ანგარიში და კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბებული ვარიანტები მხედველობაშია მიღებული გეგმის/პროგრამის საბოლოო ვერსიის მომზადებისა და დამტკიცებისას.</li> <li>X მოცემულია ახსნა-განმარტება, როგორ მოხდა მათი გათვალისწინება.</li> <li>X მოცემულია მიზეზი, რატომ მოხდა გეგმის/პროგრამის დამტკიცებული ვარიანტის არჩევა სხვა გონივრულ ალტერნატივებთან შედარებით.</li> </ul>
<b>მონიტორინგის ზომები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>X მონიტორინგისთვის გათვალისწინებული ზომები არის მკაფიო, განხორციელებადი და დაკავშირებულია SEA –ს ინდიკატორებთან და ამოცანებთან.</li> <li>X საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგი გამოიყენება გეგმის/პროგრამის გამხორციელების დროს, SEA-ს საბაზისო ინფორმაციაში დეფიციტის აღმოსაფხვრელად.</li> <li>X მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს ადრეულ ეტაპზე აღმოვაჩინოთ გაუთვალისწინებელი მწვავე ეფექტები. (აქ შეიძლება ჩაითვალოს პროგნოზები, რომლებიც არ აღმოჩნდა მართებული.)</li> <li>X წარმოდგენილია წინადადებები მნიშვნელოვან მწვავე ეფექტებზე რეაგირებისთვის.</li> </ul>



საფეხური 5: კონსულტაცია

მეთოდოლოგიური დავალებები	პროცესუალური დავალებები	დამატებით, ნებაყოფლობით დავალებები
(არ აღინიშნება)	<p>X მონაწილეობისთვის გამოავლინეთ დაინტერესებული საზოგადოება, შესაფერისი არასამთავრობოების ჩათვლით (თუ ჯერ არ გაგიკეთებიათ 1-ლ საფეხურზე) (მუხლ. 8.3, იხ.ქვეთავი ა4.3).</p> <p>X გარემოსდაცვითი ანგარიში ხელმისაწვდომი გახადეთ ოფიციალური პირებისა და საზოგადოებისთვის (მუხლ.. 8.2, იხ.ქვეთავი ა4.3; დამუხლ. 9.2, იხ.ქვეთავია4.4).</p> <p>X დაზარალებულ მხარეს გაუგზავნეთ შესაბამისი ოფიციალური შეტყობინება (მუხლ. 10, იხ.ქვეთავია4.5).</p> <p>X კონსულტაცია გაიარეთ ოფიციალურ პირებთან და უზრუნველყავით საზოგადოების ჩართულობა გარემოსდაცვითი ანგარიშის შერჩეული ალტერნატივის განხილვაში.</p> <p>X კონსულტაციები გაიარეთ დაზარალებულ მხარესთან.</p> <p>X მიიღეთ შენიშვნები და კომენტარები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინებთ.</p> <p>X ოფიციალურად მიმართეთ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს (მუხლ. 11, იხ.ქვეთავია.4.6).</p>	<p>X აღწერეთ კონსულტაციებისა და საზოგადოების ჩართულობის პროცესი</p> <p>X ჩაწერეთ ვის მოიცავს „საზოგადოება“ და „დაინტერესებული საზოგადოება“</p>

54. კონსულტაციები (ქვეთავი ა4.4) და საზოგადოებრივი ჩართულობა (ქვეთავია4.3) უნდა განხორციელდეს ამ საფეხურზე; ოფიციალური პირები და დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლები საკუთარ აზრს გამოხატავენ ანგარიშსა და გეგმის/პროგრამის ან მისი ალტერნატივის სამუშაო ვარიანტის შესახებ, შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ პროცესის დოკუმენტური აღწერა.
55. თუ აღმოჩენილია მოსალოდნელი ტრანსსასაზღვრო ეფექტები, უნდა დაიწყოთ ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები. კონსულტაციების დაწყებაზე მოთხოვნა შეიძლება ასევე განაცხადოს დაზარალებულმა მხარემ. იხ.ქვეთავი ა4.5 ქვემოთ.
56. და ბოლოს, ანგარიში და გეგმის/პროგრამის ალტერნატივები შეიძლება შესწორდეს, რათა გათვალისწინებული იქნას ის შენიშვნები და კომენტარები, რომლებსაც მიიღებთ დოკუმენტის გადაწყვეტილების მიმღებთან წარდგენამდე. თუ როგორ გავლენას ახდენს ეს დოკუმენტები გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ამის ნახვა შეგიძლიათ ა2 თავში.

### ა4.3 საზოგადოებრივი ჩართულობა

57. ამ ქვეთავში განვიხილავთ პროტოკოლის მიხედვით SEA-ში საზოგადოების მონაწილეობას. (კერძოდ, მუხლ. 8).

#### ა4.3.1 სამართლებრივი ვალდებულებები

58. მე-8 მუხლი მოითხოვს, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ადრეულ ეტაპზე, დროული და ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობა, მაშინ, როცა ყველა არჩევანი ჯერ კიდევ ღიაა გეგმების/პროგრამების SEA-ში (მუხლ. 8.1). საზოგადოებისთვის გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისა და ეკოლოგიური ანგარიშის დროულად გაცნობა აუცილებელია (მუხლ. 8.2).

59. უნდა გამოვლინდეს დაინტერესებული საზოგადოება, შესაბამისი არასამთავრობოების ჩათვლით (მუხლ. 8.3). საუბარია დაინტერესებულ საზოგადოებაზე და არა ზოგადად საზოგადოებაზე. სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ გონივრულ ვადაში (მუხლ. 8.4) საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ (იხ. ქვეთავი ა4.2, საფეხური 4).

60. გარდა ამისა, პროტოკოლი ნებაყოფლობით უშვებს საზოგადოების ჩართულობას უფრო ადრეულ ეტაპზეც, როგორცაა:

X მნიშვნელოვანი ეფექტების გამოვლენა, როცა დგინდება საჭიროა თუ არა SEA-ს განხორციელება (მუხლ. 5) (იხ. ქვეთავი ა3.2).

X მასშტაბის დადგენა (მუხლ. 6) (იხ. ქვეთავი ა4.2, საფეხური 1).

61. უნდა განისაზღვროს და გასაჯაროვდეს საზოგადოების ინფორმირების და დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის დეტალური ღონისძიებები (მუხლ. 8.5). ამ ღონისძიებებში გათვალისწინებული უნდა იყოს V დანართში მოცემული პარაგრაფები (იხ. ზემოთ). SEA დირექტივაში არ არის V დანართის ეკვივალენტური მონაცემები.

62. საზოგადოების მონაწილეობას რამდენიმე დებულება ეხება პრეამბულაში და მუხლებში 1 (გ) (ამოცანები); 2.6 და 2.8 (განმარტებები; 3.2, 3.3, 3.6 და 3.7 (ზოგადი დებულებები); 5.3 და 5.4 (სკრინინგი); 6.3 (მასშტაბის დადგენა); 7.2 (ა) (ეკოლოგიური ანგარიში); 10.4 (ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები); 11 (გადაწყვეტილება) და 12.2 (მონიტორინგი). SEA-ს დირექტივაში პროტოკოლის მე-8 მუხლის შესაბამისი მთავარი დებულებებია ჩამოყალიბებული მუხლებში: 6.1, 6.2, 6.4 და 6.5. გარდა ამისა, საზოგადოების მონაწილეობას ეხება რამდენიმე დებულება პრეამბულასა და 2 (ბ) და (დ, 3.7, 7.2, 8 და 9.1 მუხლებში.

63. პროტოკოლის მიხედვით საზოგადოებისთვის მინიჭებული უფლება შეიძლება უფრო დეტალურად განვიხილოთ შემდეგი სათაურების ქვეშ:

X ზოგადი უფლებები.

X ინფორმაციის მიღების უფლება.

X მონაწილეობის უფლება.

#### საოგადოების ზოგადი უფლება

64. პროტოკოლი გვთავაზობს საზოგადოების ზოგადი უფლებების ჩამონათვალს, კონკრეტული ინფორმაციის მიღებისა და გეგმის/პროგრამის და ეკოლოგიური ანგარიშის სამუშაო ვერსიის თაობაზე კონსულტაციების უფლებებთან ერთად. ეს უფლებები ჩამოყალიბებულია მე-3 მუხლში და ორჰუსის კონვენციის მე-3 მუხლში მოცემული უფლებების მსგავსია:

X შესაბამისი მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა ოფიციალური პირებისა და თანამდებობის პირების მხრიდან.

X შესაბამისი ასოციაციების, ორგანიზაციების ან ჯგუფების აღიარება და ხელშეწყობა (მაგ., NGO-ები).

X პროტოკოლით მინიჭებული უფლებების განხორციელება:

- დაჯარიმების, დევნის და შევიწროვების გარეშე, და
- მოქალაქეობის, ეროვნების ან მუდმივი საცხოვრებელის გამო დისკრიმინაციის გარეშე.

65. SEA-ს დირექტივის გარდა, ევროკავშირის კანონის უმეტესი ნაწილიც მსგავს უფლებებს ეხმიანება.

66. მე-3 მუხლი შეიცავს აგრეთვე, დებულებებს თუ როგორ უნდა გადაიტანონ მხარეებმა პროტოკოლი საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობებში.

### *საზოგადოების უფლება იყოს ინფორმირებული*

67. პროტოკოლის სხვადასხვა დებულებებშია გამოხატული ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის მიღებაზე საზოგადოების უფლებები, რაც ასევე სახელმძღვანელოს შესაბამის პუნქტებშიცაა გახილული:

- X მნიშვნელოვანი ეფექტებისგამოვლენის შესახებ დასკვნები (მუხლ. 5.4) (იხ.თავი ა3).
- X გეგმის/პროგრამის პირველადი სამუშაო ვერსია და გარემოსდაცვითი ანგარიში (დროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი) (მუხლ. 8.2 და 10.4) (იხ.ქვეთავი ა4.2).
- X საზოგადოების ინფორმირებისა და დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის დეტალური ღონისძიებები (მუხლ.8.5) (ამავე ქვეთავში).
- X გეგმის ან პროგრამის და მისთ. დამტკიცება (მუხლ. 11.2) (ქვეთავი ა4.6).
- X მონიტორინგის შედეგები (მუხლ. 12.2) (ქვეთავი ა4.7).

68. საზოგადოების ინფორმირებისა და დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის დეტალური ღონისძიებები უნდა დადგინდეს და გასაჯაროვდეს. პროტოკოლის V დანართში დეტალურადაა გაწერილი რას შეიძლება მოიცავდეს ასეთი ღონისძიებები.

### *საზოგადოების უფლება მიიღოს მონაწილეობა*

69. გარდა ინფორმაციის მიღებაზე უფლებისა, დაინტერესებულ საზოგადოებას უფლება აქვს, გეგმის/პროგრამის პირველადი სამუშაო ვერსიისა და ეკოლოგიური ანგარიშის შესახებ, საკუთარი აზრის დაფიქსირებით წვლილი შეიტანოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა გამოთქმული შენიშვნები და კომენტარები აისახოს გეგმის/პროგრამის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში:

- X საზოგადოებას უნდა მიეცეს მონაწილეობის ადრეული, დროული და ეფექტური საშუალება, სანამ ყველა არჩევანი ჯერ კიდევ ღიაა. (მუხლ. 8.1).
- X შესაძლებელია საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვანი ეფექტების გამოვლენისა და მასშტაბის დადგენის პროცესში, თუმცა ეს სავალდებულო არ არის (მუხლ. 5.3 და. 6.3) (თავი ა3 და ქვეთავი ა4.2, შესაბამისად).
- X დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები გონივრულ ვადაში (მუხლ. 8.4 და. 10.4) (ქვეთავები ა4.2 და ა4.5 (ნებისმიერ დაზარალებულ მხარეს დაინტერესებული საზოგადოებისთვის), შესაბამისად).
- X დაინტერესებული საზოგადოების მოსაზრებები გათვალისწინებული უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღების დროს (მუხლ. 11.1) (ქვეთავი ა4.6).

### *ა4.3.2 შესაძლო პრაქტიკული მოსაზრებები*

70. პროტოკოლის მიხედვით საზოგადოებისთვის მინიჭებული ზოგადი უფლებები (მუხლ.3), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგივეა, რაც ორჰუსის კონვენციითაა განსაზღვრული.

71. გრდა ამისა, ამ ნაწილში განვიხილავთ პროტოკოლის მიხედვით საზოგადოების ჩართულობის შესაძლო პრაქტიკულ მოსაზრებებს, რაც საზოგადოების შესახებ შემდეგი კითხვების დასმას ითვალისწინებს:

- X ვინ არიან ისინი?

- X როგორია პროტოკოლის მიერ განსაზღვრული მათი ზოგადი უფლებები?
- X როგორ შეიძლება ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს?
- X როგორ მიიღებენ მონაწილეობას?

### ვინ წარმოადგენს საზოგადოებას?

72. ვინ წარმოადგენს საზოგადოებას? და ვინ არის „დაინტერესებული საზოგადოება“ რომელსაც „ გონივრულ ვადაში გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისა და ეკოლოგიური ანგარიშის შესახებ საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს“ (მუხლ. 8.4)? ტერმინი „დაინტერესებული საზოგადოება“ არის განმარტებული არა პროტოკოლში, არამედ ორჰუსის კონვენციაში. მართლაც, „დაინტერესებული საზოგადოება“ შეიძლება შეიცვალოს გეგმებისა და პროგრამების მონაცვლეობის მიხედვით.
73. დაინტერესებული საზოგადოების იდენტიფიკაციისას, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პრაქტიკული მოსაზრებები:
- X პროტოკოლი მოითხოვს, რომ გამოვლინდეს (და არა შეირჩეს) „დაინტერესებული საზოგადოება“ შესაბამისი არასამთავრობოების ჩათვლით.
  - X „საზოგადოების“ პროტოკოლისეული განმარტება ორჰუსის კონვენციაში და SEA დირექტივაში მოცემული განმარტების იდენტურია, მაგრამ განსხვავდება ესპოს კონვენციისგან „ასოციაციების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების“ დამატებით.
  - X განმარტება „მიანიშნებს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს“ (EC გზამკვლევი, პარ. 7.5). “ზმირ შემთხვევებში, ფიზიკური პირების ასოციაციას, ორგანიზაციას ან ჯგუფს თავად აქვს იურიდიული ფორმა და ამდენად, პირდაპირ ხვდება მოცემულ დეფინიციაში. განმარტების ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ისე, რომ ასოციაციები, ორგანიზაციები და იურიდიული ფორმის არმქონე ჯგუფები (არასამთავრობოების ჩათვლით), თუ ეროვნული კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლევა, ასევე მოიაზრებოდნენ „საზოგადოებაში“ (EC გზამკვლევი, პარ. 7.6).
  - X პროტოკოლი განმარტავს, რომ “დაინტერესებულ საზოგადოებას”, ეს ტერმინი არ არის განმარტებული (გარდა მინიშნებისა, რომ იგი უნდა შეიცავდეს შესაბამის არასამთავრობოებს), უნდა ჰქონდეს გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. „დაინტერესებული საზოგადოების“ შესახებ ორჰუსის კონვენციაში მოცემული განმარტებით ეს არის „გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების კვალობაზე დაზარალებული ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტისადმი დაქვემდებარებული, ან დაინტერესებული“; ამ განმარტების მიზნით, გარემოს დაცვის ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ ეროვნული კანონმდებლობის ნებისმიერ მოთხოვნას, უნდა ჩაითვალოს დაინტერესებულ მხარედ“ (მუხლ. 2.5). დირექტივა მიჰყვება ორჰუსის კონვენციის განმარტებას, თუმცა არ იყენებს ტერმინს „დაინტერესებული საზოგადოება“. მხარებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ გამოიყენებენ თუ არა ამ ტერმინს.
  - X შეიძლება გამოვიყენოთ EC გზამკვლევი: “[ამ იურიდიული ინსტრუმენტის თანახმად] მიღებული გადაწყვეტილების გამო დაზარალებული, ან სავარაუდოდ ზიანს დაქვემდებარებული, ან დაინტერესებული საზოგადოება შეიძლება განვმარტოთ, როგორც ზოგადად საზოგადოების ნაწილი . . . ეს დებულება[სახელმწიფოებისგან] მოითხოვს საზოგადოების იმ ნაწილის დადგენას, ვისაც შესაძლებლობა მიეცემა გამოხატოს საკუთარი აზრი გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისა და ეკოლოგიური ანგარიშის შესახებ. დადგენილი საზოგადოება შეიძლება შეიცვალოს გეგმებისა და პროგრამების მონაცვლეობის მიხედვით. ზოგ სიტუაციაში, მაგალითად, ქვეყნის მასშტაბის მქონე გეგმისა თუ პროგრამის განხორციელებისას, დაინტერესებული ან მოსალოდნელ ეფექტს დაქვემდებარებული საზოგადოება შეიძლება იყოს ზოგადად საზოგადოება, ამდენად მისი გამოვლენისას ეს საკითხი მხედველობაში უნდა მივიღოთ“. (EC გზამკვლევი, პარ. 7.16).
  - X შესაფერისი არასამთავრობოები, განმარტების მიხედვით წარმოადგენს დაინტერესებული საზოგადოების ნაწილს. EC გზამკვლევი აღნიშნულია, რომ „არასამთავრობოები შეიძლება განსხვავდებოდნენ მათი

ინტერესის სფეროს მიხედვით. მაგალითად, ზოგი უფრო აქტიურია ეროვნულ დონეზე, ზოგი კი – რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე ან კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორცაა ბუნება ან ნარჩენების პრობლემა. შესაფერისი არასამთავრობოების გამოვლენისას . . . სახელმწიფომ ეს პროცესი უნდა მიუსადაგოს კონკრეტული გეგმის/პროგრამის ხასიათსა და შინაარსს და არასამთავრობოების ინტერესს. წმინდად ადგილობრივი აქცენტების მქონე არასამთავრობოები უნდა გამოვლინდეს ისეთი გეგმებისა და პროგრამების შემთხვევაშიც, როცა საქმე შორ მანძილზე არსებულ ტერიტორიებს ეხება

რადგან ასეთმა გეგმამ/პროგრამამ შეიძლება გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე.“ (EC გზამკვლევი, პარ. 7.17).

74. მნიშვნელოვანია მოსახლეობის ყველა ჯგუფის გათვალისწინება, რომელიც შეიძლება გეგმის/პროგრამის გამო დაექვემდებაროს ნეგატიურ, ან დადებით ეფექტს, და ამ ჯგუფების ჩართვა საკონსულტაციო პროცესებში. მათ შორის შეიძლება მოხვდეს დაბალშემოსავლიანი, უნარშეზღუდული, უსახლკარო, ლტოლვილი და მისთ. ჯგუფები.

### *რაში მდგომარეობს საზოგადოების ზოგადი უფლებები?*

*თითუღმა მხარემ უნდა სცადოს უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა და თანამდებობის პირებმა ამ პროტოკოლით გათვალისწინებულ თემებთან დაკავშირებით შესაბამისი ხელმძღვანელობა გაუწიოს საზოგადოებას (მუხლ. 3.2).*

75. რამდენადაც ოფიციალური პირები საზოგადოების სამსახურში დგანან, გონივრულია, რომ მათ მიმართ არსებობდეს საზოგადოების გააქტიურების მოლოდინი აღნიშნული ინსტრუმენტების გამოსაყენებლად, რაც ინფორმაციის მიწოდებით, ხელმძღვანელობითა და წახალისებით იქნება შესაძლებელი. ფრაზა „უზრუნველყოფის მცდელობა“ არ მიაჩნია ვალდებულების შერბილებას, არამედ წარმოადგენს იმის აღიარებას, რომ კონცეპტუალურად შეუძლებელია რომ მხარეებმა უზრუნველყონ ოფიციალური პირების მხრიდან ხელმძღვანელობა და დახმარება, რადგან ყოველ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ძალიან სუბიექტური გასარკვევია ნამდვილად აწარმოებენ თუ არა ცალკეული ჩონოვნიკები ხელმძღვანელობასა და დახმარებას. ფრაზის ინტერპრეტირება შეიძლება იმგვარად, რომ მხარეებს მოეთხოვებოდეს მკაცრი ნაბიჯების გადადგმა, რათა უზრუნველყონ ოფიციალური და თანამდებობის პირების მიერ ხსენებული დახმარების გაწევა, ე.ი. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ დახმარების საშუალებები, ოფიციალურ პირებსა და ჩინოვნიკებს მისცენ დახმარების გაწევის შესაძლებლობა, და ქმედითუნარიანობის ამაღლებისა და ოფიციალური პოლიტიკის საშუალებით უნდა წახალისონ ასეთი ქმედება.<sup>33</sup>

76. SEA-ში საზოგადოების მონაწილეობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს SEA-ს ლეგიტიმაციისა და ღირებულების ამაღლებისთვის. მრავალ სახელმწიფოს შეექმნა სირთულეები SEA-ში საზოგადოების მონაწილეობის მოტივირებისას, ამდენად „ინფორმაციის, ხელმძღვანელობისა და წახალისების“ საჭროების ზომები არ უნდა იყოს უგულებელყოფილი.

*თითუღმა მხარემ უნდა უზრუნველყოს იმ ასოციაციების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების აღიარება და მხარდაჭერა, რომლებიც პროტოკოლის კონტექსტიდან გამომდინარე ხელს უწყობენ გარემოს (ჯანდაცვის ჩათვლით) დაცვას. (მუხლ. 3.3).*

77. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ლეგიტიმური ასოციაციების, ორგანიზაციების ან ჯგუფების (არასამთავრობოების) ფორმირებაში დახმარება. ზოგიერთი სახელმწიფო ასეთი ჯგუფების რეგისტრაციას მოითხოვს, ზოგი კი აღიარებს მათ როგორც არარეგისტრირებულ ან მიზანმიმართულ ჯგუფებს. მხარდაჭერის ფორმა სხვადასხვაგვარი იქნება: პირდაპირი მხარდაჭერის (მაგ., გრანტები) ან არაპირდაპირი მხარდაჭერის (მაგ., გადასახადების შემსუბუქება, ან უპირატესობა მონაწილეობის გამო) სახით.

*თითუღმა მხარემ უნდა უზრუნველყოს პროტოკოლის დებულებების შესაბამისად მათ უფლებების განხორციელება, რაც ნიშნავს დაჯარიმების, დევნის და ნებისმიერი ფორმით შევიწროვების გარეშე მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას. ამ დებულებამ არ უნდა შეასუსტოს ეროვნული სასამართლოების ძალაუფლება მიიღოს გონივრული განაჩენი სამართლებრივი პროცედურების დროს. (მუხლ. 3.6).*

78. დებულება გამიზნულია SEA-ში საზოგადოების წევრებად მონაწილე პირების წინააღმდეგ დაჯარიმების, დევნის ან შევიწროვების პრევენციისთვის, გარდა სასამართლო დევნისა.

*პროტოკოლის შესაბამისი დებულებების ფარგლებში, საზოგადოებას უნდა შეეძლოს საკუთარი უფლებების გამოყენება მოქალაქეობის, ეროვნების, ან მუდმივი საცხოვრებლის გამო დისკრიმინაცია გარეშე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მისი რეგისტრაციის ადგილისა თუ აქტიური ოპერირების ადგილის გამო*

<sup>33</sup> იხ. ორჰუსის კონვენცია: რეალიზაციის გზამკვლევი (გაეროს პუბლიკაცია, გაყიდვის No. E.00.II.E.3), გვ. 43; შეგიძლიათ მოიძიოთ <http://www.unece.org/env/pp/acig.htm>

79. დებულება გამიზნულია მოქალაქეობის, ეროვნული კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

*როგორ უნდა გახდეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი?*

80. ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებას დაჭირდება გაშუქების და გასაჯაროების სათანადო ღონისძიებები და ინფორმაციაზე წვდომის გაადვილება; თუმცა პროტოკოლი მკაცრად მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია. ინფორმაციის ეფექტური გავრცელება შეიძლება როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით (მაგ. გაზეთში) ასევე ინდივიდუალურად (საფოსტო გზავნილები).

81. პროტოკოლი მკაფიოდ განსაზღვრავს ელექტრონული მედიის გამოყენებას საზოგადოების დროული ინფორმირების მიზნით. თუმცა, საზოგადოების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფის კონკრეტული საჭიროებისას, შეიძლება არაადეკვატური იყოს ინფორმაციის მხოლოდ ელექტრონული მედიის გამოყენებით დაგზავნა, რადგან ამ დროს შეიძლება გამოვტოვოთ საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, როგორცაა მაგ., სოციალურად დაუცველი, იზოლირებული (მაგ., სოფლის) ან ხანდაზმული მოსახლეობა, რომლებიც შესაძლოა საერთოდ არ იყენებენ ინტერნეტს.

82. ინფორმაციის გავრცელების მეთოდები და საშუალებები აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოს **ა5 თავში**.

*როგორ მიიღებს საზოგადოება მონაწილეობას?*

83. საზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკული მეთოდები დეტალურადაა აღწერილი **ა5 თავში**. ქვემოთ მოყვანილია პროტოკოლის შესაბამის დებულებებთან დაკავშირებული პრაქტიკული რჩევები.

84. სახელმწიფომ, საზოგადოების განსაზღვრულ წევრებს, გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება უნდა მისცეს. საზოგადოების ჩართულობის ერთ ერთი მიზეზია, გეგმის/პროგრამის თაობაზე გადაწყვეტილების მიმდებთანავე ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხარისხის საზოგადოების ჩართულობამ შეიძლება ისეთი ახალი ინფორმაციის მოპოვება განაპირობოს, რომელიც არსებით ცვლილებებს შეიტანს გეგმაში/პროგრამაში, და მასასადამე, მის მოსალოდნელ მნიშვნელოვან ეფექტებში. თუ ასე მოხდება, შეიძლება საჭირო გახდეს გარემოსდაცვითი ანგარიშის გადამუშავება და, თუ ცვლილებები დასაბუთდა, ხელახლა მოხდეს საზოგადოების ჩართულობაც (EC გზამკვლევი, პარ. 7.1, ადაპტირებული).

85. პროტოკოლი აკონკრეტებს საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობას „როცა ყველა არჩევანი ჯერ ღიაა“, ე.ი. ისეთ ეტაპზე, როცა დამტკიცების ან სამართლებრივი პროცედურებისთვის შეიძლება შეირჩეს გონივრული ალტერნატივები.

86. გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსია და ანგარიში ხელმისაწვდომი ხდება ზოგადად საზოგადოებისთვის, თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ დაინტერესებული საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

87. საზოგადოების მონაწილეობის დროსთან დაკავშირებით, ანგარიში უნდა გაეწიოს მოთხოვნას, რომელიც მიუთითებს, რომ ეს უნდა მოხდეს „ადრეულ ეტაპზე და ეფექტურად“ (მუხლ. 8.1), და ასევე დებულებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა „გონივრულ ვადებში“ (მუხლ. 8.4). შეიძლება გამოგვადგეს გზმ-ს შიდა და ტრანსსასაზღვრო საკონსულტაციო პროცედურების გამოცდილება (EC გზამკვლევი, პარ.7.9), მაგალითად, შეიძლება ნიმუშად ავიღოთ გზმ-ს ვადები. რეკომენდებულია, რომ ვადები გაიწეროს კანონმდებლობით, და რომ გეგმის/პროგრამის ნებისმიერი მოცემული სახეობისთვის ერთი და იგივე ვადა განისაზღვროს ეკოლოგიური ანგარიშისა და გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიის შესახებ კომენტარების მისაღებად. SEA-ს დირექტივა განმარტავს, რომ კონსულტაციების დროს, გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიას თან უნდა ახლდეს გარემოსდაცვითი ანგარიში (მუხლ. 6.2), როცა, პროტოკოლი არ მოითხოვს მკაფიოდ ამ ორი დოკუმენტის ერთდროულ გასაჯაროებას.

88. სხვადასხვა ტიპისა და სირთულის გეგმასა თუ პროგრამას დროის სხვადასხვა ვადა შეეფერება, მაგრამ, ამ დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ საკმარისი დრო გამოვყოთ სქელტანინი, რთული, სადავო ან შორს მიმავალი მიზნების მქონე გეგმებისა და პროგრამების თაობაზე მოსაზრებების სათანადოდ ჩამოყალიბებისა და ფორმულირებისათვის.

ამ ხედვებისა და მოსაზრებების გასათვალისწინებლად ადეკვატური დრო ჭირდება დამგეგმავ ორგანოსაც, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებს კონკრეტული გეგმის/პროგრამის თაობაზე. ზოგჯერ მისი მხრიდან შეიძლება გაჩნდეს მოთხოვნა უფრო მეტი ინფორმაციის მიღებაზე, ამდენად საზოგადოების მონაწილეობის ვადაში გათვალისწინებული უნდა იყოს დრო, რაც პასუხისმგებელ პირს დაჭირდება რეაგირებისთვის. (EC გზამკვლევი, პარ. 7.10, ადაპტირებული).

89. შეიძლება მოსახერხებელი იყოს SEA-ში საზოგადოების მონაწილეობის კომბინირება გეგმის/პროგრამის მომზადებაში საზოგადოების ჩართულობასთან (როგორც ა2 თავშია აღწერილი). SEA-სა და გეგმის/პროგრამის მომზადებაში საზოგადოების მონაწილეობის კომბინირებამ შეიძლება ხელი შეუწყოს გეგმის/პროგრამის ხელახალი ფორმულირების შესახებ მოსალოდნელი რჩევების ერთჯერადი განხილვის პროცესში მიღებას.



## ა4.4 კონსულტაციები ოფიციალურ პირებთან

90. ამ ნაწილში განვიხილავთ პროტოკოლის მიხედვით SEA-ს განხორციელებისას გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებს (კერძოდ, მუხლ.9).

### ა4.4.1 სამართლებრივი ვალდებულებები

91. მე-9 მუხლი მოითხოვს, რომ გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებს ჰქონდეთ გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისა და გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის ადრეული, დროული და ეფექტური შესაძლებლობა. (მუხლ. 9.3).
92. უნდა განისაზღვროს, გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის რომელი ოფიციალური პირი იგულისხმება კონსულტაციებში (მუხლ. 9.1), ისევე, როგორც მათი ინფორმირებისა და კონსულტაციების დეტალური ღონისძიებები (მუხლ. 9.4).
93. გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები SEA-ს პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ხორციელდება, როგორცაა:

X მნიშვნელოვანი ეფექტების გამოვლენა, SEA-ს საჭიროების დადგენის პროცესი (მუხლ. 5.2) (იხ.ქვეთავი ა3.2).

X მასშტაბის დადგენა (მუხლ. 6.2) (იხ.ქვეთავი ა4.2).

X გარემოსდაცვითი ანგარიში (მუხლ. 9.3) (იხ.ქვეთავი ა4.2).

94. არსებობს კონსულტაციებთან დაკავშირებული სხვა დებულებებიც, რომლებიც მოცემულია შემდეგ მუხლებში: 2.6 (განმარტებები), 5.2 (სკრინინგი), 6.2 (მასშტაბის დადგენა), 10.4 (ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები), 11 (გადაწყვეტილება) და 12.2 (მონიტორინგი).SEA-ს დირექტივაში პროტოკოლის მე-9 მუხლის შესაბამისი მთავარი დებულებებია მოცემული მუხლებში: 6.1, 6.2, 6.3 და 6.5. დამატებით, კონსულტაციის შესახებ დებულებებია მოცემული პრეამბულასა და 2 (ბ), 3.6, 5.4, 7.2, 8 და 9.1 მუხლებში.

### ა4.4.2 შესაძლო პრაქტიკული ღონისძიებები

95. ქვემოთ მოყვანილი რჩევები დაგეხმარებათ კონსულტაციების შესახებ სამართლებრივი ვალდებულებების განხორციელების დროს: (დეტალებისთვის იხ. ჩარჩო ა4.5)

X მხარეები განსაზღვრავენ ოფიციალური პირების ინფორმირებისა და მათთან კონსულტაციების გამართვის დეტალურ ღონისძიებებს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით (მუხლ. 9.4).

X “ოფიციალური პირი” ნიშნავს სამთავრობო ან საზოგადოებრივ ოფიციალურ პირს, რომლის შესახებაც განმარტება მოცემულია ადმინისტრაციულ ან იურიდიულ მოთხოვნებში.

X მათი დასახელება შეიძლება კანონმდებლობით, ან ინდივიდუალურად საკითხების მიხედვით, ან თითოეული გეგმის/პროგრამის სახეობის მიხედვით (მუხლ. 9.1).

X როგორც პროტოკოლი, ისე დირექტივაც მოითხოვს, რომ დასახელდეს ოფიციალური პირები, ვისთანაც კონსულტაციები გაიმართება. მეტი გარკვეულობისთვის, შეიძლება მოსახერხებელი იყოს სხვადასხვა სახის გეგმებისა და პროექტებისათვის წინასწარ ზოგადად განისაზღვროს მათი ვინაობა; ასეთი წინასწარი განსაზღვრა სავალდებულოა SEA-ს დირექტივის მიხედვით. შეიძლება ასევე მოსახერხებელი იყოს მომსახურების შესახებ ხელშეკრულების პროექტის ან ტექნიკური დავალების შედგენა, სადაც გაიწერება სხვადასხვა ინსტიტუციების პასუხისმგებლობები, მათ შორის გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირებისთვის, ვისთანაც წარმართება კონსულტაციები SEA-ს მსვლელობის დროს.

X თითოეული გეგმის/პროგრამისთვის, ან მათი თითოეული სახეობისთვის უნდა შეირჩეს კონსულტაციის ყველაზე მოსახერხებელი ფორმა.

96. კონსულტაციის მრავალი მეთოდი და ტექნიკა არსებობს, მაგ.:

X კომენტარების მიღება წერილობით.

X მმართველი ჯგუფები.

- X ფოკუს ჯგუფები.
- X მრჩეველთა საბჭოები.
- X ინტერვიუები.
- X განხილვები ინტერნეტით.

97. თავი ან გვთავაზობს ინფორმაციას ამ ინსტრუმენტების შესახებ. ასევე, ზემოთ, ა4.3.2 ქვეთავი, სადაც პრაქტიკული რჩევებია მოცემული იმაზე, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას მონაწილეობის მიღება; ამ რჩევების უმრავლესობა მიესადაგება ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებსაც.

**ჩარჩო ა4.5: ოფიციალურ პირებთან კონსულტაცია – შესაძლო პრაქტიკული ღონისძიებები**

“ოფიციალური პირი” ნიშნავს სამთავრობო ან საზოგადოებრივ ოფიციალურ პირს, რომლის შესახებაც განმარტება მოცემულია ადმინისტრაციულ ან იურიდიულ მოთხოვნებში. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური ჯანდაცვის ინსპექციები (ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი), გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც საზოგადოებრივ საქმეს ასრულებენ, ან სამთავრობო უწყებები (ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე), რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ, ან ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია, ჩაერთონ მოცემული გეგმის/პროგრამის შესაძლო ეფექტების განხილვაში. „კონკრეტული გარემოსდაცვითი და ჯანდაცვითი პასუხისმგებლობები“ მიუთითებს მათ, როგორც ოფიციალური პირის პასუხისმგებლობას(მაგ., გარემოს დაცვის ხარისხის მონიტორინგი, ჯანდაცვის მომსახურების მიწოდება, ობიექტებისა და ღონისძიებების ინსპექტირება, კვლევების ჩატარება, მისთ.).

ოფიციალური პირის „დასახელება“ შეიძლება მოხდეს ზოგადი ფორმით, პროტოკოლის განმახორციელებელ კანონმდებლობაში მათი შეტანით. მაგალითად, გარემოს დაცვის ეროვნული ინსპექცია შეიძლება დასახელდეს როგორც ოფიციალური პირი, რომელთანაც კონსულტაციები გაიმართება ყველა შემთხვევაში, ან კონკრეტული სახის შემთხვევებში. ოფიციალური პირი შეიძლება ასევე დასახელდეს თითოეული საკითხის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როცა განხორციელების შესახებ კანონპროექტი მომზადებულია და იძლევა დასახელების ასეთი ტიპის ნებართვას.

მაგალითად, კანონმა შეიძლება დაასახელოს რამდენიმე ოფიციალური პირი, მათ შორის გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ინსპექციები ან რეგიონული სამთავრობო უწყებები. როცა საქმე ეხება თემატურ მიდგომას, დაგეგმვაზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირს შეუძლია დაასახელოს, თუ რომელ თემასთან დაკავშირებით რომელ ოფიციალურ პირთან გაიმართება კონსულტაცია, თითოეული გეგმის/პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.

მხარეებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ისეთი ოფიციალური პირის დასახელება, რომელსაც გარემოს დაცვისა და ჯანდაცვაში უფრო ზოგადი პასუხისმგებლობები აქვს, მაგალითად, „მომიჯნავე ადგილობრივი ოფიციალური პირი“, რომელსაც მსგავსი პასუხისმგებლობები აკისრია. ეს უფრო შუალედური მიდგომის მაგალითია ზოგად და თემატურად სპეციფიკურ მიდგომებს შორის.

ოფიციალური პირების ინფორმირებისა და მათი გამოხმაურების მისაღებად „დეტალური ღონისძიებების“ ორგანიზება მხარეების დისკრეციულ უფლებას წარმოადგენს. განმახორციელებელ კანონში მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ასეთი ღონისძიებების ჩარჩოები. მაგალითად, ღონისძიებებში შეიძლება განმარტებული იყოს თუ რა გზით მოხდება ოფიციალური პირების ინფორმირება და მათგან რეაგირების მიღება. მხარეებს შესაძლებლობა აქვთ კონსულტაციებისთვის უფრო თანამედროვე ხერხები გამოიყენონ, როგორცაა, მაგ., ინტერნეტ განხილვები, თუ, რასაკვირველია, ასეთი ხერხის გამოყენება არ გამოიწვევს რომელიმე ოფიციალური პირის გამოკლებას განხილვებიდან. არსებობს კონსულტაციების გამართვის მრავალი მეთოდი და ტექნიკა, მათ შორის: წარმოდგენილი დოკუმენტის პროექტის შესახებ წერილობითი კომენტარის მიღება, მმართველი ჯგუფების ჩამოყალიბება, ფოკუს ჯგუფები, სამრჩეველო საბჭოები და ინტერვიუები. ყოველი კონკრეტული გეგმის/პროგრამისთვის უნდა შეირჩეს კონსულტაციის ყველაზე მოსახერხებელი ფორმა.

(წყარო: ადაპტირებულია EC გზამკვლევიდან, პარ. 7.11–7.20)

## ა4.5 ტრანს-სასაზღვრო კონსულტაციები

98. ამ ნაწილში გთავაზობთ პროტოკოლის მიხედვით SEA-ს განხორციელებისას ტრანს-სასაზღვრო კონსულტაციების ჩატარების ხერხებს. (კერძოდ, მუხლ. 10).

### ა4.5.1 სამართლებრივი ვალდებულებები

99. მე-10 მუხლი განსაზღვრავს ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებს, როცა მოსალოდნელია, რომ ერთ ქვეყანაში შემუშავებულ გეგმას/პროგრამას (ადგილ-წარმოშობის მხარე) მნიშვნელოვანი ეკოლოგიური გავლენა ექნება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (დაზარალებული მხარე).

100. ადგილ-წარმოშობის მხარე დაზარალებულ მხარეს უნდა შეატყობინოს, თუ თვლის, რომ მოცემული გეგმის/პროგრამის განხორციელებას მოჰყვება მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური ეფექტი, ან, თუ ამას მოითხოვს მეორე, მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტის სამიზნე მხარე. (მუხლ. 10.1). შესაბამისად, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, ექნება თუ არა გეგმას/პროგრამას მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური ზეგავლენა.

101. წინამდებარე თავში წარმოდგენილი SEA პროცესი ამომწურავად არ მიუთითებს თუ როდის უნდა განხორციელდეს ტრანსსასაზღვრო შეტყობინება ან კონსულტაცია; პროტოკოლი მარტივად მოითხოვს ამის განხორციელებას „რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, გეგმის/პროგრამის დამტკიცებამდე“. (მუხლ. 10.1).

102. შეტყობინებას უნდა დაერთოს (მუხლ. 10.2):

X გეგმის ან პროგრამის სამუშაო ვერსია.

X გარემოსდაცვითი ანგარიში, შესაძლო ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.

X ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ, კომენტარებისთვის განკუთვნილი განრიგის ჩათვლით.

103. დაზარალებული მხარის სურვილის შემთხვევაში, შეტყობინებას მოჰყვება კონსულტაციები. კონსულტაციები უნდა შეეხოს შემდეგს:

X გეგმის/პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური ეფექტები (მუხლ.10.3).

X მწვავე შედეგების პრევენციის, შემსუბუქების ან აღმოფხვრის ზომები (მუხლ. 10.3).

X დაინტერესებული საზოგადოებისა და დაზარალებულ მხარეს ოფიციალური პირების ინფორმირებისთვის და ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, მათი მოსაზრებების გამოხატვისთვის დეტალურად გაწერილი ღონისძიებები, ესენია:

○ გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსია.

○ ეკოლოგიური ანგარიში.

104. დაინტერესებული საზოგადოების, და დაზარალებული მხრიდან გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირების მოსაზრებები სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული, და უნდა მოხდეს მათი ინფორმირება, თუ როგორ იქნა მათი შენიშვნები მხედველობაში მიღებული. (მუხლ. 11).

105. გარდა ამისა, ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია პრეამბულაში და მუხლებში: 2.3, 2.4 (განმარტებები) და 11 (გადაწყვეტილება), ასევე, დანართებში III, IV (პარ. 10) და V. SEA დირექტივაში პროტოკოლის მე-10 მუხლის შესაბამისი მთავარი დებულებები მოცემულია მე-7 მუხლში. დამატებით, ტრანსსასაზღვრო კონსულტაციის შესახებ დებულებებია მოცემული პრეამბულასა და 2 (ბ), 8 და 9.; და II დანართში (პარ. 2).

#### ა4.5.2 შესაძლო პრაქტიკული ღონისძიებები

106. ყველაზე გვიან, ტრანსსასაზღვრო ეფექტები შეიძლება გამოვლინდეს ეკოლოგიური ანგარიშის მომზადების დროს, მაგრამ თუ უფრო ადრე გამოვლინდება, შესაბამისად, უმჯობესია შეტყობინების მასშტაბის დადგენის ადრეულ ეტაპზე გაზავნა; ასეთი საქციელით შევამცირებთ გადაწყვეტილების მიღების საფეხურამდე მისვლის გაჭიანურებას. თუმცა, ამგვარი ადრეული შეტყობინება აუცილებლად არაფორმალური ხასიათის იქნება, რადგან, ფორმალური შეტყობინება სხვა ელემენტებთან ერთად უნდა შეიცავდეს ეკოლოგიურ ანგარიშს. მომდევნო პარაგრაფებში მოცემულია EC გზამკვლევიდან ადაპტირებული დამატებითი რჩევები ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების შესახებ (პარ. 7.26–7.29).
107. პროტოკოლი მოითხოვს, რომ ტრანსსასაზღვრო სიტუაციებში კონსულტაციებისთვის გამოიყოს გონივრული ვადა. არასასაზღვრო სიტუაციებთან შედარებით, აქ საკმარისი დრო უნდა განისაზღვროს განსახილველ მხარეებს შორის კონტაქტის დასამყარებლად, დაზარალებული მხარის საზოგადოების წარმომადგენლებისა და გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირების დასადგენად და მათთან კონსულტაციების გასამართად, და ამ კონსულტაციების შედეგების გასათვალისწინებლად ადგილ-წარმოშობის ქვეყნის ოფიციალური პირების მიერ. პრაქტიკულმა შემთხვევებმა, როგორცაა, მაგ. დოკუმენტების თარგმნა, შეიძლება კიდევ უფრო გაახანგრძლივოს ეს პროცესი.
108. მას შემდეგ, რაც ტრანსსასაზღვრო მექანიზმი ამუშავდება, განსახილველი მხარეები უნდა შეთანხმდნენ უფრო დეტალური ღონისძიებების თაობაზე, რათა უზრუნველყონ დაზარალებული მხარის დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებთან და გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან აუცილებელი კონსულტაციების გავლა.
109. ტრანსსასაზღვრო შეტყობინება და კონსულტაციები შეიძლება სპეციალურად, კონკრეტული მიზნისთვის დაიგეგმოს. თუმცა, გზშ-ს ტრანსსასაზღვრო კონტექსტში (Espoo კონვენციის მიხედვით) აღმოჩნდა, რომ პროცესი შეიძლება დაჩქარდეს და გამარტივდეს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების საშუალებით, სადაც ასახულია ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების ჩარჩო და პარამეტრები, მათ შორის: საკონტაქტო პირები, ერთობლივი ორგანო, ენობრივი პრობლემები და თარგმანის უზრუნველყოფა, ხარჯები, ეფექტის მნიშვნელოვანების კრიტერიუმი, საზოგადოების ჩართულობის ღონისძიებები და დავების მოგვარების პროცედურები. Espoo კონვენციის „გაიდლაინები საუკეთესო გამოცდილებისა და ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების შესახებ“<sup>34</sup> გვთავაზობს რჩევებს ამგვარი ვითარებების მოსაგვარებლად. Espoo კონვენციის ფარგლებში დადებულმა ორმხრივმა და მრავალმხრივმა ხელშეკრულებებმა, თუ სათანადოდ შესწორდება, შეიძლება მოიცვას მოცემული გეგმა ან პროგრამა, და ამ ღონისძიებების ნიმუშიც შემოგვთავაზოს.
110. და ბოლოს, ამ მიმართულებით ასევე სასარგებლო იქნება Espoo კონვენციის *გაიდლაინები გზშტრანსსასაზღვრო კონტექსტში საზოგადოების ჩართულობის შესახებ*.<sup>35</sup>

<sup>34</sup> იხ. კონვენციის მხარეთა შეხვედრის III/4 გადაწყვეტილება (ECE/MP.EIA/2004/5, დანართი)

<sup>35</sup> ECE/MP.EIA/7; მოიძიეთ <http://www.unece.org/env/eia/publications.html>

## ა4.6 გადაწყვეტილება

111. ამ ნაწილში განხილულია პროტოკოლის მიხედვით SEA-ს დროს გადაწყვეტილებების მიღება (მუხლ. 11).

### ა4.6.1 სამართლებრივი ვალდებულებები

112. გადაწყვეტილების მიმღები ირჩევს თუ რომელი ალტერნატიული გეგმა/პროგრამა (თუ ასეთი არსებობს) ან გეგმის/პროგრამის ფარგლებში ალტერნატიული ელემენტი დამტკიცდეს (მუხლ. 11; SEA დირექტივაში შესაბამისი დებულება ჩამოყალიბებულია მუხლებში 8 და 9). გეგმის ან პროგრამის დამტკიცებისას, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს ეკოლოგიური ანგარიშის დასკვნები, მათ შორის გეგმის/პროგრამის ალტერნატივის მწვავე ეფექტების პრევენციის, შემსუბუქებისა და აღმოფხვრის ზომები. გადაწყვეტილების მიმღებმა ასევე უნდა გაითვალისწინოს (მუხლ. 11.1) მოსაზრებები, რომელიც გამოითქვა:

X გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესაბამისი ოფიციალური პირების მიერ.

X დაინტერესებული საზოგადოების მიერ.

X ნებისმიერი დაზარალებული მხარის მიერ.

113. გეგმის პროგრამის დამტკიცების კვალდაკვალ, ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია უნდა გაეზავნოს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებს, საზოგადოებას (ამ ეტაპზე არა დაინტერესებულ საზოგადოებას) და ნებისმიერ დაზარალებულ მხარეს (მუხლ. 11.2). დამტკიცებული გეგმა/პროგრამა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მათთვის შემდეგ დოკუმენტებთან ერთად:

X შეჯამება, თუ როგორ მოხდა ეკოლოგიური პრობლემების (ეკოლოგიურ ანგარიშში მოცემული სახით) ინტეგრირება დამტკიცებულ გეგმაში/პროგრამაში.

X შეჯამება, როგორ მოხდა მათი მოსაზრებების (საზოგადოების შემთხვევაში დაინტერესებული საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებები) გათვალისწინება.

X შეჯამება, რა მიზეზებმა განაპირობა გეგმის/პროგრამის დამტკიცება განხილული გონივრული ალტერნატივების ჭრილში.

X ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, მონიტორინგის გადაწყვეტილი ზომების აღწერა (მუხლ. 9.1 (გ)SEA-სდირექტივა).

### ა4.6.2 შესაძლო პრაქტიკული ღონისძიებები

114. გეგმის პროგრამის დამტკიცებისას, გადაწყვეტილების მიმღებმა შეიძლება მოისურვოს შემდეგის გათვალისწინება:

X გეგმის/პროგრამის ამოცანებთან და ეკოლოგიურ ამოცანებთან თავსებადობა

X ნარჩენი ეკოლოგიური ეფექტები.

115. საზოგადოების ინფორმირება და ამ განაცხადებში შეჯამებული ინფორმაცია შეესატყვისება ორჰუსის კონვენციას. არც ერთი დებულება არ ითვალისწინებს კონფიდენციალურობას. როგორც EC გზამკვლევი გვიჩვენებს, “ოფიციალურმა პირმა უნდა წარმოადგინოს სათანადო ინფორმაცია იმ პირობებზე, რომელშიც ხელმისაწვდომია ეკოლოგიური ინფორმაცია და როგორ შეიძლება მისი მოპოვება. ამ მოქმედებაში იგულისხმება, მაგალითად, ინფორმაციის გამოქვეყნება, სამთავრობო პუბლიკაციებში ან ვებ-გვერდებზე განაცხადებების გამოქვეყნება, ტელე და რადიო საზოგადოებრივი მაუწყებლობა, ან ეკოლოგიურ საინფორმაციო კატალოგებში გამოქვეყნება, სადაც ახსნილია, თუ როგორ მოიძიონ რელევანტური ინფორმაცია“. (პარ 7.31).

116. როგორც უკვე აღვნიშნეთ, SEA-ს პროცესის ზოგი ელემენტი შეიძლება ინტეგრირებული იყოს გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში. ასე რომ, საუკეთესო შემთხვევაში, SEA-ს პროცესში წარმოებული სხვადასხვა ანალიზი ინფორმაციის სახით უნდა იყოს გამოყენებული გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში. ამდენად, გეგმის/პროგრამის პირველადი სამუშაო ვერსიაში შეიძლება ავხსნათ, რა გავლენა მოახდინა SEA-მ დოკუმენტის შემუშავების პროცესზე.

## ა4.7 მონიტორინგი

117. ამ ბოლო ნაწილში განვიხილავთ მონიტორინგს პროტოკოლის მიხედვით განხორციელებულ SEA პროცესში (მუხლ. 12).

### ა4.7.1 სამართლებრივი ვალდებულებები

118. მე-12 მუხლი განსაზღვრავს დამტკიცებული გეგმის/პროგრამის განხორციელების კვალობაზე წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ეფექტების მონიტორინგს. (SEA დირექტივაში შესაბამისი დებულება ჩამოყალიბებულია მე-10 მუხლში). პროტოკოლი მოითხოვს, რომ მონიტორინგის შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესაბამისი ოფიციალური პირებისა და საზოგადოებისთვის (მუხლ. 12.2). მონიტორინგის ერთადერთი მკაფიო მიზეზი გახლავთ, სხვა მომენტებს შორის, გაუთვალისწინებელი მწვავე ეფექტების გამოვლენა და გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩატარება (მუხლ. 12.1).

### ა4.7.2 შესაძლო პრაქტიკული ღონისძიებები

119. ზემოთხსენებულის გარდა მონიტორინგს სხვა სარგებელიც მოაქვს და, შესაბამისად, მონიტორინგი შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი მიზნებით, როგორცაა:

- X პროგნოზირებული და ფაქტიური ეფექტების შედარება, და ამ გზით გეგმის/პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
  - X სამომავლოდ SEA-ს განხორციელებაში დახმარება და გამოცდილების გაზიარება (ე.ი. ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტი).
  - X იმის შემოწმება, რომ ოფიციალური პირების მიერ წამოყენებული ეკოლოგიური პირობები სრულდება.
  - X იმის შემოწმება, რომ გეგმა/პროგრამა განხორციელდა ისე, როგორც დოკუმენტში იყო აღწერილი, მწვავე ეფექტების პრევენციის, შემსუბუქების ან აღმოფხვრის ჩათვლით.
120. პროტოკოლი არ განსაზღვრავს ვინ, რას, სად, როდის ან როგორ ჩატარებს მონიტორინგს – ვინ უნდა განახორციელოს, ვინ უნდა გამოაქვეყნოს შედეგები, რას უნდა გაეწიოს მონიტორინგი (გარდა ზოგადად გეგმის/პროგრამის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ეფექტებისა), რა უნდა გამოქვეყნდეს, (წელი მონაცემები თუ მათი ანალიზი), სად უნდა ჩატარდეს მონიტორინგი, რა სიხშირით და რა ხანგრძლივობით, როგორ უნდა ჩატარდეს მონიტორინგი (მეთოდი) და გამოქვეყნდეს შედეგები. მხარეებმა შეიძლება გამოიყენონ მონიტორინგისა და ინფორმაციაზე წვდომის არსებული ღონისძიებები, ან გააძლიერონ ისინი სპეციალურად SEA-თვის.
121. მონიტორინგის ხასიათი შეიცვლება გეგმებისა და პროგრამების სხვადასხვა სახეობების მიხედვით. რეგულარულად შემოწმებული მიწათსარგებლობის გეგმა, მისი მომდევნო ვერსიის გასაუმჯობესებლად, შეიძლება მოითხოვდეს იმის შემოწმებას, დაფიქსირდა თუ არა პროგნოზირებული ეკოლოგიური ეფექტი. მიუხედავად ამისა, ხშირად, გეგმის/პროგრამის დონეზე რთულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. მონიტორინგის შედეგები შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს დაგეგმვის მომდევნო ციკლის დაწყებისას. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროგრამა შეიძლება უფრო ფოკუსირებული იყოს მისი განხორციელებით გამოწვეულ მოულოდნელ მწვავე შედეგებზე, რის მიმართაც მყისიერი რეაგირება უნდა მოხდეს მთლიანად პროგრამის, ან მისი ცალკეული პროექტის მოდიფიკაციით. ამ უკანასკნელისთვის მონიტორინგის ხანგრძლივობა უფრო გრძელი იქნება, ვიდრე პირველი მაგალითისთვის, ხოლო მონიტორინგის შედეგების გასაჯაროვება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, პროგრამის ვებ-გვერდიდან.

122. EC გზამკვლევი (პარ. 8.4) გვიჩვენებს, რომ არჩეული უნდა იყოს ისეთი მეთოდები, რომლებიც თანაბრად ხელმისაწვდომია და გამოსადეგია იმის შესამოწმებლად, შეესაბამება თუ არა ეკოლოგიურ შეფასებაში გამოთქმული ვარაუდები და პროგნოზები იმ ეკოლოგიურ ეფექტებს, რომლებიც გეგმის/პროგრამის განხორციელების კვალობაზე წარმოიშვა; მთავარია, ასევე მეთოდს შეეძლოს ადრეულ ეტაპზე

გამაფრთხილებელი ზომების მიღება გეგმის/პროგრამის გაუთვალისწინებელ ეკოლოგიურ ეფექტებთან დაკავშირებით, რათა დროულად განხორციელდეს გამოსწორების ღონისძიებები. რეკომენდებულია, ასევე, რომ მონიტორინგისთვის აუცილებელი ეკოლოგიური ინფორმაციის ხასიათი (ე.ი. დეტალები, რაოდენობრივია თუ ხარისხობრივი) ეყრდნობოდეს გეგმის/პროგრამის შესაბამის ხასიათს და მასში პროგნოზირებულ ეკოლოგიურ ეფექტს.

123. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა ითვალისწინებს გაუთვალისწინებელი მწვავე შედეგების აღმოჩენას, მონიტორინგი შეიძლება დაეფუძნოს რელევანტურ მნიშვნელოვან ეფექტებს, რომლებიც ეკოლოგიურ ანგარიშშია გამოვლენილი. „გაუთვალისწინებელი“ შეიძლება მიუთითებდეს გაუთვალისწინებელ მაგნიტუდას, ან მოსალოდნელი ეფექტების ინტენსივობას, როგორცაა, მაგალითად, ენერგო სექტორის გეგმის შედეგად წარმოქმნილი გოგირდის დიოქსიდის მოსალოდნელზე მაღალი ემისია. ასევე, შესაძლებელი იქნება მონიტორინგის პროგნოზში ისეთი ელემენტების ჩართვა, რომლებიც ჭეშმარიტად გაუთვალისწინებელ ეფექტებს გამოავლენს. მაგალითად, ეკოლოგიური პარამეტრების ფართო სპექტრიდან შემთხვევითი შერჩევით შეიძლება გამოვლინდეს ცვლილება ისეთ პარამეტრში, რომელიც არ მოიაზრებოდა გეგმის/პროგრამის ეფექტების სამიზნედ.
124. EC გზამკვლევის თანახმად, „განხორციელება ნიშნავს არა მხოლოდ გეგმით ან პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებას (სამშენებლო და ოპერატიული ჩათვლით), არამედ, სხვა აქტივობებსაც (როგორცაა, მაგ., ქცევით ზომები ან მართვის სქემა), რომლებიც გეგმის/პროგრამის (ან მისი განხორციელების) ნაწილს შეადგენს“ (პარ. 8.9).
125. პროტოკოლი არ განიხილავს გამოსწორების რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს გაუთვალისწინებელი მწვავე ეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში. თუ გადაწყვეტილია შედეგად გეგმის/პროგრამის მოდიფიცირება, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებით SEA-ს ჩატარება, თუ მე-2 და მე-4 მუხლების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
126. დაბოლოს, მონიტორინგისთვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი ეფექტები შეიძლება შეიცავდეს ტრანსსასაზღვრო ეფექტებს. Espoo კონვენციის დებულებაპროექტის შემდგომი ანალიზის შესახებ (მუხლ. 7) მიგვითითებს, როგორ უნდა მოხდეს ამგვარი ეფექტების მონიტორინგი. არ არსებობს მოთხოვნა, რომ მონიტორინგის შედეგები გაუზიაროთ დაზარალებულ მხარეს, მაგრამ, შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის და დაზარალებული მხარის დახმარება შეიძლება საჭირო გახდეს მის ტერიტორიაზე მომხდარ ეფექტებზე დასაკვირვებლად.
127. თავიანთ ეხება SEA-სსაბაზისო ინსტრუმენტებსდა გვამლევს მონიტორინგისთვის პრაქტიკულ რჩევებს. ECგზამკვლევი უფრო მეტ ინფორმაცია გვთავაზობს მონიტორინგის შესახებ მე-8 მუხლში და I დანართში. ასევე იხილეთ ევროკავშირის გარემოს დაცვის შესახებ კანონის დანერგვისა და განხორციელებისქსელის (IMPEL) საბოლოო ანგარიშ, *IMPELპროექტი: SEA 2001/42/EC დირექტივის მე-10 მუხლის განხორციელება*, იხ. ვებ გვერდზე:[http://ec.europa.eu/environment/eia/pdf/impel\\_final\\_report.pdf](http://ec.europa.eu/environment/eia/pdf/impel_final_report.pdf).



თავი ან

## SEA-ს ძირითადი ინსტრუმენტების მიმოხილვა

## ა5.1 თავის შესავალი

პროტოკოლი ყველგან მოიხსენიებს „გარემოს, ჯანდაცვის ჩათვლით“. გამეორებული ასაცილებლად, სახელმძღვანელოში მოიხსენიება მხოლოდ გარემოს დაცვა, მაგრამ უნდა იყოს აღქმული ჯანდაცვასთან ერთად. ჯანდაცვის თემაზე მეტი ინფორმაციის დასაძებნად იხილეთ ანექსი 1.1.

1. ამ თავში აღწერილია როგორ შეიძლება წარმართოს შეფასება, რომელიც გავლენას მოახდენს SEA-ს შესახებ პროტოკოლში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და პროცედურებზე (როგორც განხილულია ა2 და ა4 თავებში) და რომელიც ეხმარება საუკეთესო გამოცდილების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
2. მისი ორგანიზება ხდება სამ ნაწილად, რომლებიც ფოკუსირებულია შემდეგზე:
  - X SEA-სა და გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესს შორის კავშირი, მათი ძირითადი მიდგომებისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით (ქვეთავი ა5.2).
  - X ანალიტიკური მიდგომები და ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ეფექტური გეგმის/პროგრამის მოსამზადებლად SEA-ს განხორციელებისთვის. (ქვეთავი ა5.3).
  - X მონაწილეობრივი მიდგომა და ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ეფექტური გეგმის/პროგრამის მოსამზადებლად SEA-ს განხორციელებისთვის. (ქვეთავი ა5.4).

## ა5.2 ანალიტიკური და მონაწილეობრივი ინსტრუმენტები SEA-ში

### ა 5.2.1 შესავალი

3. პროტოკოლი პროცედურული ჩარჩოა, სადაც არ არის განმარტებული თუ როგორ უნდა წარმართოს ანალიზი და კონსულტაციები. მიუხედავად ამისა, პროტოკოლში მთელი რიგი მოთხოვნებია ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიური ვარიაციებით და შინაარსით.
4. ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ SEA-ს განხორციელებისთვის არ არსებობს ერთდერთი და საუკეთესო მეთოდი, და რომ არსებობს ანალიტიკური და საკონსულტაციო ინსტრუმენტების ფართო სპექტრი, რომლებიც ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ. ეს ინსტრუმენტები აღებულია სამი ძირითადი წყაროდან, ესენია:
  - X გზმ-ში გამოყენებული ინსტრუმენტები, რომლებიც ადაპტირებულია SEA-ს განხორციელებლად დეტალების შესაბამისი დონის მიხედვით.
  - X პოლიტიკის ანალიზში, გეგმის შეფასებაში ან გეგმის/პროგრამის შემუშავებაში გამოყენებული ინსტრუმენტები, რომლებიც ადაპტირებულია პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისი ანალიზის ჩასატარებლად.
  - X ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ანალიზში (HIA) გამოყენებული ინსტრუმენტები, რომლებიც ითვალისწინებს, პროტოკოლის მოთხოვნისამებრ, ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის ანალიზს.
5. ყველა შემთხვევაში, SEA მეთოდები და ინსტრუმენტები უნდა შეესაბამებოდეს მოცემული გეგმის/პროგრამის მიერ მოსაგვარებელ პრობლემას, ხოლო მიდგომის არჩევა უნდა მოხდეს მასშტაბის განსაზღვრისას.
6. როგორც ა3 თავშია აღწერილი, პროტოკოლი განსაზღვრულ გეგმებსა და პროგრამებს მიუსადაგებს განვითარების ნებართვის ჩარჩოებს. ამ კონტექსტში, სავარაუდოდ, შესაძლებელია გზმ-დან აღებული

მეთოდების გამოყენება, ან მათი მოდიფიცირება იმ გეგმების/პროგრამების SEA-ში, რომლებშიც ინიცირებულია სპეციფიკური მიწათსარგებლობის პროექტები, ე.ი. სადაც მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი ადვილად დასადგენია. ასეთი შემთხვევებისთვის შეიძლება მოსახერხებელი იყოს შემდეგი ხერხების გამოყენება:

- X ფორმალური და არაფორმალური საძიებელი სიები.
- X ზემოქმედების მატრიცა.
- X ზემოქმედების ქსელი.
- X შემთხვევების შედარება და ექსპერტთა მიერ კოლექტიური განხილვა.
- X გადაფარვის რუკები და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS).
- X პროგნოზირებული მოდელირება.
- X სასიცოცხლო ციკლის შეფასება.
- X მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი.

7. როცა გეგმების და პროგრამების ან მათი კონკრეტული კომპონენტების ეკოლოგიური ეფექტი არაპირდაპირი და ზოგადია, შეიძლება უფრო მოსახერხებელი იყოს პოლიტიკის ან გეგმის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება. პოლიტიკის შეფასების ან გეგმის შეფასების მეთოდებში შედის:

- X პოლიტიკური და სამართლებრივი მიმოხილვა.
- X SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზი, ან შესაძლებლობებისა და ბარიერების სქემის მომზადების სხვა მიდგომა.
- X სცენარის ჩამოყალიბება
- X კონფლიქტებისა და სინერჯის მატრიცა.
- X გადაწყვეტილების ხე.

X ტენდენციების ანალიზი და ექსტრაპოლაცია.

X სიმულაციის მოდელირება

X არჩევანის შეფასება.

X რისკების შედარებითი შეფასება.

8. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ ბევრ შემთხვევაში შეფასების ერთეული მარტივი მეთოდი შეიძლება შეეფერებოდეს ყველა ეკოლოგიური ეფექტის შეფასებას.

9. მიხედვად ამისა, როცა მნიშვნელოვანია ჯანმრთელობაზე ზეგავლენა გამოწვეული გეგმებისა და პროგრამების, ან მათი კონკრეტული კომპონენტების მიერ, მაშინ მოსახერხებელი იქნება ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების (HIA) ინსტრუმენტების გამოყენება. HIA-ს მეთოდების ნიმუშები შეიცავს:

- X ჯანმრთელობის დაზიანების შესამოწმებელ (საძიებელ) სიებს.
- X რისკის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებებს.
- X ჯანმრთელობის რისკის აღქმის კვლევას.
- X რისკის დახასიათებისა და კომუნიკაციის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.
- X ჯანმრთელობის რისკისა და ჯანმრთელობაზე ზეგავლენის ეკოლოგიური დეტერმინანტის სწრაფი შეფასების მეთოდს.

10. გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება მოსახერხებელი იყოს DPSEEA (მამომრავებელი ძალა - წნეხი - მდგომარეობა - გამომჟღავნება - შედეგი - ღონისძიება) მოდელის გამოყენება გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში ჯანმრთელობის ინდიკატორების სისტემის შესაქმნელად. თუმცა, მნიშვნელოვანია ვაღიაროთ DPSEEA მოდელის ნაკლიც, განსაკუთრებით, მისი კომპლექსურობა და

ნაკლები სიზუსტე.

### ა5.2.2 SEA და გეგმის/პროგრამის შემუშავება მეთოდოლოგიურ ჭრილში

11. როგორც ა2 თავშია მოცემული, SEA დაგეგმის/პროგრამის შემუშავება ურთიერთ მხარდამჭერი პროცესებია. მათ შორის მჭიდრო კავშირის გამო შესაძლებელია SEA-ს ანალიტიკური და საკონსულტაციო ინსტრუმენტების ადაპტირება და გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში მათი დამატებით გამოყენება.
12. შესაფერისი ეკოლოგიური პრობლემების ანალიზისთვის მცირე ცვლილებებით ადაპტირებადი ინსტრუმენტების მაგალითებია:
  - X კონტექსტისა და ძირითადი პრობლემები გამოვლენის ინსტრუმენტები (სამიებელი სია, SWOT, მატრიცები).
  - X ალტერნატიული ვარიანტების ჩამოყალიბების ინსტრუმენტები (სცენარის ჩამოყალიბება, ან ამოცანებით მართული დაეგმვა).
  - X შედეგების შეფასების ინსტრუმენტები (მოდელირება, GIS, მისთ.) ან ვარიანტების შედარების და დასკვნების პრეზენტაციის ინსტრუმენტები (მრავალკრიტერიუმიაანი ანალიზი, ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი, მისთ.)
13. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია პირველ რიგში კრიტიკულად შევამოწმოთ, გეგმის/პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული რომელი მეთოდი შეიძლება განვავრცოთ რელევანტურ ეკოლოგიურ პრობლემებზე და ამგვარად მოვიძიოთ პროტოკოლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.
14. მიდგომისა და მეთოდოლოგიის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ თითოეული შემთხვევისთვის ცალ-ცალკე, გეგმის/პროგრამის ხასიათის გათვალისწინებით, მონაცემებისა და მოსაზრებების მხედველობაში მიღებით, და გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის გაძლიერებით. მაგალითად, მიწათსარგებლობის გეგმების SEA-ში აქცენტი კეთდება კონკრეტული ტერიტორიის რესურსებზე,

ეკოლოგიურ პოტენციალზე და შეზღუდვებზე. ეს კი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მოითხოვს ადგილობრივი საბაზისო პირობებისა და წარმოდგენილი ცვლილებების ეკოლოგიური ეფექტების მიმართ, რაც ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით უნდა მოხდეს, როგორცაა GIS, საცხოვრებელი გარემოს ანალიზი, ან მოწყვლადობის სქემის შედგენა. ამისგან განსხვავებით, სექტორული გეგმების ან პროგრამების SEA შეიძლება უფრო იხრებოდეს ეფექტების ერთობლიობისკენ, მაგალითად, სიმულაციის მოდელის გამოყენებით, კიოტოს პროტოკოლის მიზნების შესაბამისად<sup>36</sup>, ჰაერის ხარისხის ან ნახშირბადის ემისიისკენ.

15. ეს მაგალითები მიუთითებს SEA-ს ზემოთხსენებული ადაპტაციის საჭიროებას დაგეგმვის პროცესის კონტექსტისა და ხასიათის შესაბამისად. გთავაზობთ წესებს, რომლებიც დაგეხმარებათ, გეგმის/პროგრამის შემუშავებისას, SEA-ს ინსტრუმენტების ინტეგრირებისთვის ოპტიმალური მიდგომის შერჩევაში:

- X გაანალიზეთ კონკრეტული გეგმის/პროგრამის შემუშავების ლოგიკა და ანალიტიკური ინსტრუმენტები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისთვის გამოყენებული ტექნიკა.
- X გამოავლინეთ გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში გამოყენებული ტექნიკა და ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს პროტოკოლით განსაზღვრულ ინფორმაციას, და გადაწყვიტეთ, როგორი ადაპტაცია ჭირდება მათ.
- X გამოავლინეთ დამატებითი ანალიზის და კონსულტაციების საჭიროება SEA-ს პროცესში და აირჩიეთ შესაფერისი ინსტრუმენტი.

### ა5.2.3 შესაფერისი ინსტრუმენტის არჩევა

16. SEA-ს განხორციელებაში გამოყენებულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს უდიდესი გავლენა აქვს გეგმაში/პროგრამაში შეტანილი ინფორმაციის, გადაწყვეტილების მიღებისა და მთლიანად პროცესის

<sup>36</sup> იხ. [http://unfccc.int/kyoto\\_protocol/items/3145.php](http://unfccc.int/kyoto_protocol/items/3145.php)

ხარისხზე.

17. როგორც ამ ნაწილის შესავალში აღვნიშნეთ, არ არსებობს სისტემური და სრულყოფილი ანალიზის ჩატარების ერთი საუკეთესო მეთოდი. თუმცა, ზოგადად, SEA-ში უნდა გამოვიყენოთ დავალების შესატყვისი ყველაზე მარტივი ინსტრუმენტი. რასაკვირველია, ხშირად უფრო მოწინავე მეთოდების გამოყენება იქნება საჭირო ინფორმაციის მოსაგროვებლად, ან გარემოზე ზეგავლენის პროგნოზირებისთვის (მაგ., საგზაო მოძრაობის სიმულაციის მოდელი გზის მშენებლობის პროგრამისთვის). მიუხედავად ამისა, მაინც მოქმედებს „რაც შეიძლება მარტივი“ წესი და უნდა ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ ზედმეტად კომპლექსური და რთული ანალიზის ჩატარება.

18. ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ შერჩეული ინსტრუმენტები უნდა იყოს მონაცემებსა და მასშტაბთან ადაპტირებული, რათა თავი გაართვას სავარაუდო ეფექტების დროით და სივრცით განზომილებებს. ინსტრუმენტებს უნდა შეეძლოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის, არასათანადო მონაცემების ან განვითარების უცნობი ტენდენციების შესახებ ცოდნის ნაკლებობით გამოწვეული გაურკვევლობების მოგვარება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოცემული სექტორის ან ტერიტორიის განვითარებაზე.

19. სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მისაღებ გადაწყვეტილებას, უნდა გამოკვეთოს საფრთხის დროს კომპრომისები და რეკომენდაცია გაუწიოს პრაქტიკულ ვარიანტს, რომელსაც საუკეთესო ეკოლოგიური შედეგი ექნება მწვავე ზეგავლენის შემსუბუქებასა და პოზიტიური ეფექტების გაძლიერებაში.

### ა5.3 ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტების მიმოხილვა

20. ამ ნაწილში უფრო დეტალურადაა განხილული ანალიტიკური მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ SEA-ში. ეს ჩარჩო-სტრუქტურა შემუშავებულია გზშ-ს, პოლიტიკის შეფასებისა და HIA-ს მეთოდების ბაზაზე. მოხმარების გაადვილებისთვის, წარმოდგენილი მიმოხილვა მიჰყვება ეკოლოგიური ანგარიშის მომზადების ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც [ა4.2 ქვეთავშია](#) მოცემული. ინსტრუმენტების ეს ნაკრები არ არის ამომწურავი და შეიძლება მათი ადაპტირება წარმოდგენილი გეგმის/პროექტის კონტექსტის შესაბამისად, რაც დამოკიდებულია გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის ლოგიკაზე და მოსაგვარებელი პრობლემების ხასიათზე.

#### *მასშტაბის განსაზღვრა*

21. მასშტაბის განსაზღვრით ვლინდება ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც საჭიროებს შეფასებას. ამ დროს, როგორც წესი, პრობლემების ვრცელი სიიდან ირჩევა პოტენციურად მნიშვნელოვანი პრობლემების მოკლე ჩამონათვალი.
22. ქვემოთ ჩამოთვლილია მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული გეგმის/პროგრამის ეკოლოგიური განზომილებების მასშტაბის დასადგენად და იმ პრობლემების გამოსავლენად, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას ან შეიძლება მოექცეს მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ გეგმის/პროექტის განხორციელების შემთხვევაში:
- X პოლიტიკური და სამართლებრივი მიმოხილვა, გვეხმარება დავადგინოთ გეგმის/პროგრამის შესატყვისი ეკოლოგიური ამოცანები და მიზნები.
  - X ექსპერტთა მიერ კოლექტიური განხილვები, რომლის დროსაც, პირადი გამოცდილებისა და შედარებითი ანალიზის გზით, ვლინდება ის შესაძლო ზეგავლენა, რომელიც SEA-ს პროცესში უნდა გავითვალისწინოთ.
  - X საძიებელი სიები, რომლებიც ძალიან მარტივი გზით მიაწვდიან კონკრეტული პრობლემა მოცემული შეთავაზების რელევანტურია თუ არა, და გვეხმარება, რომ მხედველობიდან არ გამოგვრჩეს მნიშვნელოვანი საკითხები.
  - X შედეგების, კონფლიქტების ან სინერგიების მატრიცები, რომელიც, საძიებელ სიაზე უფრო სისტემურად გვეხმარება აღმოვაჩინოთ მთავარი პრობლემა, რომელიც SEA-ს პროცესში უნდა მოგვარდეს.
  - X SWOT ანალიზი, რომელიც გამოავლენს ეკოლოგიის წინაშე მდგარ შესაფერის შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, რასაც უნდა შევეხოთ SEA-ში.
  - X გადაფარვის რუკები და GIS, რომელიც განსაზღვრავს ძირითად სივრცობრივ პრობლემებს და შეფასებისთვის ადგენს ტერიტორიულ საზღვრებს.
  - X გადაწყვეტილებების ხე და შედეგების ქსელი, რომელიც გამოავლენს ძირითად პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს და შეფასებისთვის დაადგენს სისტემურ საზღვრებს.
  - X სასიცოცხლო ციკლის შეფასება რომელშიც სქემის სახით ყალიბდება ყველა წვლილი და შედეგი „დასაწყისიდან დასასრულამდე“ მიდგომით, და ადასტურებს გარემოზე ზეგავლენის შეფასების სისტემურ ზღვრებს.
23. ხშირად, შეიძლება არც იყოს მისაღები, შესაძლებელი ან აუცილებელი, რომ SEA-ს ფარგლებში გეგმის/პროგრამის ყველა ეკოლოგიურ ეფექტზე მოხდეს რეაგირება, თუმცა, ამის მიზეზები ყოველთვის უნდა იყოს ახსნილი. ამის ნაცვლად, შეიძლება SEA-ს მიზნებისთვის უფრო შესაფერისი იყოს შეფასების ჩატარება შესატყვისი ინდიკატორების ან სახელმძღვანელო კითხვების მიხედვით. (იხ. ჩარჩო ა4.2).

#### *საბაზისო ინფორმაციისა და კონტექსტის ანალიზი*

24. საბაზისო ინფორმაციის ანალიზის მიზანია დაადგინოს ორიენტირი გეგმის/პროგრამის ეფექტების შეფასებისთვის. როგორც წესი, იგი მოიცავს გარემოს მიმდინარე მდგომარეობის შეფასებას და მისი სავარაუდო განვითარების პერსპექტივას გეგმის/პროგრამის განხორციელების გარეშე. ამ მხრივ მთავარი ამოცანაა მოხდეს ეკოლოგიური მდგომარეობის ევოლუციის ტენდენციების ანალიზი და ექსტრაპოლაცია იმ ტერიტორიებისთვის ან სექტორისთვის, რომელიც გეგმის/პროგრამის შემუშავებისა და SEA-ს საგანს

წარმოადგენს. როგორც ძირითადი მიმდინარე პრობლემებისა და გრძელვადიანი ტენდენციების, ისე გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში და SEA-ს პროცესში არსებული ვადებისა და რესურსების შეზღუდულობის ასახვის საჭიროებიდან გამომდინარე, საბაზისო ინფორმაციის ანალიზი ეყრდნობა არსებულ ინფორმაციას.

25. მთელი რიგი ინსტრუმენტები არსებობს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება მონაცემთა მოსაპოვებლად, როგორცაა:

**X** ადგილობრივი ეკოლოგიური ხარისხის კვლევები, რომლებიც ხშირად გამოიყენება პროექტის დონეზე გზმ-თვის შეიძლება რეალურად მიესადაგოს SEA-ს მხოლოდ ძალიან სპეციფიკური ადგილობრივი გეგმებისა და პროგრამების შემთხვევაში. SEA-ში მათ გამოყენებას ის ფაქტიც ზღუდავს, რომ მათი საშუალებით ვიღებთ მხოლოდ მიმდინარე მდგომარეობის ამსახველ ერთ „კადრს“, გრძელვადიანი ტენდენციების არსში ჩაწვდომის გარეშე.

**X** ეკოლოგიური ამოცანებისა და სტანდარტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშში შეიძლება ვნახოთ სასარგებლო მინიშნებები იმ ბარიერებსა და მიღწევებზე, რომლებიც არსებული ეკონომიკური ამოცანებისა და მიზნების განხორციელების დროს წარმოიშვა. ეს ანგარიშები (ხშირად გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის ან ეკოლოგიის მონიტორინგის სისტემის ნაწილია) როგორც წესი ყალიბდება კონკრეტული შიდა ინდიკატორის შესაბამისად, რაც ქვეყანაში კონკრეტული პასუხისმგებლობის საგანს წარმოადგენს.

**X** მთავარი ეკოლოგიური ინდიკატორების ტენდენციები, მთავარი მამომრავებელი ძალის, წნეხის, მდგომარეობის, ზეგავლენის და რეაგირების გასაზომად, როგორც წესი, გაერთიანებულ ინდიკატორებზე ფოკუსირდება. სასარგებლო ინდიკატორების მიღება შეიძლება საერთაშორისო შედარებითი ანალიზებიდან, სადაც ეს მთავარი ინდიკატორებია გამოყენებული, მაგალითად, როგორც ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს ან OECD-ს ინდიკატორები.

**X** ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა გვეხმარება დავადგინოთ ჯანმრთელობის მიმდინარე პრობლემები იმ ტერიტორიებზე ან სექტორებში, რომლებსაც ეხმიანება გეგმა ან პროგრამა. მაგალითად, სატრანსპორტო გეგმის SEA-ში გაანალიზდება თუ რა დონეზე განიცდის მოსახლეობა ჰაერის მეტისმეტად დაბინძურებას ან გადაჭარბებულ ხმაურს, ავტო-საგზაო შემთხვევებს და სხვ. ეს საკითხები, როგორც წესი, ითვლება ტრანსპორტთან პირდაპირ დაკავშირებულ თემებად. თუმცა, სატრანსპორტო გეგმის SEA-მ შეიძლება გამოავლინოს ჯანმრთელობის უფრო ფართო ან არაპირდაპირი პრობლემები, როგორცაა, მაგ., გულსისხლძარღვთა დაავადებები, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ან გაცხიმოვნება, და გამოიკვლიოს, უკავშირდება თუ არა ეს პრობლემები ტრანსპორტს (მაგ. ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა – ფეხით სიარული, ველოსიპედით სიარული, მისთ.). კომპლექსური მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამო, ასეთი არაპირდაპირი პრობლემების შეფასება, ჩვეულებრივ, წარმოქმნის ვარაუდებს, ხოლო ასეთ შემთხვევებში შეფასებაში მკაფიოდ უნდა აღინიშნოს ნებისმიერი ნაკლოვანება ან გაურკვეველობა, რომელიც მიღებულ დასკვნებშია ასახული.

### *წვლილი ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში*

26. ეკოლოგიურ ანგარიშში უნდა გამოვლინდეს, აიხსნას და შეფასდეს გეგმის/პროგრამის ან მისი გონივრული ალტერნატივის განხორციელებით გამოწვეული მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზეგავლენა გარემოზე (მუხლ. 7). SEA-ს პროცესს პოტენციურად მნიშვნელოვანი როლი აკისრია გონივრული ალტერნატივების გამოვლენასა და ჩამოყალიბებაში, რაც მასშტაბის დადგენის პროცესში იწყება. ძირითადი ალტერნატივების შედეგების შედარება წარმოადგენს SEA-ს მთავარ საფეხურს გეგმის/პროგრამის მომზადების ხარისხის უზრუნველყოფისა და ეკოლოგიური და მდგრადი ალტერნატივების ჩამოყალიბების მთავარი ინსტრუმენტები მოიცავს შემდეგს:

**X** ექსპერტთა კოლექტიური შეფასებები, რაც ხელს უწყობს ალტერნატივების აღმოჩენას და ჩამოყალიბებას, მაგ. სემინარებისა და კონფერენციების საშუალებით.

**X** გადაფარვის რუკები და GIS, რაც დაგვეხმარება ალტერნატივების მკაფიო სივრცითი განზომილებით ჩამოყალიბებასა და ოპტიმიზაციაში.

**X** სცენარის ჩამოყალიბება, რაც გამოკვეთავს სამომავლო ვერსიებს, რომლებიც ასახავს ყველაზე გაურკვეველ და მნიშვნელოვან მამომრავებელ ძალებს, რომელიც გავლენას ახდენს სამომავლო განვითარებაზე.

- X მოდელირება, რომელიც შემოთავაზებული ვარიანტების ძირითად თვისებებს ავლენს (შესაძლებელია ექსტრემალური სცენარით დაწყება), გამორიცხავს მიზანშეუწონელ ვარიანტებს და გვეხმარება შერჩეული ვერსიების კომბინირებასა და ოპტიმიზაციაში.
  - X სასიცოცხლო ციკლის შეფასება, რომელსაც შეუძლია ვარიანტები აღწეროს სხვადასხვა მასალისა და ენერჯის მიმოქცევის საფუძველზე (მაგ., ნარჩენების, ან ენერჯის მართვა).
27. ალტერნატივების ფორმულირებას ცენტრალური ადგილი უჭირავს SEA-ს პროცესში გეგმების/პროგრამების შემუშავებისას ეკოლოგიური მოსაზრებების ინტეგრირებაში. პირველი ნაბიჯი გახლავთ გონივრული ალტერნატივების სპექტრის გამოვლენა, რომლებიც პასუხობს წარმოდგენილი წინადადების ამოცანებს; და მათი ეკოლოგიური ასპექტების შეჯამება. ალტერნატივებში უნდა შედიოდეს „არაფრის გაკეთების“ ვარიანტიც. მართალია, სავალდებულო არ არის, მაგრამ ხელსაყრელია საუკეთესო რეალისტური ეკოლოგიური არჩევანის შეტანაც. საუკეთესო რეალისტური ეკოლოგიური არჩევანი გვეხმარება სარისკო ეკოლოგიური კომპრომისის და არჩევანის საფუძველის დასაბუთებაში.
28. როგორც **ა4.2 ქვეთავშია აღნიშნული**, შეიძლება ყველა ვარიანტის ანალიზი და ურთიერთშედარება მათი სპეციფიკური ეფექტებისა თუ გეგმის/პროგრამის რელევანტური ამოცანების შესრულების ჭრილში. ალტერნატივების ჩამოყალიბება, ამდენად, მჭიდროდ უკავშირდება მათი ეფექტების შეფასებას (ამიტომ გაერთიანდა ეს ორი დავალება ერთ საფეხურში, იხ. **ქვეთავია4.2**) და ალტერნატივების ჩამოყალიბებისას გამოყენებული ზოგიერთი ანალიტიკური ინსტრუმენტი შეიძლება გამოვიყენოთ მათი ეფექტების პროგნოზირებისთვის (ხოლო ზოგიერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტი იგივეა, რაზეც ზემოთ მოგახსენებთ). საერთო ინსტრუმენტებში შედის:
- X ექსპერტთა კოლექტიური შეფასება, რომელიც მოსალოდნელი შედეგების მასშტაბსა და ხასიათს გააანალიზებს.
  - X შედეგების, კონფლიქტების ან სინერგიების მატრიცები, სადაც აღწერილია წარმოდგენილი ვარიანტების მთავარი ეკოლოგიური ზეგავლენა, ან მათი მთავარი სინერგია, ან კონფლიქტი შესაბამის ეკოლოგიურ ამოცანებთან.
  - X ტენდენციების ანალიზი და ექსტრაპოლაცია, რომელიც ასახავს ეკოლოგიის მდგომარეობის მოსალოდნელ ევოლუციას, ე.ი. ეკოლოგიურ ტენდენციებს.
  - X გადაფარვის რუკები და GIS, რომელსაც შეუძლია მოცემულ ტერიტორიაზე შემოთავაზებული ვარიანტის შედეგების და ასევე, კუმულაციური და სინეგიული ეფექტების იდენტიფიცირება.
  - X სასიცოცხლო ციკლის შეფასება, რომელიც დაგვეხმარება სხვადასხვა რესურსების გამოყენების და შემოთავაზებული ვარიანტის შედეგების გათვლა.
  - X პროგნოზირებული მოდელირება, რომელსაც შეუძლია ეკოლოგიური პირობების სიმულაციით რაოდენობრივი შედეგების დათვლა.
29. გადაწყვეტილების მისაღებად ძირითადი ვერსიების შედარების ყველაზე ადვილი საშუალებაა მკაფიოდ იქნას განმარტებული და წარმოდგენილი მათი პოზიტიური (სარგებლის) და ნეგატიური შედეგები (პრობლემები და რისკები) – ასეთი განმარტება მაინც მოგეთხოვებათ არა-ტექნიკურ რეზიუმეში. ვარიანტების შედარების სხვა ტექნიკებია:
- X მატრიცა, რომელსაც შეუძლია შემოთავაზებული ვარიანტის შედეგების ან შესაბამის ეკოლოგიურ ამოცანებთან მათი თანმიმდევრულობის ჩვენება.
  - X გადაფარვის რუკები და GIS, სადაც ვიზუალურად ჩანს შემოთავაზებული ვარიანტები და მათი შედეგები.
  - X მრავალკრიტერიუმანი ანალიზი, რომელსაც შეუძლია ალტერნატიული ვარიანტების შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, და ცალკეული შეფასებების კომბინირება ერთ საერთო შეფასებაში.



- X ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი, სადაც შემოწმდება შემოთავაზებული ვარიანტის სარგებელსა და მის ხარჯებს შორის ბალანსი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.
  - X სასიცოცხლო ციკლის შეფასება, სადაც წარმოდგენილი იქნება შემოთავაზებული ვარიანტის შედეგები მატერიალურ და ენერგეტიკულ ნაკადებთან დაკავშირებით.
30. გაურკვევლობის მაღალი დონის გათვალისწინებით, რომელსაც აუცილებლად ექნება ადგილი ანალიზის სტრატეგიულ ეტაპზე, რეკომენდებულია, რომ სენსიტიურობის ანალიზი განხორციელდეს ნებისმიერი სხვა ჩატარებული ანალიზისთვის. სენსიტიურობის ანალიზი გვეხმარება შეცვლილი ვარაუდების ეფექტების შემოწმებაში, რითიც შეფასების სანდოობისარსს სწვდება.
31. **დანართი ან.1** შერჩეულ ტექნიკასთან დაკავშირებით უფრო დეტალურ ინფორმაციას გვთავაზობს. ამ ტექნიკების სპეციფიკური თვისებებია ასახული ქვემოთ, ან.1 ცხრილში.

ცხრილი ან.1: ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ანალიტიკური ინსტრუმენტი	გამოყენება SEA პროცესში					მთავარი თვისებები				
	პრობლემებისა და შედეგების გამოვლენა	ანალიზი: კონტექსტი და საფუძვლები	წვლილი ალტერნატივების ჩამოყალიბებაში	შედეგების შეფასება	გადაწყვეტილების თვის ვარიანტების შედარება	მოთხოვნა მონაცემებზე	ხარჯებისა და დროის მოთხოვნები	გამჭვირვალობა საზოგადოებისთვის	გაურკვევლობების მოგვარების უნარი	ჯანმრთელობის პრობლემებზე რეაგირების უნარი
გარემოს სკანირება და სამართლებრივი და პოლიტიკური მიმოხილვა	✓	✓				○	\$	☹		XX
SWOT ანალიზი	✓	✓			✓	○	\$	☹	•	XX
სამიგბელი სია	✓					○	\$	☹	•	X
მატრიცა	✓		✓	✓	✓	○	\$	😊	•	X
გადაწყვეტილების ხე, შედეგების ქსელი	✓	✓			✓	○	\$	☹		XX
გადაფარვის რუკები და GIS	✓	✓	✓	✓	✓	○○	\$\$	☹		X
ტენდენციების ანალიზი ან ექსტრაპოლაცია		✓		✓		○	\$	☹	•	X
ექსპერტთა კოლექტიური შეფასება	✓	✓	✓	✓	✓	○	\$	☹	•	XX
მოდელირება			✓	✓		○○	\$\$	☹	•	X
სცენარის ჩამოყალიბება	✓		✓			○○	\$\$	☹	•	XX
სასიცოცხლო ციკლის შეფასება	✓	✓	✓	✓	✓	○○	\$\$	☹		
ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი			✓	✓	✓	○○	\$\$	☹		
მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი			✓	✓	✓	○○	\$\$	☹	•	X

**გასაღები:**

გამოყენება	✓	გამოიყენება
მოთხოვნა მონაცემებზე	○	ნაკლებ
	○○	მეტი
ხარჯთან და დროსთან დაკ. მოთხოვნები	₹	დაბალი
	₹₹	მაღალი
გამჭირვალობა საზოგადოებისთვის	☹	დაბალი
	☺	საშუალო
	☺	მაღალი
გაურკვევლობების მოგვარების უნარი	•	კი
ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარების უნარი	x	დაბალი
	xx	მაღალი
		ი

## ა5.4 ძირითადი საზოგადოებრივი ჩართულობის ინსტრუმენტების მიმოხილვა

32. პროტოკოლი განმარტავს საზოგადოების ინფორმაციაზე და კონსულტაციებზე წვდომის საბაზისო მოთხოვნებს (იხ.ქვეთავია4.3). ეს დებულებები შეიძლება ჰგავდეს გზშ-ს. მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანია აღნიშნოთ, რომ ზოგიერთი SEA-ს მასშტაბს, აქცენტსა და სპექტრს შეუძლია SEA-ში საზოგადოების ჩართულობის გზშ-სგან მკვეთრად განსხვავებული ღონისძიებები შემოგვთავაზოს.
33. SEA-ში საზოგადოების მონაწილეობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მოზიდვას ნიშნავს. ზოგიერთი SEA-ს კომპლექსური ბუნება გვიბიძგებს ისეთი მეთოდის გამოყენებისკენ, რომელიც პრობლემის მოგვარების თაობაზე ფოკუსირებულ დებატებს უწყობს ხელს და არა უბრალოდ პრობლემების გამომჟღავნებას. ეს SEA-ს მნიშვნელოვანი გამოწვევაა მომავალი რამდენიმე წლისთვის.
34. იმისათვის, რომ არ დავაბნოთ საზოგადოება მონაწილეობის გადაჭარბებული შესაძლებლობებით, შერჩეულმა ინსტრუმენტებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, SEA-ს და გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობის ერთჯერადი ღონისძიების გამართვა. ამ ინსტრუმენტებს შეუძლია:
- X ინფორმაციის უზრუნველყოფა.
  - X შენიშვნების შეგროვება.
  - X დაინტერესებული საზოგადოების ჩართვა პრობლემის მოგვარების კოლაბორაციულ პროცესებში.
35. არსებობს საზოგადოების ჩართულობის მრავალი ინსტრუმენტი და მეთოდიკა, რომლებიც მხოლოდ მცირე ადაპტაციით განსხვავდება ერთმანეთისგან. ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტებია მოცემული ან.2 ცხრილში და დეტალურად არის განხილული დანართში ან.2.
36. სოციალურად დაუცველი ჯგუფების არაადეკვატურმა რესურსმა და უნარმა შეიძლება შეზღუდოს მათი მონაწილეობა, ამდენად, ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების ჩართულობის შესაფერისი ტექნიკის შერჩევას, რაც ასეთი ჯგუფების მონაწილეობასაც შეუწყობს ხელს. თუ სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან გამწვანდა არჩეული ინსტრუმენტების გამოყენება, მაშინ ჩნდება საშიშროება, რომ მხოლოდ უზრუნველყოფილი ჯგუფები და ინდივიდები მიიღებენ მონაწილეობას SEA-ში და მათი შეხედულებები ვერ იქნება მთლიანად საზოგადოების აზრის გამომხატველი.

ცხრილი 5.2: საზოგადოების ჩართულობის ძირითადი ინსტრუმენტების მიმოხილვა

საზოგადოების ჩართულობის ინსტრუმენტი	შესაძლებელ ს ხდის ...			ძირ. თვისებები		
	ინფორმაციის მიწოდება	შენიშვნების შეგროვება	პრობლემის კოლაბორაციული გადაწყვეტა	განხორციელების ჩვეულებრივი ხარჯი	პრობლემის მოგვარების უნარი	შენიშვნების სიმარტივე
სხვადასხვა ბეჭდური მასალა შენიშვნების მოსაზიდად	✓	✓		\$		☹
გამოფენები და ჩვენებები	✓	✓		\$		☹
დატვირთული გამოფენები და ჩვენებები	✓	✓	✓	\$\$	.	☹
საინფორმაციო ცხელი ხაზი	✓	✓		\$		☹
ინტერნეტ/ვებ კონსულტაციები	✓	✓	✓	\$	.	☹
კითხვარები და გამოხმაურებები		✓		\$\$		☹
კვლევები		✓		\$\$		☹
საჯარო მოსმენები	✓	✓		\$		☹
სემინარები	✓	✓	✓	\$	..	☹
სამრჩევლო საბჭოები	✓	✓	✓	\$	..	☹

გასაღები:

შესაძლებელს ხდის	✓	კი
განხორციელების ჩვეულებრივი ხარჯი	\$	დაბალი
	\$\$	მაღალი
პრობლემის მოგვარების უნარი	•	დაბალი
	••	მაღალი
შენიშვნების სიმარტივე	☹	საშუალო
	☺	მაღალი

თავი ან

## პოლიტიკა და კანონმდებლობა

## ა6.1 თავის შესავალი

პროტოკოლი ყველგან მოიხსენიებს „გარემოს, ჯანდაცვის ჩათვლით“. გამეორების თავიდან ასაცილებლად, სახელმძღვანელოში მოიხსენიება მხოლოდ გარემოს დაცვა, მაგრამ ის ყოველთვის უნდა იყოს აღქმული ჯანდაცვასთან ერთად. ჯანდაცვის თემაზე მეტი ინფორმაციისათვის იხ. დანართი ა 1

1. წინამდებარე თავში განვიხილავთ პროტოკოლის მე-13 მუხლს, რომელიც პოლიტიკასა და კანონმდებლობას ეხება. აქცენტი უფრო მეტად გადატანილია „პრინციპებისა და ელემენტების“ დანერგვაზე და არა მხოლოდ გეგმი/პროგრამის მსგავსი SEA პროცესის განხორციელებაზე.
2. *პოლიტიკურ დონეზე გარემოს სტრატეგიული შეფასება – უკანასკნელი წარმატებები, მიმდინარე სტატუსი და სამომავლო პერსპექტივები*, – ბარი სადღერის რედაქციით ეს ტომი მომზადდა, როგორც წინამდებარე სახელმძღვანელო დამატება, REC-ის მიერ ჩეხეთის გარემოს დაცვის სამინისტროს სახელით.<sup>37</sup>

### სამართლებრივი ვალდებულებები

3. მე-13 მუხლი მხარეებისგან მოითხოვს „ძალისხმევას“, რათა უზრუნველყონ ეკოლოგიური პრობლემების კონტექსტში შესაბამისი ზომით გათვალისწინება და ინტეგრირება საპროექტო წინადადებების, პოლიკისა და კანონმდებლობის შემუშავების დროს, და ასევე, პროტოკოლის შესაბამისი პრინციპებისა და ელემენტების მხედველობაში მიღება. რამდენადაც მხარე განახორციელებს მე-13 მუხლს, კონკრეტული ღონისძიებები უნდა დაისახოს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის ღონისძიებების გასატარებლად.
4. პრემულასა და I-ლ (ბ) და (ამოცანები) 24.4 (ძალაში შესვლა) მუხლებში არის კიდევ რამდენიმე დებულება, რომელიც პოლიტიკასა და კანონმდებლობას უკავშირდება. მსგავსი დებულებები არ არის წარმოდგენილი SEA-ს დირექტივაში.

### რას წარმოადგენს პოლიტიკა და კანონმდებლობა?

5. პროტოკოლი არ გვთავაზობს „პოლიტიკისა და კანონმდებლობის“ განმარტებას, ამდენად, პოლიტიკა ზოგადად განიხილება უფრო მაღალი, ან უფრო ზოგადი დონის სტრატეგიულ საპროექტო წინადადებად, ვიდრე გეგმები და პროგრამებია. ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი პოლიტიკის შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: „პრინციპი, ან მოქმედების თანმიმდევრობა, რომელიც დამტკიცებულია, ან შემოთავაზებულია როგორც სასურველი, უპირატესი, ან მიზანშეწონილი; [განსაკუთრებით] როცა მთავრობის, პოლიტიკური პარტიისა და მისთ. მიერ ხდება მისი ადვოკატირება. ხოლო კანონმდებლობა განმარტებულია შემდეგნაირად: “კანონის მიღება კანონმდებლის, ან საკანონმდებლო ორგანოს მიერ“. მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ ამ მუხლში იგულისხმება პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომელსაც სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გარემოზე.

### ხელმძღვანელობა

6. პროტოკოლი ძალიან მწირ ინფორმაციას გვაწვდის თუ როგორ შეიძლება ეკოლოგიური პრობლემების პოლიტიკურ და საკანონმდებლო წინადადებებში გათვალისწინება და ინტეგრირება.
7. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების გაფართოვების პოტენციალი, როცა ხდება ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინება უფრო მაღალ, სტრატეგიულ დონეზე. პროცესის მკაფიო განმარტების არარსებობა ნიშნავს, რომ არსებობს ეკოლოგიური პრობლემების პოლიტიკურ და საკანონმდებლო წინადადებებში გათვალისწინებისა და ინტეგრირების უფრო ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომის საშუალება. ცალკეული

<sup>37</sup> იხილეთ: <http://www.unece.org/env/eia/documents/PolicySEA/SEA of Policies volume.pdf>

პოლიტიკისა და სამართლის განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს მოქნილობასაც. შესაბამისად, საქმე გვაქვს ამაღელებელ და გამოწვევებით აღსავსე სამუშაოსთან, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნია.

8. ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინება და ინტეგრირება პოლიტიკურ და საკანონმდებლო წინადადებებში, ზოგადად, სხვადასხვა ფორმით განხორციელდება. მაგალითად, პოლიტიკასთან დაკავშირებით, შეიძლება განხორციელდეს SEA-ს ფორმით, როგორც განვითარების პროცესის შემადგენელი ნაწილი, ისეთი ელემენტების გამოყენებით, როგორცაა: პოტენციური ეკოლოგიური ზეგავლენის შეფასება და საზოგადოებასთან კონსულტაცია. თუმცა, ეს მიდგომა არ იქნება ჩვეულებრივ საკანონმდებლო კონტექსტისთვის გამოყენებადი, რადგან საკანონმდებლო წინადადებები განიხილება შესაბამის საპარლამენტო სხდომებზე ან სხვა საკანონმდებლო პროცედურების დროს. ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება საკმაოდ ნაყოფიერად იქნას განხილული ასეთი პროცედურების დროს, მაგრამ, პროტოკოლით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმალური განხილვა სასურველია მოხდეს ვიდრე შემოთავაზებული კანონპროექტი წარედგინება საკანონმდებლო ორგანოს. ამ სიტუაციასა და „პარლამენტის, ან სამთავრობო ორგანოს მიერ ოფიციალურად დამტკიცებული“ გეგმებისა და პროგრამების შესახებ პროტოკოლის დებულებას შორის არსებობს პარალელი. ამ შემთხვევებში, SEA ხორციელდება მანამ, სანამ გეგმის/პროგრამის საბოლოო ვარიანტი გაიგზავნება ოფიციალური პროცედურებით დასამტკიცებლად.
9. სახელმძღვანელოს ვებ გვერდი ([http://www.unece.org/env/eia/sea\\_manual/welcome.html](http://www.unece.org/env/eia/sea_manual/welcome.html)) გვთავაზობს ხვადასხვა ქვეყნებში, როგორც პოლიტიკის, ისე კანონმდებლობის თვალსაზრისით გამოყენებული მიდგომების შესახებ ინფორმაციის ბმულებს; ეს თემა განხილულია, ასევე, ზემოთ [2 პარაგრაფში](#) დასახელებულ პუბლიკაციაშიც.



## ა6.2 შესაძლო მიდგომები

10. ამ ნაწილში განვიხილავთ თუ როგორ შეიძლება ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინება და ინტეგრირება პოლიტიკური და საკანონმდებლო წინადადებების მომზადებაში, როცა მხარეები იყენებენ პროტოკოლის მე-13 მუხლს – რასაც ქვემოთ მოვიხსენიებთ, როგორც „გათვალისწინებისა და ინტეგრირების“ პროცესს.
11. პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესახებ SEA-ში მკაცრი განსაზღვრებების ნაკლებობა მხარეებს შესაძლებლობას აძლევს უფრო მოქნილად მიუდგნენ ეკოლოგიური საკითხების პოლიტიკასა და კანონმდებლობაში გათვალისწინებისა და ინტეგრირების პროცესს, რისთვისაც შეუძლიათ განახორციელონ საპილოტე კვლევები, რაც თანდათან გამოცდილებასა და უნარებს შესძენთ. მაგალითად, მხარეებმა შეიძლება აირჩიონ პირველად მხოლოდ ის პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება შესაძლო მნიშვნელოვანი (პოზიტიური ან ნეგატიური) ეკოლოგიური ეფექტი. გამოყენების სფეროსა და მნიშვნელოვანების კრიტერიუმების შესახებ უფრო ზუსტი განმარტებები ჩამოყალიბდება მოგვიანებით.
12. თუმცა, გათვალისწინებისა და ინტეგრირების პროცესის ორი ძირითადი თვისება, რომელიც ნათლად იკვეთება პროტოკოლში, გახლავთ: ინტეგრირების საჭიროება (მუხლ. 1(ბ) და (ე)) და გამჭირვალობის უზრუნველყოფა (მუხლ. 13.3). ქვემოთ, ჩარჩო ა6.1 წარმოგვიდგენს ეფექტური ინტეგრირების შესახებ რჩევებს და გამჭირვალობის მიღწევის საშუალებებს. ამ მიდგომების განსახორციელებლად საჭირო პრაქტიკული მეთოდებია მოცემული ან თავში.
13. სხვა გასათვალისწინებელ ელემენტებში შეიძლება მოვიპოვოთ მე-4დან მე-12 მუხლის ჩათვლით გეგმებისა და პროგრამებისთვის აღწერილი ელემენტები (ე.ი. „პრინციპები და ელემენტები“, რომელზეც საუბარია 13.2 მუხლში):
  - X განხორციელების სფერო და მნიშვნელოვანი ეფექტების გამოვლენა.
  - X მასშტაბის დადგენა და ეკოლოგიური ანგარიში.
  - X საზოგადოებრივი ჩართულობა, კონსულტაციები გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან, და ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები.
  - X გადაწყვეტილების მიღება.
  - X მონიტორინგი.
14. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ელემენტები მკაცრად ამავე თანმიმდევრობით იჩენს თავს. შეიძლება მრავალჯერ მოგვიწიოს გამეორება და უფრო ადრეულ ელემენტებზე დაბრუნება, ან, შესაძლებელია, რომ ელემენტები ერთმანეთს შეერწყას ან გადაფაროს ერთიმეორე. ინფორმაციის შეგროვება მოხდება უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე გეგმებისა და პროგრამებისთვის, და შესაბამისად, ეფექტების ნებისმიერი პროგნოზი და შეფასება ნაკლებად ამომწურავი იქნება, ვიდრე გეგმებსა და პროგრამებში. პოლიტიკისა და კანონმდებლობისთვის ზოგიერთი SEA-ს მსგავსი პროცესი არ ემხრობა SEA-ს შედეგებზე დაყრდნობით ცალკე ეკოლოგიური ანგარიშის მომზადებას, ამის ნაცვლად ხდება მონაცემების შეტანა არსებულ დოკუმენტებში, რომლებიც პოლიტიკისა და კანონმდებლობის კვალდაკვალ ვითარდება. შესაძლებელია საზოგადოებისთვის დამხმარე დოკუმენტაციის ცალკე მომზადება.
15. მხარეებმა შეიძლება გამოიყენონ გარემოს შეფასების პოლიტიკის, და გეგმებისა და პროგრამების საპროექტო წინადადებების შესახებ კანადის კაბინეტის დირექტივის<sup>38</sup> განსახორციელებელ გაიდლაინებში ასახული სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც ქვემოთ, ა.6.2 ჩარჩოშია მოცემული.
16. იმ მხარეებმა, რომლებიც მიერთებულნი არიან ორჰუსის კონვენციას, უნდა განახორციელონ ხსენებული კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლების დებულებები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ, ა 6.2 ჩარჩოში.

<sup>38</sup> კანადის გარემოს შეფასების სააგენტო (2000), *გარემოს შეფასების პოლიტიკის, და გეგმებისა და პროგრამების საპროექტო წინადადებების შესახებ კანადის კაბინეტის დირექტივის გაიდლაინები*, იხ. <http://www.ceaa.gc.ca/default.asp?lang=En&n=B3186435-1>

17. და ბოლოს, მხარებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ სამრჩევლო ორგანო ან საცნობარო მაგიდა, რომელიც პოლიტიკასა და კანონმდებლობაში პროტოკოლის მისადაგებაში დაეხმარება. ეს შეიძლება უზრუნველყოს, მაგალითად, გარემოს დაცვის სამინისტრომ, პრემიერ მინისტრის კანცელარიამ, ფინანსთა სამინისტრომ, სხვა ცენტრალურმა დეპარტამენტებმა, ან მათმა ნებისმიერმა კომბინაციამ.

#### ჩარჩოან.1: რჩევები ინტეგრირებისა და გამჭირვალობის შესახებ

ინტეგრაცია მოითხოვს გათვალისწინებისა და ინტეგრირების პროცესის ინიცირებას პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. პოლიტიკისა თუ კანონმდებლობის მიზნების კომბინირება ფართო ეკოლოგიურ ამოცანებთან საუკეთესო სასტარტო წერტილი იქნება ინტეგრაციისთვის. უფრო ეფექტური ინტეგრირებისთვის სასარგებლო იქნება შემდეგი რჩევების გათვალისწინება:<sup>39</sup>

- X დაიწყეთ ადრე, სანამ მიღებული იქნება რაიმე შეუქცევადი გადაწყვეტილება.
- X პოლიტიკაზე, ან კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფში ჩართეთ გარემოს დაცვის მხარდამჭერი „ძლიერი ხმა“.
- X შეუთანხმდით ჯგუფის წევრებსა და გადაწყვეტილების მიმღებებს, თუ როგორ გამოიყენებენ გათვალისწინებისა და ინტეგრირების პროცესს, მათ შორის ნებისმიერ ეკოლოგიურ შეფასებას.
- X გათვალისწინებისა და ინტეგრირების პროცესი მოარგეთ პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესს, კერძოდ მის სამუშაო განრიგს.
- X მიზნად დაისახეთ ეკოლოგიური შეფასების პროცესებისა და ელემენტების გამოყენება გარემოს შესახებ დისკუსიების გასაფართოვებლად.
- X ეკოლოგიური პრობლემების ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, ხელი შეუწყვეთ გამჭირვალობას.

გამჭირვალობის მიღწევა მრავალი საშუალებით შეიძლება; გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:<sup>40</sup>

- X შედეგებისა და მიზეზების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება (ე.ი. რატომ იქნა მიღებული ესა თუ ის პოლიტიკური ხედვა ან კანონი, ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით).
- X ინფორმაციის გასაჯაროება პოლიტიკისა და კანონპროექტების შემუშავების ადრეულ ეტაპზე, ან გათვალისწინებისა და ინტეგრირების პროცესში, ასეთი პროცესის დაწყების ან მიმდინარეობის შესახებ შეტყობინების ჩათვლით.
- X პოლიტიკისა და კანონების შესაძლო ეკოლოგიური ეფექტების შესახებ ადრეული კონსულტაციების გამართვა გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან.
- X საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა ადრეულ ეტაპზე, არა მხოლოდ არასამთავრობოების ჩათვლით, არამედ, შესაფერის შემთხვევებში, ფართო საზოგადოებისა და პროტოკოლის სხვა მხარეების მონაწილეობით.

<sup>39</sup> მეორდება ან თავში წამოდგენილი დისკუსია

<sup>40</sup> მეორდება მუხლ. 7 დან 11 მდე შესატყვისი გეგმები და პროგრამები

ცხრილი ან.1: კანადური გაიდლაინების სახელმძღვანელო პრინციპები

სახელმძღვანელო პრინციპები	
ადრეული ინტეგრირება	ეკოლოგიური პრობლემების ანალიზი სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში . . . იმისათვის რომ ხელი შეეწყოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან თანმიმდევრული, გონიერი გადაწყვეტილებების მიღებას, აუცილებელია, საპროექტო წინადადების კონცეფციის შემუშავების პირველსავე ფაზაში დავიწყოთ ეკოლოგიური პრობლემების მხედველობაში მიღება, სანამ მიიღება რაიმე სახის გამოუსწორებელი გადაწყვეტილება. ამ მხრივ, [SEA]-ს შეუძლია დაგვეხმაროს ვერსიების გაანალიზებაში და ისეთი პრობლემების გამოვლენაში, რომლებსაც დამატებით მსჯელობა ესაჭიროება.
ალტერნატივების შემოწმება	ნებისმიერი [SEA]-ს ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ასპექტი გახლავთ ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებისას ალტერნატივების ეკოლოგიური ეფექტების შეფასება და შედარება . . . ასეთი შედარება დაგვეხმარება დავადგინოთ, თუ როგორ ამცირებს ეკოლოგიურ რისკს პოლიტიკაში ცვლილებები ან დამატებები . . .
მოქნილობა	[ოფიციალური პირების] დისკრეციული უფლებაა გადაწყვიტონ, თუ როგორ განახორციელებენ [SEA]-ს, ამდენად, მოუწოდებთ მათ, არსებული საჭიროებების შესაბამისად მოახდინონ ანალიტიკური მეთოდოლოგიის ადაპტაცია და რაფინირება.
თვით-შეფასება	თითველი ინდივიდი [ოფიციალური პირი] პასუხისმგებელია მის მიერ წარმოდგენილ პოლიტიკასთან მიმართებაში, შესაფერის ვითარებაში, განახორციელოს [SEA] . . . დაადგინოს, როგორ უნდა ჩატარდეს შეფასება, როგორ უნდა მოიქცნენ ჯგუფის წევრები და როგორ უნდა აწარმოონ ანგარიშგება.
ანალიზის შესაფერისი დონე	პოტენციური ეკოლოგიური ეფექტების შეფასების მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს მოსალოდნელი ეფექტების მასშტაბს.
ანგარიშგება	[SEA] უნდა იყოს ღია და ანგარიშვალდებულებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესისა . . . მთავრობაში. ანგარიშვალდებულება წახალისებული უნდა იყოს ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების ჩართულობითა და თანამონაწილეობით, და განხორციელდეს დოკუმენტირებისა და საანგარიშო მოხსენებების მექანიზმებით.
არსებული მექანიზმების გამოყენება	{SEA-ს} განხორციელებისას, [ოფიციალურმა პირმა] ნებისმიერი ეკოლოგიური ეფექტების ანალიზის დროს უნდა გამოიყენოს არსებული მექანიზმები, და ჩართოს საზოგადოება, თუ ამის მოთხოვნა დადგა, შეაფასოს შესრულება და წარმოადგინოს შედეგები. ასეთი მექანიზმები ასევე გამოყენებული უნდა იყოს ეკოლოგიური ეფექტების შესახებ განცხადებებისას.

მითითებები

18. ევროკომისიამ შეიმუშავა პოლიტიკისა და კანონმდებლობისთვის საპროექტო წინადადებების მომზადებაში ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებისა და ინტეგრირების მთელი რიგი ინსტრუმენტები, მათ შორისაა გენერალური სამდივნოს მხარდაჭერა შედეგების შეფასების პროცესისადმი, რაც მიზნად ისახავს ევროკომისიაში პოლიტიკის სტრუქტურირებასა და მხარდაჭერას.<sup>41</sup>
19. დამატებითი მითითებებია მოყვანილი სახელმძღვანელოში: *პოლიტიკის დონეზე გარემოს სტრატეგიული შეფასება – უკანასკნელი მიღწევები, მიმდინარე სტატუსი და სამომავლო პერსპექტივები*, და ასევე ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: ([http://www.unece.org/env/eia/sea\\_manual/welcome.html](http://www.unece.org/env/eia/sea_manual/welcome.html)).
20. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანას ჩამოყალიბებული აქვს პოლიტიკისა და კანონმდებლობისთვის საპროექტო წინადადებების მომზადებაში ჯანმრთელობის პრობლემების გათვალისწინებისა და ინტეგრირების მეთოდები. ერთ-ერთი მაგალითია გაერთიანებული სამეფოს *პოლიტიკის შეფასებისა და ჯანმრთელობის სახელმძღვანელო*, რომელიც სკრინინგის მარტივ კითხვებს შეიცავს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ.<sup>42</sup>

<sup>41</sup> იხ. [http://ec.europa.eu/governance/impact/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/governance/impact/index_en.htm) (იხ. EC შედეგების შეფასების შიდა გაიდლაინები [http://ec.europa.eu/governance/impact/commission\\_guidelines/docs/iag\\_2009\\_en.pdf](http://ec.europa.eu/governance/impact/commission_guidelines/docs/iag_2009_en.pdf))

<sup>42</sup> გაერთიანებული სამეფო, *პოლიტიკის შეფასება და ჯანდაცვა: ჯანდაცვის დეპარტამენტის სახელმძღვანელო* (გამოცემულია 2004) [http://www.dh.gov.uk/prod\\_consum\\_dh/groups/dh\\_digitalassets/@dh/@en/documents/digitalasset/dh\\_409](http://www.dh.gov.uk/prod_consum_dh/groups/dh_digitalassets/@dh/@en/documents/digitalasset/dh_409)

მე-7 მუხლი (“გარემოსთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობა”)

... შესაფერის დონემდე ყველა მხარე უნდა ეცადოს საზოგადოებისთვის ეკოლოგიასთან დაკავშირებული პოლიტიკის მომზადებაში მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

მე-8 მუხლი (“საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი რეგულაციების და/ან ზოგადი დანიშნულების სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული ინსტრუმენტების მომზადებაში”)

თითველი მხარე უნდა ისწრაფოდეს საზოგადოებისთვის სათანადო ეტაპზე ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფისკენ, ვიდრე არჩევანი ჯერ კიდევ ღიაა, ოფიციალური პირების მიერ აღმასრულებელი რეგულაციების მომზადების დროს და სხვა ზოგადი დანიშნულების სამართლებრივად სავალდებულო წესების მომზადებისას, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს გარემოზე.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- (ა) უნდა დადგინდეს ეფექტური მონაწილეობისთვის საკმარისი პერიოდები;
- (ბ) უნდა გამოქვეყნდეს, ან სხვაგვარად გასაჯაროვდეს კანონპროექტები; და
- (ც) საზოგადოებას უნდა მიეცეს შენიშვნების გამოთქმის საშუალება პირდაპირ, ან წარმომადგენლობითი საკონსულტაციო ორგანოს საშუალებით.

საზოგადოების მონაწილეობის შედეგები მაქსიმალურად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული..

მუხლი 8 შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც კანონმდებლობის (და მისთ.) მომზადების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფისკენ სწრაფვის ვალდებულება მაშინ, როცა არჩევანი ჯერ ღიაა; რაც განხორციელდება საზოგადოების პროცედურული სტრუქტურის ჩამოყალიბებით, რომელიც მოიცავს ვადებს, შეტყობინების გაგზავნას, შენიშვნების გამოხატვის შესაძლებლობას, და მიღებული შენიშვნების შეძლებისდაგვარად მაქსიმალურ გათვალისწინებას.<sup>43</sup>

<sup>43</sup> ორჭუსის კონვენციის შემდეგ: განხორციელების სახელმძღვანელო (იხ. ზემოთ შენიშვნა 34), გვ. 119–

ნაწილი ბ.: ტრენერის  
სახელმძღვანელო

თავი 21

## ქმედითუანრიანობის ჩამოყალიბების ჩარჩო

### პროტოკოლის მიზნებისთვის

## ბ1.1 თავის შესავალი

პროტოკოლი ყველგან მოიხსენიებს „გარემოს, ჯანდაცვის ჩათვლით“. გამეორების თავიდან ასაცილებლად, სახელმძღვანელოში მოიხსენიება მხოლოდ გარემოს დაცვა, მაგრამ ის ყოველთვის უნდა იყოს აღქმული ჯანდაცვასთან ერთად. ჯანდაცვის თემაზე მეტი ინფორმაციისათვის იხ. დანართი ა 1

1. ამ თავში განვიხილავთ თუ რამდენად გადამწყვეტია სწორი მიდგომის არჩევა SEA-ს ინტერესებიდან გამომდინარე ქმედითუნარიანობის ეფექტური ამაღლებისთვის. აქ განვიხილავთ შემდეგ საკითხებს:
  - X SEA-ს ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ჩარჩო (ქვეთავი ბ1.2), სადაც აღწერილია თუ რომელი ძირითადი პრობლემები უნდა გაანალიზდეს პროტოკოლის ეფექტური განხორციელებისთვის ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგიაში; აქვეა წარმოდგენილი ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტები.
  - X ქმედითუნარიანობის შეფასება (ქვეთავი ბ1.3), განვიმარტავს, რომელ ძირითად საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ქმედითუნარიანობის შეფასების დროს, და აქვეა მოცემული ქმედითუნარიანობის შეფასების მარტივი ინსტრუმენტები.
  - X რჩევები SEA-ს ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სათანადო სტრატეგიის მომზადებისთვის (ქვეთავი ბ1.4), აღწერს ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ძირითად ვარაუდებს.
  - X შემაჯამებელი შენიშვნები (ქვეთავი ბ1.5), განვიმარტავს ძირითად პრობლემებს, რომლებიც გავლენას ახდენს SEA ქმედითუნარიანობის სისტემატური ჩამოყალიბების ხარისხზე.
  - X აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხუთ ქვეყანაში დანერგული ქმედითუნარიანობის შეფასების დეტალური კითხვარის ნიმუში. (დანართი ბ1.1).
  - X SEA-ს და პროტოკოლის მოთხოვნების განხორციელების მიზნით ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ეროვნული სტრატეგიისთვის მარტივი ტექნიკური დავალების ნიმუშები. (დანართი ბ1.2).

## ბ1.2 პროტოკოლის მიზნებისთვის ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების შესავალი

### ბ1.2.1 SEA ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ჩარჩო

2. SEA-ს სისტემების ეფექტური დანერგვა საზოგადოდ მოითხოვს ქმედითუნარიანობის სამი ტიპის ჩამოყალიბებას: სისტემური უნარები, ინსტიტუციონალური უნარები და ადამიანური უნარები. ამ უნარების ჩამოყალიბების მთავარი საკითხებია შეჯამებული ცხრილში ბ1.1 ქვემოთ.

ცხრილი ბ1.1: პროტოკოლის ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ჩარჩო<sup>44</sup>

უნარების სახეობა	სისტემური უნარი	ინსტიტუციონალური უნარი	ადამიანური უნარი
მთავარი ელემენტები	სამართლებრივი, პოლიტიკური და პროცედურული ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ ინსტიტუტები და ადამიანები	ორგანიზაციის უნარი იმოქმედოს ეფექტურად მოცემული სისტემის ფარგლებში	X ინდივიდის უნარები და გამოცდილება და მისი მოტივაცია
ამოცანები	X საერთო საკანონმდებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება X ინსტიტუციებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება	ორგანიზაციის მოქმედებისა და ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბება	X უნარების განვითარება X გრძელვადიანი მოტივაციისა პასუხისმგებლობის მხარდაჭერა
კონკრეტული ინტერვენცია (არასრული სია)	X საკანონმდებლო პოლიტიკა და მარეგულირებელი რეფორმები X SEA პროცესის მთავარ მოთამაშეთა შორის ინტერვენციების დასახმარებელი პრაქტიკული გაიდლაინები  X მთლიანი სისტემის ეფექტურობის მონიტორინგი და მიმოხილვა	X ინსტიტუციური აუდიტი  X შიდა მენეჯმენტის გაიდლაინები X გაუმჯობესებული სამუშაო პირობები (მაგ., ინსტრუმენტები და კომუნიკაციის საშუალებები)	საბაზისო უნარების ჩამოყალიბება  მოწინავე პროფესიული განვითარება  პროფესიული სერტიფიცირება

<sup>44</sup> ადაპტირებულია ა.იურგვეისიუტეს და ჯ. დუსიკის მიერ. *REC მიდგომა ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების მიმართ EIA/SEA რეფორმებისთვის* (2004), გამოუქვეყნებელი მასალა, REC გარემოს შეფასების ჯგუფი.



<p>ჯვარედინი</p>	<p>x SEA სარგებლისა და მისი სრულყოფილი განხორციელების პრონციპების შესახებ ცნობადომის ჩამოყალიბება.</p>
<p>ინტერვენცია (არასრული სია)</p>	<p>x ძირითად დაინტერესებულ მხარეთა შორის რეგულარული პროფესიული დებატებისა და პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობი პლატფორმა (მაგ., პროფესიული ქსელები, ან რეგულარული კონფერენციებიგამოცდილების მიმოხილვისთვის)</p> <p>x საპილოტე პროექტები, რომელთა საშუალებითაც მოწმდება ცვლილებები კანონში ან სახელმძღვანელო პრინციპებში, ხორციელდება როგორც ინსტიტუციათა შორისი სწავლების ნაწილი და სამუშაო ადგილიდან მოუწყვეტელ ტრენინგში აერთიანებს ადგილობრივ ექსპერტებს.</p> <p>x ჯილდოების სქემები, რომლებიც ავლენს და აჯილდოვებს საუკეთესო გამოცდილებებს.</p>

### სისტემური უნარები

3. სისტემური უნარი განისაზღვრება მთლიანი სისტემის ხარისხით, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ ინსტიტუტები და პიროვნებები. სისტემა შეიძლება არაეფექტური იყოს (მაგ., ძალიან ნელი, ძვირი, რთული ან რესურსებზე მომთხოვნი). სისტემის უნარის ჩამოყალიბების მიზანია მთლიანი სისტემის ეფექტურობის გაზრდა საკანონმდებლო, პოლიტიკური და მარეგულირებელი რეფორმების გზით, პრაქტიკული გაიდლაინების უზრუნველყოფა და მთლიანი სისტემის ეფექტურობის მონიტორინგი და მიმოხილვა.
4. საკანონმდებლო, პოლიტიკური და მარეგულირებელი რეფორმები. პროტოკოლი შეიძლება გადატანილი იქნას ეროვნულ რეგულაციებში, მაგალითად, გარემოს დაცვის შესახებ აქტში (გარემოს დაცვის შესახებ ჩარჩო კანონი), სადაც გაცხადდება, რომ პროტოკოლის დებულებები უნდა განხორციელდეს; ან, SEA-ს შესახებ ეროვნულ ჩარჩო-კანონში (დამოუკიდებელი აქტის, ან გარემოს დაცვის შესახებ არსებულ კანონში ცვლილებების შეტანის, ან გზმ კანონის საშუალებით), ან დაგეგმვისა თუ სექტორების შესახებ არსებულ კანონში ცვლილებების შეტანით.
7. SEA-ს პრაქტიკული სახელმძღვანელო წარმოადგენს ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას. ის შეიძლება გამოიყენოს საზოგადოდ გამოსაყენებელი სახელმძღვანელოს სახით, ან როგორც სპეციფიკური გაიდლაინი, სადაც SEA-ს ზოგადი პროცედურები და მიდგომები მისადაგებულია კონკრეტული გეგმის ან პროგრამის მომზადების პროცესის საჭიროებებს. გაიდლაინები შეიძლება შეიცავდეს SEA-ს ძირითადი ელემენტების განმარტებას; SEA-ს მოსალოდნელ შედეგებსა და მათ კავშირს გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესთან; გამოსაყენებელ ინსტრუმენტებსა და მეთოდებს; და შეიძლება საძიებო სიასაც, რათა შემოწმდეს მოხდა თუ არა პროტოკოლის მოთხოვნების დაკმაყოფილება. პრაქტიკული ხელმძღვანელობის მაგალითების სია, შეაბამისი ბმულებით, შეგიძლიათ იხილოთ ECE ვებ გვერდზე ([http://www.unece.org/env/eia/sea\\_manual/welcome.html](http://www.unece.org/env/eia/sea_manual/welcome.html)), ხოლო ხსენებული სია მუდმივად განახლდება, როგორც კი ახალი მაგალითები გახდება ხელმისაწვდომი.
8. მთლიანად SEA სისტემის პერიოდული შემოწმება შეიძლება გამოვიყენოთ SEA-ს სისტემის ეფექტურობის შესახებ გამოხმაურებისთვის და მომავალი რეფორმების გეგმის შეთავაზებისთვის. ასევე დგას მონიტორინგისა და აუდიტის სისტემების არსებობის საჭიროება.

### ინსტიტუციური უნარი

9. ინსტიტუციური უნარი გახლავთ ორგანიზაციის მიერ მოცემულ სისტემაში ეფექტურად ოპერირების უნარს. ინსტიტუციური უნარის ჩამოყალიბება მიზნად ისახავს მთლიანად ორგანიზაციის ქმედითობის გაძლიერებას შიდა ინსტიტუციური აუდიტის, SEA-ს შიდა მენეჯმენტის გაიდლაინებისა შიდა კომუნიკაციის მექანიზმების ამოქმედების გზით.

10. შიდა ინსტიტუციური აუდიტი შეიძლება განხორციელდეს პერიოდულად, რათა შემოწმდეს, რამდენად ეფექტურად ოპერირებს ორგანიზაცია SEA-ს სისტემაში, გამოიკვეთოს ორგანიზაციის შიგნით მუშაობაში არსებული მიღწევები და დაბრკოლებები და მომზადდეს რეკომენდაციები ორგანიზაციის ოპერირების გაუმჯობესებისთვის. ასეთი აუდიტი შეიძლება ფოკუსირებული იყოს ორგანიზაციის შიგნით არსებულ კოორდინაციაზე, და თანამშრომელთა ქმედითუნარიანობასა და პასუხისმგებლობაზე. თანამშრომელთა მუშაობის შეფასება შეიძლება მოხდეს რუტინულად, ანუ, როგორც ორგანიზაციის თვით შეფასების პროცესის ნაწილი, სადაც იკვეთება ჩავარდნები და ისახება გაუმჯობესების გზები.
11. SEA-სთვის მომგებიანია სხვადასხვა დეპარტამენტებს შორის შიდა კომუნიკაციის გაძლიერება. შიდა მენეჯმენტის გაუდღაინებში ჩამოყალიბებულია შიდა საკომუნიკაციო მექანიზმები და გადაწყვეტილების მიღების პროცესები. თუმცა, მნიშვნელოვანია სწორად იქნეს არჩეული საკომუნიკაციო მექანიზმი და ის ელექტრონული საშუალებები, რომლითაც უფრო ეფექტიანი იქნება SEA-ს მუშაობა. ამასთანავე, ჯგუფურ დისკუსიებში და ექსპერტებთან კონსულტაციებში შეიძლება უფრო ეფექტურად გამოიკვეთოს წინააღმდეგობრივი მოსაზრებები, და ასევე, გაიზარდოს ორგანიზაციის სხვადასხვა ნაწილებს შორის სინერგია. ასეთი კონსულტაციები ინსტიტუციური უნარების ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს.

### *ადამიანური უნარი*

10. ადამიანური რესურსი ადამიანების უნარებისა და გამოცდილებისგან შედგება, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ SEA-ში. ადამიანური უნარების ჩამოყალიბების მიზანია უზრუნველყოს, რომ წამყვან ადამიანებს ჰქონდეთ შესაფერისი უნარები და პასუხისმგებლობა საკუთარი საქმის მიმართ. ამის მიღწევა, სხვა საშუალებებთან ერთად, შესაძლებელია საბაზისო უნარების ჩამოყალიბებით, მოწინავე პროფესიული განვითარებითა და სერტიფიცირებით.



11. საბაზისო უნარების ჩამოყალიბება ადამიანური უნარების ჩამოყალიბების სასტარტო წერტილია. მასში, როგორც წესი, შედის SEA-ს და სხვა მსგავსი კურსების ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტებში, ცნობადობის ასამაღლებლად ჩატარებული სემინარები, და უფრო ინტენსიურად, ფილმები და ინტერნეტის საშუალებით დისტანციური სწავლების კურსები<sup>45</sup>, რომლების სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე აკეთებენ აქცენტს.
12. მოწინავე პროფესული განვითარების კურსი შეიძლება შევიდეს შერჩეული დისციპლინის სწავლების მაღალი საფეხურის კურსებში. სხვა ეფექტურ საშუალებებში მოიაზრება ასევე: სამუშაოდან მოუწყვეტლად სწავლება, სადაც ექსპერტები პრაქტიკულ ცოდნას იღებენ რეალურ SEA-ში მონაწილეობითა და გამოცდილ კოლეგებთან კომუნიკაციით.
13. SEA-ს სერტიფიცირება შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანური რესურსისა და უნარების გაფართოების ერთ ერთი საშუალება. SEA სერტიფიცირება შეიძლება დაინერგოს როგორც გარემოს დაცვის პროფესიონალების, ან გზშ ექსპერტების სერტიფიცირების ქვე-სისტემა. მნიშვნელოვანია დავაზუსტოთ, რომ ექსპერტების SEA სერტიფიცირება კომბინირებული უნდა იყოს პერიოდულ ტრენინგებთან, სემინარებთან და ქმედითუნარიანობის განვითარების სხვა ღონისძიებებთან.

### *ჯვარედინი ინტერვენცია ქმედითუნარიანობის განვითარებაში*

14. კონკრეტული ინსტრუმენტების გარდა, სხვადასხვა ტიპის ქმედითუნარიანობის ჩამოსაყალიბებლად არსებობს კიდევ მრავალი ხერხი, რომელიც ზემოთ ხსენებული სამივე უნარის განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. აქ იგულისხმება საუკეთესო გამოცდილების შესახებ ცნობადობის ამაღლება, რეგულარული პროფესიული დებატების პლატფორმა, საპილოტე პროექტები და ჯილდოების. მნიშვნელოვანია SEA-ს მხარდაჭერა ზემოდან ქვემოთ. ამდენად, პოლიტიკის შემქმნელები და მთავრობის სხვა მაღალჩინოსნები (არა მხოლოდ გარემოს დაცვის სფეროდან) უნდა ერკვეოდნენ SEA საუკეთესო გამოცდილების უპირატესობებში.
15. SEA-ს სარგებლიანობის და მისი ეფექტურად განხორციელების პრინციპების შესახებ ცნობადობის ამაღლება გამოიწვევს გეგმის/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე პირებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან ამ ინსტრუმენტის მიმართ დადებითი განწყობის შექმნას. პოლიტიკური გარემოს ცვლილებისას ეს ინსტრუმენტი შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სექტორში და სხვადასხვა დონეზე SEA-ს ხელშეწყობისთვის. ეს შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, სარეკლამო მასალით, რომელშიც აღწერილია რეალური მაგალითები და გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და პრაქტიკოსების მოსაზრებები.
16. SEA-სსაპილოტე პროექტები შეიძლება გამოვიყენოთ SEA-ს ახალი მიდგომების ჩამოსაყალიბებლად, გამოსაცდელად და სადემონსტრაციოდ. ასეთი პროექტები პრაქტიკულ გამოცდილებას გვაძლევს და ქმნის SEA-სსაუკეთესო გამოცდილების პრეცედენტს. მათ, როგორც წესი, SEA-სპროცესის ადრეულ, გაცნობით ეტაპზე მიმართავენ ხოლმე. მათი საშუალებით ხდება შესაძლო SEA-ს პროცესების ფორმატა და არსებულ მსგავს გამოცდილებასთან და პროცედურებთან კავშირის შემოწმება, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს შეერწყას მომავალში, მაგ., როგორიცაა გზშ. მათი განხორციელება შეიძლება როგორც ინსტიტუციათა შორის სწავლების ნაწილი, რომელშიც სამსახურიდან მოუწყვეტლად ჩაერთვებიან ადგილობრივი ექსპერტები.
17. მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის რეგულარული პროფესიული

<sup>45</sup>მაგ. მსოფლიო ბანკისა და შედეგების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის დისტანციური სწავლების პროგრამა ჩინეთში განხორციელებული SEA შესახებ, იხილეთ: <http://info.worldbank.org/etools/docs/library/107861/sea/sea/index.html>.

დისკუსიებისა და პოლიტიკური დიალოგის პლატფორმა შეიძლება შეიქმნას პროფესიული ქსელების, არსებული გამოცდილების შესახებ რეგულარული კონფერენციების, ან ელ-ფოსტით ინტერნეტ დისკუსიის საშუალებით. სხვადასხვა პროფესიული სფეროსა თუ გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ინსტიტუტებსა და პიროვნებებს შორის ასეთი რეგულარული ურთიერთობა აყალიბებს პროფესიული მსჯელობის ატმოსფეროს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მთლიანად SEA სისტემის განვითარებაზე, ხელი შეუწყოს ძირითად ინსტიტუტებში ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ინიციატივებს და, ასევე, კოორდინაცია გაუწიოს SEA-თვის ადამიანური რესურსის ჩამოყალიბების სხვადასხვა ინტერვენციებს. წარმატებული პროფესიული ქსელის მაგალითია შედეგების შეფასების გლობალური საერთაშორისო ასოციაცია (<http://www.iaia.org/>) რომელსაც ძალიან ბევრი წევრი ჰყავს ეროვნულ დონეებზე..

18. ჯილდოების სქემები შეიძლება გამოყენებული იყოს SEA-ს საუკეთესო გამოცდილების გამოსავლენად და აღიარებისთვის. დაჯილდოვების ცერემონიალები შეიძლება მიეზას SEA ეროვნულ კონფერენციებს, სადაც განიხილება მიდგომები და არსებული გამოცდილების მთავარი პრობლემები. SEA ჯილდო შეიძლება გადაეცეს ინსტიტუტს ან პირს დასრულებული SEA პროექტისთვის, სადაც ნათლად იკვეთება საუკეთესო გამოცდილების პრინციპები, მაგალითად, SEA-ს განხორციელება კონკრეტულ სექტორში ან SEA-ს კონკრეტული ელემენტის ინოვაციური განხორციელება (როგორცაა, მაგ., შეფასების ინსტრუმენტები, საზოგადოების ჩართულობის ტექნიკა, ალტერნატივების გათვალისწინება, კუმულაციური შედეგების შეფასება, და მისთ.).

### ბ1.2.2 ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების მთავარი პრობლემები

19. ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბება და განვითარება უსაზღვრო პროცესია, ამდენად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება მხოლოდ მთავარ პრობლემებზე რეაგირება, და ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების პირველადი სტრატეგიის ხელახალი შეფასება.
20. SEA ქმედითუნარიანობის განვითარებისთვის გამიზნული ქმედებების განხორციელება უნდა დავიწყოთ სტრატეგიის შემუშავებით, რისთვისაც საჭიროა ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს:
  - X რომელი უნარების ჩამოყალიბება საჭირო SEA-თვის?
  - X რა პრიორიტეტები არსებობს და რა თანმიმდევრობით უნდა მივუდგეთ მათ?
  - X როგორ უნდა შევავროთ ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სხვადასხვა ინტერვენცია სინერგიზმის ეფექტის მისაღებად?
  - X ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ხერხებისა და ინსტრუმენტების როგორი კომბინაცია იქნება ყველაზე ეფექტური?
21. რამდენ სტრატეგიულ მიმართულებას ავირჩევთ, დამოკიდებულია მოცემულ ვადებსა და ხელმისაწვდომ რესურსებზე, ისევე, როგორც მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობაზე. ამდენად, ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგიის მომზადებას წინ უნდა უსწრებდეს დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და მათი საჭიროებებისა და უნარების შეფასება.

## ბ1.3 ქმედითუნარიანობის შეფასება

### ბ1.3.1 ქმედითუნარიანობის შეფასება – მიზანი და ინსტრუმენტები

22. პროტოკოლისთვის ნებისმიერი ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბება არაეფექტური იქნება, თუ არ მოხდა მისი სათანადოდ დაგეგმვა. უკეთ უნდა გავიცნოთ და გავიგოთ უნარების ნაკლებობის ან არარსებობის გამომწვევი მიზეზები და მათი სიმპტომები, რათა სწორად განვსაზღვროთ პრობლემის მოგვარების გზები.<sup>46</sup>
23. ამდენად, ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის ეფექტური ინტერვენცია უნდა დაიწყოს არსებული უნარების შემოწმებით, რომლის დროსაც შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი:
- X SEA-ს მთავარი დაინტერესებული მხარეების საჭიროებები.
  - X ძირითადი გარღვევები, და უნარების ჩამოყალიბებაში დახმარების სასურველი აქცენტები.
  - X მხარეები, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის ინტერვენციის განხორციელებაში ან მონიტორინგში.
  - X ვარაუდები და რისკები ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების პროგრამებში.
24. უნარების შეფასება ყოველთვის უნდა ჩატარდეს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საშუალებით – გარემოს დაცვის ოფიციალურ პირებთან, დამგეგმავებთან, კონსულტანტებთან და არასამთავრობოებთან, რომლებიც სავარაუდოდ ჩაერთვებიან SEA-ში.
25. უნარების შეფასება შეიძლება მრავალი მეთოდით განხორციელდეს, ვადებისა და ხელმისაწვდომი რესურსების და ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგიის მასშტაბის გათვალისწინებით.
26. სემინარების ჩატარება ყველაზე ნაკლებ დროსა და დანახარჯებს მოითხოვს – მათი ხანგრძლივობა შეიძლება ორი საათიდან დღემდეც გაგრძელდეს, იმისდა მიხედვით თუ რა მონაცემის მქონე ჯგუფთან ტარდება.
27. ინტერვიუები და კვლევები უფრო მეტ დროს მოითხოვს, თუმცა უფრო ფართო და ღრმა წარმოდგენას გვაძლევს, ვიდრე სემინარები. ინტერვიუები და კვლევები იქნა გამოყენებული აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხუთ ქვეყანაში უნარების შესაფასებლად, როგორც ეს ნაჩვენებია დანართში ბ1.1.

### ბ1.3.2 ძირითადი კითხვები SEA უნარების შეფასებისთვის

28. უნარების შეფასებამ უნდა გამოკვეთოს სისტემის მთავარი სისუსტეები, მთავარი მოთამაშეები და ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის საუკეთესო ღონისძიებები.
29. სისტემისა და პრობლემების ანალიზში უნდა გამოიკვეთოს:
- X დაგეგმვის ჩარჩოს მიმოხილვა.
  - X იმ გეგმებისა და პროგრამების გამოვლენა, რომლებიც დაექვემდებარება SEA-ს.
  - X გეგმებისა და პროგრამებისთვის არსებული ეკოლოგიური შეფასებაში გამოცდილება.
  - X პროტოკოლის პრაქტიკული განხორციელების დროს წარმოქმნილი ყველაზე დიდი გამოწვევები.
30. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი უნდა შეეხოს:
- X SEA-ს რეფორმებით მთავარ დაინტერესებულ მხარეებს და მათ ქსელებს.

<sup>46</sup>პიტერ მორგანი, “უნარი და ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბება – რამდენიმე სტრატეგია” (1998), ცნობა მომზადებულია პოლიტიკისა და სოციალური პოლიტიკის განყოფილების პოლიტიკის ფილიალისთვის, კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, კვებეკი. ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: [http://www.impactalliance.org/ev\\_en.php?ID=4051\\_201&ID2=DO\\_TOPIC](http://www.impactalliance.org/ev_en.php?ID=4051_201&ID2=DO_TOPIC).

X ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების მომსახურების ძირითად მომწოდებლებს და მათ მიერ წარსულში, ამჟამად და სამომავლოდ დაგეგმილი ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების ინიციატივების რესურსები.

31. ამ პრობლემებზე ორიენტირებული ქმედითუნარიანობის შეფასების ჩარჩო გამოყენებულია UNDP და REC მიერ ქმედითუნარიანობის ანალიზის ჩასატარებლად აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხუთ ქვეყანაში პროტოკოლის განსახორციელებლად. ქმედითუნარიანობის შეფასება განხორციელდა ინტერვიუებისა და კვლევების საშუალებით. აქ გამოყენებული კითხვარი მოცემულია **დანართში ბ1.1.**<sup>47</sup>

#### ბ1.4 რჩევები SEA ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგიის შემუშავებისთვის

32. იმისათვის რომ უნარი ჩამოყალიბდეს SEA ქმედითუნარიანობის შეფასებისას გამოვლენილ კონკრეტულ სფეროში, საჭიროა, რომ ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგია ან პროგრამა ასახავდეს გრძელვადიან სტრატეგიას (ამოცანებს და პრიორიტეტებს), და ასევე მოკლევადიან გეგმას (მყისიერ პრიორიტეტულ ღონისძიებებს). ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგიის მომზადებისას გასათვალისწინებელი რამდენიმე საკითხია მოცემული **დანართში ბ1.2.**
33. ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგიის მომზადებამ საუკეთესო ფორმით უნდა უზრუნველყოს შესაბამის ოფიციალურ პირებს, პარტნიორებს, უნარების ჩამოყალიბების მომსახურების მომწოდებლებს (უნივერსიტეტები, საჯარო ადმინისტრირებაში გადამზადების ეროვნული ადმინისტრაცია, მისთ.), და სხვა SEA-ს რეფორმებით დაინტერესებულ (მაგ., არასამთავრობოები) მხარეთა შორის კოორდინაცია, რათა აქცენტი საერთო პრიორიტეტებზე იყოს გადატანილი და არ მოექცეს რომელიმე კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებისა თუ მიზნების გავლენის ქვეშ.
34. ძალიან მოსახერხებელია, როცა სტრატეგიაში ნათლად ჩანს სხვადასხვა პრიორიტეტული ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები და ასევე სტრატეგიის მიმოხილვა მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის ბოლო ნაწილში. ამგვარი მიმოხილვა შეიძლება შეუთავსდეს, მიღწეული წარმატებების გასაანალიზებლად, მიღებული გაკვეთილების განსახილველად, ამოცანების გადასამოწმებლად და ახალი პერიოდისთვის სამოქმედო გეგმის შესადგენად, ძირითად დაინტერესებულ მხარეთა შორის, ან მათ წარმომადგენელთა შორის შეხვედრებს.
35. ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების სტრატეგიის შემუშავება იშვიათად არის სწორხაზოვანი პროცესი – სტრატეგია შეიძლება არაერთ გადამოწმებას და დროდადრო ახალი ინფორმაციის კვალდაკვალ ცვლილებებს დაექვემდებაროს.
36. რამდენადაც პროტოკოლის განხორციელებისთვის ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბება ძალიან ჰგავს ნებისმიერი ინსტიტუტისა სტრუქტურის ქმედითუნარიანობის განვითარებას, რეკომენდებულია, ამ მიზნით შექმნილი სხვა რესურსების შესწავლაც, მაგ., როგორცაა UNEP *გარემოზე ზემოქმედების შეფასების ტრენინგის მასალების სახელმძღვანელო*<sup>48</sup> და UNDP ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების რესურსები და ინსტრუმენტები.<sup>49</sup>

<sup>47</sup> ასევე იხ. <http://europeandcis.undp.org/environment/iep>.

<sup>48</sup> UNEP, ეკონომიკისა და ვაჭრობის სამსახური (2002), 2-ე გამოცემა., იხ. ვებ-ვერდზე: [http://www.unep.ch/etu/publications/EIAMan\\_2edition\\_toc.htm](http://www.unep.ch/etu/publications/EIAMan_2edition_toc.htm).

<sup>49</sup> UNDP, *ქმედითუნარიანობის შეფასების პრაქტიკული შენიშვნები* (2008), და სხვ.

ხელმისაწვდომია: <http://www.beta.undp.org/content/undp/en/home/librarypage/capacity-building.html>.

## ბ1.5 დასკვნითი შენიშვნები

37. პროტოკოლის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირს ცნობადობის ამაღლებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია SEA-ს შესახებ ეროვნული კანონების განხორციელების ზედამხედველობით. შეგვიძლია მარტივად დავასკვნათ, რომ ქმედუთუნარიანობის განვითარების ხარისხი მოცემულ ქვეყანაში ეფექტური SEA-ს სისტემის განვითარებისთვის არსებული რეალური ინტერესის კარგი ინდიკატორია.
38. უნარების სისტემატური განვითარება ვერ განხორციელდება, თუ SEA-ზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები არ აღიარებენ SEA-ს უნარების განვითარების საჭიროებას. ეს შეიძლება პოლიტიკურად სათუთი თემა იყოს, რადგან, ზოგიერთ ქვეყანას შეიძლება არ სურდეს ხმამაღლა აღიაროს უუნარობა. თუმცა, ასეთი აღიარება ნებისმიერი სისტემატური უნარების განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
39. ფინანსური და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა მეორე ბუნებრივი წინაპირობაა SEA-ს უნარების გასავითარებლად. ინიციატივის გამოჩენა დროისა და ძალისხმევის საუკეთესო კოორდინაციის საშუალებაა. თუმცა, რეალურ ქმედებებს სათანადო რესურსების გამოყოფა ჭირდება.



თავი ბ2

## პროტოკოლის შესახებ ტრენინგ კურსში გამოსაყენებელი პრაქტიკული სავარჯიშოს სტრუქტურის ნიმუში

## ბ2.1 თავის შესავალი

პროტოკოლი ყველგან მოიხსენიებს „გარემოს, ჯანდაცვის ჩათვლით“. გამოვრება ასაცილებლად, სახელმძღვანელოში მოიხსენიება მხოლოდ გარემოს დაცვა, მაგრამ ის უნდა იყოს აღქმული ჯანდაცვასთან ერთად. ჯანდაცვის თემაზე მეტი ინფორმაცი დანართი ა 1

### ბ2.1.1 პრაქტიკული სავარჯიშოს მიზანი

1. ეფექტური ტრენინგი, როგორც წესი, თეორიული განმარტებებისა და ჰიპოთეტურ თუ რეალურ მაგალითებზე აგებული პრაქტიკული სავარჯიშოებისგან შედგება.
2. წინამდებარე სახელმძღვანელოში თეორიული ინფორმაცია მოყვანილია ა1 და ა6 თავებში. წინამდებარე თავში მოგაწვდით ხსენებულ თავებში აღწერილი ინფორმაციისთვის შესაბამის პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რომლის ძირითადი აქცენტი არჩეული გეგმის/პროგრამისთვის ოპტიმალური SEA-ს მიდგომის შემუშავებაზეა გადატანილი.
3. შემოთავაზებული დავალებები და დისკუსიის თემები ზოგად სტრუქტურაშია ფორმულირებული. ტრენინგმა უნდა მოახერხოს სტრუქტურული კითხვების ადაპტაცია ტრენინგის დამსწრეთა ცოდნის და ქმედითუნარიანობის განვითარების მიზნების შესაბამისად.

### ბ2.1.2 შესაძლო შედეგები

4. მოცემულმა პრაქტიკულმა სავარჯიშომ მონაწილეებს დახმარება უნდა გაუწიოს გეგმის/პროგრამის მომზადებასთან მიმართებაში SEA-ზე უკეთესი წარმოდგების შესაქმნელად. სავარჯიშო შეიძლება გამოიყენოთ ისეთი თემების განხილვისას, როგორცაა:
  - X გეგმის/პროგრამის შემუშავების მიმართ სპეციფიკური მიდგომის შესატყვისი SEA-ს პროცედურები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება მოცემული გეგმის/პროგრამის მომზადების რეჟიმში SEA-ს განხორციელების გასაადვილებლად.
  - X კონკრეტული გეგმის/პროგრამის მომზადებისთვის დეტალური SEA-ს მიდგომა, და მიდგომები, რომელიც გააადვილებს ამგვარი SEA-თვის ტექნიკური დავალებების შემუშავებას.

### ბ2.1.3 დავალებები პრაქტიკული სავარჯიშოს დროს

5. რეკომენდებულია, რომ ასეთი პრაქტიკული სავარჯიშო ჩატარდეს დავალებების ქვემოთ მოყვანილი თანმიმდევრობით:
  - X დავალება 1: ჩაატარეთ გეგმის/პროგრამის მომზადების ანალიზი.
  - X დავალება 2: იმსჯელეთ, როდის და როგორ უნდა გაარკვიოთ, საჭიროა თუ არა მოცემული გეგმის/პროგრამისთვის SEA-ს განხორციელება.
  - X დავალება 3: განიხილეთ მასშტაბის დადგენისთვის პრაქტიკული ღონისძიებები.
  - X დავალება 4: განიხილეთ ეკოლოგიურ ანგარიშში შესატანი ინფორმაცია და მისი ლოგიკური კავშირები გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესთან.
  - X დავალება 5: განიხილეთ გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების პრაქტიკული ღონისძიებები.
  - X დავალება 6: განიხილეთ საზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკული ღონისძიებები.
  - X დავალება 7: განიხილეთ SEA-ს მიმდინარეობისას წარმოქმნილი ინფორმაციის გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში გასათვალისწინებლად საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები.

- X დავალება 8: განიხილეთ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესთან SEA-ს კოორდინირების პრაქტიკული ღონისძიებები.
- X დავალება 9: განიხილეთ მონიტორინგისა და SEA-ს თანმდევ ეკოლოგიურ შეფასებასთან დაკავშირების პრაქტიკული საკითხები.
- X დავალება 10: წარმოადგინეთ შემოთავაზებული მიდგომა მოცემული გეგმის/პროგრამის SEA-თვის.

### ბ2.1.4 სავარჯიშოს კომპლექსურობა

- 6.სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებიდან, გეგმის/პროგრამის მომზადების შესახებ მათი ცოდნიდან, და პრაქტიკული სამუშაოსთვის განსაზღვრული დროიდან გამომდინარე, პრაქტიკული განხილვების დროს შეიძლება შევეხოთ შემდეგ თემებს:
- X მოცემული გეგმის/პროგრამის მომზადების ფარგლებში SEA-ს განხორციელების ზოგადი მიდგომა. ეს ყველაზე მარტივი დისკუსია მოითხოვს, რომ აუდიტორია იცნობდეს პროტოკოლის მოთხოვნებს, ზოგადად ერკვეოდეს გეგმის/პროგრამის მომზადების პროცედურაში, ან პროცესის მიმდინარეობის საფეხურებში, და, ასევე, იცნობდეს გეგმის/პროგრამის მომზადების დროს SEA-ს ინტეგრირების სხვადასხვა ვარიანტებს. ამ სავარჯიშოს წარმატებით შესრულებას ორიდან ხუთ საათამდე სამუშაო დრო ჭირდება.
  - X მოცემული გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში შესასრულებელი დეტალური პროცედურები. ეს უფრო მაღალი საფეხურის დისკუსიაა, რომელიც მოითხოვს, რომ აუდიტორია დეტალურად იცნობდეს პროტოკოლის მოთხოვნებს, ჰქონდეს დეტალური ცოდნა გეგმის/პროგრამის მომზადების პროცედურების ან საფეხურების შესახებ, და ასევე, იცნობდეს გეგმის/პროგრამის მომზადების დროს SEA-ს ინტეგრირების სხვადასხვა ვარიანტებს. ამ სავარჯიშოს წარმატებით შესრულებას ექვსიდან რვა საათამდე სამუშაო დრო ჭირდება.
  - X გეგმის/პროგრამის მოზადების მოცემული მიდგომისთვის შესაფერისი SEA-ს მეთოდები და ინსტრუმენტები. ასეთი მაღალი საფეხურის დისკუსია მოითხოვს, რომ აუდიტორია დეტალურად იცნობდეს პროტოკოლის მოთხოვნებს, ჰქონდეს დეტალური ცოდნა გეგმის/პროგრამის მომზადების პროცედურების ან საფეხურების შესახებ, კარგად ერკვეოდეს: (ა) გეგმის/პროგრამის ფორმულირებაში SEA-ს ინტეგრირების სხვადასხვა ვარიანტებში, და (ბ) ანალიტიკურ და თანამონაწილეობრივ ინსტრუმენტებში, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ეკოლოგიური ანგარიშის მომზადების დროს და ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის დროს. ამ სავარჯიშოს წარმატებით შესრულებას ცხრიდან თხუთმეტ საათამდე სამუშაო დრო ჭირდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კომპლექსურია გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესი.
  - X მოცემული გეგმის/პროგრამისთვის SEA-ს დეტალური ტექნიკური დავალება. ეს ყველაზე მაღალი საფეხურის დისკუსიაა, რომელიც აუდიტორიისგან შემდეგი საკითხების ცოდნას მოითხოვს:
    - პროტოკოლის მოთხოვნების დეტალური ცოდნა.
    - გეგმის/პროგრამის მომზადების დეტალური თვისებები.
    - გეგმის/პროგრამის მოზადებასა და SEA-ს შორის არსებული ლოგიკური კავშირის დეტალური ცოდნა.
    - მეთოდები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება: (ა) გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადების დროს; და (ბ) კონსულტაციებისა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
    - გეგმის/პროგრამის მომზადების დროს SEA-ს ინტეგრირების შესაძლო ხარისხი.

- ამ სავარჯიშოს წარმატებით შესრულებას თხუთმეტიდან ოცდაათ საათამდე სამუშაო დრო ჭირდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კომპლექსურია გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესი.

### ბ2.1.5 ინფორმაცია, რომელიც უნდა შევავროვოთ სავარჯიშოს დაწყებამდე

- 7. პრაქტიკული სავარჯიშოს წარმატებით შესასრულებლად საჭიროა მოცემული გეგმის/პროგრამის მომზადების სისტემის თავისებურებების შესახებ შემდეგი ინფორმაციის ფლობა:
  - X რაზე აქვს აქცენტი გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესს? ვინ ამზადებს გეგმას/პროგრამას, და ვინ უნდა დაამტკიცოს იგი?
  - X არსებობს თუ არა გეგმის/პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებული რაიმე მოთხოვნები ან გაიდლაინები, რომლებიც დაგხმარებოდათ პროცესის საფეხურებისა და შედეგების გარკვევაში?
  - X არსებობს რაიმე მოთხოვნა გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში ეკოლოგიური ნაწილის ან ანალიზის გასათვალისწინებლად?
  - X როგორია მოცემული გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში ოფიციალურ პირებთან კონსულტაციის პროცესი? ვისთან უნდა გაიაროთ კონსულტაცია? როდის?
  - X არსებობს რაიმე სახის მოთხოვნა გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩასართავად? ვინ? როდის?

## ბ2.2 პრაქტიკულ მაგალითზე სამუშაო დავალებები

### დავალება 1: ჩაატარეთ გეგმის/პროგრამის მომზადების ანალიზი.

8. ეს შესავალი სავარჯიშო მონაწილეებს დაეხმარება ისეთი გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის გაცნობაში, რომელიც ექვემდებარება SEA-ს. ეს ინფორმაცია გვჭირდება ეფექტური და მორგებული SEA-ს მიდგომის მოსაფიქრებლად მოცემული კონკრეტული კონტექსტისათვის. ბუნებრივია, სანამ აბსტრაქტული SEA-ს პროცედურების დიზაინზე ვიფიქრებთ, კარგი იქნება, თუ გვეცოდინება, რა სამუშაოა თავად გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესი და რა აკლია მას SEA-თან მიმართებაში. ასეთი ინფორმაცია საფუძველს მოგვცემს მოგვიანებით გადავწყვიტოთ თუ როგორ მივუსადაგოთ SEA მოცემული გეგმისა თუ პროგრამის მომზადების პროცესს.
9. გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესის ანალიზი უნდა დავიწყოთ თავად გეგმის/პროგრამის ხასიათის შესახებ საბაზისო ინფორმაციის შეგროვებით. მონაწილეებმა უნდა მოიპოვონ ინფორმაცია გეგმის/პროგრამის წარმოშობის შესახებ, იმ ოფიციალური პირის შესახებ, რომლის პასუხისმგებლობაშიც შედის ამგვარი დოკუმენტის მომზადება, და გადაწყვეტილების მიმღები პირის როლის შესახებ. შეიძლება, სასარგებლო იყოს ვიცოდეთ, თუ როგორ განხორციელდება გეგმა/პროგრამა, (მაგ., პირდაპირ კონკრეტულ პროექტებში გადაიზრდება, თუ მას მოჰყვება სხვა, უფრო დეტალური გეგმა/პროგრამა, მისთ.?).
10. მას შემდეგ, რაც გაირკვევა მთლიანად კონტექსტი, უნდა განვიხილოთ გეგმის/პროგრამის მომზადების შემდეგი დეტალური საკითხები:
  - რომელია გეგმის/პროგრამის შემუშავების სპეციფიკური დავალებები?
  - შეიცავს თუ არა გეგმის/პროგრამის მომზადება რაიმე სახის ეკოლოგიურ ანალიზს, რაც შეიძლება ეკოლოგიური ანგარიშის მომზადებას უკავშირდებოდეს? გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის რა მონაკვეთშია ეს ეკოლოგიური ანალიზი ჩატარებული?
  - შეიცავს თუ არა გეგმის/პროგრამის მომზადება უკვე რაიმე სახის კონსულტაციებს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან? რომელ ოფიციალურ პირებთან გაიმართა კონსულტაციები, და გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის რა მონაკვეთში?
  - უზრუნველყოფს თუ არა გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესი უკვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საზოგადოების მონაწილეობას? საზოგადოებიდან ვის აქვს ინფორმაციაზე წვდომა და პროცესში მონაწილეობის საშუალება, და გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის რა მონაკვეთშია უზრუნველყოფილი ასეთი შესაძლებლობა?
11. გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის დეტალური ანალიზის ჩატარებაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ბ2.1.
12. გთავაზობთ, რამდენიმე შენიშვნას, რომლებიც შეიძლება გამოგადგეთ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის დეტალური ანალიზის ჩატარებაში:
  - გეგმის/პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული დავალებები შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციის შეგროვების, ინფორმაციის ანალიზის, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციის, და გეგმის სამუშაო ვერსიის შედგენის საფეხურებისა თუ ფაზებისთვის განსაზღვრულ დავალებებსაც. ამ დავალებების გამოვლენა შეიძლება შესაბამის კანონმდებლობაში, ან გეგმის/პროგრამის შედგენის სახელმძღვანელო პრონციპებში, ან, მაგ., წარსულში მსგავსი გეგმების/პროგრამების მაგალითებიდან.
  - მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება გეგმის/პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული დავალებები, მონაწილეებმა მუშაობა უნდა გააგრძელონ მოსალოდნელი ეკოლოგიური ეფექტების ანალიზზე, რომელიც გეგმის/პროგრამის მომზადების ნაწილი გახდება. მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ შესაძლებელია გარკვეული საბაზისო ეკოლოგიური ანალიზის შაბლონურად გამოყენება პროცესში. სასარგებლოა, ვიცოდეთ როგორ მოვახდინოთ ამ ანალიზის ფოკუსირება გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადების პროცესთან დასაკავშირებლად.

- X რამდენადაც ოფიციალურ პირებს შორის კონსულტაციები გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის განუყოფელი ნაწილია, კარგი იქნება გავარკვიოთ, შეიცავს თუ არა გეგმისა თუ პროგრამის მომზადების პროცესი რაიმე სახის ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების ჩასატარებლად, და თუ შეიცავს, რა პერიოდისთვისაა განსაზღვრული მათი ჩატარება.
- X გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესის ანალიზი შეიძლება დასრულდეს გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის და საზოგადოების ჩართულობისთვის დასახული ღონისძიებების ანალიზით.

ცხრილი ბ 2.1: გეგმის ან პროგრამის შემუშავების პროცესის შესაძლო მიმოხილვის ჩარჩო.

დავალებები გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში	არსებული ეკოლოგიური ანალიზი	კონსულტაციები ოფიციალურ პირებთან	საზოგადოების წვდომა ინფორმაციაზე და დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციები

დავალემა 2: იმსჯელეთ, როდის და როგორ უნდა გაარკვიოთ, საჭიროა თუ არა მოცემული გეგმის/პროგრამისთვის SEA-ს განხორციელება.

13. ეს სავარჯიშო მონაწილეებს დაეხმარება იმის გარკვევაში თუ როდის და როგორ უნდა გაარკვიონ, საჭიროა თუ არა გეგმის/პროგრამისთვის SEA-ს განხორციელება. მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ ასეთი საკითხის გარკვევისთვის გამოყოფილ დროს გადამწყვეტი გავლენა ექნება SEA-ს პროცესის ეფექტურად წარმართვაზე. თუ საჭიროება ძალიან გვიან გამოვლინდება, სავარაუდოდ ეს გამოიწვევს პროცესების გაჭიანურებას და ნაკლებ ეფექტური SEA-ს განხორციელებას.
14. პირველადი სადისკუსიო საკითხები მოიცავს შემდეგს:
  - X რა ინფორმაციაა საჭირო, იმისათვის რომ დავადგინოთ, საჭიროა თუ არა გეგმის/პროგრამისთვის SEA-ს განხორციელება?
  - X უნდა გახდეს თუ არა მოცემული გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესი ავტომატურად SEA-ს საგანი, თუ საჭიროა ცალ-ცალკე თემატური განხილვა?
  - X როდისაა ყველაზე ეფექტური ამ საკითხის გარკვევა?
15. თუ მონაწილეები დაასკვნიან, რომ საჭიროა ცალ-ცალკე თემატური განხილვა, მაშინ უნდა ვიმსჯელოთ შემდეგ თემებზე:
  - X „მნიშვნელოვანების შემოწმების“ რომელი მიდგომა უნდა გამოვიყენოთ?
  - X როგორ უნდა მოხდეს შესაბამის ოფიციალურ პირებთან (და სავარაუდოდ დაინტერესებულ საზოგადოებასთან) კონსულტაციების ჩატარება?
  - X როგორ უნდა გახდეს განხილვის შედეგები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი?
16. ამ სავარჯიშოს წარმატებით შესრულებისთვის მონაწილეებმა უნდა იცოდნენ წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია გეგმებისა და პროგრამებისთვის პროტოკოლის მიხედვით SEA საჭიროების დადგენის შესახებ, და უნდა იცნობდნენ ტესტების დეტალურ დახასიათებას (იხ.თავი ა3).

17. ამ სავარჯიშოს დასასრულს, მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ მოცემული გეგმის/პროგრამისთვის SEA-ს განხორციელების საჭიროება უნდა დადგინდეს გეგმის/პროგრამის შემუშავების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე. უნდა მომზადდეს ადრეულ ეტაპზე SEA-ს საჭიროების დასადგენად გასატარებელი პრაქტიკული ღონისძიებები.

### დავალება 3: განიხილეთ მასშტაბის დადგენისთვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები.

18. მასშტაბის დადგენა SEA-ს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ეს სავარჯიშო მონაწილეებს დაეხმარება, განიხილონ, როდის და როგორ განახორციელებენ SEA-ს მასშტაბის დადგენას მოცემულ გეგმასთან/პროგრამასთან დაკავშირებით.

19. მონაწილეებს წარმოადგენს უნდა ჰქონდეთ, რომ პროტოკოლი არ განიხილავს მასშტაბის დადგენას, როგორც მკაცრ პროცედურულ სტადიას (არც გადაწყვეტილების მიღებას). მათ უნდა იცოდნენ, რომ მასშტაბის დადგენა შესაძლებელია ან ერთჯერადი პროცედურით, ან როგორც განმეორებადი პროცესი, რომელიც ადრეულ ეტაპზე წარმოქმნილი იდეით იწყება და იხვეწება ეკოლოგიური ანგარიშის მომზადების დროს სხვადასხვა საფეხურის გავლის კვალდაკვალ.

20. განსახილველ საკითხებში შედის:

მასშტაბის დადგენისას რა ინფორმაციის გენერირება უნდა მოხდეს იმისათვის, რომ დავადგინოთ ეკოლოგიური ანგარიშის შესაფერისი მასშტაბი?

რა მინიმალური ინფორმაციის მოპოვებაა საჭირო SEA-ს მასშტაბის დადგენის ეფექტური წარმოებისთვის და გეგმის/პროგრამის შემუშავების რა პერიოდშია ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი?

რა პრაქტიკული ღონისძიებები უნდა დავსახოთ შესაბამის ოფიციალურ პირებთან (და სავარაუდოდ, დაინტერესებულ საზოგადოებასთან) კონსულტაციების გასამართად?

მასშტაბის დადგენა ერთჯერადი პროცედურული საფეხურით უნდა განხორციელდეს, თუ განმეორებადი პროცესით, რომელიც რომელიც ადრეულ ეტაპზე წარმოქმნილი იდეით იწყება და იხვეწება ეკოლოგიური ანგარიშის მომზადების დროს სხვადასხვა საფეხურის გავლის კვალდაკვალ?

21. ამ სავარჯიშოს წარმატებით დასასრულებლად მონაწილეები უნდა იცნობდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას მასშტაბის დადგენისა და SEA-ს ფარგლებში ალტერნატივებზე მუშაობის შესახებ (იხ. [ქვეთავი 4.2](#)).

22. მოცემული სავარჯიშოს დასასრულს, მონაწილეები უნდა ხვდებოდნენ, რომ მასშტაბის დადგენა უნდა დაიწყონ ადრეულ ეტაპზე და უნდა დააკავშირონ გეგმის/პროგრამის ჩამოყალიბების პროცესთან.

### დავალება 4: განიხილეთ გარემოსდაცვით ანგარიშში შესატანი ინფორმაცია და მისი ლოგიკური კავშირები გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესთან.

23. ეს სავარჯიშო მონაწილეებს დაეხმარება განიხილონ რა ინფორმაცია შევა გარემოსდაცვით ანგარიშში, და რა ლოგიკური კავშირი აქვს მას გეგმის/პროგრამის მოზადებასთან.

24. მონაწილეებმა უნდა დაიწყონ, პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისად, იმ ინფორმაციის სახეობების გამოვლენით, რომელიც ეკოლოგიურ ანგარიშში შევა. შემდეგ შეძლებენ შედეგების შედარებას გეგმის/პროგრამის შემუშავების საფეხურებთან და შესაბამისი გეგმის პროგრამის შემუშავებისას ჩატარებულ ეკოლოგიურ ანალიზთან, როგორც აღნიშნულია 1-ლ დავალებაში. ასეთი შედარება დაეხმარება განიხილონ ეკოლოგიურ ანგარიშში მოცემული ინფორმაციის გეგმის/პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირების შესაძლებლობები.

25. განსახილველ საკითხებში შედის:

რა ინფორმაცია უნდა შევიდეს გეგმის/პროგრამის მოცემული სახეობისთვის მოზადებულ ეკოლოგიურ ანგარიშში (გახსოვდეთ გეგმის/პროგრამის შესაბამისი სტრატეგიული საკითხები და შეფასების სათანადო დეტალურობით განხორციელების საჭიროება)?

X რითი იქნება გარემოსდაცვით ანგარიშში შესული ინფორმაცია განსხვავებული გეგმის/პროგრამის შემუშავებისას ჩატარებული ნებისმიერი არსებული ანალიზისგან და თუ არსებობს მათ შორის რაიმე სახის მსგავსება ან სინერჯის შესაძლებლობები?

X რა მონაცემები დაჭირდება SEA-ს ჯგუფს გეგმის/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე გუნდისგან და რა წვლილის შეტანა შეუძლია SEA-ს ჯგუფს გეგმის/პროგრამის მომზადებაში?

X არჩევითი: რა ინფორმაცია უნდა მომზადდეს ხარისხობრივი ან რაოდენობრივი ფორმით და რომელი ანალიტიკური ხერხების გამოყენება შეიძლება ასეთი ინფორმაციის მოსამზადებლად (იხ.თავი ა5)?

26. ამ სავარჯიშოს წარმატებით შესასრულებლად მონაწილეებს მოეთხოვებათ ეკოლოგიური ანგარიშის შესახებ ამ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის (ქვეთავი ა4.2), SEA-სა და გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესებს შორის არსებული ლოგიკური კავშირის (თავი ა2) და, სურვილისამებრ, SEA-ს საბაზისო ანალიტიკური ინსტრუმენტების რაობის (თავი ა5) ცოდნა.

27. სავარჯიშოს დასასრულს, მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ ეკოლოგიური ანგარიშის მომზადება შეიძლება ეფექტურად იყოს დაკავშირებული, ან შერწყმული შესაბამისი გეგმის, ან პროგრამის მომზადებასთან (თუმცა, თავად ანგარიში უნდა გამოირჩეოდეს გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიისგან).

## დავალეზა 5: განიხილეთ გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების პრაქტიკული ღონისძიებები.

28. ეს სავარჯიშო მონაწილეებს დაეხმარება SEA-ს დროს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის შესაბამის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციებისთვის პრაქტიკული ღონისძიებების განხილვაში.

29. მონაწილეებმა უნდა გამოკვეთონ ოფიციალურ პირებთან ჩასატარებელი კონსულტაციები, რომლებიც SEA-ს პროტოკოლის მოთხოვნებითაა განსაზღვრული. შემდეგ, შეუძლიათ საკუთარი წინადადებები შეადარონ მოცემული გეგმის/პროგრამის მომადების პროცესში შესაბამის ოფიციალურ პირებთან არსებული კონსულტაციების შესახებ ინფორმაციას, როგორც ეს განმარტებულია 1-ლ დავალეზაში. ამ შედარების მიხედვით, შეუძლიათ განიხილონ უნდა წარმართოს თუ არა გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან SEA-სთან დაკავშირებული კონსულტაციები როგორც განცალკევებული პროცესი, თუ შეიძლება მათი კომბინირება გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში ოფიციალურ პირებთან ჩატარებულ კონსულტაციებთან.

30. განსახილველი საკითხები მოიცავს შემდეგს:

X რომელ ოფიციალურ პირებთან უნდა წარმართოს კონსულტაციები SEA-ს პროცესის მიმდინარეობის დროს?

X როდის და როგორ უნდა ჩატარდეს ეს კონსულტაციები ეფექტური შედეგების მისაღებად?

X რითი განსხვავდება შემოთავაზებული კონსულტაციები ოფიციალურ პირებთან არსებული კონსულტაციებისგან?

X უნდა მოხდეს თუ არა ცალ-ცალკე კონსულტაციების ორგანიზება SEA-სა და გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესებისათვის, თუ უმჯობესია მსჯელობის ერთი, საერთო პროცესი გვექონდეს?

31. ამ სავარჯიშოს წარმატებით დასრულებისთვის მონაწილეებს მოეთხოვებათ იცნობდნენ ოფიციალურ პირებთან კონსულტაციის შესახებ (ქვეთავი ა4.4), SEA-სა და გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესებს შორის არსებული ლოგიკური კავშირის (თავი ა2) და, სასურველია, SEA-ს საბაზისო საკონსულტაციო ხერხების (თავი ა5) შესახებ ამ სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას.



32. სავარჯიშოს დასრულებისას მონაწილეებს წარმოადგენა უნდა ჰქონდეთ, რომ SEA-ს პროცესში ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები შეიძლება ეფექტურად დაუკავშირონ, ან შეათავსონ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში წარმართულ კონსულტაციებთან.

### დავალება 6: განიხილეთ საზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკული ღონისძიებები.

33. ამ სავარჯიშოს საშუალებით მონაწილეები შეძლებენ განიხილონ საზოგადოების მონაწილეობისთვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები.

34. მონაწილეებმა უნდა გამოკვეთონ, თუ რა არის პროტოკოლის მიხედვით საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარებისთვის საჭირო. შეუძლიათ საკუთარი წინადადებები შეადარონ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში ინფორმაციასთან წვდომისა და საზოგადოების მონაწილეობის შესახებ არსებულ ღონისძიებებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ 1-ლ დავალებაში. ამ შედარების მიხედვით, შეუძლიათ განიხილონ უნდა წარიმართოს თუ არა საზოგადოების ჩართულობის SEA-სთან დაკავშირებული კონსულტაციები როგორც განცალკევებული პროცესი, თუ შეიძლება მათი კომბინირება გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში საზოგადოებასთან ჩატარებულ კონსულტაციებთან.

35. განსახილველ საკითხებში შედის:

- რა სახის ინფორმაცია უნდა გახდეს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი SEA-ს მსველობისას?
- აუცილებელია თუ არა დაინტერესებული საზოგადოების გამოვლენა SEA -ში (და თუ აუცილებელია, როგორ)?
- საზოგადოებასთან კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ერთჯერადად თუ რამდენჯერმე, როგორც განმეორებადი პროცესი?
- რით განსხვავდება SEA პროცესში ჩატარებული კონსულტაციები გეგმის/პროგრამის შემუშავებისას საზოგადოებასთან ჩატარებული კონსულტაციებისგან, და საჭიროა თუ არა ცალ-ცალკე კონსულტაციების ორგანიზება SEA-სა და გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესებისათვის, თუ უმჯობესია მსველობის ერთი, საერთო პროცესი გვექონდეს?
- არჩევით: რომელი საკონსულტაციო ხერხების გამოყენება შეიძლება საზოგადოების ჩართულობისთვის? (თუ სავარჯიშოს მსველობისას გვრჩებასაკმარისი დრო დამატებითი დისკუსიებისთვის, შეიძლება წინადადებები გამოითქვას SEA-ს პროცესისთვის შესაფერისი საკონსულტაციო ხერხებისა და ინსტრუმენტების თაობაზე (იხ. თავი ა5).)

36. ამ სავარჯიშოს წარმატებით დასრულება მონაწილეებისგან მოითხოვს საზოგადოებრივი ჩართულობის (ქვეთავი ა4.3), SEA-სა და გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესებს შორის ლოგიკური კავშირის (თავი ა2) და სასურველია, SEA-ს საკონსულტაციო ინსტრუმენტების (თავი ა5) შესახებ ამ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის ცოდნას.

37. სავარჯიშოს დასასრულს, მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ საზოგადოების მონაწილეობისთვის SEA-ს ღონისძიებები შეიძლება ეფექტურად დაუკავშირონ, ან შეუთავსონ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობას.

### დავალება 7: განიხილეთ SEA-ს მიმდინარეობისას წარმოქმნილი ინფორმაციის გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში გასათვალისწინებლად საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები.

38. გარემოსდაცვით ანგარიშისა და კონსულტაციების შედეგების მხედველობაში მიღების შესახებ სავარჯიშოს მიზანია იმ ღონისძიებების განხილვა, რომლებიც მეტ გასაქანს მისცემს გეგმის/პროგრამის და ეკოლოგიური ანგარიშის მომზადებაში ჩართულ პირებს, ან კონკრეტული გეგმის/პროგრამის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ ოფიციალურ პირებს, რათა უზრუნველყონ SEA-ს პროცესში წარმოქმნილი ინფორმაციის სამუშაო პროცესში გათვალისწინება, ვიდრე დამტკიცდება ესა თუ ის დოკუმენტი.

39. ძირითადი განსახილველი საკითხია:

- X როგორ უნდა უზრუნველვყოთ, რომ SEA-ს შედეგები სათანადოდ იყოს მხედველობაში მიღებული (ეკოლოგიური ანგარიში და მასში წარმოჩენილი მწვავე ეფექტების შემცირების, შემსუბუქების, ან აღმოფხვრის ზომები; შესაბამის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების შედეგები; საზოგადოების ჩართულობის შედეგები) გეგმის/პროგრამის დამტკიცების დროს, თუ:
  - o მოხდა SEA-ს ნაწილობრივ ინტეგრირება გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში (ე.ი. მიმდინარეობდა გეგმის/პროგრამის შემუშავების პარალელურად და წვლილი შეიტანა დოკუმენტის მომზადების მთავარ ეტაპზე). რა მოხდება, თუ SEA-ს ექსპერტები და გეგმის/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე ექსპერტები ვერ მიაღწევენ კონსენსუსს კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით?
  - p მოხდა SEA-ს სრულად ინტეგრირება გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში. კვლავ დავსვით კითხვა, რა მოხდება, თუ SEA-ს ექსპერტები და გეგმის/პროგრამის მომზადებაზე მომუშავე ექსპერტები ვერ მიაღწევენ კონსენსუსს კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით?
  - o SEA განხორციელდა გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესისგან დამოუკიდებლად, ან დაიწყო მას შემდეგ, რაც დასრულდა გეგმის/პროგრამის პირველად ვერსიაზე. რა მოხდება, თუ SEA-ს შედეგად მიღებული წინადადებები ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს გეგმაში/პროგრამაში ისეთ დროს, როცა ამ დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე მუშაობა უკვე დასრულებულია?

## დავალეზა 8: განიხილეთ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესთან SEA-ს კოორდინირების პრაქტიკული ღონისძიებები.

40. ამ სავარჯიშოს საშუალებით მონაწილეები შეძლებენ იმ პრაქტიკული ღონისძიებების განხილვას, რომელიც საჭიროა გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში SEA-ს განსახორციელებლად.
41. წინარე სავარჯიშოები მონაწილეებს ეხმარება SEA მასშტაბის დადგენის დეტალური მოდალობების განხილვაში (დავ. 3), რათა: მივიღოთ ეკოლოგიური ანგარიშსთვის საჭირო ინფორმაცია (დავ. 4), ჩავატაროთ SEA-თან დაკავშირებული კონსულტაციები ოფიციალურ პირებთან (დავ. 5), ჩავატაროთ SEA-თან დაკავშირებით საზოგადოების ჩართულობა (დავ.6) და გავითვალისწინოთ SEA ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში (დავ. 7). ამ წიშსწრები დისკუსიების შედეგებზე დაყრდნობით, მონაწილეებმა უნდა გამოკვეთონ ექსპერტთა მუშაობის კონკრეტული მოდალობები, ვინც განახორციელებს SEA პროცესს.
42. სადისკუსიო საკითხები მოიცავს შემდეგს:
  - X რა იქნებოდა გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესისგან იზოლირებულად, ან დაგვიანებით, ხსენებული დოკუმენტების დასრულების შემდეგ განხორციელებული SEA-ს მთავარი ნაკლი და უპირატესობა?
  - X რა იქნებოდა გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში ნაწილობრივ ინტეგრირებული SEA-ს მთავარი ნაკლი და უპირატესობა?
  - X რა იქნებოდა გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში სრულად ინტეგრირებული SEA-ს მთავარი ნაკლი და უპირატესობა?
43. ამ სავარჯიშოს წარმატებით დასრულებისთვის მონაწილეებს მოეთხოვებათ SEA პროცედურების (თავი 2), გადაწყვეტილების მიღების (ქვეთავი 4.6), და SEA-სა და გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესებს შორის ლოგიკური კავშირის (თავი ა2) შესახებ წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის ცოდნა.
44. სავარჯიშოს დასასრულს, მონაწილეებმა უნდა იცოდნენ გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესში SEA-ს განხორციელების სხვადასხვა ვარიანტებთან დაკავშირებული ძირითადი სარგებელისა და პრობლემების შესახებ.

**X დავალება 9: განიხილეთ მონიტორინგისა და SEA-ს თანამდევ ეკოლოგიურ შეფასებასთან დაკავშირების პრაქტიკული საკითხები.**

45. ეს სავარჯიშო მონაწილეებს დაეხმარება განიხილონ SEA ექსპერტების მიერ გეგმის/პროგრამისთვის მონიტორინგის ფორმის დიზაინისა და SEA-ს თანამდევ ეკოლოგიურ შეფასებასთან დაკავშირებისთვის საჭირო დავალებები.
46. განსახილველი საკითხები მოიცავს:
- X ზოგადად რა მოლოდინი არსებობს SEA-ს შემდგომი მონიტორინგის ფორმის დიზაინის მიმართ?
  - X როგორ უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს SEA-ს შემდგომი მონიტორინგი და გეგმის/პროგრამის მონიტორინგი?
  - X როგორ უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს SEA და მისი თანამდევ ეკოლოგიური შეფასება (ე.ი., გზმ კონკრეტული პროექტებისთვის, რომლებისთვისაც გეგმა/პროგრამა აწესებს ჩარჩო-სტრუქტურას, ან SEA-ს თანამდევ გეგმებისა და პროგრამებისთვის)?
47. ამ სავარჯიშოს წარმატებით შესრულება მონაწილეებისგან მოითხოვს, რომ მათ იცოდნენ მონიტორინგის შესახებ ამ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია (ქვეთავია 4.7).
48. სავარჯიშოს დასასრულს, მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, თუ რა გამოწვევებია მოსალოდნელი მონიტორინგის განხორციელებაში და რა პრაქტიკული ბმა არსებობს SEA-სა და მის თანამდევ გზმ-ს ან SEA-ს შორის.

**დავალება 10: წარმოადგინეთ შემოთავაზებული მიდგომა მოცემული გეგმის/პროგრამის SEA-თვის.**

49. ეს ბოლო სავარჯიშო მონაწილეებს ეხმარება შემოთავაზებული SEA-ს მიდგომის პრეზენტაციაში. იგი მოსახერხებელია ასევე, მოცემული SEA-ს პროცესისთვის კონკრეტული ტექნიკური დავალებების შესამუშავებლად.
50. მონაწილეებმა უნდა შეაჯამონ წარმოდგენილი მიდგომის ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები და ღიად განაცხადონ ნებისმიერი ვარაუდისა და რისკის შესახებ მისი განხორციელების შემთხვევაში. თუ დრო გვაძლევს საშუალებას, მონაწილეებმა უნდა გათვალონ რამდენი სამუშაო დღე დაჭირდება მთლიანად SEA-ს დასრულებას, გამოავლინონ SEA-ს ექსპერტების სასურველი კვალიფიკაცია, ან გამოავლინონ სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, როცა ამგვარი SEA-ს პრეზენტაცია ხდება.
51. ამდენად, მონაწილეებს შეიძლება ვთხოვოთ შეაჯამონ შემოთავაზებული SEA-ს მიდგომა შემდეგი საკითხების ხაზგასმით:
- X მთავარი დავალებები, რომლებიც უნდა შესრულდეს SEA-ს პროცესში და როგორ უკავშირდება ეს დავალებები გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესთან დაკავშირებულ დავალებებს.
  - X ექსპერტების როლები (მოვალეობები და მანდატი) გეგმის/პროგრამის SEA პროცესის დროს.
  - X წარმოდგენილი მიდგომის მთავარი ძლიერი და სუსტი მხარეები, და ვარაუდები მისი ეფექტურად განხორციელებისთვის (რისკების რეალისტური გათვალისწინებით).
  - X SEA-ს დასრულებისთვის ნავარაუდები სამუშაო დღეების რაოდენობა.
  - X სასურველი უნარები, რომელსაც უნდა ფლობდნენ SEA-ს ექსპერტები, მისთ.
52. სავარჯიშოს დასასრულს მონაწილეებს უნდა შეეძლოთ შემოთავაზებული SEA-ს მიდგომის კომპეტენტური ოფიციალური პირისთვის, დაინტერესებული მხარეებისთვის ან კონსულტანტებისთვის (რომლებიც დაინტერესებულნი არიან SEA-ს განხორციელებით) წარდგენა.

დანართები

დანართი ა1.1

## ჯანმრთელობა

## 1 დანართის შესავალი

წინამდებარე დანართში, პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისად, მოცემულია ადამიანის ჯანმრთელობის SEA-ს შემადგენელ ნაწილად გათვალისწინების გზამკვლევი. მეორე ნაწილში განვიხილავთ, თუ რატომ არის ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი და რა დებულებებია ჩამოყალიბებული პროტოკოლში ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მესამე ნაწილი გვთავაზობს შესაძლო პრაქტიკულ ღონისძიებებს.

წინამდებარე დანართის გამოყენება სასარგებლოა როგორც SEA-ს პრაქტიკოსებისთვის, ვისაც სურს, რომ გეგმების/პროგრამების პოტენციური გავლენა გამოავლინოს ადამიანების ჯანმრთელობაზე, ასევე გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირებისთვის, ვისგანაც უნდა ვიღებდეთ ინფორმაციასა და რჩევას (მაგ., როგორც კანონით დადგენილი კონსულტანტებისგან), ან რომლებსაც სურთ უზრუნველყონ ჯანმრთელობის საკითხების სრულად გათვალისწინება. როგორც მთლიანად სახელმძღვანელო, არც ეს დანართი წარმოადგენს ოფიციალურ სამართლებრივ ან სხვა სახის პროფესიულ რჩევას, და არც პროტოკოლის ინტერპრეტაციის გზამკვლევს.

მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ ამ დანართში მოცემული იდეები რათა განსაზღვრონ, როგორ შეიძლება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება მათ ლოკალურ სიტუაციებში, ჩაატარონ საპილოტე კვლევები, ჩამოაყალიბონ პროტოკოლის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი პროცედურები, და შექმნან საკუთარი ინსტიტუციონალური საჭიროებებისა და კონტექსტის შესატყვისი სახელმძღვანელო პრინციპები.

## 2 რატომ არის ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი

როგორც “ევროპის 2004–2010 წლების გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სამოქმედო გეგმა“ გვაუწყებს:<sup>50</sup>

ჯანმრთელობა არის ის, რაც ყველას სურს – საკუთარი თავისთვის, საკუთარი შვილებისთვის და, ამდენად, იმ ფართო ეკონომიკური და სოციალური სარგებლისთვის, რომელიც ჯანმრთელობას მოაქვს ჩვენი საზოგადოებისთვის. ჯანმრთელობა ძირითად როლს ასრულებს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასა და მდგრად განვითარებაში – უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ საქმე იმდენად სრულყოფილი ჯანმრთელობის მაღალ ფასში არ მდგომარეობს, რამდენადაც შერყეული ჯანმრთელობის მაღალ ღირებულებაში (ჯანმრთელობის დაცვის, წამლების, ავადმყოფობის გამო ბიულეტენზე ყოფნის, დაბალი პროდუქტიულობის, ინვალიდობისა თუ პენსიაზე ნაადრევი გასვლის თვალსაზრისით).

გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის აშკარა კავშირმა გამოიწვია მთავრობათაშორის პროცესის – „გარემო და ჯანმრთელობა“ დაარსება. 1999 წლის ლონდონის დეკლარაცია გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის შესახებ SEA-ს პროტოკოლის ჩამოყალიბების მთავარი ბიძგის მიმცემი გახდა, და 2004 წელს მისგან გამომდინარე ბუდაპეშტის დეკლარაციამ დაადასტურა პროტოკოლის მიხედვით სტრატეგიული წინადადებების შეფასებების დროს ჯანმრთელობის გათვალისწინების ვალდებულება.<sup>51</sup>

შედეგად, პროტოკოლი გვირჩევს, რომ ჯანმრთელობა გავითვალისწინოთ, როგორც გეგმების/პროგრამების SEA-ს განუყოფელი ნაწილი.

## 3 შესაძლო პრაქტიკული ღონისძიებები

ამ ნაწილში განხილულია ინტერპრეტაციული და მეტოდოლოგიური გამოწვევები, ასევე პრაქტიკული მიდგომები ჯანმრთელობის, როგორც SEA-ს განუყოფელი ნაწილის გასათვალისწინებლად, რომლის აქცენტებიც გადატანილია შემდეგზე:

- X ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის დადგენა (ქვეთავი 3.1).
- X კონსულტაციები გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირებთან (ქვეთავი 3.2).
- X ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება როგორც ხარისხობრივი ისე რაოდენობრივი

<sup>50</sup> ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კომისია, COM(2004) 0416 საბოლოო. იხ.: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:52004DC0416:EN:HTML>.

<sup>51</sup> გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის მინისტრიალის მესამე კონფერენციის დეკლარაცია (EUR/ICP/EHCO 02 02 05/18 Rev.5) (ლონდონი, 1999), იხ.: [http://www.euro.who.int/\\_data/assets/pdf\\_file/0007/88585/E69046.pdf](http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0007/88585/E69046.pdf); დაგარემოს დაცვისა და ჯანდაცვის მინისტრიალის მეოთხე კონფერენციის დეკლარაცია (EUR/04/5046267/6) (ბუდაპეშტი, 2004), იხ.: <http://www.euro.who.int/document/e833335.pdf>.

შეფასების გამოყენებით (ქვეთავი 3.3).

X ეკოლოგიური ანგარიშის მასშტაბის დადგენა და მომზადება (ქვეთავი 3.4).

## ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის დადგენა

პროტოკოლი არ გვადლევს ჯანმრთელობის განმარტებას. ამის ნაცვლად, ის მოითხოვს, რომ თითოეული გეგმის/პროგრამისთვის, გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან გამართული კონსულტაციების შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლენილი იქნას SEA-ში გასათვალისწინებელი, ჯანმრთელობის შესაბამისი პრობლემები და ფაქტორები.

ამგვარი გამოვლენის დროს, შესაბამისმა ოფიციალურმა პირმა შეიძლება მიზანშეწონილად ჩათვალოს ჯანმრთელობის გადამწყვეტი ფაქტორების ჩარჩო-სტრუქტურის გამოყენება, რომელიც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაშია ასახული. მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, ჯანმრთელობის რომელი ფაქტორი მოექცევა მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ ამა თუ იმ გეგმის/პროგრამის განხორციელების გამო. ამის შემდეგ, შესაძლებელია განვიხილოთ თუ როგორ მოახდენს ესა თუ ის გეგმა/პროგრამა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვას და ხელშეწყობას რელევანტური გარემოსდაცვითი ამოცანების შესრულების ჭრილში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ჯანმრთელობის გაფართოვებული კონცეფცია – კეთილდღეობა, და არა უბრალოდ ავადმყოფობის არარსებობა – თავისთავად გულისხმობს, რომ გეგმებსა და პროგრამებს შეუძლიათ სხვადასხვაგვარი გავლენა იქონიონ ჯანმრთელობაზე. ზოგიერთი ეფექტი პირდაპირი და აშკარაა, – ზოგიერთი უკვე კარგადაა შესწავლილი პრაქტიკაში – მაგრამ არსებობს ისეთი არაპირდაპირი ეფექტებიც, რომელთა პროგნოზირებაც საკმაოდ რთულია. ისევე, როგორც გარემოზე ზემოქმედების სხვადასხვა სახეობებთან, ფიზიკურ გარემოში და ჯანმრთელობის შედეგებში არსებული ფაქტორები შეიძლება საკმაოდ კომპლექსური იყოს და დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჰქონდეს ადგილი. მნიშვნელოვანია ასევე ვიცოდეთ, რომ ჯანმრთელობაზე გეგმებისა და პროგრამების ზეგავლენა ხშირად სინერგიული ხასიათის იქნება, როცა სხვადასხვა სახის ეფექტების კომბინაციას ერთდროულად მოაქვს როგორც სასარგებლო, ისე მწვავე ეფექტები.

გარდა ამისა, არსებობს მნიშვნელოვანების საკითხი, როცა საქმე ეხება ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების SEA-თვის შესაბამისობას, რომლებიც სხვადასხვა მიზნით იყო შეგროვებული, და ხშირად ძალიან ზოგადია იმისათვის, რომ SEA-ში გამოვიყენოთ. ავადობისა და სიკვდილიანობის შესახებ სტატისტიკა არ გვადლევს ნათელ საბაზისო მონაცემს, ან საკმარის საფუძველს გეგმის/პროგრამის განხორციელებით გამოწვეული ეფექტების მონიტორინგისათვის.


ამდენად, სახეზეა გაურკვეველობა სხვადასხვა ფაქტორის შედარებით მნიშვნელოვანებასთან და მათ კომპლექსურ ურთიერთქმედებასთან დაკავშირებით, დიაგრამაში მოყვანილი ფაქტორები აღიარებულია, როგორც ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე მთავარი ფაქტორები. შეიძლება ისინი გამოვიყენოთ, როგორც გეგმის/პროგრამის განხორციელების გამო ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ეფექტის შეფასების სასტატუსო წერტილი.

მაგალითად, გეგმებს და პროგრამებს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ტრანსპორტზე, საცხოვრებელ გარემოზე, დასაქმებაზე, განათლებასა და სოციალურ მომსახურებაზე, და სწორედ ამის საშუალებით ხელი შეუწყოს სოციალურ შეკავშირებას, სათემო საშუალებებთან ადვილ წვდომას, წახალისოს ფიზიკური ვარჯიში და შეამციროს ავტოტრანსპორტით მოძრაობის საჭიროება. ამდენად, სატრანსპორტო გეგმამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ჯანმრთელობის ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: ინდივიდუალური ცხოვრების წესი (მაგ., ფიზიკური აქტივობის დონის წახალისებით ან გულის აცრუებით); სოციალური და სათემო ქსელები და გავლენები (მაგ., სათემო საშუალებების ცვლილებით, ან თემების ფრაგმენტაციაში ცვლილებებით); საცხოვრებელი და სამუშაო გარემო (მაგ., ცვლილებებით ავტო საგზაო შემთხვევების რაოდენობაში); და ეკოლოგიური მდგომარეობა (მაგ., ჰაერის დაბინძურებითა და ხმაურით).<sup>52</sup> დამატებით პრაქტიკული მაგალითებია მოცემული ცხრილში, ქვემოთ.

<sup>52</sup> ადაპტირებულია: მარგარეტ დუგლასი, მარტინ ჰიგინსი და შეილა ბიკი, “გარემოს სტრატეგიული შეფასება და ჯანმრთელობა”, ბრიფინგი შოტლანდიის HIA-სქესელისთვის (2005). იხ.: <http://www.healthscotland.com/documents/1250.aspx>.







<sup>53</sup> წყარო: ჰიუ ბარტონი, “ჯანმრთელობის რუკა ურბანული დამგეგმავებისთვის: ჯანმრთელი და მდგრადი დასახლებების კონცეპტუალური მოდელისკენ“, *შექმენი გარემო*, ტ. 31, #. 4 (2005), გვ. 339–355; ჰიუ ბარტონი და მარკუს გრანტი, “ჯანმრთელობის რუკა ადამიანთა ადგილობრივი საცხოვრებელი გარემოსთვის“, *ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამეფო საზოგადოების ჟურნალი*, ტ. 126, #. 6 (2006); დამ. ვაითჰედი და გ. დალგრინი, “რა შეიძლება გაკეთდეს ჯანმრთელობაში უთანასწორობის დროს?“, *ლანსეტი*, ტ. 338, #. 8774 (1991), გვ. 1059–1063.

ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება ჩეხეთის 2007–2013 წლების სამოქმედო პროგრამის „წარმოება და ინოვაცია“ SEA-ს ფარგლებში, მიხედვით<sup>54</sup>

ჯანმრთელობის შერჩეული ფაქტორები:

- X ეკოლოგიური ფაქტორი: ჰაერის ხარისხი, ხმაური და გარემოში ტოქსიკური ნივთიერებების არსებობა.
- X სოციო-ეკონომიკური ფაქტორები: დასაქმება და განათლება.
- X სოციალური და სათემო ქსელები/გავლენები: არ აღინიშნება.
- X საცხოვრებელი და სამუშაო პირობები: საზოგადოდ გამოყენებული პროდუქტებისა და სამშენებლო მასალების უსაფრთხოება.
- X ინდივიდუალური ცხოვრების სტილის ფაქტორები: თავისუფალი დროის ჯანსაღად გატარება (მაგ., აგრო ტურიზმი, ველოსიპედის ტარება, მისტ.)

SEA-ს გუნდის მიერ შესრულებული სპეციფიკური დავალებები შეიცავს შემდეგს:

- X იმის გარკვევა, თუ რატომ მოხდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა ამ SEA-ში, იმის ნაცვლად, რომ განყენებულად მოგვარებულიყო.
- X ჩეხეთის რესპუბლიკაში ჯანმრთელობის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვის ჩატარება.
- X პოლიტიკის და გეგმებისა და პროგრამების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ანალიზში გამოყენებული მთავარი მეთოდოლოგიური საკითხების მიმოხილვა, მათ შორის, ჯანმრთელობაზე ისეთი შედეგების ანალიზის საჭიროების განმარტება, რომლებიც გამოწვეულია როგორც გარემოს მდგომარეობით, ისე სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით.
- X პროგრამის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესაფასებლად არჩეული მიდგომების განმარტება, მოცემული ოპერატიული გეგმისთვის რელევანტური ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვასთან, და გეგმებთან და პროგრამებთან კომბინაციაში.
- X ჯანმრთელობაზე კონკრეტული ზემოქმედების შეფასება, როცა: (ა) SEA-ს გუნდი გამოკვეთავს მოცემულ პროგრამაში გათვალისწინებული ცალკეული ინტერვენციების შესაძლო პირდაპირ ზემოქმედებას (პოზოტიურს და ნეგატიურს); და (ბ) SEA-ს გუნდი პროგრამის აღმოაჩენს პროგრამით გათვალისწინებულ ინტერვენციებს, რომლებსაც სავარაუდოდ პოზიტიური ან ნეგატიური ეფექტი ექნება ჯანმრთელობის რელევანტურ ფაქტორებზე.
- X ამ პროგრამის განხორციელებისთვის შემოთავაზებული წინადადებები მოიცავს: (ა) ამ პროგრამის მიერ მომავალში ხელშეწყობილი პროექტების შერჩევის კრიტერიუმებსა და პირობებს (მათ შორის ეკოლოგიურ და სხვა პირობებს); და (ბ) ჯანმრთელობის მიმართ ზეგავლენის მონიტორინგის შემოთავაზებულ ინდიკატორებს.
- X სრული დასკვნების გაკეთება.

ეს შეფასებები ჩატარდა ექსპერტთა კოლექტიური მსჯელობის გზით, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩეხეთის რესპუბლიკაში აღიარებული ჯანდაცვის ექსპერტები (ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტიდან), და განხილულ იქნა SEA-ს გუნდის დანარჩენი წევრების მიერ.

გეგმის/პროგრამის ზეგავლენას დაქვემდებარებული ჯანმრთელობის ფაქტორები შეიცავს:<sup>55</sup>

X ჯანმრთელი ცხოვრების წესზე გავლენის მქონე ფაქტორებს, როგორცაა, ფეხით სიარულის და ველოსიპედით სიარულის ხელშეწყობა, საზოგადოებისთვის საერთო სავარჯიშო სივრცის ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა, და პირადი ავტომობილით სარგებლობის საჭიროების შემცირება.

X ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია: სოციალურ, ან სათემო გავლენებთან, ან გაერთიანებებთან,

<sup>54</sup> მარტინ სმუტნი, SEA-ს გუნდის ხელმძღვანელი, პირადი კომუნიკაციით, იანვარი 2007. დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ელ-ფოსტით: martin.smutny@integranet.cz.

<sup>55</sup> შედეგების შეფასების სართაშორისო ასოციაციაზე დაყრდნობით, ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება: საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების პრინციპები, სპეციალური გამოცემები #. 5 (სექტემბერი 2006). იხ.: <http://www.iaia.org/publicdocuments/special-publications/SP5.pdf>.

როგორცაა: საზოგადოების ერთიანობა, გახლეჩვა ან ფრაგმენტაცია, სოციალურ მხარდაჭერასთან ან იზოლაციასთან, სათემო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან (მათ შორის სამედიცინო მომსახურება, სოციალური დახმარება, სავაჭრო ცენტრები), ადგილობრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობასთან და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან, მიწათ სარგებლობასა და ურბანულ პროექტებთან, უსაფრთხოებასთან და კრიმინალის რაოდენობასთან.

X ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს, როგორცაა, საცხოვრებელი ბინის ხელმისაწვდომობა და ხარისხი, უსაფრთხო სასმელი წყალი და ადეკვატური სანიტარული პირობები, ჰაერის ხარისხი ბინაში და მოწყვლადობა დაბიძურების მიმართ (ე.ი. უბედური შემთხვევების რისკი, მათ შორის სამუშაო ადგილებზე და ტრანსპორტში).

X ზოგადი სოციო-ეკონომიკური ფაქტორები (მაგ., განათლება, დასაქმება და შემოსავალი), კულტურული ფაქტორები (მაგ., გავლენა ცხოვრების წესის ტრადიციულ ღირებულებებზე, ან კულტურული თუ სულიერი მნიშვნელობის მქონე ღირსშესანიშნაობები) და ეკოლოგიური ფაქტორები (ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურება, ხმაური, დაავადებათა გავრცელების ადგილები, მისთ.).

ზოგიერთი ზემოთხსენებული ფაქტორი მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, ან ძნელია მისი მოთავსება ფაქტორების მხოლოდ ერთ კატეგორიაში, ამდენად, შეიძლება შეგვხვდეს ერთზე მეტ კატეგორიაში. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის ფაქტორების ეს ჩარჩო-სტრუქტურა არ წარმოადგენს სრულყოფილ საძიებო სიას ან ჯანმრთელობის ფაქტორების კატეგორიებად დაყოფისა თუ კლასტერებად შეკრების მკაცრ ნიმუშს. მას მხოლოდ ჩარჩო-სტრუქტურის ფუნქცია აქვს, რათა გაგიადვილოთ კონკრეტული გეგმის/პროგრამის განხორციელების შედეგად ჯანმრთელობის სხვადასხვა ფაქტორზე მოსალოდნელი ზეგავლენის ამოცნობა საწყის ეტაპზე.

პროტოკოლის მიხედვით SEA-ს აქცენტი ფიზიკურ გარემოზეა გადატანილი. თუმცა, რაც უფრო ვითარდება პროტოკოლის გამოყენების გამოცდილება, მით უფრო თვალნათელი ხდება, რომ შეიძლება ზოგიერთ ქვეყანაში ფიზიკურ, სოციალურ და ქვეყნით გარემოს შორის უფრო კომპლექსური ურთიერთქმედებად შეგვხვდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გარემო ფაქტორები მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დასადგენად, სოციო-ეკონომიკური ფაქტორები შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, რადგან შემოსავალი და განათლება უფრო მეტ კორელაციაშია ჯანმრთელობასთან (იხ. ჩარჩო ქვემოთ). თუმცა, შეიძლება რთული იყოს ამ ფაქტორების მიხედვით ბევრი გეგმისა და პროგრამის ზეგავლენის შეფასება (მაგ., მიწათსარგებლობის გეგმები).

**სოციო-ეკონომიკური სტატუსის საზომი, რომლებიც ჯანმრთელობის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს.** სოციო-ეკონომიკური საზომი შეიძლება გაიზომოს სხვადასხვა ცვლადის საშუალებით, მათ შორის:<sup>56</sup>

- X შემოსავალი (ინდივიდუალური ან ერთობლივი). შემოსავალს გავლენა აქვს ჯანმრთელობაზე მატერიალურ რესურსებზე პირდაპირი ეფექტის გზით. შემოსავალი მატერიალური საცხოვრებელი სტანდარტის საუკეთესო და ერთადერთი ინდიკატორია. თუმცა, თავად ინფორმაციის სენსიტიურობის გამო, შემოსავლების შესახებ მონაცემების შეგროვება შეიძლება შეზღუდული იყოს.
- X განათლების დონეები (ინდივიდუალური აქტივები). განათლება მომავალი დასაქმების და შემოსავლების ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორია, და მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის შემეცნებით ფუნქციონირებაზე. თუმცა, ეს საზომები ვერ გამოდგება ზოგადად განათლების ხარისხის შესაფასებლად.
- X პროფესიული საზომები. პროფესია მჭიდრო კავშირშია შემოსავალთან. გარდა ამისა, პროფესიული კლასი გამოხატავს სოციალურ მდგომარეობას და შეიძლება კავშირში იყოს ჯანმრთელობის შედეგებთან. გარდა ამისა, პროფესიები შეიძლება უკავშირდებოდეს სპეციფიკურ ტოქსიკურ სამუშაო გარემოს, ან მოწყვლადი იყოს პროფესიული რისკების მიმართ. პროფესიული საზომის შესახებ ინფორმაცია ადვილად მოსაპოვებელია სხვადასხვა მონაცემთა წყაროების საშუალებით.

პროტოკოლი მოითხოვს მხოლოდ იმ გარემო პრობლემების შეფასებას, რომლებიც მიჩნეულია მოსალოდნელ

<sup>56</sup> იხ. ბრუნა გალობარდესი, მერი შოუ, დები ა. ლოულორი, ჯონ უ. ლინჩი და ჯორჯ დევი სმიტი, “სოციო-ეკონომიკური პოზიციის ინდიკატორები (ნაწ. 1)”, ეპიდემიოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ჟურნალი (2006), ტ. 60, გვ. 7–12. იხ.: <http://jech.bmj.com/cgi/content/full/60/1/7>.

ან მნიშვნელოვან პრობლემებად. გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირებისთვის, შეიძლება მოსახერხებელი იყოს, კონკრეტული გეგმის/პროგრამის განხორციელების ზეგავლენის ქვეშ მოსახვედრი ჯანმრთელობის შესაძლო ფაქტორების გრძელი სიის თანდათანობით შემცირება და მხოლოდ იმ ფაქტორების დატოვება, რომლებზეც მოსალოდნელია, რომ გეგმას/პროგრამას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს. ამ პროცესებთან დაკავშირებით რამდენიმე რჩევაა მოცემული პროტოკოლის III დანართში.

## კონსულტაციები გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან

გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციები ცენტრალური მოვლენაა SEA–ს ფარგლებში ჯანმრთელობის საკითხის გათვალისწინების კუთხით. ისეც ხდება, რომ ზოგ ქვეყანაში, უფრო ადვილია გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ოფიციალური პირების გამოვლენა, ვიდრე ჯანდაცვის სფეროს ოფიციალური პირებისა. როგორც წესი, მრავალი ორგანიზაცია არსებობს განსხვავებული პასუხისმგებლობებით:

- X ეროვნული ოფიციალური პირები ხშირად ჯანდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების წამყვანი სააგენტოები არიან.
- X რეგიონულ და ადგილობრივ ოფიციალურ პირებს შეიძლება უფრო სპეციფიკური როლი ჰქონდეთ ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებული ოპერატიული საკითხების მოგვარებაში.
- X მუნიციპალურ ოფიციალურ პირებს შეიძლება ჯანმრთელობის დაცვისა და ხელშეწყობის როლი ჰქონდეთ, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ტრადიციული ჯანდაცვის მენეჯმენტი, სანიტარული პირობები და წყალმომარაგება, ისე ჯანმრთელობის ხელშეწყობი ღონისძიებები და პირველადი ჯანდაცვის მომსახურება.

ჯანდაცვის ოფიციალური პირები იშვიათად არიან ჩართული გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში. WHO–სევროპის ჯანმრთელი ქალაქების ქსელის მიერ მოზადებულ კვლევაში ჩანს, რომ ჯანდაცვისა და დაგეგმვის სააგენტოები რეგულარულად მხოლოდ განხილული შემთხვევების 25%–ში თანამშრომლობენ.<sup>57</sup> ჯანდაცვის ჩინოვნიკებს შეიძლება არ ჰქონდეთ შესაფერისი უნარები და გამოცდილება და შეიძლება დაჭირდეთ – თავიდან მაინც – სათანადო რჩევები და ხელმძღვანელობა. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შემუშავდეს სათანადო ურთიერთკავშირის ღონისძიებები და პროცედურები მათი წვლილის მისაღებად (მაგ, ხელშეკრულება მომსახურების შესახებ) (იხ. ასევე [ქვეთავი 4.4](#), სადაც საუბარია შესაბამის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების შესახებ).

მართლაც, ჯანმრთელობის ფაქტორების გამოვლენა, რომლებზეც სავარაუდოდ მოხდება მნიშვნელოვანი ეფექტი კონკრეტული სახის გეგმისა თუ პროგრამის მიერ, და დასკვნების გაკეთება ჯანმრთელობაზე გეგმის/პროგრამის განხორციელების პოზიტიური და მწვავე ეფექტების შესახებ, შეიძლება თავიდან არ იყოს ადვილი საქმე. ამ მხრივ, მოსახერხებელი იქნება, თუ გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალური პირები და გეგმების/პროგრამების მომზადებაზე მომუშავე პირები ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას და თანდათანობით საერთო აზრამდე მივლენ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა:

- X ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც სავარაუდოდ დაექვემდებარება სხვადასხვა სახის გეგმებისა და პროგრამების განხორციელების გამო წარმოქმნილ მნიშვნელოვან ეფექტებს.
- X მიზეზობრივი კავშირები ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და ჯანმრთელობაზე შესაბამის ეფექტებს შორის.
- X ჯანმრთელობაზე ნებისმიერი მნიშვნელოვანი ეფექტის პრევენციის, შემსუბუქებისა თუ აღმოფხვრის ზომები.
- X ჯანმრთელობაზე კონკრეტული ეფექტების მონიტორინგისთვის დასახული ღონისძიებები სხვადასხვა სახის

<sup>57</sup> ჰიუ ბარტონი, კლერი მიჩემი, და კატარინა ცურუ (რედ.), ჯანსაღი ურბანული დაგეგმვა პრაქტიკაში: ევროპული ქალაქების გამოცდილება, WHO–სჯანსაღი ურბანული დაგეგმვის ქალაქის მოქმედების ჯგუფის ანგარიში (WHO, 2003).  
იხ. <http://www.euro.who.int/document/E82657.pdf>.

### 3.3 ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

ჯანმრთელობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც სავარაუდოდ გეგმის/პროგრამის მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ მოყვება, შეიძლება ჯანმრთელობაზე გეგმის/პროგრამის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების შეფასების საფუძველი გახდეს. ამ ფაქტორების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობაზე ისეთი ეფექტები, როგორცაა:

- X პირდაპირი ან არაპირდაპირი.
- X მოკლე, საშუალო ან გრძელვადიანი
- X კუმულაციური ან სინერგიული.
- X მუდმივი ან დროებითი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების და მასთან სავარაუდოდ დაკავშირებული დაავადებებისა და რისკების რეზიუმეს. გარკვეულ შემთხვევებში ოფიციალური პირებისთვის მოსახერხებელია თუ მოხდება ასეთი ცხრილი ადაპტირება ადგილობრივ პირობებთან. შეიძლება მისი ადაპტირება გეგმებისა და პროგრამების სახეობების მიხედვით.

3.1 ქვეთავში განხილული გაურკვევლობებისა და შეზღუდვების ფონზე, არ იქნება რეალისტური ვიჯარაუდოთ, რომ ოფიციალური პირები დაიწყებენ SEA-ს განხორციელებას პოტენციური ეფექტების შესახებ ამომწურავი ან დეტალური პროგნოზების გასაკეთებლად, მიუხედავად იმისა, მათი გეგმების/პროგრამების შედეგებს ჯანმრთელობაზე სასარგებლო ეფექტი ექნება თუ საზიანო. არც საზოგადოდ იქნება მათთვის ჩვეული ძალიან დეტალური კვლევების წარმოება ამ ეფექტების პროგნოზირებისთვის. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ შესაფერისი, მარტივი და პრაქტიკული მიდგომები გამოვიყენოთ განსაკუთრებული შემთხვევების უფრო დეტალური კვლევის დროს, რამდენადაც ჯანმრთელობის პრობლემებზე ადეკვატური რეაგირება SEA-ში მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ და პროცედურულ გამოწვევებს

ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს რომ პროტოკოლი მე-2 მუხლის მე-7 პარაგრაფის თანახმად მოითხოვს, მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდებას, რისი საჭიროებაც მიზანშეწონილად არსებობს, და თან გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:

- X არსებული ცოდნა და შეფასების მეთოდები.
- X გეგმის/პროგრამის შინაარსი და დეტალურობის დონე და ეტაპი, რომელზეც იმყოფება გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.
- X საზოგადოების ინტერესები.
- X გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს საჭიროება ინფორმაციის მიმართ.

გარდა ამისა, პროტოკოლის IV დანართის, მე-8 პარაგრაფი მოითხოვს, რომ ეკოლოგიური ანგარიში შეიცავდეს ინფორმაციას იმ სირთულეების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მასში შესატანი ინფორმაციის შეგროვებისას, როგორცაა, მაგ., ტექნიკური დეფექტები ან ცოდნის ნაკლებობა.

#### ჯანმრთელობის ეფექტების ხარისხობრივი შეფასება

უმეტეს შემთხვევებში, ჯანმრთელობის ეფექტების შეფასება ხარისხობრივი ხასიათი იქნება და არა რაოდენობრივი. მიუხედავად ამისა, ხარისხობრივი შეფასება არ ნიშნავს გამოცნობას: ნებისმიერი მსჯელობა უნდა იყოს დასაბუთებული და. როცა ეს შესაძლებელია, უნდა ეფუძნებოდეს არსებულ ცოდნასა და კვლევებს. დანართი ან.1 გვიჩვენებს იმ ანალიტიკურ ხერხებს, რომლებიც ექსპერტთა მსჯელობას აადვილებს: შეიძლება სხვა ხერხებისა და ინსტრუმენტების ამორჩევა სამედიცინო სფეროდანაც. ლონდონის ჯანდაცვის ობსერვატორიამ გამოსცა *ჯანმრთელობაზე ზეგავლენის*

შესაფასებლად გამოქვეყნებული მტკიცებულებების გამოყენების სახელმძღვანელო <sup>58</sup> სადაც დეტალურად არის აღწერილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მტკიცებულებების შეფასების ეტაპები, რომლებიც შესაძლოა მოსახერხებელი იყოს SEA-თვისაც.

---

<sup>58</sup> [ob.http://www.lho.org.uk/download.aspx?urlid=10846&urlt=1.](http://www.lho.org.uk/download.aspx?urlid=10846&urlt=1)

ფიზიკური გარემოს რისკ ფაქტორების და მასთან დაკავშირებული დაავადებებისა და რისკების მაგალითები (WHO, 2006; ადაპტირებულია ECE რეგიონისთვის)

დაავადება, ან რისკი	ფიზიკური გარემოს რისკ ფაქტორები											
	აკუის დაბინძურება შენობაში	ჰაერის დაბინძურება გარეთ	ხმაური სხვა საიდაო რისკები	ქიმიკატები	სარეკრეაციო გარემო წყლის რესურსების მენეჯმენტი მიწათსარგებლობა და გარემოს შენება	სხვა საზოგადოებრივი რისკები რადიაცია	პროფესია კლიმატის ცვლილება					
ქვედა რესპირატორული												
ზედა რესპირატორული												
დიარეა												
ნაწლავური ინფექციები												
ლეიშმანიოზი												
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები												
შიდსი (HIV)												
B და C ჰეპატიტები												
ტუბერკულოზი												
პერინატალური პირობები												
თანდაყოლილი ანომალიები												
კვებითი გამოფიტვა												
კიბო												
ნეიროფსიქიატრიული აშლილობა												
კატარაქტა												
სიყრუე												
გულ-სისხლძარღვთა დაავადებები												
ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციები												
ასთმა												
ძვალ-კუნთოვანი დაავადებები												
ფიზიკური უმოძრაობა												
ავტო საგზაო შემთხვევები												
წაქცევა												
დახრჩობა												
ხანძარი												
მოწამვლა												
სხვა განუზრახველი დაზიანებები												
ძალადობა												
თვითმკვლელობა												
ECE რეგიონში არ არსებული, ან ნაკლებად გავრცელებული დაავადებები:												
მალარია *												
ტრაქომა												
შისტოსომოზი (ბილჰარციოზი)												
ჩაგას დაავადება (ამერიკული ტრიპანოსომიაზი)												



დაავადება, ან რისკი	ფიზიკური გარემოს რისკ ფაქტორები												
	წყალი, საბითაროლი პირობები და ჰიგიენა უსუსუსო აუკუსო	დაბინძურება	ჰაერის დაბინძურება გარეთ	ხმაური	რისკები	ქიმიკატები	სარეკრეაციო გარემო	წყლის რესურსების მართვა	შენება	სხვა საზოგადოებრივი რისკები	რადიაცია	პროფესია	ცვლილება
ლიმფური ფილარიაზი													
ონქოცერკოზი (მდინარის სიბრმავე)													
ცხელება (და ჰემორაგიული ცხელება) *													
იაპონური ენცეფალიტი													

უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს გეგმის/პროგრამის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების შეფასება ჯანმრთელობის შესაბამისი ფაქტორები და შემუშავდეს საერთო დასკვნები იმასთან დაკავშირებით, ქმნის თუ არა გეგმა/პროგრამა მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ხელსაყრელ გარემოს, სადაც ჯანმრთელობა გულისხმობს კეთილდღეობასაც და არ ნიშნავს მხოლოდ დაავადების არარსებობას.

ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, რომელიც გვთავაზობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვების ნიმუშებს, რომლებიც SEA-ს პრაქტიკოსებმა უნდა დასვან წარმოდგენილ წინადადებებთან დაკავშირებით; აქვეა მოცემული შენიშვნები იმ კავშირების შესახებ, რომლებიც დამყარდა ამ საკითხებსა და ადამიანებისა და სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობას შორის. კითხვები ფართოდაა რანჟირებული თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, სპეციფიკური და პირდაპირი ეფექტებიდან დაწყებული სუბიექტურ, ცხოვრების წესთან და კეთილდღეობასთან დაკავშირებული ეფექტებით დამთავრებული:

*ჯანმრთელობის ეფექტების რაოდენობრივი შეფასება*

ჯანმრთელობის ეფექტების რაოდენობრივი შეფასების დროს გამოყენებული მიდგომების უმეტესობა HIA-ს ელემენტებზეა დაფუძნებული. HIA საკმაოდ განვითარდა SEA-გან დამოუკიდებლად; ის სხვადასხვა დისციპლინებს ემყარება და ბევრად ნაკლებადაა აქცენტირებული სტრატეგიული წინადადებების ეფექტების პროგნოზირებაზე. თუმცა, მისი მიდგომების და მეთოდების ფრთხილი გამოყენება გადაწყვეტილების მიმდებ პირებს ღირებულ ინფორმაციას მიაწვდის მათი გეგმებისა და პროგრამების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის კუთხით. ქვემოთ მოყვანილ ჩარჩოში მოცემულია HIA-სმასშტაბის და მეთოდების მიმოხილვა.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ხაზგასმულია ჯანმრთელობის საკითხის SEA-ში ინტეგრირება და პროტოკოლის მოთხოვნების მიხედვით SEA-ს დაქვემდებარებული გეგმის/პროგრამისთვის ცალკე HIA-ს თავიდან აცილება. მიუხედავად ამისა, HIA ჩატარდა, რაც აჩვენებს, რომ ჯანდაცვისა და დაგეგმვაზე მომუშავე ოფიციალური პირები ერთობლივად მუშაობენ, და რომ ეს პირდაპირ იქნება შეჯერებული SEA-სმეთოდოლოგიასთან. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია კემბრიჯშიარის ჯანდაცვის სამსახური გაერთიანებულ სამეფოში.<sup>59</sup>

HIA-ს შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, კარგი იქნება, თუ მონახულებთ WHO ვებ-გვერდს <http://www.euro.who.int/healthimpact>; დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ვებ გვერდზე: <http://www.hiagateway.org.uk>. ასევე, იხილეთ *ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება: საუკეთესო სერთაშორისო გამოცდილების პრინციპები*, რომელიც გამოსცა ზეგავლენის შეფასების საერთაშორისო ასოციაციამ (<http://www.iaia.org/publicdocuments/special-publications/SP5.pdf>).

<sup>59</sup> კემბრიჯშიარის ჯანდაცვის სამსახური, “კემბრიჯშიარის & პიტერბოროს სტრუქტურული გეგმის მიმოხილვა: ჯანმრთელობაზე ზეგავლენის მიმოხილვა“ (მარტი 2002), იხ.: <http://www.communityhealthprofiles.info/resource/item.aspx?RID=44213>

## ჯანდაცვა SEA-ში: გეგმების/პროგრამები შესაძლო ზეგავლენა ჯანმრთელობაზე

კითხვების ნიმუშები, რომლებსაც შეუძლია დაგვეხმაროს გეგმების/პროგრამების ჯანმრთელობაზე შესაძლო ზეგავლენის გამოვლენაში, ამ საკითხებსა და ჯანმრთელობას შორის არსებული კავშირების დამადასტურებელი შენიშვნებით (კითხვები საჩვენებელი ხასიათისაა და შეიძლება მათი პირდაპირ გამოყენება, ან ადაპტირება მოცემული სიტუაციის შესაბამისად)

კითხვები ჯანმრთელობის ფაქტორების შესაძლო ცვლილების შესახებ	მსგავსიSEA-ს თემები	მთავრობის პოლიტიკა	შესაძლო ზეგავლენა ჯანმრთელობაზე და დამადასტურებელი ბაზა (შეიძლება მოიძებნოს ლიტერატურაში დ/ან ვებ გვერდებზე) <sup>60</sup>
შეიძლება თუ არა გეგმა/პროგრამაში ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები? (მაგ., ზოგადი ქირურგია, ჯანმრთელობის ცენტრები ან საავადმყოფოები)	მოსახლეობა		ზოგადი პროფილის თერაპევტთან კონსულტაციების მაღალი კოეფიციენტი მიუთითებს სოციალური და ეკონომიკური შეზღუდულობის მაღალ დონეს, თუმცა, დაავადებების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ მყოფ საზოგადოებას ყველაზე ნაკლებად დამაკმაყოფილებელი წვდომა აქვს პრევენციულ მომსახურებაზე.
შეიცავს თუ არა გეგმა/პროგრამა დასვენების საშუალებებს? მაგ., სპორტული ცენტრები	მოსახლეობა		ფიზიკური ვარჯიშის ნაკლებობა დაკავშირებულია გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების გაზრდილ რისკთან
ახდენს თუ არა გეგმა/პროგრამა ჯანდაცვისა და თავისუფალი დროის გატარების საშუალებებთან წვდომაზე რაიმე უარყოფით გავლენას?	მოსახლეობა		მომსახურებაზე წვდომის დეფიციტი (მაგ., ფეხით, ან მოსახერხებელი ტრანსპორტით) არაპროპორციულად არის გამოხატული ქალებში, სკოლის მოსწავლეებში, ხანში შესულ ადამიანებში და უნარშეზღუდულ მოსახლეობაში. მომსახურებასთან გართულებული წვდომა საზოგადოების გაუცხოვების არსებითი ფაქტორია, და უკავშირდება ჯანმრთელობის პრობლემებს.
გამოიწვევს თუ არა გეგმა/პროგრამა ჰაერში და წყალში იმისი გაზრდას?	ნიადაგი, წყალი, ჰაერი,		ჰაერის დაბინძურებას როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი საზიანო გავლენა აქვს ჯანმრთელობაზე; უარესდება ისეთი ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა, ვისაც ფილტვების ან გულის დაავადებები აწუხებს და ამდენად, ამცირებს სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას.
ეხება თუ არა პროგრამა მიწის დაბინძურებას, ნარჩენების მართვას ან ნაგავსაყრელს?	ნიადაგი, წყალი, ჰაერი,		ისეთი დამაბინძურებელი, როგორცაა, მაგ., მძიმე მეტალები, ნავთობი, აზბესტი და ნაგავსაყრელიდან ამოფრქვეული გაზი, ძალიან საზიანოა ჯანმრთელობისთვის. ნაგავსაყრელი შეიძლება ავტოტრანსპორტის მოძრაობის, ხმაურისა და მტვერის მთავარი გამოწვევი მიზეზი გახდეს, რაც თავისმხრივ იწვევს უსაფრთხოებაზე და ჰაერის ხარისხზე უარყოფით გავლენას.
შეუძლია გეგმას/პროგრამას სხვა სახის ზეგავლენა გამოიწვიოს ადამიანებზე? მაგ., ხმაურიანი ან ნგრევითი საქმიანობით.	მოსახლეობა		გარემოში გამოწვეული ხმაური ღლის ადამიანებს და იწვევს უძილობას. არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ხმაურსა და ჰიპერტენზიას, ან გულის დაავადებებს შორის. <sup>61</sup>

<sup>60</sup> გარდა მითითებული ადგილებისა, დამადასტურებელი მასალა აღებულია ბენ ქეივის, პიტერ მოლინუქსის და ადამ ქუტის ნაშრომიდან: „ჯანმრთელი მდგრადი საზოგადოება: რა ამართლებს?“, (ველინბორი, გაერთიანებული სამეფო, მილტონ კინესი და სამხრეთ მიდლენდის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ჯგუფი, 2004). [www.apho.org.uk/resource/view.aspx?RID=93661](http://www.apho.org.uk/resource/view.aspx?RID=93661).

<sup>61</sup> ეკოლოგიური ჯანმრთელობის ინსტიტუტი, *ანგარიში ხმაურის არა-ბგერითი ეფექტების შესახებ* (ლისესტერი, გაერთიანებული სამეფო, 1997), გვ. 90

კითხვები ჯანმრთელობის ფაქტორების შესაძლო ცვლილების შესახებ	მსგავსიSEA-ს საკითხები	მთავრობის პოლიტიკა	შესაძლო ზეგავლენა ჯანმრთელობაზე და დამადასტურებელი ბაზა (შეიძლება მოიძებნოს ლიტერატურაში დ/ან ვებ გვერდებზე) <sup>60</sup>
შექმნის თუ არა გეგმა/პროგრამა წყალდიდობის რისკს?	წყალი, ნიადაგი		წყალდიდობით გამოწვეული ზეგავლენა ჯანმრთელობაზე, სხვა აღქმული ეფექტების გარდა შეიცავს: გასტროენტერიტებს, გულმკერდის ინფექციებს, ასთმას, სახსრების დაჭიმვას და სტრესით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს.
გამოიწვევს გეგმა/პროგრამა კლიმატის ცვლილებას?	კლიმატური ფაქტორები, ჰაერი		კლიმატის არასტაბილურობას და ზღვის დონის ამაღლებას მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ეფექტები მოჰყვება ჯანმრთელობის თვალსაზრისით. მწვავე შედეგების თავიდან აცილებას და შემსუბუქებას შეუძლია შეცვალოს მდგომარეობა.
უწყობს თუ არა გეგმა/პროგრამა ხელს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ან ტრანსპორტირების ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას, კერძო მანქანის გარდა?	ჰაერი, კლიმატური ფაქტორები		მანქანის შეზღუდული გამოყენება ამცირებს ჰაერის დამაბინძურებლების გამოყოფას გამონაბოლქვის სახით. გზებზე ავტომობილების საცობებისა და ხმაურის შემცირება, როგორც მოსალოდნელია, გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობას. ვარზონის ემისიის ნებისმიერი, თუნდაც უმცირესი დოზით შემცირება, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებას უწყობს ხელს.
უწყობს თუ არა ხელს გეგმა/პროგრამა ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მოძრაობის წახალისებას?	ჰაერი, მოსახლეობა		ფიზიკური აქტივობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების და გაცხიმოვნების შემცირების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. საერთო მიწის ნაკვეთი მქონე სამეზობლო, მჭიდროდ დასახლებული და დასაქმებული ადამიანები, დამაკავშირებელი ქუჩები, ფეხით მოსიარულეთათვის გათვლილი პროექტირება და უსაფრთხოება ადამიანებს მეტი ფიზიკური აქტივობისკენ უბიძგებს და ამცირებს გაცხიმოვნების საფრთხეს. ეს მახასიათებლები პრაქტიკული და მოსახერხებელი ხანდაზმული ადამიანების სოციალური იზოლაციის შესამცირებლად.
შეიცავს თუ არა გეგმა/პროგრამა სოფლებთან და სანაპირო ზოლთან წვდომის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას?	მოსახლეობა, ლანდშაფტი, ბიომრავალფეროვნება		ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მოძრაობისთვის საუკეთესო საშუალებაა, რაც სასარგებლოა ფიზიკური ჯანმრთელობისთვის. ბუნებასთან ხშირი კონტაქტი აუმჯობესებს ფსიქიკურ ჯანმრთელობას.
გათვალისწინებული იქნება თუ არა ბინათმშენებლობასთან დაკავშირებულ გეგმებში/პროგრამებში ენერჯო ეფექტურობა, სითბო, ვენტილაცია და მოქილობა?	მოსახლეობა, კლიმატური ფაქტორები		ცივი და ნესტიანი სახლები უკავშირდება გულსისხლძარღვთა და სისხლის მიმოქცევითთან დაკავშირებულ დაავადებებს. სათბობის არქონა ნეგატიურად მოქმედებს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ჯანმრთელობის არასტაბილურობაზე. საცხოვრებელი სახლები მოსახერხებელი უნდა იყოს უნარშეზღუდული, დაოჯახებული და ხანშიშესული ადამიანებისთვის.

ჯანმრთელობა

კითხვები ჯანმრთელობის ფაქტორების შესაძლო ცვლილების შესახებ	მსგავსიSEA-ს საკითხები	მთავრობის პოლიტიკა	შესაძლო ზეგავლენა ჯანმრთელობაზე და დამადასტურებელი ბაზა (შეიძლება მოიძებნოს ლიტერატურაში დ/ან ვებ გვერდებზე) <sup>60</sup>
უწყობს თუ არა ხელს გეგმა/პროგრამა ადვილ და შეუფერხებელ წვდომას მომსახურებასთან,	მოსახლეობა		ტრანსპორტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საზოგადოების სოციალურ გატიშვას იწვევს, რადგან ზღუდავს ისეთ აქტივობებზე წვდომას, რაც ადამიანების ცხოვრების შანსებს

<p>როგორიცაა, მაგ., სამსახური, მალაზიები, სკოლები, ჯანდაცვის ობიექტები და სოციალური აქტივობები?</p>			<p>აუმჯობესებს, როგორიცაა, სამსახური, სასწავლებელი, ჯანდაცვა, სურსათის მალაზიები და სხვა ძირითადი აქტივობები. საზოგადოების გათიშვა ფიზიკური ბარიერებით (მაგ., სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა) და ფსიქოლოგიური ბარიერებით (მაგ., გზაზე საფრთხის შიში) ავიწროვებს სამგზავრო ჰორიზონტს და უარყოფით გავლენას ახდენს ისეთ მომსახურებასთან წვდომაზე, როგორიცაა დასაქმების, განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტები. მომსახურებასთან წვდომის შეზღუდვა (მაგ., ფეხით, ან ხელმისაწვდომი ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა) ყველაზე ხშირად უწევთ ქალებს, სკოლის მოსწავლეებს, ხანში შესულ ადამიანებსა და უნარშეზღუდულ ადამიანებს. მომსახურებაზე არადაამაკმაყოფილებელი წვდომა სოხიალური გათიშულობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ჯანმრთელობის პრობლემებს უკავშირდება.</p>
<p>აძლევს თუ არა გეგმა/პროგრამა სტიმულს თემში საზოგადოების უსაფრთხოებას, იდენტობას და შეკავშირებას?</p>	<p>მოსახლეობა, კულტურული მემკვიდრეობა, ლანდშაფტი, ბიომრავალფეროვნება</p>		<p>კარგად შედგენილი გეგმა/პროგრამა სტიმულს აძლევს თემში საზოგადოების მიერ გარემოზე ზრუნვის გააქტიურებას და ამცირებს უარყოფით შედეგებს, როგორიცაა, მაგ., ვანდალიზმი და ინფრასტრუქტურის არასათანადო გამოყენება. სათემო იდენტურობისა და კუთვნილების შეგრძნება, როგორც ცნობილია აძლიერებს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შეგრძნებას. კრიმინალის შიში ასუსტებს სოციალურ სოლიდარობას და მწვავე ფსიქოლოგიური შედეგები აქვს. სახლის დატოვების შიში ხანში შესულ ადამიანებს ფაქტიურად სოციალურ იზოლაციაში აქცევს და ძალიან მოწყვლადს ხდის. კარგ ურბანულ პროექტირებას შეუძლია „გააძეგოს კრიმინალი“ და გაამლიეროს საზოგადოების დაცულობა.</p>
<p>უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა ადგილებზე გამწვანებას?</p>	<p>მოსახლეობა, ბიომრავალფეროვნება, ფაუნა და ფლორა, კულტურული მემკვიდრეობა, ლანდშაფტი</p>		<p>უსაფრთხო მწვანე სივრცე ბიძგს აძლევს სოციალურ კონტაქტებსა და ფიზიკურ ვარჯიშს, და ასოცირდება კრიმინალის დაბალ მაჩვენებელთან. ადამიანები, რომლებიც საკუთარი ბინიდან ხეებსა და გამწვანებულ სივრცეს ხედავენ, უფრო ჯანმრთელები არიან და კეთილდღეობის განცდაც უფრო მაღალი აქვთ.</p>

კითხვები ჯანმრთელობის ფაქტორების შესაძლო ცვლილების შესახებ	მსგავსი SEA-ს საკითხები	მათავრობის პოლიტიკა	შესაძლო ზეგავლენა ჯანმრთელობაზე და დამადასტურებელი ბაზა (შეიძლება მოიძებნოს ლიტერატურაში დ/ან ვებ გვერდებზე) <sup>60</sup>
შეიცავს თუ არა გეგმა/პროგრამა დაინტერესებული სოციალური ჯგუფებისთვის შესარჩევრის დასაქმების რაიმე შესაძლებლობებს?	მოსახლეობა		იზოლირებულმა ცხოვრებამ შეიძლება მოწყვლადი ჯგუფების გარიყვა გამოიწვიოს. ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობა ფეხით სიარულსა და ველოსიპედით მოძრაობას ხდის შესაძლებელს. <b>უმუშევარ ადამიანებში</b> მაღალია რისკები ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ და შესაბამისად მცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობა. არამდგრადი და დაბალანაზღაურებადი სამუშაო შეიცავს მაღალ რისკებს უზედური შემთხვევების, ინფექციების გავრცელების მიმართ და ზრდის ჯანმრთელობისთვის საზიანო ქცევების ალბათობას, როგორცაა მაგ., მოწევა.

### SEA და HIA: მსგავსებები და განსხვავებები

HIA არ არის განმარტებული არც ერთი საერთაშორისო იურიდიული ინსტრუმენტის მიერ, მაგრამ, შედეგების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია მას განმარტავს, როგორც: „მეთოდების, პროცედურებისა და ინსტრუმენტების კომბინაციას, რომელიც სისტემატურად მსჯელობს პოლიტიკის, გეგმების, პროგრამების ან პროექტების მოსახლეობის ჯანმრთელობის მიმართ პოტენციურ, და ზოგჯერ განუზრახველ ზეგავლენაზე და ამ ზეგავლენების მოსახლეობაში განაწილებაზე. HIA ამ ეფექტების მართვისთვის შესაფერის ღონისძიებებს ავლენს.“<sup>62</sup>

ძალიან ბევრი მსგავსებაა SEA –სა და HIA–ს შორის. ორივე მათგანის მიზანია გადაწყვეტილების პროცესის ინფორმირება და მასზე გავლენის მოხდენა. ორივე მათგანშია გამოყენებული ისეთი პროცედურები, როგორცაა: სკრინინგი, მასშტაბის დადგენა და ანგარიშგება, და ორივე ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონსულტაციებს.

თუმცა არსებობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი განსხვავებებიც, ესენია::

- × HIA ხშირად გამოიყენება სტრატეგიული წინადადებების (როგორცაა გეგმები და პროგრამები) ეფექტების სავარაუდო პროგნოზირების ჩვეულებრივი SEA-სკონტექსტის გარეთ. მაგალითად, ჯანმრთელობაზე სპეციფიკური მომსახურებების, აქტივობების ან ქცევების შედეგების გამოსავლენად.
- × ბევრ კონტექსტში HIA–ს შეუძლია შეითვისოს ისეთ სფეროში წარმოებული კვლევების ინფორმაცია, როგორცაა, მაგ., სოციალური მეცნიერებები, ეპიდემიოლოგია და ტოქსიკოლოგია; ეს შეიძლება უფრო დეტალური და რაოდენობრივი ხასიათის იყოს, ვიდრე მსგავს შემთხვევაში SEA–ში, ამდენად, HIA–ს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სტრატეგიული და ხარისხობრივი მიდგომაც.
- × დამატებით, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ჯანდაცვის სექტორი ხანდახან ტერმინებს – გეგმები და პროგრამები– იყენებს განსხვავებული მნიშვნელობით, ვიდრე ეს ზოგადად SEA–შია აღიარებული (მაგ., ჯანმრთელობის უთანასწორობის შემცირების გეგმა, ან იმუნიზაციის პროგრამა).

HIA–ში გამოყენებული ზოგიერთი მეთოდი, და ამ მეთოდებზე დაფუძნებული ცოდნა, შეიძლება მზა სახით გადმოვიტანოთ SEA –ში, რაც დაგვეხმარება ადამიანების ჯანმრთელობაზე და ჯანმრთელობის უთანასწორობაზე გეგმის/პროგრამის პოტენციური გავლენის გამოცნობაში, და ასევე, მიგვანიშნებს, როგორ შეიძლება მწვავე ეფექტების თავიდან აცილება და სასარგებლო ეფექტების გაძლიერება. როგორც სხვა დანარჩენი გარემო ეფექტის დროს, SEA–ს მაპროგნოზირებელი ხასიათისა, და ჯანმრთელობაზე მრავალი გეგმის/პროგრამის გაურკვეველი და არაპირდაპირი გავლენის გამო, შეიძლება განუხორციელებელი, ან არასასურველიც კი იყოს ამომწურავი, ან დეტალური პროგნოზების გაკეთება.

<sup>62</sup> ნმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება: საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის პრინციპები, იხ. ზემოთ შენიშვნა 56.

## გარემოსდაცვითი ანგარიშის მასშტაბის დადგენა და მომზადება

სახელმძღვანელოს ა4.2.3 ქვეთავი აღწერს ეკოლოგიური ანგარიშის მასშტაბის დადგენისა და მომზადების საფეხურებს. წინამდებარე პარაგრაფში მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა ხსენებული საფეხურების დროს ჯანმრთელობის საკითხების გასათვალისწინებლად, და დამატებითი მითითებები ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებით (ა4.2 ცხრილის მასალებთან დამატებით). ქვემოთ ცხრილში მოცემული რჩევებიარ უნდა მივიღოთ, როგორც სრული და მკაცრი სტრუქტურის დებულებები. მათ, ვინც ეკოლოგიურ ანგარიშში ჯანმრთელობის პრობლემებს ითვალისწინებს, შეუძლიათ, მოცემული გეგმის/პროგრამის კონკრეტული ბუნებიდან და კონტექსტიდან, და ასევე, მასშტაბის დადგენის პერიოდში, ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების შედეგებიდან გამომდინარე, აირჩიონ შესაფერისი მიდგომები.

### ეკოლოგიურ ანგარიშში ჯანმრთელობის საკითხების გათვალისწინების შესაძლო მიდგომები

ეკოლოგიური ანგარიშის პუნქტები (პროტოკოლი, დანართი IV)	რჩევები შესაძლო მიდგომების შესახებ ჯანმრთელობის საკითხების გასათვალისწინებლად
1. გეგმის/პროგრამის შინაარსი და მთავარი ამოცანები და მისი კავშირი სხვა გეგმებთან/პროგრამებთან	ეს საკითხი მთლიანად არის განხილული სახელმძღვანელოს ა 4.2 ცხრილში.
2. გარემოს ამჟამინდელი მდგომარეობის შესაბამისი ასპექტები, ჯანმრთელობის ჩათვლით, და მოსალოდნელი ეკოლოგიური გეგმის/პროგრამის განუხორციელებლობის შემთხვევაში  3. იმ ტერიტორიების გარემოს დახასიათება, ჯანმრთელობის ჩათვლით, სადაც მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ეფექტები.  გეგმის/პროგრამის შესაბამისი ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) პრობლემები	<p>ამ სამმა პუნქტმა (2–4) შეიძლება გადაფაროს ერთმანეთი, მაგრამ უკავშირდება გეგმის/პროგრამის სამოქმედო არეალში ჯანმრთელობის მდგომარეობის განსხვავებულ ასპექტებს, ანუ იმ ტერიტორიაზე, სადაც მას, სავარაუდოდ, ექნება მნიშვნელოვანი ეფექტი.</p> <p>მე– 2 პარაგრაფში, შესაბამისი ასპექტები შეიძლება ნიშნავდეს მოცემულ ტერიტორიაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის საერთო ტენდენციებს მე–3 პარაგრაფში, შეიძლება განხილული იყოს ჯანმრთელობის ზოგადი ტენდენციები, სადაც განსაკუთრებული მინიშნებები გაკეთდება კეთილდღეობისთვის მაღალი ღირებულების მქონე ტერიტორიებზე (საზოგადოებრივი სივრცეები, სავარჯიშო ადგილები, მისთ.), ადგილებზე, სადაც ჯანმრთელობის ლოკალური პრობლემებია, და მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე.</p> <p>მე–4 პარაგრაფში, შეიძლება გავაკეთოთ ჯანმრთელობის პრობლემების რუკა. როცა ჯანმრთელობის პრობლემებისადმი SEA –ს მიმდინარეობისას უფრო ამომწურავ მიდგომას ვირჩევთ, შეიძლება გამოვავლინოთ ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორები რომელთა შრისაც სავარაუდოდ იქნება: ცხოვრების წესი, სოციალური ან საზოგადოებრივი გავლენები, საცხოვრებელი და სამუშაო პირობები, ან ზოგადად სოციო–ეკონომიკური, კულტურული ან ეკოლოგიური ფაქტორები.</p>
საერთაშორისო, ეროვნულ და სხვა დონეებზე დამკვიდრებული ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) ამოცანები, რომლებიც გეგმის/პროგრამის რელევანტურია, და ა გზები, რომელთა საშუალებითაც ეს პრობლემები და სხვა ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) საკითხები გათვალისწინებული იქნა მისი მომზადების პროცესში	ჯანმრთელობის ამოცანები შეიძლება შეიცავდეს საერთაშორისო ან რეგიონულ (მაგ., WHO ან WHO ევროპის რეგიონული ოფისი), ან ეროვნულ და უფრო მეტად ლოკალურ ამოცანებს, რომლებიც მოცემული გეგმის/პროგრამის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეფექტების რელევანტურია იმ პრობლემებთან მიმართებაში, რომლებსაც ეს ამოცანები ეხება.

ეკოლოგიური ანგარიშის პუნქტები (პროტოკოლი, დანართი IV)	რჩევები შესაძლო მიდგომების შესახებ ჯანმრთელობის საკითხების გასათვალისწინებლად
<p>6. მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) ეფექტები*/ როგორც ეს განხილულია მე-2 მუხლის მე-7 პარაგრაფში</p> <p>*/ ეს ეფექტები უნდა შეიცავდეს მეორად, კუმულაციურ, სინერგიულ, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან, მუდმივ და დროებით, პოზიტიურ და ნეგატიურ ეფექტებს.</p>	<p>ჯანმრთელობა გათვალისწინებული უნდა იყოს მე-2 მუხლის მე-7 პარაგრაფში ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებთან ერთად, როგორცაა, ავტო-საგზაო ხმაურის, ან ჰაერის დამაბინძურებლების მიმართ მოწყვლადობა. ამ კომპონენტებს შორის კავშირის განმარტება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, რამდენადაც შესაძლებელი გახება სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ეფექტების გამოაშკარავება, ვიდრე ცალკეული კომპონენტების ინდივიდუალური შესწავლისას.</p> <p>ჯანმრთელობის საკითხებზე უფრო სრულყოფილი მიდგომებით შესაძლებელი იქნება გეგმის /პროგრამის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების შეფასება ჯანმრთელობის შესაბამის ფაქტორებზე, და შეიძლება ჩამოყალიბდეს დასკვნები იმის თაობაზე, შექმნის თუ არა გეგმა/პროგრამა ჯანმრთელი მოსახლეობისთვის ხელსაყრელ პირობებს, სადაც სიტყვა „ჯანმრთელობა“ მხოლოდ დაავადების არქონას კი არა, არამედ, კეთილდღეობასაც ნიშნავს.</p>
<p>7. გეგმის/პროგრამის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე (ჯანმრთელობის ჩათვლით) რაიმე სახის მნიშვნელოვანი მწვავე ეფექტების პრევენციის, შემსუბუქებისა და აღმოფხვრის ზომები,</p>	<p>ეკოლოგიურ ანგარიშში რეკომენდებულ, გარემოზე ზემოქმედების აღმოფხვრის ზომებს შეიძლება თავად ჰქონდეს მწვავე ზეგავლენა ჯანმრთელობაზე, ან პირიქით. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ნებისმიერი ასეთი ზეგავლენა.</p>
<p>8. ალტერნატივების შერჩევის მიზეზები და განმარტება, თუ როგორ ჩატარდა შეფასება, იმ სირთულეების აღწერით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ანგარიშში შესატანი ინფორმაციის მოგროვებისას (მაგ., ტექნიკური დეფექტები, ან ცოდნის ნაკლებობა)</p>	<p>ეს საკითხი სრულადაა განხილული სახელმძღვანელოს ა 4.2 ცხრილში</p>
<p>9. გეგმის/პროგრამის განხორციელების გამო გარემოზე (ჯანმრთელობის ჩათვლით) ზეგავლენის მონიტორინგისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები</p>	<p>ჯანმრთელობის მონიტორინგის სპეციფიკურ საკითხებში შედის:</p> <p><i>X მოკლე და გრძელვადიანი ეფექტების მონიტორინგი.</i> ფიზიკური გარემოს ცვლილებას შეიძლება მოკლევადიანი შედეგები მოჰყვეს, მაგალითად, ტრანსპორტთან და მიწათ სარგებლობასთან დაკავშირებულ ცვლილებას შეიძლება მყისიერი გავლენა ჰქონდეს საგზაო შემთხვევების რაოდენობის თვალსაზრისით.</p> <p>ეკოსისტემის სხვა ცვლილებებს, როგორცაა, ჰაერის ხარისხი და კლიმატური ცვლილებები, შეიძლება უფრო გრძელვადიანი ზემოქმედება ჰქონდეს.</p> <p><i>X ჯანმრთელობის უთანასწორობაზე გავლენის მონიტორინგი</i> (განსხვავებები ჯანმრთელობის მდგომარეობაში). თუ მასშტაბის დადგენისა და ეკოლოგიური ანგარიშის მომზადების ეტაპებზე მხედველობაში მიღებული იყო ჯანმრთელობის უთანასწორობა, შეიძლება, მნიშვნელოვანი იყოს ამ ინდიკატორების მონიტორინგის საფეხურზე გათვალისწინება. ეს სასარგებლო იქნება გარემოსა და ჯანდაცვის პრაქტიკოსებისთვის, და ასევე დაეხმარება შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებაში.</p> <p>ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ნებისმიერი მონიტორინგის მიზანშეწონილობა დამოკიდებული იქნება იმ მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე, რომელიც შეიძლება შემდეგი გზებით იქნას მოპოვებული:</p> <p><i>X არსებული ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი მონაცემები. .</i></p>

ეკოლოგიური ანგარიშის პუნქტები (პროტოკოლი, დანართი IV)	
	<p>გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებს სავარაუდოდ ექნებათ გარემოსა და ჯანდაცვის მონიტორინგის ადგილობრივი პროგრამები.</p> <p><i>x</i> <i>ჯანმრთელობის ინდიკატორების გამოყენება.</i> შეიძლება ზოგჯერ სასარგებლო იყოს მასშტაბის დადგენისა და ეკოლოგიური ანგარიშის მომზადების საფეხურებზე შერჩეული ჯანმრთელობის ინდიკატორების გამოყენების გაგრძელება, რათა მონიტორინგი გავუწიოთ გემის/პროგრამის შედეგებს. ეს თანმიმდევრული ანალიზის საშუალებას გვამძლევს მთლიანად SEA-ში. თუმცა, ჯანმრთელობის ახალი ინდიკატორების შემოსატანად არსებულ მონიტორინგის სისტემებთან მორგება შეიძლება საკმაოდ მომთხოვნი პროცესი იყოს. ამდენად, მონიტორინგის ნებისმიერი ახალი სისტემის დანერგვა წინასწარ ყურადღებით უნდა იყოს განხილული, ვიდრე დამტკიცდება.</p>
10. მოსალოდნელი ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) ეფექტები	ეს თემა სრულყოფილადაა განხილული სახელმძღვანელოს 4.2 ცხრილში
11. მოწოდებული ინფორმაციის არა-ტექნიკური რეზიუმე	ეს თემა სრულყოფილადაა განხილული სახელმძღვანელოს 4.2 ცხრილში



დანართი ა1.2

## SEA –ს განვითარების იურიდიული და პოლიტიკური ორიენტირები

	<p>შენიშვნა: ორიენტირების წინამდებარე სია არ არის ამომწურავი. ეროვნული სახელმძღვანელო დოკუმენტები შეიძლება ამოვიღოთ და გადავიტანოთ ვებ-გვერდებზე.</p>
1970	<p>აშშ გარემოს დაცვის ეროვნული პოლიტიკის აქტი (1969): მოითხოვს: “კანონმდებლობისთვის და სხვა მნიშვნელოვანი ფედერალური აქტებისთვის გათვალისწინებული შეთავაზებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ... გარემოზე” უნდა შეიცავდეს “დეტალურ განცხადებას...გარემოზე ზემოქმედების შედეგების შესახებ” (ნაწ. 102 (2)(გ))</p> <p>კალიფორნიის გარემოს დაცვის ხარისხის აქტი: მოდელირებულია გარემოს დაცვის ეროვნული პოლიტიკის აქტის შემდეგ და ეხება სახელმწიფო სამსახურების მიერ შემოთავაზებულ ან დამტკიცებულ აქტივობებს, მათ შორის პროგრამებს, გეგმებს და პროექტებს (გაიდლაინები, ნაწ. 15165–15168)</p>
	<p>შუალედური საზოგადოებრივი გამოკითხვადა გარემოს დაცვის მიმოხილვა ძირითადი შემოთავაზებებისთვის: 1970–ანი წლების პოლიტიკის გათვალისწინება (მაგ., მაკენზის ველის მილსადენის კომიტეტი, კანადა, 1974–1977; ავსტრალიის ურანის კომიტეტი 1975–1977)</p>
1978	<p>გარემოს დაცვის ეროვნული პოლიტიკის აქტი– გარემოს ხარისხის საბჭოს რეგულაციები: აყალიბებს ღონისძიებებს, რომლებიც ექვემდებარება გარემოზე პროგრამული ზემოქმედების დასკვნას ისევე, როგორც ის აქტივობები, რომლებიც შეიძლება დაავაჯგუფოთ ზოგადად, გეოგრაფიულად, ან ტექნოლოგიურად (ნაწ. 1052.4 (ბ))</p>
1986	<p>ნიდერლანდები, გარემოს მართვის აქტი (შესწორებულია 1994წ): ეხება ჩამოთვლილ ეროვნულ გეგმებსა და პროგრამებს, მათ შორის, ყველა იმ პროგრამას, სადაც მითითებულია პროექტების ისეთი ლოკაცია, რომლისთვისაც სავალდებულოა გზშ–ს განხორციელება</p>
1989	<p>ავსტრალია, რესურსების შეფასების კომისიის აქტი: ამკვიდრებს რესურსებთან დაკავშირებული პოლიტიკისთვის გამოკითხვების დამოუკიდებელ ორგანოს (კომისია დაიშალა 1993 წელს, კანონი დარჩა ძალაში)</p> <p>მსოფლიო ბანკი, ოპერატიული დირექტივა 4.00 (შესწორდა 1991, 1999): ეხება სექტორული და რეგიონული ეკოლოგიური შეფასების მომზადებას (დანართი A 6–8)</p>
1990	<p>კანადა, პოლიტიკური და საპროგრამო წინადადებებისთვის ეკოლოგიური შეფასების პროცესი, საბჭოს ბრძანება (შესწორდა 1999): ეხება კაბინეტში წარდგენილ შემოთავაზებებს</p>
1991	<p>ახალი ზელანდია, რესურსების მართვის აქტი: ორიენტირების მდგრადობის კანონი პოლიტიკის, დაგეგმვისა და მარეგულირებელი ფუნქციების კომბინაციით ყოვლისმომცველ რეჟიმში.</p> <p>გაერთიანებული სამეფო, პოლიტიკის შეფასება და გარემო (გზამკვლევი): რჩევა მთავრობის ცენტრალური სამსახურებისთვის (განახლებულია „საუკეთესო გამოცდილებით ხელმძღვანელობის“ მიერ, 1994; შესწორდა 1997; განახლდა 1998)</p> <p>ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენცია (Espoo კონვენცია), ძალაში შევიდა 1997: მხარეებს მოწოდებს: “შესაფერის ზღვამდე ...უნდა შეეცადონ [პოლიტიკის, გეგმებისა და პროგრამების მიმართ გზშ პრინციპების] გამოყენებას” (მუხ 2.7)</p>
1992	<p>ECE საპილოტე კვლევა გზშ-ს პოლიტიკის, გეგმები და პროგრამების შესახებ: გვირჩევს მის გამოყენებას წვერი ქვეყნების მიერ</p> <p>ჰონგ კონგი, მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილება, პოლიტიკური დოკუმენტების ეკოლოგიური შედეგები: ეხება აღმასრულებელ საბჭოში წარდგენილ წინადადებებს (მოგვიანებით, განვითარების გეგმებს)</p> <p>ჩეხეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასების აქტი: მოითხოვს SEA–ს კონცეფციების ფართო სპექტრისთვის (ე.ი., პოლიტიკის, სტრატეგიის, გეგმებისა და პროგრამებისთვის), რაც მზადდება ან მტკიცდება ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლების მიერ.</p>

1993	დანია, <i>სამთავრობო კანონპროექტების და სხვა წინადადებების ეკოლოგიური შეფასება</i> –პრემიერ მინისტრის კანცელარიის ცირკულარი (შესწორდა 1995, 1998 როცა სამართლებრივად სავალდებულო გახდა): ეხება პარლამენტში წარსადგენ კანონპროექტებს და სტრატეგიულ წინადადებებს, რომელთა შესახებაც აუცილებელია პარლამენტთან კონსულტაციები ევროკომისია, <i>საკანონმდებლო პროგრამების ეკოლოგიური შეფასება</i> – შიდა კომუნიკაციით: ეხება კომისიის მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო წინადადებებსა და სხვა აქტივობებს.
1994	ნორვეგია, <i>ოფიციალური დოკუმენტებისა და მთავრობის წინადადებების შეფასება</i> : ადმინისტრაციული ბრძანებით: შეიცავს გარემოსთან დაკავშირებულ დებულებებს, მაგრამ ვრცელდება მირითადად ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ შედეგებზე. <i>სლოვაკეთი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების აქტი</i> : შეიცავს მოთხოვნებს საბაზისო განვითარების პოლიტიკის, შერჩეულ ადგილებზე ტერიტორიული გეგმების და ნებისმიერი პოლიტიკური წინადადების სეფასებასთან დაკავშირებით, რასაც შეიძლება მწვავე ზეგავლენა ჰქონდეს გარემოზე (მუხლ.35)
1995	ნიდერლანდები, <i>გარემოს ტესტირება</i> კაბინეტის დირექტივის მიხედვით: ეხება კანონპროექტებს, განხორციელებადობის განხილვის ნაწილს, მიზანშეწონილობას და ბიზნესზე ზემოქმედებას.
1996	<i>ევროკომისიის წინადადება კონკრეტული გეგმების და პროგრამების განხორციელებით გამოწვეული ეფექტების შეფასების დირექტივისთვის</i> (COM (96) 511; შესწორდა COM მიერ (99) 73), შემდგომში მოიხსენიება, როგორც SEA-ს დირექტივა
1998	ფინეთი, <i>საკანონმდებლო წინადადებების ეკოლოგიური ზეგავლენის შეფასების გაიდლაინები</i> – ეხება კანონპროექტების მომზადებას, ასევე, ბრძანებულებებს, რეზოლუციებს და გადაწყვეტილებებს. <i>ინფორმაციისთან წვდომის, გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ კონვენცია</i> , და <i>ეკოლოგიურ საკითხებში სამართლიანობის ხელმისაწვდომობა (ორჰუსის კონვენცია)</i> : <i>საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით მე-7 და მე-8 მუხლებში ჩამოყალიბებული დებულებები ეხება გეგმებს, პროგრამებს და პოლიტიკას; ასევე, კანონებსა და რეგულაციებს, რომლებიც კავშირშია გარემოს დაცვასთან. ECE რეგიონის გარემოს დაცვის მინისტრების მიერ გამოცემული დეკლარაცია გარემოს სტრატეგიული შეფასების შესახებ (ECE/CEP/56):</i> რომელიც ქვეყნებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს მოუწოდებს წარადგინონ და/ან განხორციელონ SEA „როგორც ნომერ პირველი პრიორიტეტი“.
1999	ავსტრალია, <i>გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის აქტი</i> : შეიცავს დებულებებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის პოლიტიკის, გეგმებისა და პროგრამებისთვის SEA-ს განხორციელებას. ფინეთი, <i>გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების აქტი</i> : ეხება პოლიტიკას, გეგმებს და პროგრამებს. გაერთიანებული სამეფო, წინადადებები საუკეთესო გამოცდილების გზამკვლევისთვის რეგიონული დაგეგმვის სახელმძღვანელოს მდგრადობის შეფასების შესახებ (დასრულდა 2000 წ.: შეიცვალა 2005 წელს სახელმძღვანელო დოკუმენტით „მდგრადობის შეფასება რეგიონულ სივრცობრივ სტრატეგიებში და ადგილობრივი განვითარების დოკუმენტებში“)
2001	ევრო საბჭო და პარლამენტი, <i>SEA-ს დირექტივა</i> (2001/42/EC), დამტკიცებულია: ძალაში შევიდა 2004 წლის ივლისიდან, ამჟამად გადატანილია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში. საფრანგეთი, <i>L'évaluation environnementale des plans et programmes de transport</i> (SEA სატრანსპორტო გეგმებისა და პროგრამებისთვის), საფრანგეთის გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი სამინისტროს მიერ.

2002	<p><i>შედეგების შეფასების კომისიის კომუნიკე</i>(COM (2002) 276 საბოლოო)(გადაიხედა გამოცდილების თვალსაზრისით და შემდგომი ანგარიშ გამოიცა 2004 წელს: <i>კომისიის თანამშრომლების სამუშაო დოკუმენტი, შედეგების შეფასება, შემდეგი ნაბიჯები — კონკურენტულობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის</i>(SEC (2004) 1377))</p> <p>ავსტრია, ეკოლოგიური ეფექტების მნიშვნელოვანების შეფასება: <i>SEA-ში გამოყენებული სკრინინგის მიდგომა და კრიტერიუმები</i>, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, გარემოს დაცვისა და წყლის მართვის ფედერალური სამინისტრო</p>
2003	<p><i>SEA შესახებ პროტოკოლი</i> Espoo-სკონვენციისთვის, დამტკიცებულია კიევში</p> <p>შოტლანდია (გაერთიანებული სამეფო), დეველოპერული გეგმების ეკოლოგიური შეფასება, შოტლანდიის ადმსრულებლის განვითარების დეპარტამენტი</p>
2003	<p>ევროკომისია, <i>2001/42/EC დირექტივის განხორციელება</i>-SEA-სდირექტივის მოთხოვნების სახელმძღვანელო</p>
2004	<p>ირლანდია, <i>SEA-სდირექტივის განხორციელება: გაიდლაინების პროექტი რეგიონული ოფიციალური პირებისა და დაგეგმვაზე მომუშავე პირებისთვის</i>, გარემოს, მემკვიდრეობის დაცვის და ადგილობრივი მთავრობის დეპარტამენტი</p>
2005	<p>გაერთიანებული სამეფო, <i>პრაქტიკული გზამკვლევი გარემოს სტრატეგიული შეფასების დირექტივისთვის</i></p> <p><i>გარემოს სტრატეგიული შეფასება პოლიტიკის დონეზე: უკანასკნელი მიღწევები, მიმდინარე სტატუსი, და სამომავლო პერსპექტივები</i>: გამოცემა მომზადდა REC-ისმიერ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის, ჩეხეთის გარემოს დაცვის სამინისტროს სახელით</p> <p>ჰონგ კონგი, <i>გარემოს სტრატეგიული შეფასების სახელმძღვანელო</i>, ჰონგ კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი</p> <p>ზავარია (გერმანია), <i>ეკოლოგიური ანგარიშის მოსამზადებლად წინასწარი გაიდლაინები</i>, ზავარიის მთავრობა, შინაგან საქმეთა და გარემოს დაცვის სამინისტროები</p> <p>ევროკომისია, <i>SEA-სსახელმძღვანელო — სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების ცნობარი</i>, ენერჯეტიკისა და ტრანსპორტის გენერალური დირექტორატი</p> <p>ავსტრია, <i>გარემოს სტრატეგიული შეფასება: მასშტაბის დადგენიდან მონიტორინგამდე</i>, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, გარემოს დაცვისა და წყლის მართვის სამინისტრო</p> <p>შედეგების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია, <i>SEA -ში საერთაშორისო გამოცდილებისა და პერსპექტივების შესახებ კონფერენცია</i>, პრალა</p>
2006	<p>გრინინგის რეგიონული განვითარების პროგრამების ქსელი, <i>სახელმძღვანელო: SEA პოლიტიკური ერთიანობისთვის</i></p> <p>OECD/განვითარების მხარდაჭერის კომისია, <i>გარემოს სტრატეგიული შეფასების განხორციელება: საუკეთესო გამოცდილების გაზიარება კოოპერაციის ჩამოსაყალიბებლად</i>.</p>
2010	<p><i>SEA-ს პროტოკოლის ძალაში შესვლა</i></p>

დანართი 1.3

**SEA -ს შესრულების კრიტერიუმების  
ზემოქმედების შეფასების  
საერთაშორისო ასოციაცია**

კარგი ხარისხით განხორციელებული SEA-სპროცესი გეგმებისა და პროგრამების შემდგენელებს, გადაწყვეტილების მიმღებებს და ზეგავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებას ინფორმაციას აწვდის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მდგრადობის შესახებ, აადვილებს საუკეთესო ალტერნატივების მოძიებას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების დემოკრატიულად მიღებას. ამგვარად, იზრდება მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ ნდობა, რაც თავისმხრივ, ხელს უწყობს პროექტის დონეზე გზმ-სწავლები დროისა და მატერიალური ხარჯების პირობებში ჩატარებას. ამ მხრივ, კარგი ხარისხის SEA-სპროცესი არის:

### *ინტეგრირებული*

- X უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭირო ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმართ ეკოლოგიური შეფასების ჩატარებას.
- X პასუხობს ბიოფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების ურთიერთკავშირს.
- X იერარქიულად არის დალაგებული პოლიტიკის შესაბამის სექტორებში და (ტრანსსასაზღვრო)რეგიონებში, და სადაც შესაძებელია, პროექტის დონეზე გზმ-სა და გადაწყვეტილების მიღებაში.

### *მდგრადობით მართული*

- X ხელს უწყობს განვითარების უფრო მდგრადი ვარიანტებისა და ალტერნატიული წინადადებების იდენტიფიკაციას.<sup>63</sup>

### *ფოკუსირებული*

- X უზრუნველყოფს სათანადო, სანდო და მოსახერხებელ ინფორმაციას დეველოპერული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.
- X კონცენტრირებულია მდგრადი განვითარების ძირითად საკითხებზე.
- X მორგებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხასიათთან.
- X ეფექტურია დროისა და ხარჯების თვალსაზრისით.

### *ანგარიშვალდებულებული*

- X წარმოადგენს სტრატეგიული გადაწყვეტილების მისაღებად წამყვანი სააგენტოების პასუხისმგებლობას.
- X ხორციელდება პროფესიონალურად, მკაცრად, სამართლიანად, მიუკერძოებლად და ბალანსის დაცვით.
- X წარმოადგენს დამოუკიდებელი შემოწმებისა და დადასტურების საგანს.
- X დოკუმენტურად აღწერს და ასაბუთებს, თუ როგორ მოხდა მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

### *თანამონაწილეობრივი*

- X ინფორმაციას აწვდის და მონაწილეობის საშუალებას აძლევს დაინტერესებულ და ზეგავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებას და სამთავრობო ორგანოებს მთლიანად გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- X ამომწურავად იზიარებს მათ წვლილსა და მოსაზრებებს დოკუმენტების მომზადებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.
- X აქვს მკაფიო, ადვილად გასაგები მოთხოვნები ინფორმაციის შესახებ და უზრუნველყოფს სათანადო წვდომას ყველა შესაბამის ინფორმაციასთან.

### *იერარქიული*

- X უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ხელმისაწვდომობას საკმარისად ადრე, იმისათვის რომ გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და ახალი იდეები შესძინოს მომავალ გეგმებს.

<sup>63</sup>ე.ი. ის, რაც სრული მდგრადი განვითარების სტრატეგიას უწყობს ხელს, როგორც ეს ჩამოყალიბებულია რიოს 1992 წლის დღის წესრიგში [დღის წესრიგი 21, რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ, იხ.<http://www.un.org/esa/dsd/agenda21/> და განმარტებულია ქვეყნის სპეციფიკურ პოლიტიკაში ან ღირებულებებში.

- X უზრუნველყოფს სტრატეგიული გადაწყვეტილების განხორციელებით გამოწვეული კონკრეტული შედეგების შესახებ შესაფერის ინფორმაციას, რათა დადგინდეს, საჭიროა თუ არა ამ გადაწყვეტილების გადახედვა, და ასევე, რათა შექმნას მომავალი გადაწყვეტილებებისთვის მყარი საფუძველი.

დანართი ან.1

## შერჩეული ანალიტიკური ინსტრუმენტების აღწერა



წინამდებარე დანართში გაგაცნობთ შემდეგ ტექნიკას:

- X ფორმალური და არაფორმალური საძიებელი სიები.
- X შედეგების და კონფლიქტებისან სინერგიების მატრიცა
- X ექსპერტთა კოლექტიური მსჯელობა – დელფის ტექნიკა.
- X გადაფარვის რუკები და GIS.
- X ტენდენციების ანალიზი და ექსტრაპოლაცია
- X გადაწყვეტილების ხე და შედეგების ქსელი.
- X პროგნოზირებადი და სიმულაციური მოდელირებები.
- X სცენარის შედგენა.
- X სასიცოცხლო ციკლის შეფასება (LCA).
- X დანახარჯებისა და სარგებელის ანალიზი (CBA).
- X მრავალ კრიტერიუმიანი ანალიზი (MCA).

ტექნიკა	ფორმალური და არაფორმალური საძიებელი სიები
აღწერა	<p>საძიებელი სია წარმოადგენს ისეთი საკითხების კატალოგს, რომლებიც შეიძლება გავითვალისწინოთ გეგმის/პროგრამის კონკრეტული სახეობის შეფასებისას. საძიებელ სიაში შეიძლება ჩამოთვლილი იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X ჩვეულებრივ, კონკრეტულ გეგმასთან/პროგრამასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები</li> <li>X სხვადასხვა დეველოპერული ღონისძიებების შესაბამისი ეკოლოგიური ამოცანები</li> <li>X ინდიკატორები ან სპეციფიკური სახელმძღვანელო კითხვები, რომლებიც შეიძლება დაისვას გარკვეული სფეროს გეგმების/პროგრამების მიმართ.</li> </ul>
მოხმარება SEA-ს ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> <li>X კონტექსტისა და საფუძვლების ანალიზის დროს.</li> <li>X პრობლემებისა და ზეგავლენის იდენტიფიკაციის დროს.</li> </ul>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>X გვეხმარება დავალებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის დამახსოვრებაში</li> <li>X ადვილი გზაა იმის გამოსავლენად, არის თუ არა ესა თუ ის საკითხი შემოთავაზებული წინადადების შესაფერისი, და გვეხმარება რომ მხედველობიდან არ გამოვგრჩეს პოტენციური პრობლემები.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>X არ გვთავაზობს ანალიზისთვის სრულყოფილ ანალიტიკურ მიდგომას</li> <li>X ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი ეფექტების უგულებელყოფას, რომლებიც არ მოხვდა საძიებელ სიაში.</li> <li>X შეიძლება მსჯელობა გააბუნდოვანოს შეუსაბამო ინფორმაციით.</li> <li>X არ განსაზღვრავს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ხასიათს — მიდრეკილია ზემოქმედების გარკვეული კატეგორიების მიხედვით კლასიფიცირებისკენ, როცა ზემოქმედება, რეალურად, შეიძლება კომპლექსური სისტემის ნაწილი იყოს.</li> </ul>
ტექნიკა	შედეგების და კონფლიქტების ან სინერგიების მატრიცა
აღწერა	<p>შედეგების მატრიცა გვიადვილებს შემოთავაზებული ინტერვენციის გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე პოტენციური ზეგავლენის იდენტიფიცირებას და პრეზენტაციას (მაგ., შემოთავაზებული ამოცანები ან აქტივობები). ძალიან ჰგავს საძიებელ სიას, და ალბათ ყველაზე კარგი განმარტება იქნება, თუ „ორგანიზმილებიან საძიებელ სიას“ დავარქმევთ. აქ შეიძლება გამოვიყენოთ სიმბოლოები, ასო-ნიშნები, და ციფრები, სხვადასხვა ზომითა და ფერით, – იმისათვის რომ ვაჩვენოთ მოსალოდნელი ზეგავლენის ხასიათი, ან მისი დაახლოებითი მასშტაბი ან მაგნიტუდა. მატრიცის საშუალებით შეიძლება კუმულაციური და არაპირდაპირი ზემოქმედებების ურთიერთკავშირის ილუსტრირება. მაგალითად, შეიძლება მატრიცა შეიცავდეს სვეტს, ან მწკრივს, სადაც შეჯამებული იქნება შემოთავაზებული ინტერვენციის სრული ზეგავლენა. წარმოდგენილი ინფორმაცია ადვილად დასადასტურებელი უნდა იყოს, ხოლო თითოეულ მატრიცას შეიძლება დაჭირდეს სპეციფიკური ეფექტების განმარტებითი ტექტის დართვა.</p>

	კონფლიქტების ან სინერგიების მატრიცა გვიჩვენებს შემოთავაზებულ ინტერვენციებსა (მაგ. შემოთავაზებული ამოცანები ან აქტივობები) და შესაბამის ეკოლოგიურ თუ სხვა ამოცანებს (მაგ., უფრო მრავლისმომცველი შეფასებების დროს) შორის ურთიერთკავშირს
მოხმარება SEA-ს ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> <li>× პრობლემებისა და ზეგავლენების იდენტიფიკაცია</li> <li>× ზეგავლენის შეფასება</li> <li>× ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში დახმარება</li> </ul>
უპირატესობები	<ul style="list-style-type: none"> <li>× გვაწვდის შედეგების ადვილად ინტერპრეტირებად, ვიზუალურ შეჯამებას</li> <li>× შეიძლება მისი ადაპტირება კუმულაციური ზეგავლენის და ასევე, ზეგავლენებს შორის ურთიერთქმედების გამოსავლენად</li> <li>× სასარგებლო ინსტრუმენტია შედეგების საპრეზენტაციოდ, მაგალითად, საგნობრივი შეფასებიდან ან ციფრული მოდელირებიდან.</li> <li>× შეიძლება ისეთი ფორმა მივცეთ, რომ მოიცავს ურთიერთქმედების პოტენციური და მოახდინოს სხვადასხვა აქტივობების ან პროექტების შედეგების კომბინირება. გამოსადეგია ალტერნატიული ვარიენტების შედარებისთვისაც.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>× მატრიცებში ხშირად მხოლოდ პირდაპირი ზეგავლენაა ასახული.</li> <li>× ყველა შემოთავაზებულ აქტივობასა და ეკოლოგიურ პრობლემას შორის ყველა პოტენციური ურთიერთქმედების გათვალისწინებით, შეიძლება მომხმარებელი მიიყვანოს ანალიზის ზედმეტად გართულებამდე . ეს დროის დიდ დანახარჯებს მოითხოვს და შეიძლება ყურადღება მცირე მნიშვნელობის ზეგავლენაზე გადაიტანოს.</li> </ul>
პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები	<p>მოცემული მატრიცის ნიმუში შედგენილია ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული განვითარების შეფასებისთვის (გარემოს სტრატეგიულ შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობისა და ჯანმრთელობის ასპექტების შესახებ საერთაშორისო სემინარი) (2001, REC), გვ. 122; ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <a href="http://archive.rec.org/REC/Publications/Proceedings/SEAProceedings.pdf">http://archive.rec.org/REC/Publications/Proceedings/SEAProceedings.pdf</a>.</p> <p>მატრიცის მეთოდი რეკომენდებულია ალტერნატივების სკრინინგის დროსაც (ნახშირბადის ორჟანგის მოპოვებისა და შენახვის SEA, იხ.: <a href="http://uregina.ca/ghgt7/PDF/papers/poster/143.pdf">http://uregina.ca/ghgt7/PDF/papers/poster/143.pdf</a>).</p>

ტექნიკა	ექსპერტთა კოლექტიური მსჯელობა – დელფის ტექნიკა
აღწერა	<p>ექსპერტთა კოლექტიური მსჯელობით მრავალჯერადად ხდება მოსაზრებებისა და პერსპექტივების განსჯა შესაბამისის სფეროს აღიარებული ექსპერტების მიერ. სპეციფიკური საშუალებები, რომლითაც ამ მიზნის მიღწევა შეიძლება შეიძლება მოიცავდეს უბრალოდ სემინარებს, ინტერვიუებს, ან კითხვარებს, რომლებიც პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული (მაგ., შესაძლო ზეგავლენისა თუ რისკის შეფასება), და, ასევე, უფრო გამოცდილ ტექნიკასაც. ეს საშუალებებია აღწერილი დანართში A5.2</p> <p>დელფის ტექნიკა ექსპერტთა კოლექტიური მსჯელობის სისტემურ და ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ის შესაძლებელს ხდის უპირატესი მოსაზრებების გამოვლენას ექსპერტთა ისეთი ფართო ჯგუფიდან, ვინც პირდაპირ არ ურთიერთობს ერთმანეთთან. ამდენად, ეს ტექნიკა ამცირებს ხარჯებს და შესაძლებელს ხდის გეოგრაფიულად დაშორებული ადგილებიდან სხვადასხვა ექსპერტის მონაწილეობას. მისი საშუალებით იკვეთება ის პრინციპები და ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება ეფექტურად გატარდეს სხვა, დროის ნაკლებად მფლანგველი ტექნიკის დროს ექსპერტთა მოსაზრებების ფორმულირებისთვის (მაგ. სემინარები, კონფერენციები, მისთ).</p> <p>დელფის ტექნიკა ეფუძნება ქვემოთ მოყვანილ ძირითად ეტაპებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოკვეთეთ რა ინფორმაციაა საჭირო, ჩამოაყალიბეთ შეკითხვები და გაარკვიეთ პროცესის ხანგრძლივობა.</li> <li>• გამოკვეთეთ ექსპერტთა საჭირო რაოდენობა, რომლებიც დელფის კომისიაში იმუშავებენ და განუმარტეთ დავალება</li> <li>• მოამზადეთ და გაავრცელეთ ღია და დახურული შეკითხვების პირველადი ნაკრები</li> </ul>
	<p>X შეაგროვეთ და ანალიზი ჩაუტარეთ პირველ გამოხმაურებებს და აკინძეთ ყველა გამოხმაურება. თუ ხშირად გამოიყენებოდა ღია შეკითხვები, ანალიზი ჩაუტარეთ და წარმოადგინეთ გამოხმაურების პირველი ნაკრები შესაფერისი თეორიული სტრუქტურით, ტიპოლოგიით, ან მიმოხილვით.</p> <p>X იგივე შეკითხვები კომისიის წევრებს დაუგზავნეთ მეორედ, და მესამედ. პროცესი შეიძლება განმეორდეს დამატებითი „ტალღებით“, თუ საჭიროა. შეკითხვებთან ერთად გაუგზავნეთ მიღებული გამოხმაურებებიც, რათა კომისიის წევრებს საშუალება მისცეთ გაეცნონ ერთმანეთის მოსაზრებებს და შეაჯერონ საკუთარი მოსაზრებები.</p> <p>რესპოდენტები წაიკითხავენ ერთმანეთის გამოხმაურებებს და ხელახლა უპასუხებენ შეკითხვებს. მას შემდეგ, რაც მოხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, ადამიანების საკუთარი აზრის ჩამოყალიბების დროს გაითვალისწინებენ ერთმანეთის იდეებს, და მიაღწევენ მკაფიო ურთიერთგაგებას პრობლემებთან მიმართებაში, რასაც შემდგომში გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინებენ.</p> <p>X ყოველთვის მოამზადეთ და კომისიის წევრებს შორის გაავრცელეთ საბოლოო ანგარიში. დელფის კომისიაში სპეციალისტების მონაწილეობის ერთ-ერთი მოტივაციაა, რომ სხვებზე ადრე, პირველი ხელიდან შეიტყონ, თუ რას წარმოადგენს დელფის კვლევა.</p>
მოხმარება SEA-ს ფარგლებში	<p>X კონტექსტისა და საფუძვლების ანალიზის დროს.</p> <p>X პრობლემებისა და ზეგავლენის იდენტიფიკაციის დროს. X შედეგების შეფასების დროს</p>
უპირატესობები	<p>X შეუძლია მოაგვაროს ძალიან რთული და ტექნიკური პრობლემები.</p> <p>X იდეების გაზიარებისა და კონსენსუსის საშუალებას იძლევა მრავალი დაინტერესებული მხარის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, რომლებიც გეოგრაფიულად დაშორებულნი არიან ერთმანეთისგან. მონაწილეებისათვის მოსახერხებელია, რადგან მათ შეუძლიათ საკუთარი სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად ჩაერთონ პროცესში.</p>
ნაკლი	<p>X ორგანიზატორებისგან მოითხოვს საკმაო დროს (შეიძლება რამდენიმე თვეც გაგრძელდეს)</p> <p>X მონაწილეთა მონაწილეობა შეიძლება შესუსტდეს, თუ პროცესი ძალიან გაჭიანურდა, ან მონაწილეებს სხვა პასუხისმგებლობები გაუჩნდებათ.</p> <p>X საჭირო ხდება მონაცემთა დიდი რაოდენობის ყურადღებით შეფასება და გავრცელება, ამდენად, შეიძლება მნიშვნელოვანი ხარჯები დაჭირდეს პროცესის მართვას.</p>

პრაქტიკული  
გამოყენების ან  
დამატებითი  
ინფორმაციის  
ძირითადი  
წყაროების  
მაგალითები

ნეჰილი ჯ.მ. (2001) *როგორ ჩავატაროთ დელფის კვლევა*  
ბ. დიკი, *დელფი პირისპირ* (2000, აქტივობის კვლევის წყაროები); იხ.:  
<http://www.scu.edu.au/schools/gcm/ar/arp/delphi.html>.

ტექნიკა	გადაფარვის რუკები და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები
აღწერა	<p>გადაფარვის რუკები და GIS წარმოადგენს ზეგაველენის სივრცობრივი განაწილების მეთოდს. ორივე მეთოდი ითვალისწინებს ინფორმაციის რუკების ან შრეების მომზადებას, რაც შემდეგ ერთმანეთზე გადაფარვით არის წარმოდგენილი. მათი საშუალებით შეიძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X გარემოს (ჯანმრთელობის ჩათვლით) კომპოზიციური გამოსახულების შექმნა (მგრძნობიარე ტერიტორიები ან რესურსები, მისთ.).</li> <li>X წინამორბედი პროექტების ამჟამინდელი შედეგების ჩვენება</li> <li>X მომავალი აქტივობების პოტენციური შედეგების ილუსტრირება</li> <li>X კუმულაციური შედეგების, ან ზეგაველენის რუკის შედგენა სხვადასხვა რეცეპტორების გამოყენებით.</li> </ul> <p>სივრცობრივი ანალიზის მნიშვნელოვანი თვისებაა ფოტოგრაფიული მონაცემების დამუშავების უნარი, რომელიც არსებითია ინფრასტრუქტურის დაგეგმვის, ან განსაზღვრული შედეგების შეფასების დროს (მაგ., ხმაური, ადგილობრივად ჰაერის ხარისხი, ვიზუალური გავლენა).</p> <p>რუკების გადაფარვის მექანიკური ტექნიკის საშუალებით ხდება სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი რამდენიმე გაჭირვალე რუკის ერთმანეთზე გადაფარვა.</p> <p>GIS-ის საშუალებით შეიძლება სწრაფად ავაგოთ მრავალშრიანი ელექტრონული რუკები და მიჩნეულია, როგორც გადაფარული რუკების მაღალტექნოლოგიური ვერსია. GIS ასევე მოსახერხებელია მონაცემთა დიდი რაოდენობის დასამუშავებლად. მას შემდეგ რაც</p>

	მომზადდება GIS ბაზა, დამატებითი ინფორმაცია შეიძლება შევიდეს ან შეიცვალოს საჭიროებისამებრ; ამდენად ადვილია შეტანილი ინფორმაციისა და მიღებული სურათის განახლება.
მოხმარება SEA-ს ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> <li>X კონტექსტისა და საფუძვლების ანალიზის დროს.</li> <li>X პრობლემებისა და ზეგავლენის იდენტიფიკაციის დროს. X შედეგების შეფასების დროს</li> <li>X ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში დახმარება</li> </ul>
უპირატესობები	X ორივე ტექნიკა გვეხმარება წარსული, მიმდინარე და მომავალი შედეგების ვიზუალურად წარმოდგენაში
ნაკლი	X ორივე ტექნიკა ძვირი და დროის მხრივ მომთხოვნია.
პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები	ბრიტანეთის გეოლოგიური კვლევის ანგარიში (2004) <i>გარემოს სტრატეგიული შეფასების შესახებ (SEA) და გართიანებული მონაცემები აღმოსავლეთ მიდლენდის რეგიონში</i> წარმოგვიდგენს GIS-ის გამოყენების მთელ რიგ მეთოდებსა და მიდგომებს (იხ. <a href="http://www.bgs.ac.uk/downloads/browse.cfm?sec=12&amp;cat=136">http://www.bgs.ac.uk/downloads/browse.cfm?sec=12&amp;cat=136</a> ).

ტექნიკა	ტენდენციების ანალიზი და ექსტრაპოლაცია
აღწერა	<p>ტენდენციების ზუსტი ანალიზი ნებისმიერი სტრატეგიული შეფასების ერთერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. SEA-ს კონტექსტში, ის შეიძლება განვმარტოთ, როგორც ეკოლოგიური მდგომარეობის დროთა განმავლობაში ცვლილების ინტერპრეტაცია. ტენდენციების ანალიზში გამოიყენება მონაცემთა ნაკრები და გვეხმარება ნებისმიერი ტენდენციისა თუ მისი ნიმუშზე დასაკვირვებლად. ტენდენციები შეიძლება იყოს სწორხაზოვანი, საჩვენებელი ან ციკლური და როცა შესაძლებელია, უნდა გაანალიზდეს დროის მართებულ მასშტაბში. ტენდენციების წარდგენა საკმაოდ მარტივად, მაგ., სწორხაზოვანი გრაფიკით, ან საკმაოდ რთულად, მაგ., სამგანზომილებიანი გრაფიკული ან ვიდეო სიმულაციით. არსებობს მრავალი კომპიუტერული პროგრამა რომელიც აიოლებს ტენდენციების ანალიზს (მაგ. ყველაზე მარტივია კომპიუტერული პროგრამა ელექტროცხრილებისთვის, ხოლო ყველაზე მოწინავე პროგრამებში შედის RATS, GAUSS, JMP და მისთ. პროგრამები).</p> <p>ტენდენციების ანალიზის საშუალებით შეგვიძლია მარტივად წარმოვადგინოთ ეკოლოგიურ რყევებსა და ეკოლოგიურ მდგომარეობაში შესაბამის (ხანდახან დაგვიანებულ) ცვლილებებს შორის კავშირი. მას ასევე შეუძლია დაგვეხმაროს სამომავლო ზეგავლენების პროგნოზირებაში. შეიძლება ზოგიერთი ტენდენციის უსაფრთხოდ ექსტრაპოლირება იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ ტენდენცია იმავე დინამიკით გაგრძელდება. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ვირტუალურად ყველა ტენდენციას აქვს თავისი კონტრ-ტენდენცია. ზედმეტად გამარტივებულმა ექსტრაპოლაციამ, რომელიც არ ითვალისწინებს თუ როგორ განვითარდება ტენდენცია მას შემდეგ, რაც ის მიაღწევს უკიდურეს ზღვარს (მაგ., როცა გარემოს გამტარუნარიანობის ზღვარი მიიღწევა ან გადაილახება), ან როცა კონტრ-ტენდენცია გაძლიერდება, შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს.</p> <p>ტენდენციების ექსტრაპოლაციას ამდენად, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საშუალო და მოკლე ვადიანი პროგნოზების დროს, როცა არ არის მოსალოდნელი რაიმე მნიშვნელოვანი კონტრ-ტენდენციის წარმოშობა ან კრიტიკული ზღვარის მიღწევა. გრძელვადიანი ტენდენციები შეიძლება ამომწურავად გამოვლინდეს მხოლოდ მოდელირების საშუალებით, თუ საერთოდ გამოვლინდება.</p>
მოხმარება SEA-ს ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> <li>X კონტექსტისა და საფუძვლების ანალიზის დროს.</li> <li>X შედეგების შეფასების დროს</li> </ul>
უპირატესობა	X შეუძლია დახმარება გაუწიოსკუმულაციური ზეგავლენის რაოდენობრივ კვლევას ისეთი შემთხვევების დროს, როცა ეკოლოგიური მონაცემები ხელმისაწვდომია დროის ხანგრძლივ მონაკვეთში.

ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>× ხშირად წარმოიქმნება სიტუაცია, როცა შეუძლებელია შესაფერისი ან სათანადო მონაცემების მოპოვება კონკრეტული გარემოსდაცვითი პროცედურების შესახებ.</li> <li>× იმ შემთხვევებში, როცა მონაცემებში გარკვეული ჩავარდნაა, საჭირო ხდება შესაბამისი სტატისტიკური მეთოდის გამოყენება, რათა ტენდენციები სწორად იქნას ინტერპრეტირებული. ასეთი ანალიზი შესაძლოა რთული და მოცულობითი აღმოჩნდეს.</li> </ul>
პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები	<p>ტენდენციების განსხვავებული მაგალითებია <i>სატრანსპორტო გეგმებისა და პროგრამებისთვის გარემოს სტრატეგიული ანალიზის</i> ტრანსპორტის ანალიზის მეგზურში (2004), რომლის ელექტრონული ვერსიაც გაერთიანებულისამეფოს სატრანსპორტო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მისამართზე: <a href="http://www.dft.gov.uk/webtag/documents/project-manager/unit2.11.php">http://www.dft.gov.uk/webtag/documents/project-manager/unit2.11.php</a>.</p>

ტექნიკა	გადაწყვეტილების ხე და შედეგების ქსელი
აღწერა	<p>ქსელები და სისტემები მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ილუსტრირებას ახდენს. მათი მეშვეობით ირკვევა ეფექტის "სვლაგეზი", რისთვისაც გამოიყენება წამოყენებულ წინადადებასა და იმ ფართო გარემოს შორის ჯაჭვები (ქსელები) ან სისტემური დიაგრამები, რომლის ფარგლებშიც გამოიხსნება ამ შემთავაზების განხორციელება. ამ ტექნიკის საშუალებით შეგვიძლია გამოვხატოთ გეგმის/პროგრამის როლი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში და მისი გვერდითი ეფექტები განვითარების სხვა პროცესებზე (გადაწყვეტილების ხე), ან თანდათანობითი პროგრესისა მყისიერი პირდაპირი ეფექტებიდან არაპირდაპირ, ან გრძელვადიან, ან დაგვიანებულ ეფექტებამდე (ეფექტების ქსელი).</p> <p>თუ ხელმისაწვდომია საჭირო მონაცემები, შესაძლებელია ქსელურ დიაგრამაში რაოდენობრივი განზომილების ჩართვაც. ეს ტექნიკა წარმოადგენს მოდელირების მარტივ ტექნიკას და საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ეფექტები და მათი ურთიერთქმედება (მოდელირების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ).</p> <p>ქსელური სისტემის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ეტაპებშია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>× ზომებისა და ღონისძიებების გააზრება და სიის შედგენა.</li> <li>× თითოეული ზომისა და ღონისძიების ეფექტის იდენტიფიცირება გარემოს განვითარების სხვა პროცესებზე ან პირდაპირი ეფექტის ქვეშ მყოფ ელემენტებზე</li> <li>× განვითარების სხვა პროცესებზე ან გარემოს სხვა ელემენტებზე ირიბი ეფექტის იდენტიფიცირება – რის საშუალებითაც გამოვლინდება „სვლაგეზი“ პირდაპირი ეფექტებიდან ირიბ გავლენამდე.</li> <li>× დგინდება, ამ მოქმედების დროს, ხომ არ აქვს ადგილი რაიმე სახის კუმულაციურ ეფექტს განვითარების იმავე პროცესის ნიმუშზე, ან გარემოს რომელიმე ელემენტზე.</li> <li>× შესაფერისი შემთხვევასი ითვალისწინებს გამოხმაურების რკალს.</li> <li>× შესაფერისი შემთხვევაში, გამოიყენება რაოდენობრივი ტექნიკა, როგორც მოდელირების მარტივი ფორმა ეფექტების შესავსებლად.</li> </ul>
მოხმარება SEA-ს ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> <li>× კონტექსტისა და საფუძვლების ანალიზის დროს.</li> <li>× შედეგების შეფასების დროს</li> <li>× ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში დასახმარებლად</li> </ul>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>× დიაგრამების ბლოკები დაგეხმარება ეფექტების გაგებაში.</li> <li>× ქსელური დიაგრამები მკაფიოდ გამოსახავს „სვლაგეზის“ ურთიერთქმედებას – მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმი უფრო ძლიერდება</li> <li>× მიუხედავად იმისა, რომ ქსელური ანალიზი შეიძლება არ იყოს რაოდენობრივი, ის მაინც გვაძლევს მყარ საფუძველს რათა ავირჩიოთ, რომელი პროცესი შეიძლება იყოს რაოდენობრივად განხილული ან მოდელირებული უფრო დეტალური ფორმით.</li> <li>× არ ხდება სივრცული ან დროითი მასშტაბის უზრუნველყოფა.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>× ქსელურ ანალიზში გამოიყენება შედეგების შეფასების სრულყოფილი მიდგომა, ამდენად, მის ბოლომდე მიყვანას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დაჭირდება.</li> <li>× დიაგრამები შეიძლება ძალიან გართულდეს</li> </ul>

ტექნიკა	პროგნოზირებადი და სიმულაციური მოდელირება
აღწერა	<p>მოდელირება წარმოადგენს ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც ეკოლოგიური ეფექტების რაოდენობრივი გაანალიზების საშუალებას გვაძლევს ეკოლოგიური პირობების მოდელირების გზით. მოდელირებისას ეფექტების პროგნოზირებისთვის ხშირად გამოიყენება კომპიუტერული ტექნოლოგიები. მათემატიკური მოდელი მოიცავს ეკოლოგიური ასპექტების სივრცულ და დროით ანალიზს, როგორცაა, ჰაერისა და წყლის ხარისხი, წყლის მოცულობა და ნაკადი, ხმაურის დონე, ნიადაგსა და მწვანე საფარზე ჰაერით გამოწვეული დაბინძურება. მოდელირების სხვა სახეობები მოიცავს ასევე სოციო-ეკონომიკურ მოდელს, ჯიშობრივი გავრცელების მოდელს, და საექსპერტო სისტემას, რომლის მეშვეობითაც პროექტის ეფექტები გადაწყვეტილებების პროგრამის მეშვეობით დგინდება.</p> <p>ყველაზე მოწინავე და ხშირად გამოყენებული მოდელებია ჰაერის ხარისხის, წყლის ხარისხის და ხმაურის, ასევე ეკოლოგიური და ვიზუალური ეფექტების შესაფასებელი მოდელები. ამ ეფექტების შესაფასებლად ხელმისაწვდომია სხვადასხვა მოდელების მთელი წყება. მათი გამოყენება შეიძლება გეგმაში/პროგრამაში წარმოდგენილი ღონისძიებების პირდაპირი და კუმულაციური ეფექტებისთვის და ემისიებისა და დეველოპერული წინადადებების შედეგად წარმოქმნილი ზოგიერთი ირიბი ეფექტის შეფასების საშუალებას გვაძლევს.</p>
მოხმარება SEA-ს ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> <li>X შედეგების შეფასების დროს.</li> <li>X ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში დასახმარებლად.</li> </ul>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>X ხმაურის, ჰაერის დისპერსიის, და ჰიდროდინამიკის მოდელების ფორმები კარგადაა განვითარებული და განზოგადებული და ამდენად, მიესადაგება პირდაპირი და კუმულაციური ეფექტების შეფასებას.</li> <li>X შეიძლება მოდელირების შედეგების ეფექტური კომბინირება გადაფარვის ტექნიკასთან, მაგალითად, სხვადასხვა ალტერნატივების შესაფასებლად.</li> <li>X მოდელირება განსაკუთრებით ხელსაყრელი ინსტრუმენტია დროთა განმავლობაში სივრცეში ეფექტების სიმულირებისთვის.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>X მოდელების შექმნა ძალიან ძვირი და დროში გაწელილი საქმიანობაა.</li> <li>X მოდელი შეიძლება მხოლოდ იმდენად იყოს ზუსტი, რამდენად ზუსტიცაა მოდელის კონსტრუირებისთვის და კალიბრაციისთვის მასში გამოყენებული საბაზისო ეკოლოგიური მონაცემები, დაშვებები და ვარაუდები.</li> <li>X ნებისმიერი მოდელისთვის ძნელია რეალისტურად გამოსახოს ბუნებრივი სისტემის ყველასირთულე.</li> <li>X მოდელებს, ასევე, პესიმისტური შედეგების მომტანი მეთოდის რეპუტაცია აქვს და მონაცემებზე მანიპულირებაც ძალიან ადვილად ხდება.</li> <li>X ახალი მოდელის ჩამოყალიბება გარდა ძალიან დიდი დანახარჯებისა, საკმაოდ დროს მოითხოვს ექსპერტებისგან და მონაცემებს. ამის გამო, ამ მეთოდის გამოყენება ხდება დიდი მასშტაბისა და კომპლექსური პროექტებისთვის.</li> <li>X ამდენად, ხშირად უფრო მიზანშეწონილია უკვე გამოყენებული მოდელის მოხმარება, რომელიც უკვე დამკვიდრებული და მოწონებულია.</li> </ul>

ტექნიკა	სცენარის ჩამოყალიბება
აღწერა	<p>სცენარის ჩამოყალიბება არის პროცესი, როცა ხდება ისეთი ჰიპოთეტური სიტუაციების შექმნა, რომელშიც მომავალ განვითარებაზე ეფექტის მქონე ყველაზე გაურკვეველი და მნიშვნელოვანი მამომრავებელი ძალებია გათვალისწინებული. ტექნიკა მიზნად ისახავს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. რომელია მამომრავებელი ძალები?</li> <li>2. რა გაურკვეველობები არსებობს?</li> <li>3. რა არის გარდაუვალი?</li> <li>4. რას ფიქრობთ ამა თუ იმ სცენართან დაკავშირებით?</li> </ol> <p>სცენარის შედგენა ხანდახან უკავშირდება პროგნოზირებას, რომელიც მომავალი მოვლენების გამოცნობას გულისხმობს, თუმცა, ამ შემთხვევაში გამოიყენება ისტორიული მონაცემების მიხედვით გაკეთებული გათვლები.</p>

	<p>პიტერ შვარცის მიერ <i>შორსმჭვრეტელი ხედვის ხელოვნებაში</i><sup>64</sup> აღწერილი სცენარის შედგენის ეტაპები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს SEA-თვის.</p> <p>სხენებული რვა ეტაპი მოიცავს შემდეგს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. <i>გამოვლინეთ ცენტრალური გადაწყვეტილება ან პრობლემა.</i> სად იქნება სცენარის ქონა ხელსაყრელი? რეალურად რისი გაგება გინდათ?</li> <li>2. <i>გამოვლინეთ ადგილობრივი გარემოს ძირითადი ძალები.</i> რა ფაქტორები ახდენს გავლენას ცენტრალურ პრობლემასა თუ გადაწყვეტილებაზე? რისი გაგება მოუწოდებთ გადაწყვეტილების მიმღებპირებს არჩევანის გაკეთებისას?</li> <li>3. <i>გამოვლინეთ მამოძრავებელი ძალები.</i> რა ძირითადი ტენდენციები ახდენს გავლენას მთავარ ძალებზე?</li> <li>4. <i>რანჟირება გაუკეთეთ მთავარ და მამოძრავებელ ძალებს მათი მნიშვნელოვანებისა და გავლენის ხარისხის მიხედვით.</i> გამოვლინეთ მთავარი ან მამოძრავებელი ძალა ყურადღებით უნდა გადაისინჯოს, რადგანაც მათ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა მნიშვნელოვანი სცენარის შედგენისას. შეარჩიეთ ორი ან სამი სცენარი, რომელსაც უფრო დეტალურად განიხილავთ.</li> <li>5. <i>შეარჩიეთ სცენარის ლოგიკა.</i> რანჟირების შემდეგ, აიღეთ ინფორმაცია სცენარის შესაქმნელად ძირითადი ცვლადების აღწერისთვის.</li> <li>6. <i>განახალეთ სცენარის ჩარჩო მე-2 და მე-3 ეტაპზე ჩამოყალიბებული სხვადასხვა ფაქტორებისა და მამოძრავებელი ძალების განხილვით.</i> სცენარში თითოეულ ძირითად ფაქტორსა და მამოძრავებელ ძალას უნდა მიენიჭოს გარკვეული როლი. მაგალითად, თუ ორი ძირითადი ფაქტორი გაქვთ და ორიც მამოძრავებელი ძალა, ეს გაძლევთ სცენარის ჩამოყალიბების ოთხ შესაძლებელ კომბინაციას.</li> <li>7. <i>განმარტეთ ქვეტექსტები.</i> მას შემდეგ რაც სცენარი განსაზღვრულია, დაფიქრდით რა შედეგები მოჰყვება – რა მოხდებოდა სცენარის სხვადასხვა ვარიანტის დროს? შეიტანეთ თქვენს სცენარში.</li> <li>8. <i>აირჩიეთ წამყვანი ინდიკატორები და მაჩვენებლები.</i> სცენარი დაუკავშირეთ რეალურ მდგომარეობას – მიმდინარე ტენდენციების ფონზე ზოგიერთი უფრო სავარაუდოა, ვიდრე სხვები. შემდეგ, გამოავლინეთ დამატებითი ინდიკატორები (მაგ. წამყვანი ინდიკატორები), რომლებიც „გამაფრთხილებელ“ სიგნალს მოგცემენ, თუ თქვენი სცენარი დაკარგავს მნიშვნელობას.</li> </ol>
<p>მოხმარება SEA-ს ფარგლებში</p>	<p>X შედეგების შეფასებისას</p> <p>X ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში დასახმარებლად.</p>
<p>უპირატესობა</p>	<p>X სცენარებში მოცემულია რეალობის გამარტივებული ვერსია და გზა, რომლითაც შეიძლება მათში გამოყენებული კომპლექსური სისტემების შესახებ საერთო წარმოდგენა ჩამოყალიბდეს.</p> <p>X სცენარი შეიძლება გამოვიყენოთ იდეების შესამოწმებლად და თანამდევნი მოვლენების გამოსავლენად.</p>
<p>ნაკლი</p>	<p>X სცენარის ჩამოყალიბებასა და ინტერპრეტაციას შედარებით მაღალი ტექნიკური უნარები ესაჭიროება.</p> <p>X სცენარი არ იქნება იმაზე უკეთესი, ვიდრე თავად მოდელი და მასში გამოყენებული მონაცემებია. ყურადღებით შემოწმება და დადასტურება აუცილებელია ზედაპირულ მოდელზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და აქტივობების თავიდან ასაცილებლად.</p> <p>X სცენარში შეიძლება დაგვჭირდეს კომპლექსური მათემატიკური ოპერაციები ან გრაფიკული ნახაზები, რომელთა გაგება და ახსნაც ძნელია არა-ტექნიკური სპეციალისტების აუდიტორიისთვის და პოლიტიკის შემქმნელებისთვის.</p>

<sup>64</sup> შორსმჭვრეტელი ხედვის ხელოვნება: თქვენი და თქვენი კომპანიის სტრატეგიული ინტუიცია (ნიუ იორკი, 1991).



ტექნიკა	სასიცოცხლო ციკლის შეფასება (LCA) <sup>65</sup>
აღწერა	<p>LCA წარმოადგენს პოტენციური ეკოლოგიური ეფექტების და პრობლემების შეფასების ტექნიკას, რომლებიც უკავშირდება პროდუქტს ან მომსახურებას და ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X შესაფერისი წვლილისა და შედეგების ინვენტარიზაციის შედგენით.</li> <li>X ამ წვლილსა და შედეგებთან დაკავშირებული პოტენციური ეკოლოგიური ეფექტების შეფასებით</li> <li>X ინვენტარიზაციის შედეგების და კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, ეფექტური ფაზების ინტერპრეტაციით</li> </ul> <p>LCA ზოგადად, როგორც მინიმუმი ეხება ენერგეტიკას, მაგრამ შეიძლება შეიცავდეს ჰაერში ან წყალში ემისიას, მიწათსარგებლობას და ბუნებრივი რესურსების გამოფიტვას.</p>
მოხმარება SEA-ს ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> <li>X პრობლემებისა და ეფექტების იდენტიფიცირებისას</li> <li>X შედეგების შეფასებისას.</li> <li>X ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში დასახმარებლად.</li> </ul>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>X ეფექტების ყოვლისმომცველი ანალიზი „დაბადებიდან–გარდაცვალებამდე“ მიდგომით.</li> <li>X LCA ადასტურებს ეკოლოგიური ეფექტების შეფასებისას გამოყენებულ სისტემურ ზღვრებს.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>X ენერგეტიკის გარდა, ძალიან ძნელია რაოდენობრივი ანალიზი ჩაუტარდეს ემისიას ნებისმიერი შესაძლო პროცესიდან, მოითხოვს ემისიის ინვენტარიზაციას.</li> <li>X LCA ძალიან ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ, და, ინვენტარიზაციის ინტერპრეტირებისას, ყურადღება უნდა მივაქციოთ სუბიექტურ მსჯელობებს.</li> <li>გარკვეული პროდუქტები არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ ზუსტად შევაფასოთ გარემოზე ზემოქმედება (მაგ. მეტალი, ). გარდა ამისა, წარმოების პროცესი და მოხმარება შეიძლება სხვადასხვაგვარად ხდებოდეს სხვადასხვა ქვეყანაში.</li> <li>X LCA-ში წარმოდგენილი ციფრების გაერთიანების და მათი სხვადასხვა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეფექტების შესადარებლად გამოყენების სანდო მეთოდები ჯერჯერობით არ არსებობს.</li> <li>X ერთ-ერთი მთავარი პრობლემა LCA-ს დამაჯერებლობის დაკნინების გარეშე კომერციულად მგრძობიარე ნედლი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა.</li> <li>X LCA-ს არ გააჩნია სივრცული და დროითი მკაფიოობა.</li> <li>X უმეტეს შემთხვევებში შეუძლებელია LCA გამოყენებით საბოლოოდ დავამტკიცოთ, რომ ესა თუ ის პროდუქტი თუ პროცესი ჯობია რომელიმე სხვას, რადგან ბევრი პარამეტრის იმდენად გამარტივება შეუძლებელია, რომ ასეთ დასკვნამდე მივიდეთ.</li> <li>მრავალი LCA აღწევს განსხვავებულ და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს მსგავსი პროდუქტების შესახებ.</li> </ul>
პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები	<ul style="list-style-type: none"> <li>X INTERREG III B პროექტი Alp FRail (<a href="http://www.lkzprien.de/de/main/alpine_freight_railway.htm">http://www.lkzprien.de/de/main/alpine_freight_railway.htm</a>). ოპერატიული გადაწყვეტილებები ტრანსალპური სარკინიგზო სატვირთო გზისთვის და ალპურ ზონაში ეკონომიკური კავშირების მდგრადი მართვისთვის. იხ. <a href="http://www.deutscher-verband2.org/cms/fileadmin/medias/PDFs_Projekte/Alp_Frail_Kurzdarstellung-CADSES-de.pdf">http://www.deutscher-verband2.org/cms/fileadmin/medias/PDFs_Projekte/Alp_Frail_Kurzdarstellung-CADSES-de.pdf</a>.</li> <li>X „სრული სასიცოცხლო ციკლის შეფასება შვეიცარიის სამანქანო ფლოტის ავტომობილების მოდელისათვის“, გაბორ დოკას და საბინა ზაიგლერის საკონფერენციო მოხსენება შვეიცარიის ტრანსპორტის კვლევის შესახებ პირველ კონფერენციაზე (ასკონა, 1–3 მარტი, 2001); ხელმისაწვდომია: <a href="http://www.doka.ch/DokaMobilitySTRCproc01.pdf">http://www.doka.ch/DokaMobilitySTRCproc01.pdf</a>.</li> <li>X უმბერტო, პროგრამული ინსტრუმენტი რომელიც გამოიყენება მასალისა და ენერჯის ნაკადების სიტემის მოდელირებისთვის, გაანგარიშებისთვის და ვიზუალიზაციისთვის. იხ. <a href="http://www.umberto.de/en/">http://www.umberto.de/en/</a>.</li> <li>X GaBi 4, სასიცოცხლო ციკლის ტექნიკა, სასათბურე გაზის გაანგარიშება, შედარებითი ანალიზი და ენერგო ეფექტურობის მოდელირების ინსტრუმენტი, იხ. <a href="http://www.environmental-expert.com">http://www.environmental-expert.com</a> (საძიებო ველში ჩაწერეთ „gabi- Software“</li> </ul>

<sup>65</sup> მოცემული განმარტება ეყრდნობა ადაპტირებულ LCA-ს, რომელზეც საუბარია EC-დაფინანსებულ პროექტში BEACON (Build an Environmental Assessment CONsensus on the trans-European transport network). პროექტი გვაძლევს SEA-ს საინტერესო მიმოხილვას სატრანსპორტო სექტორისთვის. იხ. [http://ec.europa.eu/environment/eia/sea-studies-and-reports/beacon\\_manuel\\_en.pdf](http://ec.europa.eu/environment/eia/sea-studies-and-reports/beacon_manuel_en.pdf).

	<ul style="list-style-type: none"> <li>x არგონის ეროვნული ლაბორატორიის „Greet“ (სათბურის გაზი, რეგულირებული ემისია, და ენერჯის გამოყენება ტრანსპორტირებაში) მოდელი: საწვავის ციკლის მოდელი საწვავის ტრანსპორტირებისა და ავტოტრანსპორტის ტექნოლოგიებისთვის, იხ.:<a href="http://greet.es.anl.gov/">http://greet.es.anl.gov/</a>.</li> <li>x ლუდვიგ-ბიოლკოვ-სისტემტექნიკის E2 მონაცემთა ბაზა, საწვავის ჯაჭვის ანალიზი გადაწყვეტილების მხარდასაჭერი ინსტრუმენტი, და E3database მონაცემთა ბაზა რეგიონში წყალბადის საწვავის ჯაჭვის, Agator, His, და Schindler-ის ენერგეტიკის, ემისიებისა და ეკონომიკური შეფასებისას.</li> <li>x გლობალური ემისიის მოდელი ინტეგრირებული სისტემებისთვის (GEMIS), იხ.<a href="http://www.oeko.de/service/gemis/en/index.htm">http://www.oeko.de/service/gemis/en/index.htm</a>.</li> <li>x SimaPro, ინსტრუმენტი რომელიც კრებს, აანალიზებს და აკვირდება პროდუქტისა და მომსახურების მოქმედებას გარემოში. იხ.<a href="http://www.pre.nl/simapro/simapro_lca_software.htm">http://www.pre.nl/simapro/simapro_lca_software.htm</a>.</li> </ul>
--	---

ტექნიკა	ხარჯებისა და სარგებელის ანალიზი <sup>66</sup>
აღწერა	<p>CBA მოწოდებულია შეადაროს სარგებელის ფულადი ღირებულება ხარჯების ფულად ღირებულებასთან. სარგებელი განმარტებულია, როგორც ნებისმიერი რამ, რაც ზრდის ადამიანის კეთილდღეობას; ხოლო ხარჯი – ნებისმიერი რამ რაც ამცირებს ადამიანის კეთილდღეობას. თავისმხრივ, ადამიანის კეთილდღეობა განისაზღვრება იმით, რასაც ადამიანები ანიჭებენ უპირატესობას. ეს უპირატესობები ან არჩევანში და ბაზარზე ქცევაში ვლინდება ან დასტურდება კითხვარში გაცემული პასუხებით (მარკეტინგულ კვლევებში). პრეფერენციების გაზომვა შეიძლება თუ გავარკვევთ პირის სურვილს გადაიხადოს სარგებლისთვის, ან ხარჯის თავიდან ასაცილებლად, ან მის მზადყოფნას დათანხმდეს კომპენსაციას ხარჯთან შერიგებისთვის, ან წინამორბედი სარგებლისთვის. WTP (ეკოლოგიური მოგებისთვის „გადახდის სურვილი“) და WTA („ეკოლოგიურ დანაკარგებთან „შეგუებისთვის მზადყოფნის“ კომპენსაცია) კონცეფციების საშუალებით გაითვლება „მომხმარებელთა სიჭარბე“. მიზანი, რომ მაქსიმუმამდე გაიზარდოს სარგებელს მინუს ხარჯი, ან მოთხოვნა, რომ სარგებელი აჭარბებდეს ხარჯს, წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტურობის კონცეფციის საფუძველს, რომლის საერთო მიზანია მაქსიმალურად გაიზარდოს ადამიანების კეთილდღეობა მოცემულ ეკონომიკურ გარემოში. ბევრ შემთხვევაში, WTP შეიძლება აღმოვაჩინოთ ბაზარზე ქცევის მიხედვით და ზიანი შეიძლება გაითვალისწინოთ პირდაპირ. მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ჰაერის დაბინძურების ეფექტი მოსავლიანობაზე. ამ ორ ფაქტორს შორის კავშირი დადგენილია ექსპერიმენტული ან სავალდებულო დაკვირვებით და ცნობილია, როგორც დოზის რეაგირების ფუნქცია. მოსავლის დანაკარგები შეიძლება გაიზომოს მოსავლის მიერ დაკავებული ბაზრის წილის მიხედვით. დოზებზე რეაგირების ფუნქციის ასეთი კომბინაცია და ბაზრის წილი წარმოების ფუნქციის მიდგომის ერთ-ერთი ვერსიაა.</p> <p>სხვა შემთხვევებში არ არსებობს თვალნათლივ ბაზარი, რომელსაც განიხილავ. პრეფერენციების მოცემული ანალიზი ეყრდნობა „სუროგატ ბაზრებს“, – საქონლისა და მომსახურების ბაზრებს, რომლებიც ზოგიერთ ეკოლოგიურთვისებას ატარებს. კარგი მაგალითი იქნება სახლი და ბაზარი, რაც საბინაო ბაზარს შეადგენს. თითოეული სახლი აღიქმება, როგორც მახასიათებლების ან ატრიბუტების ნაკრები, და ეს ატრიბუტები ხელს უწყობს ბინის ფასის ფორმირებას. ამ ატრიბუტებს შორის შეიძლება იყოს სიმშვიდე და სიწყნარე, ან ჰაერის დაბინძურება. ატრიბუტებთან მიმართებაში ბინის ფასის სტატისტიკური რეგრესიით შეიძლება გამოვიყვანოთ „ფიგურალური ფასის კოეფიციენტი“. ამდენად, ბევრ კვლევაში დადასტურდა მნიშვნელოვანი კავშირი ბინის ფასსა და ჰაერის დაბინძურებას, კეთილმოწყობლობასა და ხმაურს შორის. მონაცემების დამატებითი მანიპულირებით, რომელიც გვიჩვენებს როგორ იცვლება ფიგურალური ფასი შემოსავალთან ერთად, სხვა ცვლადებს შორის, წარმოიქმნება WTP განზომილება ხმაურის შემცირებისთვის და ა.შ. აღნიშნული პრეფერენციებისმეთოდი იყენებსკითხვარებს პრეფერენციების არასუროგატული ბაზრის კონტექსტში გასარკვევად. პრინციპში, კითხვარები ძალიან გავს ჩვეულებრივ ბაზრის კვლევას ახალი ან განახლებული პროდუქტისთვის. შერჩევითი შეფასებისას პირდაპირ ისმება კითხვა რისი გადახდისთვის არიან მზად ადამიანები, ან არიან თუ არა მზად გადაიხადონ “X”, თუ X სასტარტო ღირებულებას წარმოადგენს.</p>

<sup>66</sup> განმარტება აღებულია აშშ ანგარიშიდან, რომელიც მითითებულია წყაროების ჩამონათვალში.

	შემთხვევითი რანჟირება (ან ერთობლივი ანალიზი) აკეთებს ალტერნატივების რანჟირებას და ერთ-ერთ მათგანს ამაგრებს ფულად ღირებულებასთან. ამდენად, პირის WTP გამოყვანილი მონაცემია და არა პირდაპირ კითხვარის პასუხიდან აღებული WTP
მონხმარება SEA-ს ფარგლებში	X შედეგების შეფასებისას. X ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში დასახმარებლად..
უპირაესობები	X CBA ფართოდ გამოყენებული და აღიარებული ტექნიკაა. X მისი დახმარებით გადაწყვეტილების მიმღებთათვის ხელმისაწვდომი ხდება ადვილად გასაგები ინფორმაცია (ფულად გამოსახულებაში) X საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ისეთი ეფექტები, რომელთა შედარებაც სხვა ხერხებით შეუძლებელი იქნებოდა, მაგ., მოტორისტებისთვის დროის დაზოგვის შედარება ლანდშაფტის ღირებულების შემცირებასთან.
ნაკლი	X CBA –ში ბევრი საკითხი დავის საგანია, მათ შორისაა: ფასდაკლების შესაფერისი კოეფიციენტი და სამომავლო ხარჯებისა და სარგებელის შემცირება წმინდა მიმდინარე ღირებულებებზე, ასევე, ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკოლოგიური საქონლისა თუ მომსახურების ვალორიზაცია. X მრავალი ტექნიკური სირთულე ახლავს და შესაბამისად, დავის საგანია CBA-ში გამოყენებული მეთოდები, როგორცაა, მაგ. შემთხვევითი შეფასება.
პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები	X გაერთიანებული სამეფოს გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და რეგიონების დეპარტამენტი, <i>გარემოს შეფასების ტექნიკური სახელმძღვანელოს მიმოხილვა: EFTEC (ეკოლოგიური კონსულტაციის ეკონომიკა) ანგარიში. (1998)</i> X ანტონიორდმენი, დევიდ გრინბერგი, აიდან ვინინგი, დევიდ ვაიმერი, <i>ხარჯებისა და სარგებელის ანალიზი: კონცეფციები და პრაქტიკა, მე-3 გამოცემა</i> (ნიუ ჯერსი, პრენტის ჰოლი, 2006). X ჯ. დიქსონი, ლ. ფელონ სკურა, რ. კარპენტერი და პ. შერმანი, <i>ეკოლოგიური შედეგების ეკონომიკური ანალიზი</i> (ლონდონი, ერსკვანი, 1964) X ნ. ჰენლი და კ. სპაში, <i>ხარჯებისა და სარგებელის ანალიზი და გარემოს დაცვა</i> (ჩელტენჰემი, გაერთიანებული სამეფო, ედუარდ ელგარი, 1993). X ე. მიშანი, <i>ხარჯებისა და სარგებელის ანალიზი</i> , (ლონდონი, ალენ & ანვინი, 1988). X დ.უ. პირსი, დ. ვითინგტონი, ს.გეორგიუ და დ. ჯაიმსი, <i>პროექტისა და პოლიტიკის შეფასება: ინტეგრირებული ეკონომიკა და ეკოლოგია</i> (პარიზი, OECD, 1994). X რისკებისა და პოლიტიკის ანალიტიკოსები, შპს, <i>ეკოლოგიური ხარჯებისა და სარგებელის შესახებ კონსულტაცია</i> , ანგარიში გარემოს დაცვის სააგენტოსთვის, 1998 წ. იანვარი. X ჯ. უინპენი, <i>ეკოლოგიური პროექტებისა და პოლიტიკის ეკონომიკური შეფასება: პრაქტიკული სახელმძღვანელო</i> , (პარიზი, OECD, 1995).

ტექნიკა	მრავალკრიტერიუმანი ანალიზი (MCA)
აღწერა	<p>MCA წარმოადგენს ალტერნატიული ვარიანტების მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმით შეფასების მეთოდს და აერთიანებს ცალკეულ შეფასებებს ერთ, საერთო შეფასებაში. მისი გამოყენება შეიძლება ერთი, ყველაზე უპირატესი ვარიანტის გამოსავლენად, ვარიანტების რანჟირებისთვის, ვარიანტების შეზრდილი რაოდენობის მოკლე სიის შესადგენად, რომლებსაც შემდგომ უფრო დეტალური ანალიზი ჩაუტარდება, ან მარტივად, მისაღები და მიუღებელი ვარიანტების დასადგენად.</p> <p>MCA შეფასების ციფრობრივ გამოსახულებაში გადატანით გვხვდება ამ კომპლექსურობის მართვაში. ყველა MCA მიდგომაში გათვალისწინებულია მსჯელობები, რომლებიც გამოსახება კრიტერიუმების წონასა და შესრულების შეფასებაში.</p> <p>მრავალკრიტერიუმანი ანალიზის ჩვეული ეტაპები მოიცავს შემდეგს:</p> <p>1. <i>შეფასების კრიტერიუმის დადგენა.</i> ამ კრიტერიუმებით შეიძლება გავზომოთ შემოთავაზებული ალტერნატივების ძირითადი თანამდევნი შედეგები შესაბამისი ამოცანების მხედვით, ან მათი სავარაუდო შედეგების მიხედვით. ყირადღებით შემოწმეთ შემოთავაზებული კრიტერიუმების ნაკრები, რათა დაარწმუნდეთ, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X კრიტერიუმების ნაკრები სრულყოფილია (არც ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არ არის გამორჩენილი)</li> <li>X სახეზე არ გვაქვს გადამეტებული კრიტერიუმები (აქ შეიძლება ვიგულისხმობთ უმნიშვნელო კრიტერიუმს ან კრიტერიუმებს, რაზეც ყველა ვარიანტი ერთნაირად რეაგირებს)</li> <li>X რომ კრიტერიუმები გაზომვადია (შესაძლებელი უნდა იყოს მათი შეფასება – რაოდენობრივად მაინც – რამდენად კარგად მოქმედებს თითოეული ვარიანტი კრიტერიუმთან მიმართებაში).</li> </ul>

	<p>× კრიტერიუმები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია (არ ხდება ორმაგად გადასინჯვა).</p> <p>2. კრიტერიუმების შედარებითი მნიშვნელოვანების ანალიზი (წონადობა). MCA ტექნიკების უმეტესობა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ თითოეული კრიტერიუმის შედარებითი წონა გადაწყვეტილების მიღებაში. წონადობის დადგენის მეთოდები სხვადასხვაგვარია: ძალიან მარტივი ტექნიკიდან დაწყებული (მაგ., კრიტერიუმების შედარება ერთმანეთთან მათი შედარებითი წონადობის დასადგენად, კომპლექსურ მეთოდამდე (მაგ., სოციოლოგიური კვლევები ზეგავლენის ქვეს მყოფ საზოგადოებაში, თითოეული კრიტერიუმის მნიშვნელოვანების დასადგენად).</p> <p>3. მოქმედების ანალიზი (ქულების მინიჭება). მოქმედების ქულებით შეფასებამდე, საჭიროა დავადგინოთ რა წარმოადგენს საულებეთსო ან უარეს მოქმედებას მოცემულ კონტექსტში. ქულების მინიჭება შეიძლება განვხორციელოთ სამი საბაზისო საშუალებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>× პირდაპირი შეფასება ექსპერტთა მსჯელობის მიხედვით, თითოეული კრიტერიუმისთვის ქულის მინიჭებით (მაგ. 0–100 მდე შკალით).</li> <li>× მოქმედების შეფასება კრიტერიუმის სპეციფიკური ფუნქციის მიხედვით, სადაც განმარტებულია თანდათანობითი განვითარება უარესიდან საუკეთესო მოქმედებამდე.</li> <li>× ვარიანტების მოქმედების ერთმანეთისთვის შედარებით. მეთოდები სხვადასხვაგვარია – მოქმედების თანმიმდევრობის გამოსავლენად ვარიანტების მარტივი რანჟირებიდან დაწყებული (მაგ., 1–ლ კრიტერიუმში A ვარიანტს საუკეთესო შეფასება აქვს, C–ს მეორე და B–ს კი მესამე შეფასება) როული გაანგარიშებით დამთავრებული.</li> </ul> <p>4. წონებისა და ქულების გამრავლება თითოეული ვარიანტისთვის და მათი საერთო ქულის გამოყვანა. თითოეული ვარიანტის კრიტერიუმის მიხედვით მოქმედება მრავლდება შესაბამისი კრიტერიუმის წონის მაჩვენებელზე – ასე ვიქცევით ყველა კრიტერიუმისთვის. ამის შემდეგ, მიღებული ნამრავლი გვიჩვენებს მთლიან შედარებით ქულას თითოეული ვარიანტისთვის. შემდეგ ხდება ყველა ვარიანტის ქულების შედარება და განხილვა.</p> <p>5. ქულებისა და წონის ცვლილებების მიმართმგრძობიარობა. მგრძობიარობა გვიჩვენებს როგორ მოქმედებს ქულებსა და წონაში ცვლილება MCA შედეგებზე. ასეთი ანალიზის ჩატარება არსებითია, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>× არსებობს სერიოზული გაურკვევლობა რომელიმე ვარიანტის მოქმედების შესახებ შერჩეულ კრიტერიუმთან მიმართებაში, ან</li> <li>× თუ გადაწყვეტილების მიმღები ან დაინტერესებული პირები დავობენ MCA–ში გამოყენებული კრიტერიუმის შედარებითი წონის შესახებ.</li> </ul>
<p>მოხმარება SEA–ს ფარგლებში</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>× შედეგების შეფასებისას</li> <li>× ალტერნატივების ჩამოყალიბებასა და შედარებაში დასახმარებლად</li> </ul>
<p>უპირატესობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>× MCA ერთდოულად სხვადასხვა ტიპის კრიტერიუმებს ითვალისწინებს, რაც შეუძლებელია ჩვეულებრივ ერთ კრიტერიუმზე ორიენტირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში</li> <li>× MCA–მშეიძლება შეფასებაში თავი მოუყაროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა შეხედულებებს.</li> <li>× MCA გამჭვირვალე, მკაფიო (ხდება ქულების და წონადობის ჩაწერა) და ადვილად შესამოწმებელი მეთოდია.</li> <li>× MCA შეიძლება გააადვილოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და ზოგჯერ, ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაცია.</li> </ul>
<p>ნაკლი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>× MCA ამცირებს რაციონალურ დებატებს წარმოდგენილი ალტერნატიული ვარიანტების ნაკლსა და უპირატესობაზე და გადაწყვეტის აბსტრაქტული ციფრების შესახებ დებატებში (ქულები და წონა).</li> <li>× MCA ვერ უზრუნველყოფს კონსენსუსის მიღწევას მეტად სადავო გადაწყვეტილებებში.</li> <li>× რაოდენობრივი ინფორმაციის წარმოდგენით (გაერთიანებული ქულები) MCA–ს შეუძლია ყალბი წარმოდგენა შექმნას ციფრების სიზუსტის შესახებ, მიუხედავად ფაქტისა, რომ MCA–ს განხორციელება თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ღირებულების შესახებ გადაწყვეტილებაზე.</li> <li>× MCA–ში დახელოვნებულ პირს შეუძლია შედეგებით მანიპულირება (ე.ი. მარტივი</li> </ul>

	<p>მგრძობელობის ანალიზი, რომელიც ჩვეულებრივად ტარდება MCA–ს დროს, გვიჩვენებს კრიტერიუმს, რომელიც ყველაზე მეტად ზემოქმედებს შედეგებზე და ეს ცოდნა შეიძლება გამოყენებული იყოს განსხვავებული საერთო ქულის გამოსაყვანად)</p>
<p>პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები</p>	<p>გაერთიანებული სამეფო, კომუნიკაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დეპარტამენტი, <i>მრავალკრიტერიუმებიანი ანალიზი: სახელმძღვანელო</i> (ლონდონი, 2009) იხ <a href="http://www.communities.gov.uk/publications/corporate/multicriteriaanalysismanual">http://www.communities.gov.uk/publications/corporate/multicriteriaanalysismanual</a>.</p> <p><i>მრავალკრიტერიუმებიანი გადაწყვეტილების ანალიზის ჟურნალი</i> (ჯონ ვილი &amp; სანს), ხელმისაწვდომია ონ–ლაინ რეჟიმში მხოლოდ ხელმოწერის შემთხვევაში: <a href="http://onlinelibrary.wiley.com/journal/10.1002/(ISSN)1099-1360">http://onlinelibrary.wiley.com/journal/10.1002/(ISSN)1099-1360</a>.</p> <p>გაერთიანებული სამეფო, გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და რეგიონების დეპარტამენტი, <i>გარემოს შეფასების ტექნიკური სახელმძღვანელოს მიმოხილვა: EFTEC ანგარიში. (1998)</i></p>

დანართი ა5.2

შერჩეული საზოგადოებრივი  
ჩართულობის ინსტრუმენტების  
აღწერა

ამ დანართში წარმოდგენილია შემდეგი ტექნიკები:

- X კომენტარების მოსაზიდი ნაბეჭდი მასალა.
- X სტენდები და გამოფენები.
- X საინფორმაციო ცხელი ხაზი/ქოლ ცენტრები.
- X ინტერნეტ კონსულტაციები.
- X კითხვარები და გამოხმაურებები.
- X გამოკითხვა
- X საჯარო განხილვები.
- X სემინარები.
- X მრჩეველთა საბჭო.

ტექნიკა	კომენტარების მოსაზიდი ნაბეჭდი მასალა
აღწერა	<p>ნაბეჭდი მასალა გეგმის/ პროგრამის სამუშაო ვერსიის და SEA-ს შესახებ ინფორმაციის გავრცელების ან მონაწილეობის პროცესის გასაჯაროების, ყველაზე ადვილი საშუალებაა. ნაბეჭდი მასალის პოპულარული ფორმებია: ცნობის ფურცელი, ფლაერი, მაცნე, ბროშურა, ანგარიში, კვლევა, და მისთ. ეს მასალა შეიძლება ერთჯერადი დანიშნულებით შეიქმნას, ან სერიებად იქნას გამოშვებული (მაგ. მაცნე). ნაბეჭდი მასალა შეიძლება დარიგდეს, განთავსდეს ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებში, ან გაიგზავნოს ფოსტით ან პირდაპირ, წინასწარ შერჩეული მისამართების სიის მიხედვით, ან მიემაგროს რეგულარულად დაგზავნილ საგადასახადო ქვითრებს, როგორცაა, მაგ., კომუნალური გადასახადების ქვითრები, და ა.შ.</p> <p>ნაბეჭდი მასალის მიზანია გეგმის/პროგრამის მომზადების და შეფასების პროცესებისა თუ დოკუმენტების შესახებ ადვილად აღსაქმელი ინფორმაციის წერილობითი და ნახატი სახით მიწოდება დაინტერესებულ პირთა ფართო აუდიტორიისთვის.</p> <p>ნაბეჭდი მასალა, მიუხედავად იმისა, დარიგებულია, საფოსტო ყუთებშია ჩაგდებული, გაგზავნილია ფოსტით სხვა გზავნილებთან ერთად თუ სხვ. ყველაზე მარტივი და ცნობილი მეთოდია პრობლემის შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად და პრობლემისა, თუ შემოთავაზებული წინადადების შესახებ გამოხმაურების მოსაზიდად. თქვენს ხელთ არსებული ბიუჯეტი და გაშუქების სხვა მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება გვიჩვენებს რა სახის ნაბეჭდი მასალა მიესადაგება ყველაზე მეტად თქვენს მიზნებს.</p>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>X ნაბეჭდი მასალა ფართო აუდიტორიას მისწვდება ფოსტის ან უფასო სტენდებზე განთავსების საშუალებით.</li> <li>X მასალებთან დართული კომენტარების ფურცლებთან კითხვარები გამოხმაურების მიღების საშუალებას გვაძლევს.</li> <li>X ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას.</li> <li>X ნაბეჭდი ინფორმაცია შეიძლება მცირე დანახარჯებით მომზადდეს, და იყოს ადვილად დასარიგებელი და გასავრცელებელი.</li> <li>X გავრცელება შეიძლება ეკონომიურად, საფოსტო მისამართების გაორმაგებით.</li> <li>X აქვს ფართო აუდიტორიაზე წვდომის პოტენციალი, ან შეიძლება მიმართული იყოს რომელიმე სამიზნე ჯგუფისკენ.</li> <li>X მიმდინარე კონტაქტები, ინფორმაციის განახლების საშუალებაა.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>X ნაბეჭდი მასალების უმრავლესობის პრობლემაა მცირე მოცულობის ფორმატში რთული კონცეფციების გასაგებად და სრულყოფილად ჩაწერა.</li> <li>X დრო ჭირდება დიზაინს, ტექსტის მომზადებას, ვიზუალურ მასალას, რედაქტირებას, ბეჭდვას და აკინძვას.</li> <li>X არ არსებობს გარანტია, რომ მასალას წაიკითხავენ – შეიძლება აღიქვან „მაკულატურულ ფოსტად“.</li> <li>X თუ იგზავნება ფოსტით, წაკითვის გარანტია ზუსტად იმდენია, რამდენად კარგიცაა ადრესატთა სია. ადრესატთა სიას რეგულარული განახლება ჭირდება, რათა თავიდან ავიცილოთ ზედმეტი ენერჯის, დროისა და ქალაქის ხარჯი.</li> </ul>

საზოგადოების მონაწილეობის შერჩეული ინსტრუმენტების აღწერა

	<ul style="list-style-type: none"> <li>X მასალის შესახებ დაომა ვიზუალურად საინტერესო უნდა იყოს, თუმცა არ უნდა ჰგავდეს ფასდაკლების რეკლამას.</li> <li>X შეიძლება დაიკარგოს, თუ ბევრ სხვა ბროშურასთან და ქვითრებთან ერთადაა გაგზავნილი (იგიქრეთ ფერადი ქაღალდის გამოყენებაზე და მუქი ფერის შრიფტით დატანილ სათაურებზე, რათა გამოირჩეოდეს დანარჩენი ქაღალდებიდან).</li> <li>X შეიძლება ადრესატების სიიდან ამოვიღოთ ის, ვინ მასალას ვერ წაიკითხავს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვიზუალური მასალა გამოყენებული.</li> <li>X ინფორმაცია შეიძლება პირდაპირ გასაგები არ იყოს და არასწორი ინტერპრეტაცია გამოიწვიოს.</li> </ul>
<p>პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები</p>	<p>საზოგადოების მონაწილეობის საერთაშორისო ასოციაცია IAP2 საზოგადოების მონაწილეობის ინსტრუმენტები (2000)                  იხ. <a href="http://www.iap2.org/">http://www.iap2.org/</a>.</p>

ტექნიკა	სტენდები და გამოფენები
აღწერა	<p>ეს ინსტრუმენტი წარმოადგენს ღონისძიებებს, რომლის მიზანია პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება. სტენდები შეიძლება ინტერაქტიური იყოს და შეიძლება მოეწყოს როგორც ფორუმის, სემინარის, გამოფენის, კონფერენციის ან სხვა ღონისძიების შემადგენელი ნაწილი.</p> <p>სტენდები და გამოფენები შეიძლება უზრუნველყოფდეს გამოხმაურების მიღებას, როგორცაა, მაგ., ერთკითხვიანი ცარიელი ფურცლები, ასევე, შეიძლება შეიცავდეს ნახაზებს, მაკეტებს, რუკებს, პლაკატებს, ან სხვა ვიზუალურ და აუდიო მასალას.</p> <p>ინტერაქტიური სტენდები შეიძლება შეიცავდეს ყუთებს წარწერით – „განათავსე იდეა“, რუკებსა და ცარიელ პოსტერებს კომენტარებისა და შეკითხვების მისაწერად.</p> <p>სტენდები და გამოფენები შემოთავაზებული წინადადებების ან დეველოპერული გეგმების უფრო კონკრეტულ კონცეფციებს აჩვენებს, და სადაც ინტერაქციის საშუალებაა, უზრუნველყოფს საზოგადოების მოსაზრებების და გამოხმაურების მოგროვებას, რაც შემდგომში გეგმებში და პროგრამების მომზადების და შეფასების პროცესში პოვებს ასახვას.</p> <p>ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ წინასწარ, და ამ მეთოდების მოსამზადებლად და განსახორციელებლად საჭირო ნაბიჯები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X შეარჩიეთ თარიღი და ადგილი, რომელიც მნახველთა დიდი რაოდენობით მოზიდვას შეუწყობს ხელს (ზოგადად, სასურველია შაბათ-კვირა ან გამოსასვლელი დღეები/სავაჭრო ცენტრები. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები).</li> <li>X მოამზადეთ რამდენიმე სტენდი/გამოფენა ღონისძიების/საკითხის შესახებ ინფორმაციისთვის.</li> <li>X სტენდი მოათავსეთ მჭიდროდ დასახლებულ საზოგადოებრივ სივრცეში, სადაც გამოწვეული ეფექტის ქვეშ მყოფი მეტი ადამიანი გაივლის.</li> <li>X განათავსეთ რეკლამა და გასაჯაროვით ღონისძიების შესახებ ინფორმაცია და ხაზი გაუსვით საკითხებს, რომელიც ამ ღონისძიებაზე იქნება განხილული.</li> <li>X რეკლამა გაუწიეთ გამოფენის გახსნის და მუშაობის დროს.</li> <li>X მოწყობას დაუთმეთ სათანადო დრო.</li> <li>X უზრუნველყავით ადეკვატური შტატი და იგიქრეთ მოხალისეების დასაქმებაზე, ასევე უსაფრთხოებისა და დაზღვევის პრობლემებზე.</li> <li>X დანიშნეთ კოორდინატორები, რომლებიც მონაწილეებს დაემარებიან კითხვებზე პასუხის გაცემაში.</li> <li>X შეაგროვეთ გამოხმაურება და გამოაქვეყნეთ შედეგები.</li> </ul>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>X ეს ინსტრუმენტი საკითხის მიმართ საზოგადოების ყურადღებას ალვიებს.</li> <li>X შეუძლია დააინტერესოს მედია და გააფართოვოს საკითხის შესახებ მსჯელობის არეალი</li> <li>X იძლევა ინფორმაციის სხვადასხვა დონეზე გაცვლის საშუალებას.</li> <li>X გამოხმაურებაზე დაყრდნობით ქმნის საზოგადოების მოსაზრებებისა და პრობლემების სურათს.</li> <li>X ადამიანებს შეუძლიათ დაათვალიერონ სტენდები მათთვის ხელსაყრელ, ან დასვენების დროს.</li> <li>X გრაფიკული გამოსახულებები, თუ გამოიყენებთ, ადამიანებს წარმოდგენილი წინადადებების ვიზუალურ აღქმაში ეხმარება.</li> </ul>



<p>ნაკლი</p> <p>ინფორმაცია შეიძლება არ იყოს ბოლომდე გაგებული ან არასწორად იქნას ინტერპრეტირებული, თუ არ იქნება გამოყოფილი თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც მსახველთა კითხვებს უპასუხებს და მათ გამოხმაურებას შეაგროვებს.</p>	<p>X ამ ინსტრუმენტს ჭირდება კოორდინატორი ვინც წახალისებს მონაწილეებს და მათგან გამოხმაურების მიღებას.</p> <p>X საზოგადოება უნდა იყოს მოტივირებული დასასწრებად</p> <p>X შეიძლება დაზიანდეს შემოთავაზებული პროექტის რეპუტაცია, თუ არაფროფესიონალურად მოხდება მისი პრეზენტაცია.</p>
<p>პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები</p>	<p>საზოგადოებრივი მონაწილეობის საერთაშორისო ასოციაცია, <i>LAP2 საზოგადოების მონაწილეობის ხერხები (2000)</i> იხ. <a href="http://www.iap2.org/">http://www.iap2.org/</a>.</p> <p>აშშ ტრანსპორტის დეპარტამენტი, ფედერალური მაგისტრალის ადმინისტრაცია, „საზოგადოების ჩართულობის ტექნიკა ტრანსპორტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში: სატრანსპორტო ბაზრობები“ (1997) იხ.: <a href="http://www.fhwa.dot.gov/reports/pittd/tranfair.htm">http://www.fhwa.dot.gov/reports/pittd/tranfair.htm</a>.</p> <p>ნიკ ვეიტსი, <i>სათემო დაგეგმვის მეგზური</i> (ლონდონი, 2000) ინგლისურ ენაზე ინტერნეტში ხელმისაწვდომია მხოლოდ შემდეგ მისამართზე: <a href="http://www.communityplanning.net/toolkits/UrbanGovToolkitsCPH.pdf">http://www.communityplanning.net/toolkits/UrbanGovToolkitsCPH.pdf</a>.</p>
<p>ტექნიკა</p>	<p>საინფორმაციო ცხელი ხაზი / ქოლ ცენტრები</p>
<p>აღწერა</p>	<p>საინფორმაციო ცხელი ხაზი გთავაზობთ დაგეგმვის დოკუმენტის ან განსახილველი პრობლემის შესახებ წინასწარ ჩაწერილ ინფორმაციას ტელეფონით და/ან SEA–ს და დაგეგმვის ჯგუფთან დაკავშირებას, რომლებსაც შეუძლიათ პასუხი გაგცენ კითხვებზე ან მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია. მისი მიზანია ზუსტი და თანმიმდევრული ინფორმაციის ტელეფონით მიწოდება მათთვის, ვისაც პრობლემის შესახებ ინფორმაციის მიღება აინტერესებს, ან ვისაც შეუძლია თავად მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია. ქოლ ცენტრები გემსახურებთ, როგორც საზოგადოებასა და დეველოპერს შორის მაკავშირებელი რგოლი, და საზოგადოებას უქმნის ჩართულობის განცდას.</p> <p>გამოყენების ძირითადი საფეხურებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X ჩასაწერი ინფორმაციის დადგენა, ჩანაწერის „დატრიალების“ განრიგის შედგენა და ინფორმაციის პერიოდული განახლება.</li> <li>X ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრის რეკლამირება, მაგ., დაბეჭდილ ფლაერებში, ან სტიკერებზე, გამავალ ნაბეჭდ კორესპოდენციაზე ან სარეკლამო მასალებზე. სატელეფონო ნომრის რეკლამა გააკეთეთ მედიის საშუალებითაც და დარწმუნდით, რომ ის ყველა თქვენს მხარდამჭერ მასალაშია აღნიშნული.</li> <li>X შექმენით ცხელი ხაზი, სადაც დამრეკავს უპასუხებს აუდიო ჩანაწერი „გზავნილი“. ჩაწერეთ ინფორმაცია, რომელიც პასუხობს ყველაზე ხშირად დასმულ კითხვებს.</li> <li>X თუ ქოლ ცენტრს იყენებთ, დანიშნეთ პირ(ებ)ი რომელიც უპასუხებს სატელეფონო ზარებს. ასეთი პირი უნდა იყოს წინასწარ მომზადებული და გავლილი ქონდეს ტრენინგი, ასევე უნდა ჰქონდეს სასიამოვნო კომუნიკაციის მანერა თუნდაც რთულ მოსაუბრებთან კონტაქტის დროს.</li> <li>X შექმენით სრულიად უფასო სატელეფონო ნომერი არა-ადგილობრივი დამრეკავებისთვის.</li> <li>X ცხელი ხაზის შემთხვევაში, დამრეკავს ჩაწერილ მესიჯთან ერთად შესთავაზეთ კონკრეტულ პირთან დაკავშირება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.</li> <li>X სატელეფონო ჟურნალში ჩაიწერეთ ზარები/ საერთო პრეტენზიები/ წუხილები, თქვენივე საჭიროებისთვის და გამოიყენეთ მონაწილეობის/კონსულტაციების პროცესის აღწერისას.</li> </ul>
<p>უპირატესობა</p>	<p>საინფორმაციო ცხელი ხაზი იაფი და მარტივი საშუალებაა, რომლითაც სწრაფად, ადვილად და ეფექტურად ავრცელებთ ინფორმაციას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X წარმოადგენს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მომსახურებას საზოგადოებისთვის დაგეგმვის ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებით. განმარტავს რა გზით შეუძლია საზოგადოებას ინფორმაციის მიღება და იღებს გამოხმაურებას.</li> <li>X მის მოწყობასა და განახლებას გონივრულად დაბალი ფასი აქვს.</li> <li>X ამკვიდრებს ორგანიზაციის, დეველოპერის ან SEA-ს გუნდის მისაწვდომობის იმიჯს.</li> </ul>

	<p>× წარმოადგენს დაინტერესებული მხარეებისგან გამომხმარებლის მიღების მოსახერხებელ ფორმას. არ აფრთხობს მომხმარებელს, ადამიანები ადვილად მონაწილეობენ და ტოვებენ კომენტარებს. ხელს უწყობს მარტივად დაკავშირების შეგრძნების ჩამოყალიბებას.</p>
ნაკლი	<p>× უნდა იყოს ადეკვატურად რეკლამირებული, რომ წარმატებას მიაღწიოს.</p> <p>× თუ თანამშრომლები გყავთ გამწესებული, შეიძლება მეტი დრო დაჭირდეს და შეგიმცროთ თანამშრომელთა რაოდენობა სხვა დავალებების შესასრულებლად.</p> <p>× დანიშნულ საკონტაქტო პირს ღონისძიების შესახებ უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა, რათა შეძლოს კითხვებზე პასუხების სწრაფად, ზუსტად და პროფესიონალურად გაცემა.</p>
პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები	<p>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი (ფლინდერის უნივერსიტეტი) და ჩრდილოეთ ავტრალიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ორგანიზაცია, <i>ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება მომხმარებლის მონაწილეობით – სახელმძღვანელო ორგანიზაციებისთვის</i> (ვანბერა, თანამეგობრობის ჯანდაცვისა და ხანში შესულთა მომსახურების დეპარტამენტი, 2000) იხ.: <a href="http://www.healthissuescentre.org.au/documents/detail.chtml?filename_num=226533">http://www.healthissuescentre.org.au/documents/detail.chtml?filename_num=226533</a>.</p> <p>აშშ გარემოს დაცვის სააგენტო, <i>RCRA</i><sup>67</sup> საზოგადოების ჩართულობის სახელმძღვანელო (1996), თავი 5 (საზოგადოების მონაწილეობის ღონისძიებები); იხ.: <a href="http://www.epa.gov/epawaste/hazard/tsd/permit/pubpart/chp_5.pdf">http://www.epa.gov/epawaste/hazard/tsd/permit/pubpart/chp_5.pdf</a>.</p> <p>აშშ გარემოს დაცვის სააგენტო, <i>დამაბინძურებლის გამოყოფის დაშლის ეროვნული სისტემა (NPDES) საზოგადოების ჩართულობა</i> (2002), იხ. <a href="http://cfpub.epa.gov/npdes/stormwater/menuofbmps/index.cfm?action=min_measure&amp;min_measure_id=2">http://cfpub.epa.gov/npdes/stormwater/menuofbmps/index.cfm?action=min_measure&amp;min_measure_id=2</a>.</p>

ტექნიკა	ინტერნეტ კონსულტაციები
აღწერა	<p>ეს ხერხი ჩვეულებრივ მოიცავს ინტერნეტში განთავსებულ ვებ გვერდს. ის გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად და გამომხმარებლის მისაღებად. ყურადღება უნდა მივაქციოთ ინფორმაციის რეგულარულ განახლებას. ასევე, შეიძლება შევქმნათ ინტერნეტ მონაწილეობის სხვა ინტერაქტიური ფორმები, მაგ., ონლაინ ფორუმები და სადისკუსიო ჯგუფები.</p> <p>როგორც წესი, ინტერნეტ კონსულტაციების გასამართად შეიძლება შემდეგი ინსტრუმენტები გამოგვადგეს:</p> <p>× HTML ვებ გვერდები, რომლებშიც მოცემულია დოკუმენტების, სურათების და გრაფიკული ნახაზების (უძრავი ან მოძრავი) და ხმის ბმულები.</p> <p>× სპეციალურად განკუთვნილი ელ ფოსტა, სადაც შეიძლება არასტრუქტურული გზავნილების მიღება.</p> <p>× გამოკვლევის ფორმები, სადაც თავს მოიყრის საზოგადოების კომენტარების კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით (HTML ან PDF ფაქსით ან ელ-ფოსტით დასაბრუნებლად).</p> <p>× საინფორმაციო ტაბლოები, რომელზეც ნაჩვენებია მთელი რიგი საკითხების შესახებ დისკუსიების „ბადე“</p> <p>× ვირტუალური შეხვედრები „ჩეთ რუმში“ კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით.</p> <p>× შეხვედრებისა და ღონისძიებების შესახებ ვებ-მაუწყებლობა (ე.ი. აუდიო და ვიზუალური მაუწყებლობა ვებ გვერდის საშუალებით).</p> <p>ინტერნეტს შეუძლია გააძლიეროს ტრადიციული ხერხები, მაგრამ მას არ შეუძლია მათი ჩანაცვლება. ვებ გვერდის მიზანი უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და მისი მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია – ზუსტი და დროული. ყურადღებით უნდა შეაფასოთ, რა რესურსები დაჭირდება ვებ გვერდის შენარჩუნებას და შეადგინოთ ბიუჯეტი ვიდრე შექმნიდეთ ასეთ ვებ გვერდს. უნდა გადაწყვიტოთ, ორგანიზაციის შიგნით განახორციელებთ ვებ გვერდის მართვას, თუ ამ საქმისთვის დაიქირავებთ გარე ძალას, რომელი ვებ-ინსტრუმენტები უნდა გამოიყენოთ, რა საკითხებში ჭირდებათ თანამშრომლებს ტრენინგი.</p>
უპირატესობა	<p>× ყველაზე სწრაფი და ნაკლებხარჯიანი, ამავე დროს რესურსების დამზოგავი ხერხია ინფორმაციის პრეზენტაციისა და გავრცელებისთვის იმ აუდიტორიაში, ვისაც ინტერნეტზე აქვს წვდომა.</p>

<sup>67</sup> რესურსების კონსერვაციისა და აღდგენის აქტი (RCRA)  
202

	<ul style="list-style-type: none"> <li>× პოტენციურად ვწვდებით გლობალურ აუდიტორიას</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>× ხარჯები შემცირებულია, რადგან არ გვჭირდება ბეჭდვა და ფოსტით გზავნა.</li> <li>× შეუძლია ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება დაგეგმვის, შეფასების და კონსულტაციების პროცესების მიმდინარეობის შესახებ.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>× ეს კარგი გზაა დაინტერესებული მხარეების კომენტარების მოსაზიდად კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და კარგი საშუალებაა გამოხმაურების მისაღებად.</li> <li>× დისკუსიის და დებატების ინტერაქტიური მედია საშუალებაა.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>× ახალი ვებ გვერდის შექმნას სერიოზული რესურსები ჭირდება.</li> <li>× შეიძლება გამოხმაურება ძნელად გასაანალიზებელი იყოს თუ ღია შეკითხვაა დასმული.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>× რადგან, შეიძლება ყველა დაინტერესებულ პირს არ ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა, ამ საშუალებით ვერ ჩავანაცვლებთ კონსულტაციების ტრადიციულ მეთოდს — საჭირო იქნება ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიული საშუალებების გამოყენებაც.</li> </ul>
<b>ტექნიკა</b>	<b>კითხვარები და გამოხმაურებები</b>
აღწერა	<p>კითხვარი ინფორმაციის შეკრების საბაზისო ინსტრუმენტია, და როგორც წესი ხდება მათი შედგენა და წინასწარ შემოწმება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ადვილად გასაგებია. კითხვარები უზრუნველყოფს, რომ თითოეულ გამოკითხულ ადამიანს დაესვას ზუსტად ერთი და იგივე შეკითხვა, ეს კი შედეგების სანდოობას უწყობს ხელს. კითხვარები შეიძლება დარიგდეს პირისპირ, სატელეფონო ინტერვიუს დროს, შეიძლება ჰქონდეს შესავსები ფორმულარის ფორმა და გაიგზავნოს ფოსტით ან ინტერნეტით.</p> <p>კითხვარები შეიძლება გავრცელდეს ელ-ფოსტით, ან საფოსტო გზავნილისა თუ ფაქსის სახით. გამოხმაურების ბლანკი შეიძლება დარიგდეს და შეივსოს სემინარების მსვლელობისას, ან ვთხოვით მონაწილეებს, რომ შევსებული ბლანკი სემინარის შემდეგ გადმოგვიგზავნოს ელ ფოსტით. მათი გადაგზავნა შეიძლება საფოსტო ხარჯების შემცირებით, მაგ., რეგულარულ გამავალ კორესპოდენციაზე მიკვრით, მაგ., როგორცაა ცნობის ფურცლების ან ანგარიშების დაგზავნა.</p> <p>კითხვარის მომზადების ეტაპები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>× შეადგინეთ კითხვების მონახაზი. შეადგინეთ რაც შეიძლება მოკლე კითხვარი.</li> <li>× კითხვები შეამოწმეთ მცირე საპილოტე ჯგუფთან, რათა გაერკვეთ, რამდენად მიუკერძოებელი, პირდაპირი და სწორად გასაგებია. კითხვების ისეთი ერთი უნდა იყოს შედგენილი, რომ თავიდან აიცილოთ პასუხის გამცემზე გავლენის მოხდენა.</li> <li>× დასაწყისშივე მიუთითეთ კითხვარის მიზანი.</li> <li>× შეიტანეთ ისეთი ხარისხობრივი მონაცემები, როგორცაა: ასაკი, სქესი, მისამართი, განათლება და მისთ. შედეგების დამატებით ექსტრაპოლაციისთვის და/ან ადრესატა სიაში ჩასაწრად.</li> <li>× დააგზავნეთ კითხვარები. თუ ფოსტით აგზავნით, და ბიუჯეტი გაძლევთ ამის საშუალებას, რესპოდენტებისთვის უზრუნველყავით გამოხმაურების უფასოდ გამოგზავნის საშუალება (მარკებიანი კონვერტი მისამართის მითითებით, უფასო საფოსტო ყუთი, ა.შ.).</li> <li>× დოკუმენტურად გააფორმეთ და გამაქვეყნეთ მიღებული შეტყობინებები.</li> </ul>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>× ნაკლებად პირადულია, თუ არ გამოიყენება პირისპირ, ან ტელეფონით ინტერვიუები, თუმცა ანონიმურობამ შეიძლება უფრო გულწრფელი პასუხების გაცემას შეუწყოს ხელი.</li> <li>× მოსახერხებელია როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად.</li> <li>× კარგია შორეული რესპოდენტების მისაწვდომად.</li> <li>× ინფორმაციას კრებს მათგან, ვინც სავარაუდოდ არ დაესწრება შეხვედრებსა და სემინარებს.</li> <li>× ადრესატა სიის გაზრდა პრობლემას არ წარმოადგენს.</li> <li>× შეიძლება სტატისტიკური მონაცემების დასაზუსტებლად გამოვიყენოთ.</li> <li>× იძლევა ქვე-ჯგუფების მიერ შედეგების ექსტრაპოლაციის საშუალებას.</li> <li>× რესპოდენტს შეუძლია შეავსოს მისთვის მოსახერხებელ დროს.</li> <li>× მეტად ეკონომიურია და ნაკლებად შრომატევადი, ვიდრე ინტერვიუები და სატელეფონო გამოკითხვები, რადგან უფრო მეტ ნიმუშს ქმნის ნაკლები მთლიანი დანახარჯების ფონზე.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>× გამოხმაურების დაბალმა მაჩვენებელმა შეიძლება იმოქმედოს შედეგზე.</li> <li>× საწიროებს უკან დასაბრუნებელ კონვერტს/ უფასო საფოსტო ყუთის მისამართს, რათა მონაწილეებში აამაღლოს მოტივაცია.</li> <li>× დამოკიდებულია განათლებულობის მაღალ დონეზე.</li> </ul>

საზოგადოების მონაწილეობის შერჩეული ინსტრუმენტების აღწერა

ტექნიკა	გამოკითხვა
აღწერა	<p>გამოკითხვა კონკრეტული მოსახლეობისგან ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებული მეთოდია. გამოკითხვა შეიძლება მოხდეს ფართო აუდიტორიისგან ზოგადი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ან კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად სამიზნე ჯგუფისგან. გამოკითხვის დროს შეიძლება აქცენტი გაკეთდეს როგორც რაოდენობრივ (ფაქტები და ციფრები), ისე ხარისხობრივ (მოსაზრებები და ღირებულებები) ინფორმაციაზე. გამოკითხვისას ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებენ კითხვარებს, ხოლო თავად პროცესი შეიძლება ჩატარდეს როგორც პირისპირ ინტერვიუების, ისე დამოუკიდებლად შესავსები ფორმების, სატელეფონო გამოკითხვის, ან ელექტრონული გამოკითხვის საშუალებით (იხ. ასევე კითხვარებისა და გამოხმაურების ტექნიკა, ზემოთ).</p> <p>ფართო მასშტაბიანი გამოკითხვისას, შემთხვევითი გამოკითხვები მაღალ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მცირე მასშტაბიანი გამოკითხვები, რომლებიც ოპორტუნისტული შერჩევით ტარდება და მოხალისეების მონაწილეობას ითვალისწინებს, შედარებით დაბალ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ შეიძლება ვერ მოიტანოს ისეთი შედეგი, რომლის ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფის მიღმა განზოგადებაც იქნებოდა შესაძლებელი.</p> <p>გამოკითხვები დგება კონკრეტულ თემასთან ან გეგმასთან დაკავშირებით ინფორმაციის შესაგროვებლად. გამოკითხვების შედეგები ინფორმაციას გვაწვდის ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფის დემოგრაფიასა და/ან მოსაზრებებზე.</p> <p>გამოკითხვის დაგეგმვისა და ჩატარებისთვის სათანადო ეტაპებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>× გაარკვიეთ, რა არის უკვე ცნობილი, და რა გამოკითხვები ტარდება ან იგეგმება თქვენთვის საინტერესო არეალში, იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ დუბლირება, ასევე, განსაზღვრეთ გამოკითხვის მასშტაბი.</li> <li>× გაესაუბრეთ დეველოპერს და შესაბამის ოფიციალურ პირს, რათა შეკითხვები უფრო ფოკუსირებულად ჩამოაყალიბოთ.</li> <li>× გაარკვიეთ, რა გზით მიიღებთ ინფორმაციას (იხ. ზემოთ, კითხვარების და გამოხმაურებები).</li> <li>× შეარჩიეთ სამიზნე აუდიტორია. როგორ დაახარისხებთ მათ? როგორ უზრუნველყოფთ, რომ თქვენს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში აისახოს მთელი ჯგუფის მოსაზრებები?</li> <li>× ჩაატარეთ გამოკითხვის საპილოტე შემოწმება, და დარწმუნდითმის მზადყოფნაში და კითხვების მკაფიოობაში.</li> <li>× ჩაატარეთ გამოკითხვა.</li> <li>× შეაჯერეთ და გააანალიზეთ შედეგები, მოამზადეთ ანგარიში.</li> <li>× ანგარიში ხელმისაწვდომი გახადეთ მონაწილეებისთვის, შესაბამისი ოფიციალური პირებისთვის და მედიისთვის.</li> </ul>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>× გვამლევს შემოწმებად მონაცემებს.</li> <li>× გამოკითხვებს შეუძლია ცნობადობის ამალღებაში შეიტანოს წვლილი.</li> <li>× როცა სათანადოდ არის შედგენილი, შეუძლია მისწვდეს ფართო წარმომადგენლობით აუდიტორიას ან სამიზნე ჯგუფს.</li> <li>× შედეგებიდან შეიძლება სხვადასხვაგვარი ინფორმაციის ამოკრება.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>× ცუდად შედგენილ გამოკითხვას ცუდი შედეგები აქვს.</li> <li>× თუ ფართო აუდიტორიის გამოკითხვა გვსურს, შეიძლება დიდ დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული</li> <li>× ყურადღება უნდა მიექცეს კითხვების ერთმნიშვნელოვან ფორმულირებას, რათა თავიდან ავიცილოთ ირიბი და დამახინჯებული პასუხები.</li> <li>× ყურადღება ჭირდება გამოსაკითხთა შერჩევას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველა წარმომადგენლობითი ნიმუში გვაქვს ხელთ.</li> <li>× გამოკითხვები, სადაც მოსანიშნი ველებია დატანილი, ყველაზე სწრაფი ადვილი პროცესია: თუმცა, ზღუდავს მიღებული ინფორმაციის დეტალურობას.</li> </ul>

<p>პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები</p>	<p>გაერთიანებული სამეფო, <i>აქცენტირება მოქალაქეებზე: მიდგომებისა და მეთოდების სახელმძღვანელო</i> (ედინბურგი, გაერთიანებული სამეფო, შოტლანდიის ადგილობრივი ხელისუფლების კონვენცია (COSLA), 1998). იხ.: <a href="http://www.dundee.gov.uk/dundee/uploaded_publications/publication_285.pdf">http://www.dundee.gov.uk/dundee/uploaded_publications/publication_285.pdf</a>.</p> <p>აშშ გარემოს დაცვის სააგენტო, <i>RCRA<sup>68</sup> საზოგადოების მონაწილეობის მეგზური (1996), თავი 5</i> (საზოგადოების ჩართულობის ღონისძიებები); იხ.: <a href="http://www.epa.gov/epawaste/hazard/tsd/permit/pubpart/chp_5.pdf">http://www.epa.gov/epawaste/hazard/tsd/permit/pubpart/chp_5.pdf</a>.</p> <p>აშშ ტრანსპორტის დეპარტამენტი, "საზოგადოების ჩართულობის ტექნიკა ტრანსპორტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში: საზოგადოებრივი აზრის კვლევა", იხ. <a href="http://www.fhwa.dot.gov/reports/pittd/surveys.htm">http://www.fhwa.dot.gov/reports/pittd/surveys.htm</a>.</p>
---	--

ტექნიკა	საჯარო გამოსვლები
<p>აღწერა</p>	<p>საჯარო გამოსვლები ინფორმაციის, ასევე შემოთავაზებული წინადადების შესახებ მოსახრებების წარდგენისა და გაცვლის ფორმალური გზაა. ფორმალური საჯარო გამოსვლები ზოგადად ყველაზე კარგად სხვა არაფორმალურ მეთოდებთან ერთობლიობაში გამოიყენება, როგორცაა არაოფიციალური შეხვედრები და ფასილიტაცია.</p> <p>ღონისძიების ორგანიზებამდე გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X მკაფიოდ დაახასიათეთ საჯარო შეხვედრის მიზანი, და თემა, რომელსაც ის ეხება.</li> <li>X ახსენით, მთლიანი პროცესის კონტექსტის რა ნაწილში ხდება საჯარო გამოსვლა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ რა მაქსიმალურ ფარგლებში შეუძლია გამოსვლამ გავლენა იქონიოს შედეგზე.</li> <li>X გადაწყვიტეთ, საჭიროა თუ არა საჯარო გამოსვლის ორგანიზება, როცა ასეთი ღონისძიების ჩატარებზე თხოვნას მიიღებთ.</li> <li>X საჯარო ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით გააკეთეთ ღონისძიების რეკლამა</li> <li>X შეტყობინება გაუგზავნეთ თითოეულ პირს, ვინც ითხოვდა საჯარო გამოსვლას.</li> <li>X ყურადღებით დაგეგმეთ დაინტერესებულ მხარეთა პრეზენტაციები და უზრუნველყავით, რომ პრეზენტატორმა მისთვის გამოყოფილ დროში შეფერხების გარეშე ისაუბროს.</li> <li>X მოამზადეთ საჯარო გამოსვლის შესახებ ანგარიში/ჩანაწერი და გაასაჯაროვეთ.</li> </ul>
<p>უპირატესობა</p>	<p>ასეთი ღონისძიებების დროს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, საზოგადოებას საშუალება აქვს ისაუბროს კონტარგუმენტების გარეშე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>X შეიძლება სისტემატურად საუბარი ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე.</li> <li>X მიღებული კომენტარები იწერება და ხდება საჯაროდ ცნობილი.</li> <li>X თუ სწორად წარმართება, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის სასარგებლო გზაა.</li> <li>X გვიჩვენებს, რომ პასუხისმგებელი ოფიციალური პირი ღია კონსულტაციებისა და ინფორმაციის გასავეცლელად ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ.</li> </ul>
<p>ნაკლი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>X არ იძლევა სტიმულს დიალოგისთვის.</li> <li>X შეიძლება შეიქმნას წინააღმდეგობრივი ატმოსფერო.</li> <li>X საჯარო შეხვედრები შეიძლება აშინებდეს რომელიმე დაინტერესებულ ჯგუფს, ვინც შეეცდება ჩაშალოს შეხვედრა, ან ყურადღება მიიპყროს თავისი მჭერმეტყველებით.</li> <li>X უმცირესობები, და ისინი, ვისაც არ უყვარს საჯაროდ საუბარი, ადვილად არ თანხმდებიან ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობას.</li> <li>X რამდენადაც გარეგნულად ადვილი ჩანს, შეიძლება იმდენად ერთ ერთი რთული და არა პროგნოზირებადი მეთოდი გამოდგეს.</li> <li>X შეიძლება შედეგად ვერ მოიტანოს კონსულტაციები და მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების საშუალებად დარჩეს.</li> </ul>

<sup>68</sup> რესურსების კონსერვაციისა და აღდგენის შესახებ აქტი (RCRA)

ტექნიკა	სემინარები
აღწერა	<p>სემინარები სტრუქტურირებული ფორუმია, სადაც მონაწილეებს იწვევენ პრობლემის ან SEA-სეტაპის შესაფასებლად ერთობლივად ჯგუფ(ებ)ში სამუშაოდ. სემინარის მიზანია მონაწილეების ერთად, სტრუქტურულ გარემოში შეკრება (რაც ფართო და მცირე ჯგუფურ აქტივობებში, დისკუსიებში და გამომხატურებებში გამოიხატება) პრობლემების გადასაწყვეტად და შეფასების შესახებ კონსენსუსის მისაღწევად, და არა, უბრალოდ ინფორმაციის მისაწოდებლად და კითხვებზე საპასუხოდ. გარდა ამისა, სემინარები შეიძლება მოეწყოს კონკრეტული დაინტერესებული გჯუფის სამიზნე წარმომადგენლებისთვის, მაგ., არასამთავრობოებისთვის, რომელიმე სფეროს ექსპერტებისთვის, და ა.შ.</p> <p>სემინარებს ჭირდება ფასილიტატორი, რომელიც ყველა მონაწილის ჩართვას შეძლებს დისკუსიაში; არსებობს მონაწილეობის სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლებიც ყველაზე უკეთ მონაწილეთა მცირე ჯგუფებისთვის გამოიყენება.</p> <p>ინსტრუმენტების ნაირსახეობის გამოყენება შეიძლება სემინარის მსვლელობისას, მათ შორის, ფოკუს ჯგუფების და ა.შ.</p> <p>სემინარის შედეგების შესახებ ანგარიში უნდა მომზადდეს პრობლემისა თუ შემოთავაზებული წინადადების თაობაზე მოსაზრებების მითითებით, ყველა მონაწილის მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებული რეკომენდაციებისა და დასკვნების ჩვენებით.</p>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>× საუკეთესო გზაა კრიტერიუმების განსახილველად ან ალტერნატივების გასაანალიზებლად</li> <li>× ხელს უწყობს მცირე ჯგუფებში ან ერთი-ერთზე კომუნიკაციას.</li> <li>× გვთავაზობს გუნდის წევრების არჩევას რთული კითხვებისთვის პასუხის გასაცემად.</li> <li>× ქმნის შედეგების მიმართ ნდობასა და პასუხისმგებლობას.</li> <li>× მაქსიმუმამდე ზრდის მონაწილეთაგან გამომხატურების მიღებას. გუნდის სხვა წევრების აყოლიებას, რომ უპასუხონ რთულ შეკითხვებს.</li> <li>× მაქსიმუმამდე ზრდის მონაწილეთაგან გამომხატურების მიღებას.</li> <li>× ხელს უწყობს საზოგადოების მხრიდან პრობლემის მოგვარებისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას (იხ. IAP2 მითითება ქვემოთ).</li> <li>× შეუძლია ხელიშეუწყოს იდეების უფრო ღიად გაზიარებას, და ურთიერთგაგების ატმოსფეროს ცამოყალიბებას. სასარგებლოა კომპლექსური და ტექნიკური საკითხების გასარკვევად და უფრო ღრმად გასაზრებლად. შეიძლება გამოიხატოს იყოს რომელიმე კონკრეტული დაინტერესებული მხარისათვის.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>× მტრულად განწყობილმა მონაწილეებმა შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ მცირე ჯგუფებად დაყოფას, რადგან ეს „დაყავი და იბატონეს“ განხორციელებად აღიქვან.</li> <li>× სემინარის დაწყებამდე, ფასილიტატორს მოეთხოვება იცოდეს როგორ იქნება მომავალში საზოგადოების აზრი გამოყენებული.</li> <li>× როგორც წესი საჭიროა ხოლმე რამდენიმე მცირე ჯგუფის ფასილიტატორი (იხ. IAP2 მითითება ქვემოთ).</li> <li>× ყველაზე ეფექტური რომ იყოს, კარგი იქნება ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფის მონაწილეობა, თუმცა, ამ დროს ინტერესთა მთელი სპექტრი ვერ იქნება წარმოდგენილი.</li> </ul>
პრაქტიკული გამოყენების ან დამატებითი ინფორმაციის ძირითადი წყაროების მაგალითები	<p>საზოგადოების მონაწილეობის საერთაშორისო ასოციაცია IAP2 საზოგადოების ჩართულობის ხერხები (2000), იხ. <a href="http://www.iap2.org/">http://www.iap2.org/</a>.</p>
ტექნიკა	მრჩეველთა საბჭო
აღწერა	<p>მრჩეველთა საბჭო შედგება ექსპერტთა ჯგუფისგან და სამთავრობო, ან არასამთავრობო ინსტიტუტებისგან, რომლებსაც კონკრეტულ სფეროში აქვს კვალიფიკაცია ან დაინტერესებულნი არიან გეგმის/პროგრამის სამუშაო ვერსიით.</p> <p>კონსულტაციის პროცესში მათ შეუძლიათ შემოგვთავაზონ გეგმის/პროგრამის შესაფერისი შესწორება ან სპეციფიკური ღონისძიებების გათვალისწინება.</p> <p>ისევე როგორც მიზნობრივი ჯგუფი, მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს, როგორც მოქმედი სტრუქტურა, თუმცა მიზნობრივი ჯგუფების ფორმირება ხდება მცირე პერიოდით და მხოლოდ კონკრეტული საპროექტო წინადადების ჩამოსაყალიბებლად.</p>

	<p>მრჩეველთა საბჭო განსაკუთრებით სასარგებლოა საზოგადოების მონაწილეობისთვის, განსაკუთრებით, ვისაც შესაფერისი კვალიფიკაცია აქვს კომპლექსური, წინააღმდეგობრივი ან მნიშვნელოვანი გეგმის/პროგრამის შეფასების პროცესში.</p> <p>საზოგადოება არ არის ლობისტური ჯგუფი – მისი წევრების ინდივიდუალური ინტერესების მიღმა, მას აქვს მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქცია.</p> <p>საბჭოები უფრო ეფექტურად მოქმედებს, თუ მათი როლი და მოვალეობა მანამდე განისაზღვრება მკაფიოდ, სანამ საქმე წევრების არჩევაზე მიდგება. ასევე, მნიშვნელოვანია, წევრების ასარჩევად კრიტერიუმების დაწესება. დრო და რესურსები უნდა მოხმარდეს საბჭოს მხარდაჭერას პროექტის სიცოცხლის ხანგრძლივობის, ან თავად საბჭოს არსებობის მანძილზე.</p> <p>საბჭო ინფორმირებული უნდა იყოს მიმდინარე წარმატებების, კონსულტაციების შედეგების, დეველოპერსა და გადაწყვეტილების მიმღებს შორის კონსულტაციების, პოლიტიკის ცვლილების ან მიმდინარე პრობლემების შესახებ, რა გავლენას მოახდენს საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციასა და საერთოდ, მის როლზე.</p>
უპირატესობა	<ul style="list-style-type: none"> <li>× მრჩეველთა საბჭო გვთავაზობს დამატებით რჩევასა და მეგზურობას.</li> <li>× გვეხმარება დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან კრიტიკის შემცირებაში</li> <li>× გვიდასტურებს თანამონაწილეობრივი მიდგომის მიმართ ერთგულებას და დაინტერესებულ მხარეებს ურჩევს, როგორ მოახდინონ გავლენა გადაწყვეტილების მიღებზე და შედეგებზე გარკვეულ საზღვრებში.</li> </ul>
ნაკლი	<ul style="list-style-type: none"> <li>× შეიძლება წარმოიშვას წევრებს შორის ინტერესთა კონფლიქტი</li> <li>× შეიძლება დროისა და რესურსების მიმართ მომთხოვნი აღმოჩნდეს. ყურადღება მიაქციეთ მათი მიმდინარე საქმიანობის ჩამოყალიბებას, მართვასა და მონიტორინგს.</li> <li>× სადაც შეხედულებების მრავალფეროვნებაა, ან, სადაც წევრებს არათანაბარი სტატუსი, ცოდნა ან კვალიფიკაციაა აქვთ, საჭირო გახდება ფასილიტატორის ჩართვა.</li> </ul>

დანართი ბ1.1

ქმედითუნარიანობის დეტალური  
შეფასების მაგალითი პროტოკოლის  
განხორციელებისთვის აღმოსავლეთ  
ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური  
აზიის შერჩეულ ქვეყნებში



*I. გეგმებისა და პროგრამების იდენტიფიცირება, რომლებიც ექვემდებარება SEA-ს პროტოკოლის SEA-სმიხედვით*

I.1. ახსნილია თუ არა ეროვნული კანონმდებლობით ტერმინები „გეგმა“ და „პროგრამა“? თუ ასეა, გთხოვთ მოგვაწოდოთ ეს განმარტებები.

I.2. გთხოვთ, ქვეყნის მასშტაბით გამოავლინოთ (ქვემოთ მოყვანილი ცხრილის დახმარებით) ეროვნული და რეგიონული (რაიონული, საოლქო) გეგმები და პროგრამები, რომლებიც პროტოკოლის ფარგლებში ხვდება.

სექტორი	ჩამოთვალეთ ყველა სტრატეგიული დოკუმენტი (მიუხედავად იმისა, რა ეწოდება: გეგმა, პროგრამა, პოლიტიკა, სტრატეგია და მისთ.) თითოეული მოცემული სექტორისთვის, რომელიც „მომზადდა ან დამტკიცდა საჯარო ოფიციალური პირის მიერ, მთავრობის ყველა დონეზე, და სამართლებრივი, მარეგულირებელი თუ ადმინისტრაციული დებულების საფუძველზე“ (გეგმებისა და პროგრამების გამარტივებული განმარტება ადაპტირებულია SEA-ს პროტოკოლის 2.5 მუხლიდან)	მოკლედ აღწერეთ მათი მთავარი თვისებები (მაგ. რაოდენობა, ან ბოლო 5 წლის მანძილზე განხორციელებული და მიმდინარე გეგმები, და კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები)
სოფლის მეურნეობა		
მეტყვეობა		
მეთევზეობა		
ენერგეტიკა		
მრეწველობა		
სამთო მოპოვება		
ტრანსპორტი		
რეგიონული განვითარება		
წყლის მართვა		
ტელეკომუნიკაცია		
ტურიზმი		
ქალაქ და სოფელ დაგეგმარება ან მიწათსარგებლობა		
სხვა ეროვნული თუ ქვე-რეგიონული დოკუმენტები (მაგ. სიღარიბის დაძლევის სტრატეგია)		

*II. გარემოსდაცვის მიმდინარე შეფასებასთან დაკავშირებული დებულებების ანალიზი*

II.1. აღწერეთ ქვეყანაში გარემოს მიმდინარე შეფასების პროცედურები სტრატეგიული გადაწყვეტილებისთვის არსებული დებულებების მიხედვით (OVOS (გზშ) ანსახელმწიფოს ეკოლოგიური მიმოხილვის სისტემის მიხედვით) და შეადარეთ არსებულ გამოცდილებას:

- X სკრინინგის მექანიზმი და მისი გამოყენების მასშტაბი ბოლო 5 წლის მანძილზე (ან ბოლო 2–3 წლის მანძილზე, თუ უმჯობესია): რამდენი დოკუმენტი შემოწმდა სანამ მიმოხილვისთვის გადაეცემოდა სახელმწიფოს ეკოლოგიური განხილვისთვის/SEA-ს პროცედურებისთვის და რამდენ მათგანს ჩაუტარდა სახელმწიფოს მხრიდან ეკოლოგიური შემოწმება/ SEA?
- X SEA-სანგარიშის შინაარსი: სამართლებრივ მოთხოვნებს + როგორ არის განსაზღვრული ეკოლოგიური შეფასების კონკრეტული მასშტაბი + შესაძლო მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ან SEA-ს ანგარიშის მომზადების სტანდარტები.
- X მიმოხილვის მოთხოვნები: რა სახის ოფიციალურ პირებს აქვთ ეკოლოგიური ანგარიშის შესახებ კომენტარების გამოხატვის საშუალება, და არის თუ არა რაიმე დამატებითი მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ეკოლოგიური შემოწმების თაობაზე?

X საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული დებულებების აღწერა: სამართლებრივი მოთხოვნების აღწერა და SEA-ში საზოგადოებრივი ჩართულობის შესახებ მითითებები ნებისმიერი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შესახებ, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა.

X SEA-ს ანგარიშის და საზოგადოების კომენტარების გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში გათვალისწინების მექანიზმები.

II.2. აღწერეთ სამართლებრივ ჩარჩოში შესაძლო სამომავლო ცვლილებები (თუკი არსებობს ასეთი).

II.3. გააანალიზეთ მიმდინარე სისტემის ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები და მისი სამომავლო განვითარების ან გაუმჯობესების შესაძლებლობები.

### III. პროტოკოლის ეფექტური განხორციელების პრიორიტეტული საკითხების ანალიზი

პროტოკოლის ეფექტურად განხორციელების პრიორიტეტული საკითხების ანალიზში უნდა აისახოს ყველა მოცემულ ქვეყანაში პროტოკოლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ზემდგომი ოფიციალური პირების მოსაზრებები.

როგორ უნდა მოხდეს ეფექტურად:	შეაფასეთ ქულებით:2 – უმაღლესი პრიორიტეტი 1 – მნიშვნელოვანი 0 – შეუსაბამო	რომელი სპეციფიკური საკითხი, რომელშიც დახმარება დაჭირდებოდა?
SEA-ს გეგმის/პროგრამის მომზადების პროცესში განხორციელება პროტოკოლის 2.6 მუხლში აღწერილი SEA-ს განმარტების მიხედვით (მაგ. როგორ უნდა დაუკავშიროთ SEA-ს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მისთ.)		
SEA-ს სკრინინგი მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად (მაგ., როგორ უნდა შეუთავსოთ სავალდებულო და გამომრიცხავი სიები და როდის უნდა გამოიყენოთ თემატური განხილვა, მისთ.)		
SEA-ს მასშტაბის დადგენის ორგანიზება მე-6 მუხლის თანახმად (მაგ., როდის ჩატარდეს მასშტაბის დადგენა, როგორ შეირჩეს საზოგადოებასთან და ოფიციალურ პირებთან კონსულტაციის შესაფერისი მეთოდი, როგორ უნდა დაიწეროს ტექნიკური დავალება SEA-თვის, მისთ.)		
SEA -ს საბაზისო ეკოლოგიური კვლევების დამუშავება (IV დანართის 2,3 და 4 მუხლების თანახმად)		
SEA-ში ეკოლოგიური ამოცანების გამოყენება (IV დანართის მე-5 პარაგრაფის თანახმად)		
მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური (ჯანმრთელობის ჩათვლით) ეფექტების ანალიზი (IV დანართის მე-6 მუხლის მიხედვით)		
გეგმის/პროგრამის ალტერნატივების შედარება (IV დანართის მე-6 მუხლის მიხედვით)		
პოსტ SEA-ს მონიტორინგის გეგმის მომზადება მე-12 მუხლის და IV დანართის მე-9 პარაგრაფის შესაბამისად.		
ტრანსსასაზღვრო ეფექტების ანალიზი (IV დანართის მე-10 პარაგრაფის მიხედვით)		
SEA-ს ანგარიშის საჯარო განხილვის ორგანიზება მე-8 მუხლის შესაბამისად (მაგ. როგორ გავარკვიოთ დაინტერესებული საზოგადოება და შევავროვოთ გამოხმაურება, როგორ შევამოწმოთ საზოგადოების კომენტარები, მისთ.)		
გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების ორგანიზება მე-9 მუხლის მიხედვით (მაგ. როგორ დავადგინოთ შესაბამისი ოფიციალური პირი, როგორ ჩავატაროთ მათთან ეფექტური კონსულტაცია SEA-ს მსვლელობის დროს, მისთ.)		

როგორ უნდა მოხდეს ეფექტურად:	შეაფასეთ ქულებით:2 უმადლესი პრიორიტეტი 1 – მნიშვნელოვანი 0 – შეუსაბამო	რომელი სპეციფიკური საკითხი, რომელშიც დახმარება დაგჭირდებოდა?
ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების ჩატარება მე-10 მუხლის თანახმად (მაგ. როდის უნდა შეატყობინოთ, რა დონის დოკუმენტი უნდა გაიცვალოს, როგორ უნდა მოხდეს ეფექტური ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების ორგანიზება)		
გადაწყვეტილების მიმღებთათვის SEA-სხარჯებისა და სარგებელის ახსნა		
SEA-სგანხორციელება პოლიტიკასა და კანონმდებლობაში მე-13 მუხლის მიხედვით		
პროტოკოლის განხორციელების შესახებ კანონპროექტი ან რეგულაციის პროექტი		

*IV. SEA-ს რეფორმების ძირითადი დაინტერესებული მხარეები*

IV.1. გამოავლინეთ SEA-ს პროცესზე პასუხისმგებელი მთავარი ინსტიტუტები (საკონტაქტო ინფორმაცია და მთავარი ოფიციალური პირის სახელი).

IV.2. ქვეყანაში SEA-ს/გზმ-ს რეფორმების ხელშეწყობი მთავარი დაინტერესებული მხარეების და ქსელების გამოვლენა (არასამთავრობოები, გზმცენტრები, პროფესიული ბიულეტენები და ჟურნალები, ა.შ.) , როგორ თანამშრომლობენ ეს მოთამაშეები ხსენებულ რეფორმებში და როგორ შეიძლება მათი თანამშრომლობის გაძლიერება?

*V. წარსული, მომდინარე და დაგეგმილი ინიციატივები ქვეყანაში SEA-ს ქმედითუნარიანობის ჩამოსაყალიბებლად*

V.1. აღწერეთ მთავარი დაგეგმილი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც აპირებს მთავრობა პროტოკოლის რატიფიცირებისა და განხორციელებისთვის (საპილოტე კვლევები, ახალი კანონი, რეგულაციები, სხვ.).

V.2. აღწერეთ SEA-სდარგში ყველა წარსული და მომდინარე დონორთა დახმარების პროგრამა ქვეყანაში.

V.3. SEA/გზმ-სრა კურსები (უნივერსიტეტში, ტრენინგის პროგრამა საზოგადოებრივ ადმინისტრირებაში, სხვ.) არსებობს, ან არის დაგეგმილი ყვეყანაში?

V.4. აღწერეთ სხვა NGO, საკონსულტაციო ან აკადემიური პროგრამები.

*VI. UNDP და REC პროექტის ყველაზე ეფექტური რეკომენდაციები*

გამოავლინეთ და პრიორიტეტები მიანიჭეთ თუ რა სახის ინტერვენციები ან ღონისძიებები შეიძლება იყოს ყველაზე ეფექტური პროტოკოლის განხორციელების ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბებაში, მათ შორის შერჩეულ ქვეყნებშიSEA-სსაპილოტე პროექტების ჩამოყალიბებაში. პროექტის მასშტაბის დადგენისას, სხვა დანარჩენთან ერთად, შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების შემდეგი ღონისძიებები:

- X საპილოტე პროექტები: სპეციფიკური გეგმის/პროგრამის SEA-ს მხარდასაჭერად (თუ პრიორიტეტია, მიუთითეთ დაპროგრამების პროცესის რომელი სახეობისთვის იქნება გაწეული დახმარება).
- X სამართლებრივ რეფორმებში დახმარება (ახალი კანონპროექტების ან რეგულაციების შემუშავება პროტოკოლის განსახორციელებლად).
- X ეროვნული გაიდლაინების შემუშავება (SEA-სმიდგომის განმარტება, მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ, სხვ.).
- X ტრენინგ მასალების მომზადება და ტრენინგის ტრენინგი.
- X სარეკლამო კამპანია (ბროშურები, ფლაერები, ვებ გვერდის შექმნა, სხვ.) ძირითადი პოლიტიკის განმსაზღვრელებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებთათვის და ადმინისტრატორებისთვის SEA-ს გაცნობა.

აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და  
ცენტრალური აზიის შერჩეულ  
ქვეყნებში პროტოკოლის  
განსახორციელებლად ეროვნული  
ქმედითუნარიანობის ჩამოყალიბების  
სტრატეგიებში გამოსაყენებელი  
მარტივი ტექნიკური დავალების  
ნიმუში

## შესავალი

წინამდებარე დანართი წარმოგვიდგენს SEA-ს პროტოკოლის განხორციელების ეროვნული სტრატეგიის შედგენის სტრუქტურას აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის ოთხ შერჩეულ ქვეყანაში. აღნიშნული ეროვნული სტრატეგიები სამიზნე ქვეყნებს დაეხმარა პროტოკოლის განსახორციელებლად ქმედითუნარიანობის საჭიროებების დადგენაში.

## სტრატეგიის შემუშავების პროცესი

თითველი სტრატეგია ჩამოყალიბდა კონსულტაციების გზით:

- X პროტოკოლის ცენტრალურ ეროვნულ კოორდინატორთან, რათა მომავალში ეროვნული სტრატეგიის სახე მიიღოს.
- X გარემოს შეფასების დარგში ქვეყანაში მოქმედ ძირითად სპეციალისტებთან და არასამთავრობოებთან.
- X მთავარ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებსაც შეუძლიათ დაგეხმარონ ქვეყანაში SEA-ს სისტემის ჩამოყალიბებაში.

## სტრატეგიის შემოთავაზებული სტრუქტურა

### I. არსებული ვითარება

ამ ნაწილში ნათლად და მოკლედ ჩამოყალიბებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს:

- X პროტოკოლის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანისთვის დაგეგმილ გრაფიკს.
- X იმ გზის აღწერა, რომელსაც მთავრობა გაივლის პროტოკოლის ეროვნულ კანონმდებლობაში გადასატანად, მაგალითად, გზმ არსებული დებულების განახლება და პროტოკოლის მიხედვით გავრცობა გეგმებსა და პროგრამებზე; ახალი SEA-ს მოთხოვნების შეტანა დაგეგმვის პროცესში; ან შეფასების სრულიად ახალი ინსტრუმენტის შემოღება. განმარტებაში მოცემულია მოკლე მონახაზი, თუ რატომ მოხდა ამ კონკრეტული გზის, და არა მისი ალტერნატივის არჩევა.
- X რომელი იურიდიული დოკუმენტის ძალით უნდა გადავიტანოთ პროტოკოლი (მაგ., ახალი კანონი ან ბრძანებულება, ცვლილება არსებულ კანონში ან ბრძანებულებაში, სახელმძღვანელო დოკუმენტებში, მისთ.).

### II. ქვეყნის საჭიროებების ანალიზი

ადრეულ ეტაპზე ჩატარებული ეროვნული საჭიროებების შეფასება უნდა განახლდეს ოფიციალურ პირებთან და SEA-ს პროტოკოლის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან და სპეციალისტებთან დეტალური კონსულტაციების შედეგებით. ქვეყნის შეფასების დოკუმენტში ასახული ინფორმაცია უნდა იყოს სრულყოფილი და დამტკიცდეს პროტოკოლის განხორციელების ეროვნული კოორდინატორის მიერ.

### III. საშუალო ვადიანი სტრატეგია

ქვეყნის შიგნით ჩამოყალიბებულია გუნდი და ქვეყანაში SEA-თვის გრძელვადიანი ქმედითუნარიანობის სრული სტრატეგია შემუშავდა ეკოლოგიური შეფასების რეფორმებით მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების კვალდაკვალ (პროტოკოლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ოფიციალური და ფიზიკური პირები, ეკოლოგიური შეფასების მთავარი სპეციალისტები და არასამთავრობოები). სტრატეგია ეხმიანება ქმედითუნარიანობის ყველა სახეობას – სისტემის ქმედითუნარიანობას, ინსტიტუციონალურ ქმედითუნარიანობას და ადამიანთა უნარებს – ბითავში მოცემული სტრუქტურის ვერსიის მიხედვით. სტრატეგია განჭვრეტს მომავალ ხუთ წლიან მუშაობას და ადგენს რეალისტურ მიზნებს ქმედითუნარიანობის თითველი სახეობის განვითარებისთვის, ასევე, რეალისტურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ეროვნულ რესურსებთან ერთად, ან შეზღუდული საერთაშორისო დახმარებით.

### IV. მოკლევადიანი პრიორიტეტები

მას შემდეგ რაც მომზადდა სრული სტრატეგია, გამოვლინდა სამი ძირითადი მოკლევადიანი ღონისძიება 2008 წლამდე. ეს პრიორიტეტული ღონისძიებები პროექტის ფორმით ჩამოყალიბდა სადაც მკაფიოდ გამოიჩინა:

- X სამიზნე ჯგუფები, დაინტერესებული მხარეები და ბენეფიციარები
- X ღონისძიებების შემოთავაზებული თანმიმდევრობა.
- X ქვეყანაში მოქმედ სხვა დონორ ორგანიზაციებთან და ქმედითუნარიანობის ამაღლების ღონისძიებებთან კავშირი.
- X ბიუჯეტი.

V. განხორციელების ღონისძიებები

განხორციელების ღონისძიებებში გამოიკვეთა:

- X სტრატეგიის სრულად განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტი.
- X სტრატეგიის ოფიციალური სტატუსი და მისი დამტკიცება (მაგ., გარემოს დაცვის მინისტრის ან სხვა შესაფერისი ორგანოს მიერ, მაგ., როგორცაა მდგრადი განვითარების ეროვნული საბჭო).
- X სამომავლო სამუშაო ღონისძიებები ეროვნულ დონეზე განხორციელებისას რესურსების დასაზღვევად (მაგ., გარემოს დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, ფონდების მოზიდვა დონორებისგან).

დაიბეჭადა გაეროში, ჟენევა  
GE.11-25822–დეკემბერი 2011

ECE/MP-EIA/17

ითარგმნა ევროპაში უსაფრთხოებისა და  
თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიერ  
ENVIRONMENT AND SECURITY (ENVSEC) პროექტის  
ფარგლებში, 2013.